

114 /
1941/2



მნამნო

4

ს ს ს ნ ნ ნ

თბილისი
1941



მნათობი



სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სასკოლო და საზოგადოებრივ-სამთლიანო
ქურნალი

წელიწადი მეთვრამეტე

4

19700 3877

19 აპრილი 41
საბჭოთა მწერლების
კავშირის
სასკოლო და
საზოგადოებრივ-სამთლიანო

პ/მგ. რედაქტორი ალიოზ მავაშვილი

ზელმოწერილია დასაბეჭდად 13/V-41 წ. შ018362. ანაწყოების ზომა 7 X 12. ნაბეჭდ ფორ-
მათა რაოდენობა 10. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50688, სააეტორო ფორმათა
რაოდენობა=12.5. შეკვეთის № 603. ტირაჟი 2650.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ეორესის ქ. 5.

ალ. აბაშელი

აპრილი

ისევ აპრილის გრგვინვა გაისმა,
ჩაღვა გუგუნი ზამთრის გრივალთა.
სამზეოს კარი ელვით გაიხსნა
და გაზაფხული შემოგრიილდა.

ვინ მოსთელის ჩემი ოცნების ცაზე
რამდენ გაზაფხულს გადუფრენია?
რამდენი გრგვინვით ეყოფილვარ სავსე,
რამდენ აპრილის შუქი მფენია?

ასე მგონია, ვარ ათასი წლის,
ვზა გამივლია იმდენად გრძელი,
მაგრამ ამ გულის მცირე თასისთვის
მაინც არ კმარა მზის ალი მწველი.

თუმც დასაქოლად არ შემეტება
„გული ხარბი და გაუძღომელი“, —
მიკვირს, ამდენი როგორ ეტევა,
რომ უფრო მეტის არის მდომელი!

კიდევ ვიცოცხლო წელი ათასი,
თავს დამნათოდეს ზეცა მზიანი, —
მაინც ამ გულის პატარა თასი
ველარ ავავსო სოფლის სიამით.

გაეცქერი მაღლობს. გამდნარა თოვლი,
მტკვარიც გრიალით მოემართება.
თითქო პირველად შევხარი თრთოლვით
კვირტიდან ფოთლის ამონათებას.

თვალებს ახელენ რტოები მწვეანე
და გაუწვდიათ მზისკენ პეშვები,
სულმოუთქმელად მზის სხივებს სვამენ
თეთრ ყვავილების აზარფეშებით.

ჰყვავის ჩემს ირგვლივ ცხრა მთა, ცხრა ველი
და ყვავილები მზეს უმღერიან.
მეც ჩემი გული, როგორც ყვავილი,
მზისკენ თასივით გამიშვებია.



დამისხი, მზეო, მეც შენი ალი,
შენი მტევნების ცხელი ნაწური,
რომ კიდევ დიდხანს მიჭრიდეს თვალი
და მალეღებდეს გრძნობა კაცური;

რომ არ განელდეს სინათლე გულში,
მძლეთა-მძლეობა შენი მჯეროდეს,
და ჩემი ჰვეყნის ყვავილთა გუნდში
ეს ჩემი გულიც შენ გიმღეროდეს!

აპრილი, 1941 წ.

კონსტანტინე გამსახურდია

ღაპრით აღაგონებული

... და საჭმენი მისნი, რომელნი მან ქმნა და აღასრულნა, რომელნი ჩვენ მცირედითა და ყოვლად კნინითა სიტყვითა წარმოგვიჩინიან, დიდთა მათ და მოზრობად შეუძლებელთა საჭმეთა მისთაგან და ბრჭალთაგან — ლომსა, და ფესვისაგან მცირისა — ყოვლისა ქათვლისა ვითარებას საცნაურ ყოფად ვმეცადინობთ, ვითარცა აჩრდილისაგან — კაცსა, რომელნი ესე შეუძლებელ არიან ყოფად...“

დავით აღმაშენებლის მემოტიანი ე.

სამქარიანი რომანი

პარი პირველი

I

ოცხვალისანი სპარაზენი

გიორგი მეორე ვეების გარს აღგა იმ ზაფხულს, ხოლო კახთა მეფე აღსართან, ციხეში იყო გამომწყვდეული, გააფთრებული ებრძოდა მოალყე ჯარს. სიღამით ისარგებლებდნენ ხოლმე აღსართანის სპანი, ეინელილებითა და ზმლებით აღჭურვილნი თავს ესხმოდნენ გარემომცველთა ბანაკს.

ბოლოს შერეთის აზნაურებმა შეჰკრეს ციხესთან მისასვლელები, საკვები გზები გადაუჭრეს სამეფოს სპათა.

დამშეულ მეომრებს საკუთარი ცხენები და დარჩენოდით საზრდოდ.

მარიამობას, მალემსროლი მოვარდა გეგუთის სასახლეში ქენებით.

მეორე დღესვე, წვევის წიგნები დაგზავნა გიორგი ჭყონდიდელმა საეგროს, აფხაზეთს, ჯაფახეთსა და ტაოს.

კლდეკარის ერისთავსაც ამცნო, ივანესძეს, ლიპარიტ ბალუაშ — ორბელიანს. პაემანი დასთქვა ლაშქართა შეყრისა.

წაღვლისთავის ციხეში აღუწყა უფლისწულს, დავითს, გამოგივლით ვეების მიმავალნი, მზად გყავდესო სპაი ქართლისა.

შემოთვალა ლიპარიტ ერისთავმა: ჩემს სპასალარს გავგზავნიო ქვეითა ჯარითა, ხოლო მე თავათ ჩემის აზნაურებითა და ცხენოსანი ლაშქრით თქვენს გამოვლას დავეცილიო კლდეკარში.

გიორგი ჭყონდიდელს ეუცნაურა ეს ამბავი, სიყვითლე სჭირდა ვაზირთა უპირველესს, მაინც წარმოუძღვა აფხაზეთისა და საეგროს ჯარებს. სამეფოს

საბანი თან წარიტანა, საბანი ამერნი და იმერნი, დაუსვენებლად ვადმოლახა ლაშქარმა ლიბი.

ნაშუალამევს წაღვლისთავის მეციხოვნენი ხელანთებული ჭრებულნი უძღვნენ დიდ დარბაზში ვაზირთა უპირველესს.

მესაწოლე ბერს ფსალმუნზე დასძინებოდა, უჭრუის, ხოლო მახარაი კარვისმცველი მეფისა, საკარცხულზე წამომჯდარიყო ინახით, მარცხენაზე შავარდენი ესვა, თვალეგაბიღნული ცვილითა, ყურში ჩასძახოდა ტყიურს:

„ა ა ა ა ა ა ა ა ა“!

გაეღიმა ჭყონდიდეღს და ეუბნება შერგილ ლიპარტიანს, ეგრისელთა და აფხაზთა ლაშქრის წინამდგომს:

„ეს უხანო მახარაი წარღვნის დღესაც არ მოეშვება თავის შავარდნებს“.

„სსსუ! ეუბნება მახარაი ვაზირთა უპირველესს, ხელი დაუქნია შუბლ-შეკმუხენილმა, მუნჯურად ანიშნა: ნუ მიშლიო.“

მახარაი არც დაძრულა, რადგან იგი ერთადერთი კაცი იყო სასახლეში, რომელიც მეფის, დედოფლის და ვაზირთა შემოსვლისას ზედაც არ წამოღებოდა.

მანდატურებს თავში უტყაბუნებდა, ეპისკოპოსებს აბამპულეზებდა, ყოველი კარი ყოველ დროს ღია იყო მისთვის, ყოველი ყური მის სასმენად მზად, ყოველი ბაგე მის ნათქვამზე გასალიმებლად.

შერგილ ლიპარტიანი გაოცებული მიაშტერდა საკარცხულზე მჯდომარეს. ჯერაც არ იყო იგი აფხაზთა მეფეების სასახლეში ნამყოფი, არც მახარაის იცნობდა.

საესებით გადახოკილი თავი ნახმლევეებისაგან ჰქონდა დაჩეხილი ბერიკაცს, მხოლოდ კეფაზე არ უჩანდა ნაიარევი, რადგან ზედ კოწოლი ჰქონდა ისეთი, როგორსაც სელჯუქნი, ყიფჩაღნი და პაჰანიკნი¹) ატარებდნენ იმ დროს.

მარჯვენა ყური წაკვეთილი ჰქონდა. ქოსა ლოყებზე ისეთი ტალეები აჩნდა, როგორიც ჰადრის ქერქს შეუღდება ხოლმე გამოზაფხულზე.

ბაგრატ კუროპალატისეული, ძველი სკარამანგი ეცვა, ყვითელი ზეზისა, ზურგს უკან, ქამარში ჩატანებულის გრძელი სახელურებითა.

კისერზე ჯვრები ეკიდა, სამიოდე ყელსაკიდი ხატი, ზოგი ოქროისა, ზოგიც ვერცხლისა.

„დიოფალი სად ბრძანდება?“

ეკითხება ჭყონდიდელი.

„ლოცულობს“.

მიუგო მახარაიმ მშრალად.

„უფლისწულს ხომ არ სძინავს?“

„თორს აცმევენ“.

ღელავდა დედოფალთ-დედოფალი ელენე, ყრმა უფლისწულის სალაშქროდ წასვლას რომ არ ესწრებოდა დედოფალი რუსუდან,—მეუღლე ყრმისა.

იგი ყინცვისში წაჰყოლოდა დედათა მონასტრის ილუმენიას მართას დიდის ამალითა, წინა ღამით უნდა მოსულიყო, ჯერ არსად სჩანდა. (თუმთა დღე-დღეზე მოელოდნენ ჭყონდიდეღის მობრძანებას წაღვლში).

¹ სელჯუქნი, ყიფჩაღნი და პაჰანიკნი—თურქმანული მოდგმის ტომებია, პაჰანიკები—რუსული ქრონიკის „ბეჩენეები“, ყიფჩაღები—„პოლოცი“, კლმანი.

ბუკის ხმამ უთენია აჰყარა ბანაკი. ატყდა ცხენების ქიხინი, მილენძის დაფდაფების ცემა, გახელდნენ მეძებრები და მადეგრები. სანადირაოდ მიდიანო, ასე ეგონათ. მათი ერთობლივი ყმული აირია ბანაკის მთავარ კარიკაში.

გიორგი ჭყონდიდელი შეფარვით უთვალთვალებდა ყრმა უფლისწულს: ხომ არ ღელავსო სალაშქროდ მიმავალი, მაგრამ არც მის სახეზე, არც მის საქციელში მღელვარების ნატამალიც არ სჩანდა.

უფლისწულმა არ ისურვა ბაგრატ კუროპალატისეული¹⁾ მოკროვილა თორნი, მისივე პოლოტიკნი, საბეჭურნი, სამკლავენი და სამუხლენი ჩაიცივა ძერასფერო.

მეაბჯრეთუხუცესმა გამოიტანა მახვილი, რომელიც სელჯუკების წინააღმდეგ მრავალგზის უხმარიათ პაპას დავეთისას—ბაგრატ კუროპალატს და მამას—გიორგი მეორეს.

ჭყონდიდელმა დალოცა უფლისწული და წელზე შეაბა იგი.

მოუსვენრად დაფუსფუსებდა მახარაი.

ამასაც მოვესწარ, ჩემს მხარეზე გაზრდილი უფლისწული ომში მიდისო.

ამულეტებს უწყობდა უბეში მხედარს, ლოცავდა ყრმას.

თავათაც გარდაიცვია თორი და ორი ხმალი დაიკიდა ჩვეულებრივად ზედ, ერთი გრიგოლ ბაკურიანისა, დასავლეთის დიდი დომესტიკის, ხოლო მეორე ბიზანტიის კეისრის, რომანოზ დიოგენის მიერ ნაჩუქარი.

დედოფალი მიეჭრა, გაცვიფდებო, რა დროს შენი ლაშქარს წასვლააო, მაგრამ არ დაიშალა მახარაიმ, კარვისმცველად უნდა ვეახლოვო სეფეწულს.

ყური არ ათხოვა არც დედოფლისა და არც ჭყონდიდელის მუდარას.

მუხარადი დაიხურა თავზე.

დედოფალმა გადაკოცნა დავეით, დიდი დარბაზის ზღურბლამდის მიიყვანა, სამგზის შემობარუნა მარჯვენისაკენ და დალოცა ცრემლმორეულმა.

ჭყონდიდელის მხედრობას წაღვლისთავში შეემატა მცირერიცხოვანი სპაი ქართლისა, სამი ათასი (ჯენოსანიც ხუთის ფილაკავანითა²⁾), სამივე კედლის საბურღავი მანქანა, რომელთაც ვერძის რქასავით მოდრეკილი ფოლადის ხორთუმები ჰქონდათ, ამიტომაც „ვერძებს“ უწოდებდნენ ხუმრობით სპანი.

უფლისწულისა და ჭყონდიდელის კარვებს, ჯორ-ცხენებზე კიდებულს, წინ მოუძღოდა ყვითელი სკარამანგით³⁾ შემოსილი, ორხმლიანი მახარაი.

დიდი თურქობის ეპოს გადაბუფულ სოფლებში მამლის ყვილიც არ ისმოდა, თუმცა ჩრდილისძვრა დაწყებულიყო უკვე.

¹⁾ კუროპალატ — ბიზანტიელ დიდებულთა მალაი თანამდებობა, ბოლოს ტიტულად ქცეული. იგი თავის დროზე სამეფო გვარის სეფეწულს ჰქონდათ მინიჭებული, აგრეთვე მეფეებს საქართველოსა და სომხეთისას, ერთხელაც სიცილიის ამირს. ამ ტიტულს ატარებდნენ კეისრის ისავე კომნენის ძმა—იოანე, ნიკიფორე ბოტანიკტი, ნიკიფორე ბრიენი, ქართველთა შორის: დავით კუროპალატი, ბაგრატ IV, გიორგი II, ლიპარიტ დიდი, ორბელიანი, სომეხთა დიდებული ფილარეტ ვახრაძე.

²⁾ ფილაკავანი — ლოდსატყორცი მანქანა, რომელსაც ზარბაზნის ნაცვლად ხმარობდნენ საშუალო საღებუნეში ციხეთა შესამუსვრელად.

³⁾ სკარამანგი — ბიზანტიელი კეისრების, კუროპალატების და სხვა დიდებულთა საცმელი ერთგვარი.

ადრიან ნისლით დაბლანდულ გზებზე გამოჩნდებოდა მარტოხელა მხედარი, შუბოსან სათა დანახვაზე შეკრთებოდა და ვაჭქუსლაედუ, ცხენსულაი სახიზნო ქვაბებისაკენ პარვით მიმავალნი მკვიდრნი ყურს მხოკრუედნენ თუ არა ცხენების თქარათქურს, მიწაზე განერთბოდნენ, ხოხვით მიაშურებდნენ ტყეს.

გზის ასაქცევებთან, საბრძოლო გოდოლებიდან გადმოდებოდნენ მოისარნი მეფისა, უყვიოდნენ მეწინავეთა, სეფედროშას რა შეიცნობდნენ, სცემდნენ სპილენძის დაფდაფებს, ეკლესიებში არისხებდნენ ზარებს.

ჭარათებში გამოკვეთილ ქვაბებიდან იმზირებოდნენ ვახიზნულნი მკვიდრნი, მეფე მობრძანდებაო რა გაიგებდნენ, ბალღებიანი დიაცებიც გადმოდებოდნენ, აფრიალეზდნენ თეთრ მერდინებს შორიდან.



მზე ამოვიდა, აჩქამდნენ ტყეები, გარბოდნენ ირმები, ლიწილიწინი ვაჭქონდა ტყეებს, ფრთხებოდნენ ლაქაშებში გარეული ღორები.

ღელავდა ვაზირთა უპირველესი, უკვირდა მოუსვლელიზა გვარამის, ბეჭისციხის პატრონისა. მოხისიდან აპირებდა მალღმსრბოლის გაგზავნას და სერზე გამოჩნდა თეთრწვერა მოხუცის მუზარადიანი თავი.

სეფედროშას რა მოეახლენ ჯავახლნი, მარჯვედ გადმოხტა გვარამ ერისთავი ცხენიდან, მეაბჯრეს მიუგო სადავე, ქედმობდილი ემთხვია ძელიცხოველს, შემდგომ ამისა, ვაზირთა უპირველესს ეამბორა ხელზე, უფლისწულსაც იგივე დაუპირა, მაგრამ დავითი გადაეხვია ერისთავს და აკოცა თავათ.

თვალგაბრწყინებული შესცქეროდა ბეჭისციხის პატრონი ყრმა სეფეწულს, რომელსაც მუზარადიდან გადმოღვროდა წაბლისფერი კულულები, ღაწვის თავებამდე მიწვედნილნი.

მზის შუქზე ლაპლაპებდა ბაგრატეული თორი, ასაკზე მეტად ტანაყრილს, ახოვანებას მატებდა ქაბუქს.

ამბორყოფის, მისალმებისა და სახლეულთა მოკითხვის შემდეგ, ერისთავი გვარამ, მეაბჯრის დაუხმარებლად შემოახტა თავის ცხენს, წინ გაუსწრო ჯავახელ აზნაურთა ამაღას და მხარმარცხნით მიჰყვა ჭყონდიდელის იაბოს.

ტაოელნი სპანი მოკითხა ვაზირთა უპირველესმა.

ნიანია ბაქურიანი და ტაოელნი აზნაურნი ახალქალაქით გადავლენ და კლდეკარში დაგვიხვდებიანო.

გაიხარა დავითმა, სიყრმის მეგობრის, ნიანიას ხსენებაზე.

თავათ ეწადა: წერილად გამოეკითხა მისი ამბავი, მაგრამ ბოგირზე გასვლისას გაოჩნდა მისი არაბული ულაყი,—„თურქი“.

დატუქსავდა მხედარი, მიაგდებდა ჭყონდიდელის ცხენთან, ახლა ყურებს დასცქვეტდა თურქი, გასცქეროდა ჯვარისმტვირთველისა და სეფემედროშის ცხენებს, ვინ ვაბედაო წინ წასწრება ჩემი?

როგორც იქნა მოქანცა მხედარმა ურჩი და მხარმარჯენიდან მიჰყვა ჭყონდიდელისას.

„გვარამ ბატონო, ამბობდა უფლისწული მოკრძალებულად, ტასისკარით რად არ წამოგყვით ნიანია?“

„მე ნაბრძანები მქონდა წაღვლისთავში გამოვლა, ხოლო ნიანიას, კლდეკარს ჩასვლა“.



ერაყისული

კლდეკარის ხსენებაზე აიძვრა დავითი.

უფლისწული დადუმდა, საერთოდ სიტყვაძვირი.

ყური მიუვდო საუბარს და ახლა გაიგო: გვარამ ერისთავს, მჭულუყდრეთქმის ხეობამდის ივლიდა ჭყონდიდელთან ერთად, შემდეგ კი ჩრდილოდან უნდა მოეარნა ტფილისის საამიროს საზღვრებისათვის, ვეყინს მიმავალს.

ეს ვერ გაეგო ოღონდ დავითს: რად მიისწრაფოდა ჭყონდიდელი კლდეკარს? თუ თიანეთზე გადავლა არ ემარჯვებოდა, ხომ უფრო ადრე შეეძლო მუხათ-ვერდზე, ბეთანია-კოყრის გზით ჰერეთში გადასვლა ლაშქართურთ?

უნდოდა ეკითხნა თავის მამამძუძესათვის მიზეზი, მაგრამ ვერ შეჰხებდა, რად-გან კარგად იცოდა: საომრად მიმავალი ვაზირთა უპირველესი თავის იღუმელ განზრახვებს გიორგი მეფის მეტს არაევის ამცნობდა წინასწარ.

ამიტომაც დუმილი არზია, ვიდრე უკითხავად არას ეტყოდნენ.

არც ეს უნდოდა უფლისწულს, გულანდილად ეთხოვა ჭყონდიდელისათვის, კლდეკარს ნუ წამიყვან, გვარამ ერისთავს თან გაეყვებო ვეყინს, მაგრამ თავი შეიკავა აქაც.

გვარამი ასე ამბობდა:

ლიპარიტი და მისი აზნაურნი ვეყინს უნდა იყვნენო მეფის საშველად წასულნი.

ეუცხოვა ეს ამბავი ჭყონდიდელს, მაგრამ მაინც არ იშლიდა წინაგანზრახულს, რადგან დაცდილი ჰყავდა ომის დროს ლიპარიტი.

არას აენებდა საქმეს ჯარით გადავლა ლიპარიტის საერისთაოზე.

„მაშ სტუმრებს ვინღა დაუხვდება კლდეკარში?

ფიქრობდა დავითი.

ალბათ მარტოოდენ მანდატურთუხუცესი, თირქაშ.

სპარსეთის სულთანი მალიქ შაჰ სომხეთს შესევია, თრიალეთის საერისთაოში დიდი შიშინანობაა, ციხეებში გაუხიზნავსო ლიპარიტს ხალხი, ამასაც გვარამი ამბობდა, ბეჰისციხის პატრონი.

ცხადია, ლიპარიტის მეუღლე კატაი და ქალი მათი დედისიმედი, ან მანგლისის ციხეში იქნებიან, ან კლდეკარში.

ეს ამბავი არ ეპრიანა დავითს.

ისევ წაართვა თავი ულაყმა უფლისწულს, განზე წავიდა გოგვით, ისევ დატუქსა მხედარმა ცხენი, ვიდრე წინ მიმავალთ მიეწეოდა.

ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც მას არ უნდოდა გულით, ფიქრობდა ნაღვლიანად თავისთვის.

აუხდათ საწადელი ჭუთათისის, ბედიის, ურბნისის ეპისკოპოსებს, საეგროს, აფხაზეთის, სვანეთისა და ჯავახეთის ერისთავებს. თავით ჭყონდიდელის თათბირსაც არ ათხოვეს ყური, დავითის უკითხავად მოაყვანინა გიორგი მეფემ ზუთი წლით საქმროზე უფროსი რუსუდანი, ნაყვავილევი, უჩინო სახითაც.

ასე დასრულდა დავითის მიჯნურობა სიჭაბუკისა. რა პირით უნდა შეხვედროდა იგი ამის შემდეგ დედისიმედს, თავის სასძლოყოფილს?

ეთხოვა ჭყონდიდელისთვის: კლდეკარს ნუ წარმიტანო თან? ხომ უნდა ეთქვა მისთვის ნამდვილი მიზეზი ამისა?

ციხენების შეერთობამ გაუწყვიტა ფიქრების ვალა.

ატყდა ალიაქოთი, ჭიხვინი და მთრახების ხშულილი.

უფლისწულისა და ჭყონდიდელის მოახლოებაზე, ქოსსა ჰკრეს უფლისციხეში.

აწკრილდნენ ქვახვრელის ეკლესიის ზარებიც. გუგუზებდნენ დიდი და ბუ-
ზუნა ზარები, ვრიალით გაისმოდა ეხო მიტოვებულ, გადაბუგველ სოფლებში.
მხედრები ველარ იურვებდნენ დუემორეულ ცხენებს. ამ უმეფეობებელმა
გნიასმა აატოკა ჭყონდიდელის დინჯი იაბოც.

გაეღიმა ვაზირთა უპირველესს, დავითთან მოსაუბრე მახარაი რა შეამჩნია.
ატროკებულეყო მახარაის აფხაზური სატალახო ცხენიც.
იჯდა ორხმალიანი ჭოსა უზარმაზარ ჭაკზე, მოაჯირითებდა ლორღიან
გზაზე.

მუზარადსა და თორს გაეკბუტებინა თითქოს ბაგრატ კუროპალატის თანა-
მოლაშქრე ძველი.

იძალა სპილენძის დაფდაფების ხმა.

უფლის ციხის ზეთავესა და ბანებზე ალამს აფრიალებდნენ, ციხის ფარებ-
თან თავმოყრილი ხალხი სეფედროშას ესალმებოდა. ზის ჯვრები ეჭირათ მე-
ციხოვნეთა ზელში, ალტყინებულნი ყვიროდნენ:

„მზეგრძელი იყოს უფლისწული!“

როცა მოწინავე ოთხმა მხედარმა ცხენები დაიურვა, ჭყონდიდელმა დაკე-
ცილი მათრახი მიაშვირა უფლისციხეს და ასე უთბრა დავითს:

„ამ ციხეს ერთ წელს გარს ადგა პაპა შენი, სულკურთხეული ბაგრატ კუ-
როპალატი, ბოლოს გასტეხა, შეიპყრო ლიპარიტის-ძე იოანე და ლიპარიტი,
იოანეს-ძე“.

„იცილებიან დრონი, შენიშნა გვარამ ერისთავმა, ორბელიანნი ბაგრატო-
ვანთა მოსისხარნი იყენენ ოდესლაც. ლიპარიტი იოანეს-ძე მეფის თანამდგომია
ახლა“.

„ასეა, ერისთავთ-ერისთავო, ჩააკერა სიტყვა მახარაიმ, ეს სოფელი ეგეთია,
ვითარცა მამლის ბოლო ქარიან დღეში, საითყენაც ნიავე დაუბერავს, იქითკენ
პარპალებს იგი“.

გაეცინათ გვარამს და დავითს, ჭყონდიდელმა ძლივს შეიკავა ღიმი.

„სული წმინდის მოფენის დღეს ბექისციხეში გვეწვია მანდატურთუხუცესი
ლიპარიტისა—თირქაში, დიდის ჯარით აპირებსო ვეყინს წასვლას მეფის საშე-
ველად ერისთავი თრიალეთისა“.

„რომელი მეფის? აღსართანის თუ გიორგისა?“

იკითხა მახარაიამ.

გვარამ ერისთავმა არა მიუგო რა და განაგრძო:

ჩემი პატრონი ლიპარიტ და მეც, მიწა მეფეთ-მეფის გიორგისა, თავს დაე-
დებთო მისთვის.

როცა ღვინო მოერია მანდატურთუხუცესს, დასძინა გვარამმა, ეგეცა სთქვაო
თირქაშმა: ერთად ერთი უფლისციხე აქვსო გულში ხინჯად ერისთავთ-ერის-
თავს, ჩვენ მაინც ერთგული ვართო, ეკრანთაში დადებულის ფიცისა.

„კარგი მოზრდილი ხინჯი გაკვეტებია ლიპარიტს ხახაში!“

ჩაიხიბნითა ისევე მახარაიამ.

„განა ეკრანთაში უფლისციხეს დაჰპირდა ლიპარიტს მამი?“

იკითხა მოკრძალებულად დავითმა.

მცირე ხანს სდუმდა გიორგი ჭყონდიდელი, ცხენების თქარათქური ისმოდა
მხოლოდ, მერმე დააფახულა შავი წამწამები, ჯერ ბექისციხის პატრონს გა-
დახედა, შემდეგ უფლისწულს და სთქვა:

„ეკრანთაში სამშვილდე და კლდეკარნი მიუბოძა გიორგი მეფემ ლიპარიტს, ხოლო აღსართანს, კახთა მეფეს, რუსთავი“.

მახარია მისევე წამოიძახა:

„ვინც გველს რძეს ასმევს, შხამს უორკეცებს მასვე“.

დავითს გაეღიმა: ნეტავ რომელს გულისხმობსო მახარია, კახთა მეფეს თუ კლდეკარის ერისთავს?

„ორივე ციხის კლიტენი ხელთვევყრა, ჩვენ შეგვეძლო ძელზე გავცესვა ივანე და ლიპარიტი, მაგრამ გიორგი მეფეს კესაროსობა*) ახლად მიღებული ჰქონდა, ბერძენთა კეისარი შერიგებას გვთხოვდა, მალიქ შაჰ კარზე გვადგა და მივეციო“.

ესა სთქვა გიორგი ჭყონდიდელმა.

„ძელზე გასმას მე ვუყურე კარგს. ამბობდა მახარია, როცა ბაგრატ კუროპალატმა ლიპარიტ დიდი და ივანე შეიპყრო, ორბელიანთა სახლოთხუცესი ანამორი კლდეკარში გამაგრდა და აღარ მოგვცა კლიტენი ციხისა.

გასვეს მამაშვილი ძელზე, მყისვე ჩაგვაბარეს ციხე“.

„ანამორი იქედნეს ნაშობი იყო, მაგრამ მანდატურთხუცესი თირქაშ...“

სიტყვა გაუწყდა ჭყონდიდელს.

დაღმართში ხელემაპყრობილი მორბოდა მახლობელ ქარაფებიდან გადმოხვეწილი ფეხშიშველა ბრბო, თმაგაბურძენილნი, სამოსშემოფხრეწილნი მისცვიდნენ, ფერხითი დაუვარდნენ მხედრებს.

ჭყონდიდელმა ცხენი შეაყენა, გახიზნული გლეხები აღმოჩნდნენ, მათ უკან მორბოდნენ დიაცები, ბალები ეჭირათ ხელში.

ხალხს მოუძლოდა შავებში მოსილი გრძელწვერა, ქერა კაცი, რომელსაც გრძელი სატევარი წელზე ერტყა, ყელზე ხის ჯვარი ეკიდა დიდი. მარჯვენა დაწვისთავზე ტყირბი ჰქონდა ვერცხლის ფლურის ოდენა.

გამოირკვა: გასულ შაბათს, მუხათგვერდის ციხეს თავს დასხმოდნენ ტფილისის საამიროს სპანი. ციხე ვერ გაუტეხიათ, მაგრამ მტკვარს მაინც აყოლიან აღმა, სამალავებიდან ზიხანი აუკრეფიათ, თოკებით ჩამოუყვანიათ ქვაბებიდან დიაცები და აკენიანი ბალები.

ხალხი შეელას სთხოვდა ვაზირთა უპირველესს.

დიაცები სტიროდნენ: ეს ბალები მაინც წაიყვანეთო სამშვიდობოს სადმე. სამალავშიაც არ გვაყენებენო უშჯულონი.

ჭყონდიდელმა ანუგეშა გლეხნი, დაპირდა მეფე გიორგის მოვახსენებო ყველაფერს. კახეთ-ჰერეთს რა შემოვიერთებთ, ტფილისის საამიროს მივადგებითო.

ვაგაკედება თქვენი უფლისწული, ილოცვიდეთო მისთვის, შვილნო.

ტყირბიანი მიეჭრა უფლისწულს, ფოლადის სამუხლეს საამბოროდ წაეპოტინა, მაგრამ განზე ისკუბა ულაცმა.

ჩივოდა ტყირბიანი: უფროსი ვაჟი მომიკლესო ბრძოლაში.

დავითი ჩამოხტა ცხენიდან. დაუყვავა სასომიხდილთა. გამხნეებულმა ტყირბიანმა მარჯვენაზე აკოცა უფლისწულს.

ჭყონდიდელმა წერილად გამოიკითხა ყოველივე. მუხათგვერდელი მეციხოვნენი გამოსდგომიან თურქებს, სამოცი მუსლიმი შეუტყრიათ, სამიც ახნაურთაგანნი, ქართველნი.

* კესაროს — ამ ტიტულს მიუბოძებდნენ ხოლმე ზიხანციელი კეისრები მეტწილად მეფეებს.

ქყონდიდელს არ ეკაშნიკა ეს ამბავი, მალემსრბოლი აფრინა მუხათვერდს: სამივენი უფლისციხეს წარგზავნეთო დილეგში.

„რა გვარისა ხარ ძია კაცო?“

„შეეკითხა დავითი ტყირპიანს.

„ხორგაი, მეფევე, ბატონო“.

ეუცხოვა, უფლისწულს ეს სიტყვა, რადგან პირველად უწოდეს მას მეფე.

ქაქუცხელი
ნიკოლოზიძე

• •

თრიალეთის საერისთაოში შესვლის უმალვე ატყდა ერთობლივი ზარების რეკვა. ეკლესიების მოედნებზე პურ-მარილით უხვდებოდა უფლისწულს ხალხი, აელარუნებდნენ დროშებს, ხევისთავები და სოფლის ხუცეები მოუძლოდნენ ხალხს.

„მზეგრძელი იყოს უფლისწული!“

ყვიროდა დიდი და მცირე. კლდეკარის მისასვლელებთან ხუთასი თოროსანი რაინდი დაუხვდა უფლისწულს, ხევის ზემოთა და ქვემოთა აზნაურნი ციხოვანნი და უციხონი.

ბერნი და გლეხნი ფსალმუნის ლექსებს ჰგალობდნენ, უკან მოსდევდნენ აზნაურებს, მანდატურთუხუცესი თირქაში და ეზოსმოძღვარი ზოსიმე წინ მოუძლოდნენ ხალხს.

ქყონდიდელის თვალი ამაოდ ეძებდა თოროსანთა შორის ლიპარიტსა და ვაჟს მისას რატის, ახლა მით უფრო საჰოკმანოდ მიიჩნია მან ვეჟინს წასვლა ერისთავისა.

მაინც არ ინანა თრიალეთზე გადასვლა ლაშქრით. ათასგვარი, ურთიერთის გამაბათილებელი ცნობები მოჰქონდათ მსტოვარებს.

ისეთი დაძაბული ურთიერთობა არსებობდა კლდეკარსა და გეგუთს შორის იმ ეჟმად, ამაღის ამარადაც ვერ წავედოდა ვაზირთა უპირველესი თრიალეთის საერისთაოში.

ახლა თავათ ლიპარიტმა მიიწვია იგი და მას ჩასქიდა ქყონდიდელმა ხელი. შემთხვევა მოეცა კიდევაც, თავათ შეემოწმებინა, თუ როგორ ითვისებდა კლდეკარის ერისთავი აღსართან კახთა მეფის წურთენას.

უფლისწულსა და მის ამაღას რა მიეახლნენ, თრიალეთელი აზნაურნი დაქვეითდნენ მყისვე, განერთხნენ მიწაზე და თაყვანი სცეს დავითს.

ნიანია ბაკურიანიცა და ტაოელნი აზნაურნი ჩამოხტნენ ცხენიდან, გადაეხვია სიყმის მეგობარს დავითი. მორიგეობით მოდიოდნენ აზნაურები, მუხლზე ეამბორებოდნენ უფლისწულს და ქყონდიდელს და შემდეგ ამისა ქვეითათ მოყვებოდნენ უკან.

ქყონდიდელს მხარმარცხნით მსახურთუხუცესი მოსდევდა ფეხდაფეხ, ხოლო მხარმარჯვენე მანდატურთუხუცესი. თირქაშს ავჯანღზე ხელი ეკიდა, მოახსენებდა აქვლებული:

„ერისთავთ-ერისთავს ლიპარიტს თირკმლების ტყვიელმა წამოჟუარა, შენო შეუფებავ, ამიტომაც ვერც ვეჟინს წავიდა, ველარც თქვენ შემოგვეგებათ. მე მიზრძანა თქვენი ხლება, მიწას შეუფებისას შენისას“.

ქყონდიდელმა არა მიუგო რა, აფახულებდა შავ წამწამებს, რისხვით გასცქეროდა კლდეკარის ციხეს.

ამ წუთში მას მოაგონდა, თუ როგორ ამოდ შეაწყდნენ ამ ციხეს ბერძენნი, როცა კეისარმა კონსტანტინე მერვემ პარაკიმანოსი¹⁾ წარუდგინა დიდის ლაშქრითა.

ციხეს აუჩქარა ვაზირთა უპირველესმან, რათა თირქაშს, „ამ იქედნეს“²⁾ ნაშობს“ მაკი გასქდომოდა რბენისაგან როგორმე.

უბას არ ასვენებდა მანდატურთუხუცესი:

„ტფილისის ამირას სპანი მუხათვერდის ციხეს თავს დასხმიან, მერმე ჰამანის ციხეს წაებოტინენ, ერისთავთ-ერისთავი ავად იყო, მაგრამ მყისვე წარგზავნენ ჯარი, მიწამ მეუფისამ შენისამან. უკუაქციეს შენო მეუფებავთურქნი“.

დავითი და ნიანია გზის ასაქცევთან განმარტოვდნენ, განგებისად ჩამორჩნენ წინმითვალთ, ლიპარიტის აზნაურები საპატიო მანძილზე ფეხდაფეხ მისდევდნენ ვაზირთა უპირველესს.

ნიანიასთან შეყრამ დაქანცულობა გადააფიწყა დავითს.

„ახალი რა გაიგე კლდეკარში“?

ჰკითხავდა სიყრმის მეგობარს ხმადაბლა.

„არა მგონია ვეყინს წასვლას აპირებდეს ლიპარიტ, შესაძლოა წავიდეს, მაგრამ გიორგი მეფის დასახმარებლად არა, სთქვა ნიანიამ.

ეზომოდღვარი ზოსიმე დავიმარტოხელე ეკლესიაში წუხელ.

მალიქ შაჰს ვაჟის, ბარქიაროვის სარწმუნო კაცნი მიმოდინ კლდეკარში, ბნელ პოტიკებს აგებსო ერისთავი.

ერთი თვის წინად, ნაშუალამევს კვირიკე, ჩამოსულა, აღსართან მეფის ძმისწული, ლიპარიტის უბანში.

ლიპარიტი და თირქაში შეხვედრიან, უთენია გაბრუნებულა კვირიკე, მათი საუბრის საგანს ვერ მივაკვლიეო, ამბობდა ზოსიმე.

ეს კი ვიცი, სულთან მალიქ შაჰს ჯარებს უნდა მოელოდესო ამ მოკლე ხანში, კატაის დასცდენია: დიდი ამბები მოხდებოა მალე.

კოლშვილი განგებისად გახიზნული ჰყავსო კლდეკარის ციხეში, ხუცებს უბრძანა: დიდი თურქობისთვის შეამზადეთო თრიალეთის საერისთავოს მრევლნი. კოზმან ბერი და ლიპარიტის ვაჟი—რატი, გაჰქრენო სადღაც. ეზოს მოძღვარი ასე ვარაუდობს: კვირიკესთან არიანო წასული“.

დავითი მღუმარედ იჯდა ცხენზე, შუბლშეკრული ფიჭრობდა, გარდასცქეროდა გრივალისაგან გადატეხილი ნაძვების ხორავებს, ხევში.

მერმე სულ ახლოს მიავლო ნიანიასთან ცხენი, თითქმის ჩურჩულით ეკითხება:

„დედისიმედი სადაა თუ იცი“

„აქ არის, მიუგო ნიანიამ, ლიპარიტის საერისთავოში მხოლოდ ორი გყავს ერთგული უფლისწულო: დედისიმედი და ეზოსმოდღვარი ზოსიმე, ეს აზნაურები და ბერები, წყლან რომ თაყვანს გცემდნენ, ლიპარიტის მხეს დიკულობენ დღენიდადგ. თრიალეთელი აზნაურები უკვე აღარ მალავენ ბნელ ზრახვებს, გიორგი მეფეს ვუყულოთ, ზურგში ჩავსცეთო მახვილი. კატაიც აიყო-

¹⁾ პარაკიმანოსი—კეისრის მესაწოლე. ხსენებული პარაკიმანოსი ამავე დროს იყო დიდი დომესტიკი, ბიზანტიელთა სარდალი.

²⁾ იქედნე—გველი.

ლია თირქაშმა, დავით უფლისწულს მოუთავითო როგორმე ხელი, მერმე/რალას იზამს მეფე გიორგი, მახარაი ლა დარჩებაო ტახტის მემკვიდრეად¹⁾

უფლისწული
ნიკოლოზი

„ნუთუ მახსენებს დედისიმედი კიდევ“?

იკითხა დავითმა ხმადაბლა.

„შენ კარგად იცი, მუდამ ნდობით მეკიდებოდა იგი, ახლა გაურბის შენს გამო ლაპარაკს. მხოლოდ ეს მითხრა მწუხრიდან მომავალმა წუხელ: ჩემთან მის აუგს ვერაინ ვაბედავსო მაინც.“

რამდენჯერაც არ შევეცადე, დუმილით მიპასუხა ყოველთვის.

დაფდაფების ცემა მოისმა კლდეკარის ციხიდან.

სტუმრებს ჩამოეგებნენ: კატაი, დედისიმედი, მანგლელი მთავარეპისკოპოსი ანტონი, მეჭურჭლეთუხუცესი და მანდატურნი.

დავითის მხერა ლიპარიტს ეძებდა, არსად სჩანდა იგი.

აიშრიზა უფლისწული, მაგრამ დუმილი არჩია.

დავითი, ჭყონდიდელი, ბედიის ეპისკოპოსი, ნიანია ბაკურიანი, შერგილ ლიპარიტიანი და ამალის აზნაურნი დიდ დარბაზში შეიყვანა კატაიმ.

ბუხრისპირად, ავაზების ტყავეებით მოფენილ საწოლზე გაშოთილიყო, სპილენძისფრად წვერშედებილი ვაჟკაცი, შინდისფერი ქირმანული შალით წელ-ვაკრული.

უფლისწულის დანახვაზე წამოიწია, ბალიშებზე დააყრდნო ცალი იდაყვი და ხელზე ემთხვია ჭყონდიდელს ცივად, ხოლო უფლისწული გადააკონა და შკერდზე მიიკრა.

„ღმერთო, სახიერო, რა სწრაფად მიდის ეამი, მხედრობაში განმავალს მოვესწარ უფლისწულს“!

ენამზეობდა ერისთავი: სახელოვანი წინაპრების კვალს მიჰყვებოდა უფლისწული ჩვენი, ცამეტი წლისა უკვე ომობდაო გიორგი მეფე, ხოლო ნოველისიმოს²⁾ ყოვლისა აღმოსავლეთისა, კუროპალატი ბაგრატი—თოთხმეტისა.

ჭყონდიდელმა დედისიმედს შუბლზე აკოცა, სახეშიც არ ჩაუხედავს ერისთავისათვის.

ოქროკედილ სელებზე დასვეს უფლისწული და ვაზირთა უპირველესი, ბედიის მთავარეპისკოპოსი და მანგლელი.

სასთაულებზე³⁾—ნიანია ბაკურიანი — ტაოელთა ჯარის სარდალი, შერგილ ლიპარიტიანი—საეგროსა და აფხაზეთის სპათა წინამდგომი.

ფეხზე იდგნენ — მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მესტუმრეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ხევის ქვემოთა და ზემოთა აზნაურნი, ლიპარიტის ყმანი ციხოვანნი და უციხოვანნი, მანდატურნი, მესტუმრენი და ხელშინაურნი.

სტუმრები სდუმდნენ.

გიორგი ჭყონდიდელი ადგა, საღამოს ლოცვისათვის შეემზადა. ოქროს ტახტი მიართვა დედისიმედმა, ვერცხლის სურა ხელში აიღო თავათ.

ამასობაში მახარაი შემობორიალდა დაფეთებული, უფლისწულს დავითს მიეჭრა:

შენმა ულაყმა აიწყვიტა, მეჯინიბენი ქამანდით დასდევენო ცხენს.

¹⁾ ნოველისიმოს — ბიზანტიური ტიტული, იგი იშვიათად ეძლეოდა დიდებულებს, თავის დროს კონსტანტინე კალფატს მიუბოძეს, ალექსი კომნენს, ბაგრატ IV და სხვ.

²⁾ სასთაულზე — ბალიში, დარბაზობის დროს დიდებულთა დასაჯდომი.

„დამშვიდდი მახარაი, ცხენს დაიკერენ უთუოდ, შენ ეს მოახარო კოვგორ მყავს შენი თავი მახარაი?“

„მკითხავზე უკეთ, ერისთავთ-ერისთავო, თუმცა თირკმელზედა უტყვივა, მაგრამ სალაშქროდ წასვლა არ დამიშლია მაინც“.

ლიბარტი ამღვრა ოდნავ, მის თირკმლებს რომ მისწვდა ხუმარა. შთაბეჭდილების შესარბილებლად ამის მეტი ვერა უთხრა რა:

„ეს ორი ხმალი რად გინდა მახარაი, ბედშავო?“

„ერთით შენ წაგაცლიდი თავს, მეორეთი პერეთის მეფეს, აღსართანს“.

„ეს ბევრი მოგინდომებია მახარაი, ჩემო, კარგმა მეომარმა ერთი ხმალიც უნდა იქმაროს“.

„ერთგულისათვის ორი ხმალიც ცოტაა, ხოლო ორგულს ერთიც არ უნდა ეკიდოს“.

ლიბარტიმა გულისგარედ გადაიხარხარა, მერმე დარბაზში შემოსული სახლთუხუცესი მოიხზო, უჩურჩულა: წაიყვანეთ ეს ბერიკაცი, აჭამეთო რამე. ჭყონდიდელი სალოცავად წაიყვანა დედისიმედმა.

დავითმა და ნიანიამ იგრძენეს უხერხულობა, როცაო მახარაის მიერ შექმნილი უფლისწულმა შეფარვით გადახედა ბუხრის მახლობლად მწოლარე მშვენიერ ვაჟკაცს, რომელსაც იწინა შეღებილი წვერი უმაღლავდა წლოვანობის ზეაშიადს.

პირთერთსა და შუბლმაღალს, შვენოდა ზეზის დაღმატიკა საკინძესთან ოქრომკედით ნაკერი.

გაოცებული შესცქეროდა შერგილ ლიბარტიანი ამ დარბაზს.

მაჰმადიანურ სასახლეთა მზგავსად, ორ მწკრივად ჰქონდა თაროები გაყოლებული ჭერს ქვემოდ. ზედ ელაგა თვალისმოშპრელი სიტურფის ჭურჭელნი ფაიფურისა, სპარსული ლაზულის ფერისა, ბერძნული, მოოქროვილი თეფშები, სინები, წეროსყელიანი ლეკიფები, ოქროსა და ვერცხლის სურები, ბერძნული და ფარსული საშუდეურები, მათ ქვემოდ ეკიდა მუზარადები, ოქროისა და საღმასურის ჯაჭვნი, ფარები, ხმლები, მშვილდები ვერცხლისა.

კუთხეებში სპილენძის გრიფონები და ოქროს სასანთლენი იდგნენ.

შერგილ ლიბარტიანს ეს დარბაზი უფრო მდიდრული ეჩვენა, ვიდრე სასტუმრო გეგუთის სასახლისა.

ნიანია გაჩვეული იყო ამ ოჯახში, იცოდა: წინაპრებით ქადილი რომ უყვარდა ლიბარტს.

„ეს მოოქროვილი თორი ეგონებ ბერძნულია?“

იკითხა მან განზრახ, რათა სტუმრების უხერხული დუმილი დაერღვია როგორმე.

„იგი პაპაჩემს აჩუქა, ბიზანტიის კეისარმა ისააკ კომნენმა, როცა ლიბარტი დიდმა სელჩუკიანნი დაამარცხა. იმ დღესვე მიუბოძა პროედრობა¹⁾ და ეს იადონი ოქროსი, ამ იადონის ხმას მალე გაგაგონებთ“.

ლიბარტიანსა და აფხაზ აზნაურებს ეგონათ: ხუმრობსო მასპინძელი, რადგან ჯერ არსად სმენოდათ ოქროს იადონის ვალობა.

¹⁾ პროედროს — ბიზ. დიდებულთა ტიტული, რომელსაც ატარებდნენ ლიბარტი და დი, პარკიპომენ ბასილი ლიხუდ, რომანოზ სკლირ, მწერალი და ფილოსოფოსი მიხაილ მსედოსი.

ახლა ოქროსვადიან ხმალს დაადვა ნიანიამ თვალი.

„ეს ხმალი სულკურობზეულ მამა ჩემს, იოანეს უბოძა კეისარმა როცა პაჩი-ანკისა და არშამუნიკის მართველად იყო მამაი“.

შერგილ ლიპარტიანი კედელთან მივიდა, ზედ ეკიდა სამიოდე წყრთის სიგრძე ვერცხლის მშვილდი, რომელსაც უზარმაზარი კაპარჯის ისარი ჰქონდა საგდებელზე მისადაგებული.

„ეს ის მშვილდია, რომელიც თორღულ-ბეგმა აჩუქა პაპა ჩემს ლიპარიტს, როცა იგი ტყვეობიდან გაანთავისუფლა სულტანმა.“

ათი ათასი ოქროს დრაჰკანი¹⁾ შეაძლია მას ლიპარიტ დიდის გამოსახსნელად ბიზანტიის კეისარმა.

მე ტყვევებით მოვაჯრე არ ვახლავარ, ან შენისთანა ვაქეცს როგორ გავყიდაო, უთხრა, გადაჰკოცნა და ეს მშვილდი უბოძა“.

ლაპარაკის დროს ხელს იშველიებდა ლიპარიტი.

შერგილ ლიპარტიანმა შენიშნა: მას თავით ცერზე ჰქონდა უზარმაზარი ოქროს ბეჭედი ლომისთავიანი, რომელსაც ატარებდნენ ხოლმე ორბელიანნი, სამეფოის ლაშქრის სპასალარობის დროს.

ნიანიამ კარგად იცოდა, რომ ეს მშვილდი თორღულ-ბეგის ნაჩუქარი არ იყო.

დააკვირდით, ანიშნა დავითს და დადუმდა.

პური მოიღეთო! ბრძანა ლიპარიტმა და პურის წინაობა იურვა მანდატურთ-უხუცესმა. ოქროს ტაბაკი დაუდგეს უფლისწულს.

მანგლელმა ებისკაპოსმა სუფრა დალოცა, ივალაობეს მწუხრის ფსალმუნთ ებისკაპოსებმა და ბერებმა.

მოჰქონდათ ჯეირნის მწვადები, მრგვალად შემწვარი ხობხები, დურაჯები, მოხარშული ორაგული და ციმორი.

ამას ყოველთვის მოართმევდნენ საპატიო სტუმრებს ბიზანტიის კეისრების, სპარსეთის სულთნის მალიქ შაჰს, სელჯუკთა მბრძანებლის თორღულ-ბეგის მიერ ნაჩუქარ ოქროსა და ვერცხლის ლანგარებსა და სინებზე.

უფლისწულს მოაგონდა ის „საკურტლენი დიდნი, სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროისა და ვერცხლისანი, ბაგრატეულნი და სასმურნი, სამწედონი პატივოსანნი“, რომელნიც თურქებმა გაიტაცეს ყველისციხიდან.

ნიანია ბაკურიანი კეისრის სასახლეების ნადიმებსა და დარბაზობას დასწრებოდა მრავალჯნის, მაგრამ ამ სუფრასზე მოტანილ ჭურჭელზე უკეთესი თვით ქრიზოტრიკლინისა და ბუკოლეონის²⁾ სასახლეებშიაც არ ენახა.

ჯერ კიდევ გუშინ, უბრალო, სანიადაგო მათლაფებით მოჰქონდათ საქმელი ამავე სუფრასზე.

კაცის სიმაღლე ოქროს სასანთლენი ანთეს ყოველ კუთხეში, ჰყონდიდელს ორი მემამშალე ადგა თავზე, სამიცა—უფლისწულს.

როცა კატაის მიერ მორთმეული პარისა³⁾ მიირთვა ვაზირთა უპირველესმა მცირედი, მდუმარედ უჯდა სუფრას, სასანთლეებისა და მამშალეების შუქზე წმინდანს მიაგავდა იგი მარხულობისაგან დაშრეტილს.

1) დ რ ა ჰ კ ა ნ ი — ბიზანტიური მონეტა.

2) ქ რ ი ზ ო ტ რ ი კ ლ ი ნ ი და ბ უ კ ო ლ ე ო ნ ი — ბიზანტიის კეისრების სასახლენი ან სოფიის მოედნის მახლობლად, კონსტანტინოპოლში.

3) პ ა რ ი ს ა — ეგრძე ერთგვარი, ცხვრის თავ-ფეხისაგან ხაშისმავარად შემშადილი.



არც ლიპარიტი ეკარებოდა კერძებს.

ლულუფრის შარბათებს¹⁾ ასმევდა კატაი.

„მოხუცდით, ჭყონდიდლო ბატონო, ხანი და დრო გავიწივსა, ისევე სწანს. შენთვისაც კაი წამალი აქვს დამზადებული ჩემს ქალს, პაქიმობა ისწავლა ნეტარხსენებულ დედაჩემისაგან დედისიმედმა.

აიყოლიებს ლელაის, ძუძუმტეს თავისას, დღენიადგა დაეძებენ ყვავილებსა და ბალახებს ამ ციხის გარშემო, გაგვიხდება მეციხოვნე რომელიმე ავად, უსასყიდლო პაქიმი აქა გვყავს“.

დედისიმედი წამოღვა, იგრძნო, მას რომ შეხედეს სტუმრებმა შეფარვით-ანაზღვეულად შეუფაკლდა ყვრიმალი.

შოართვა ჭყონდიდელს პაწია პინებში დამზადილი წამალი.

ეს ათრაფილის წვენიანო, ვაზირთა უპირველესო, ბატონო.

როცა პურობა მოთავდა და ნადიმი დაიწყო, ქაშაგირი დადგა შუაგულ დარბაზში, ხოლო მწედენი სამწედურებით აწვდიდნენ სტუმრებს ღვინოს.

ნიანია თვალს არ აშორებდა ქაშაგირს: უთვალთვალებდა, ყოველგვარი ღვინის ქაშაგის თუ სინჯავდა იგი?

იჯდა ახოვანი ჭყონდიდელის გვერდით დედისიმედი, მშვიდი და გატრინული, როგორც გვრიტის მართვე.

იშვიათად აფახულებდა სხივისფერ წამწამებს, ხოლო როცა მზერას მიაშტერებდა რაიმეს, გაოცებული იერი ეძლეოდა სმარაგდისფერ თვალებს.

დაეითმა იფარა ოქროს ტაბაკზე მდგარი ბიზანტიური ლეკიფი, რომელზედაც ჯეირნებზე მონადირე დიანა იყო ამოტვიფრული და უჭკრეტდა შეფარვით ქალწულს.

უკვირდა: წყენის ნასახიც რომ არ სწანდა დედისიმედის სახეზე.

ეს იყო ოღონდ, ყველას თანაბარის თვაზით უმზერდა იგი.

რა უტნაურად წარიმართა ყოველივე ამ მოკლე ხანში?!

ოდესღაც ორივეს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ვერავითარი ამ ქვეყნიურნი ძალნი ვერ გათიშავდნენ მათ, მაგრამ მოვიდა მიუცილებლობის ჯერი და ჩადგა მათ შორის მწუხარება მწუხრის ჟამისა.

სოსანიფერი აბრეშუმის საკო²⁾ ეცვა ერისთავის ასულს, მარგალიტის დილებით დამშვენებული, ოქროს სარტყელი წელზე ერტყა, დიდრონი სამაჯურნი ოქროსნი მაჯებზე, და ამ საკომ მოაგონა დავითს დედისიმედსა და ნიანისთან ერთად ბეჭისციხეში გატარებული დღეები, ციხის ეზოში აყვავებული ატმები და ის ბედნიერი გაზაფხული...

ახლა მათ შორის აღმართული იყო ბეჭისციხის ზღუდესავით გარდაუვალი, ყრუ კედელი.


ამ წუთში ასე ახლოს იჯდა, მის გასწვრივ იგი, ვისაც ატმის ყვავილისფერი მოჰკიდებოდა ლოყებზე და რა შორიელი გამხდარიყო უკვე!

ვაზირთა უპირველესი მხოლოდ დედისიმედს ესაუბრებოდა ამ სუფრანზე შუბლგახსნილი.

როცა დედისიმედის სადღეგრძელო ითქვა, ადგა არარიტორი ჭყონდიდელი, სამწედური აიღო და უჩვეულო ენაშუობით შეაქო ქრისტიანული სიჭველენა მისნი: თავმოდრეკილობა, სათნობა და მოყვასის სიყვარული, რომელნიც შე-

¹⁾ ლულუფრი — სამკურნალო მცენარე.

²⁾ საკო — ვიწრო სახელურიანი, მთლიანი კაბის მქონე, ბიზანტიური სამოსი.



რაცხა როგორც „უფროს ყოვლისა სიქველისა“ ამ ქვეყნად. არც თუ მისი სიტურფე დავიწყებია, „საყვარელი შვილი“ უწოდა და „სათნო შერშანი ველისა“.

ჩვენს დროში ისა სჯობს, მახინჯი ქალი გყავდეს, ჭყონდიდელ ბატონო, კაცს, ამბობდა ლიპარიტ.

„მალიქ შაჰს სწევია თურმე სენაქერიმ სომეხთა მეფე.

სულტანს ერთი მასხარა ჰყავდა შემოჩვეული სუფრაზე, სახელად ჩორთმან, რომელსაც ომსა და ლხინშიაც არ იცილებდა არასდროს.

ნადიმის დროს უქეიფოდ შექმნილს შექირავება დაუწყო სენაქერიმს, ღვი-ნოს აძალეზდა გვირგვინოსანს თავგაპარსული მონა.

სამი ოქრო აჩუქა სენაქერიმმა, მაინც არ მოეშვა იგი. ბოლოს ხუმრობით უთხრა მეფემ: ოღონდ ჩამომეხსენი და ჩემს ქალს მოვათხოვებო, პირმშვე-ნიერ შუშანიკს.

ჩორთმანი მიეჭრა და ნასკვი გაუკეთა ქამარზე სტუმარს.

რამდენიმე წელმა განელო, სარანგობა მიუბოძა მალიქ შაჰს მასხარას. ადარ-ბაგანის ჯარით შეიჭრა ჩორთმან სომხეთში და ქამრის ნასკვი შეახსენა სენაქერიმს.

რა თქმა უნდა, უარი მიიღო ქრისტიან მეფისაგან.

ათასზე მეტი სოფელი გადაბუგეს სომხეთში. ციხეებსა და მონასტრებს კი-ბეები მიადგეს, ორიოცდაათი ციხე დაარღვიეს, ამდენივე ტაძარი“.

დაღონდნენ ამ ამბის გამგონენი.

მაშინ ბრძანა ლიპარიტმა და ოქროს იადონი მომართა სახლთუხუცესმა.

ოქროს იადონის მექანაურმა ჭიკჭიკმა ლიპარიტის უბანში სტუმრობა მო-აგონა დავითს, სადაც მეფე გიორგის თან ახლდა უფლისწული.

ბულბულეების სტვენა აღვიძებდა დილით, ახარებდა ყოველი გათენება, რად-გან დედისიშედის ნახვას წინ უძღოდა ბულბულეების სტვენა.

ოქროს დიდი სამწვედურით აღღეგრძელა ლიპარიტმა გიორგი მეფე. აღი-დებდა „სახელოვან კესაროსს, უუხვესს ყოველთა მეფეთა აფხაზთასას და პუ-რად უკეთესს ყოველთა კაცთა“.

ბაგრატიოვანთა სპასალარნი იყვნენო ბალუაშ-ორბელიანნი.

ისინი წინ უძღოდნენო სამეფოის სპათა, ყოველ ომში წითელ ბუნიაანის თეთრი დროშითა, მუდამ ერთგულნი ბაგრატიოვანთა ტახტისა.

მიტომაც გვიწყალობაო გიორგიმ „სიკეთითა სიბრძნითა სამშვილდე, კლდე-კარი და ლოწობანი“.

ამ წუთში ჭყონდიდელს მოაგონდა, თუ როგორ გამოსტყუა ივანემ, ლი-პარიტის მამამ, გიორგი მეფის მეციხოვნეთა გაკის ციხე და განძის ამირას ფადლონს თუ ვით მიჰყიდა იგი.

ვაზირთა უპირველესს შესცქეროდა თვალეზში ლიპარიტ, ჰპირდებოდა:

ხვალეე გაგატანო ვეეთინის ლაშქრისათვის ზვასტაგს.

თირკმლების ტკივილი თუ მომეშვა, მეც უკან მოგყვებიო შვიდასი ჩემი აზნაურითა და ცხენოსანი ჯარითურთ.

ისევე მომართეს ოქროს იადონი და ლიპარიტ ერისთავი ბიზანტიის საქმეებს გადასწვდა. კოზმან ბერი ჩამოვიდაო კონსტანტინოპოლიდან, დიდი ამბები ზღებაო საციისროში.

პაქანიკთა ურდოები აურაცხელის ლაშქრით შემოსევიან ბიზანტიას, ბელი-ატობამდის მოსულან. კესარს მათ წინააღმდეგ წარუგზავნია დასავლეთის დი-

დი დომესტიკი *) ბაკურიანი და სომეხი აზნაური ვარაზ დიდის ჯარითა. უკუ-
აქციეს უსჯულონი, ასე უბნობსო კოზმან ბერი.

ბოლოს მარიამ დედოფალი ტკბილად ახსენა ლიპარიტმა, მღვდელის-
წულის მამიდა.

ახლო ხანში აპირებსო გვევთს მობრძანებას კეისრის ნიკიფორე ბოტინა-
ტის ცოლყოფილი, სამღვდლოთა დიდის ამალით, ნიკოპოლის მთავარ ეპის-
კოპოსი უნდა ეახლოსო თან.

ჩვენი ოჯახის დიდი მოკეთეაო დედოფალი მარიამ, სთქვა ლიპარიტმა.

სწორედ ამ დროს შემოვიდა დარბაზში მაღალი, წელში ოდნავ მოდრეკი-
ლი ბერი, კუბრით შავი თმა მხრის თავებამდე უწევდა, შუბლიდან ჩამოღე-
რილ კულულებიდან შემოანათა უფლისწულს უსიამო, ჭრუტა თვალები, წელ-
ში მოიხარა ეს ახმახი, მუხლამდის დაიდრიკა თავი, ჩოქვით მიეახლა ჯერ
უფლისწულს, მერმე ჭყონდიდელს, მუხლებზე ეამბორა ორივეს.

შემდგომ ამისა ადგა, საერთო სალაში მიავო შეინახეთა დაბალი, ხელზე
ემთხვია ერისთავს და მიუჯდა ფერხით.

ასე გვაუწყა კოზმან ბერმა, განაგრძო ლიპარიტმა, ვარაზი მოუკლავთო პა-
ჭანიკებს. ზღვის ქვიშასავით აურაცხელი ყოფილანო ის უშჯულონი. ეს ლაშ-
ქარი როდიაო, არამედ დედაწულიანად აყრილი ბრბონი, გასაქცევი გზაც არ
პჭონიათ თურმე, რადგან ყიფჩაღთა ნათესავი აწეებო ზურგიდან მათ, აგ-
რეთვე უშჯულონი, ქრისტიანობის მტერნი.

კოზმან ბერი იჯდა გულზე ხელდაკრეფილი, ყურს მიუგდებდა თავის მიერვე
ნაამბობს, თითქოს პირველად ესმისო, თანაც უფლისწულს უჭკვრეტდა შე-
ფარვით.

ლიპარიტი ადღეგრძელა შერგილ ლიპარტიანმა შოკრძალეზულად, მზეგრძე-
ლობა უსურვა ერისთავთ-ერისთავს.

მასპინძელს ეწადა კვლავ მოემართათ ოქროს იაღონი, მაგრამ მესამეჯერ
იყივლა მამალმა, ჭყონდიდელი წამოდგა, ბოდიში მოიხადა მასპინძლის წი-
ნაზე, უფლისწულსა და ამაღას შეახსენა:

ომში მიმავალთ არ ჰშვენითო გრძელი ნადიმი.

დედისიმედიც წამოდგა, მაშხალა გამოართვა მემაშხალეს და წარუძღვა თა-
ვის დედის ბიძას, ზოლო დავითს სამი მემაშხალე ეახლა, ნიანიას და შერგილ
ლიპარტიანს ორ-ორი უნათებდნენ გზას, საწოლი დარბაზისაკენ მიმავალთ.



სტუმრები დარბაზიდან გავიდნენ თუ არა, კედლისკენ მიბრუნდა ლიპარიტი,
ფიქრებს მიეცა.

თავს უყრიდა, იმ საღამოს შენიშნულსა და ვანაგონს.

არ მოსწონდა მას ჭყონდიდელის ვასხიპული თავაზიანობა, არც უფლის-
წულის გამუდმებული ღუმილი.

„კარგა მოზრდილი ურჩხული იზრდება! სთქვა მან თითქმის ხმამალა. რო-
გორ გამოცვლილა ამ ერთი წლის მანძილზე!“

*) დომესტიკი — ბიზანტიის იმპერიაში ორი სამხედრო ოლქი იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, თითოეულს განაგებდა თითო დომესტიკი.

უკვე დაბრძენებულ მცხოვანს ხედავდა ლიპარიტი ამ ჰაერში ადრე დავენებულს.

ყოველ სიტყვას, წონიდა წინასწარ.

რა ადრე უსწავლია ყრმას, რომ დღემილი ოქროა რჩეული!

დედისიმედსაც კი არ შესიტყვებია მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ.

„ეტყობა რალაც იციან გეგუთში, რაც ჯერჯერობით არ უნდა ვაეგოთ.

შინაგამცემი ხომ არაეინა მყავს?“

ფიქრობდა ლიპარიტი.

გადათვალა, ასწონდასწონა ყოველი კაცი, ეზოსმოძღვარ ზოსიმეზე შეაჩერა ეჭვი.

მაგრამ რა იცის ამ ჩურჩუტმა ხუცესმა იმის გარდა, რაც დღისით ხდება თრიალეთის საერისთაოში?

ახლა ის სამი აზნაური მოაგონდა თრიალეთელნი, მუნათვეერდის მეციხოვნეთა მიერ შეპყრობილნი, გუშინდელი ცნობა გაახსენდა თავის მსტოვარისა: ჯერაც არ გამოტეხილანო თრიალეთელი აზნაურები.

თავის გუნებაში სწყველიდა ტფილისის ამირას ლიპარიტი, ადრე ჩამითრიაო სახიფათო თამაშში, ბევრი ევედრა: დამაცალეო ბარქიაროკის ლაშქრის მოსვლამდის, მერმე შემოვეწყვათ ვეჭინის გარსმომცველ სამეფოის სპათა, ბატის ქუკივით დაეჭიროთო მეფე გიორგი.

შემდგომ ამისა, წალღელისთავის ციხის აღებას რალა უნდოდა? დავით უფლისწულს ძელზე გასვამდენ. ლიპარიტი, ტფილისის ამირა და აღსართან მტკერის მარცხენა ნაპირსაც ვაიყოფდნენ და აღსრულდებოდა ბაგრატიონთა გერბზე წარწერილი: „განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა ჩემსა განიგდეს წილი“.

სწორედ ამ დროს შემოეხეტა მახარაი დარბაზში.

„ჰოა, სატანისწილო!“

სოჭეა ხმამალა ლიპარიტმა და გადმობრუნდა.

შუშისებრ თვალეში შემოანათა ქოსამ. სიტყვა გაეხირა პირში მახარაის.

მერმე ტანაჯორივით დატრიალდა დარბაზში.

შეატყო ლიპარიტმა: მანდატურებს დაეთროთ იგი. თავმოკრილი მამალივით დაჩინდრიკობდა კუთხეკუთხე ყვეთელ სკარამანგიანი ბებერი, ყვიროდა: ახლავე მომიძებნეთ ჩემი უფლისწული, კარვისმცველი ვარ მისი, მე უნდა გავხადოეო ტანზე.

მანდატური შემოვარდა. ლიპარიტმა მოისაზრა მყისვე: მოატანინა სამწდური მანდატურს, ხელში დაიჭირა და უბრძანა გასვლა.

უზარმაზარ სასანთლეს ოქროისას მოსჭიდებოდა მთვრალი, ძლივს ნაბავდა თევზისებრ, წვრილ თვალეებს.

ლიპარიტმა სამწდური აჩვენა და მოიხმო მახარაი, დაუყვავა და დააცლევინა.

სამწდური გამოართვა, ათამაშებდა ხელში, კიდევ ჰპირდებოდა თვალგაბრწყინებულს ღვინოს.

„ერთი მითხარი, მახარაი, გეთყვა, როგორ მოსწონთ ახალი დედოფალი სასახლეში?“

„მშენიერი, მშენიერი, ჩვენი დიოფალი, მზეთუნახავია, თუმცა სჯობდა მზეს არ ენახა სავსებით“.



„ვისთვის სჯობდა მზისთვის, თუ მისთვის?“

„ჰი, ჰი, ჰი, არც ერთისათვის, ერისთავთ-ერისთავო, ჩვენთვის ჩვენთვის“.

მცირე ხანს ნაბავდა წყლიან თვალებს, მერმე ესა სთქვა მახარაიმ:

„მშვენიერია, მშვენიერი, ჩვენი დიოფალი, დღენიადაგ სარკის წინ დგას და ლაწევებს იქნის“.

„ოჰო, წვეროსანი ყოფილა?“

ხორზოცობდა ლიპარიტ.

„ესაა მხოლოდ, ერთ დღეს თუ დაგვიანდა თმების დაქნა“, სთქვა, სამწდეური გამოართვა ლიპარიტს და დასძინა მახარაიმ:

„სენაქერიმი თუ გინახავს, სომხეთის მეფე, სწორედ იგი გვეგონება დიოფალი რუსუდან“.

„რატომ შეირთო მერმე უფლისწულმა ასეთი გონჯი?“

შეეკითხა იქედნურად ლიპარიტ, თითქოს არ ცოდნოდა თავათ.

„უფლისწულს სხვა უყვარდა, შენც კარგად იცი“. ეს უთხრა და თვალი ჩაუკრა მახარაიმ მასპინძელს, მეც სხვა მინდოდა დიოფალად, მაგრამ მოგეხსენება სეფეწულთა ხვედრი, ცხენების დაგრილების გამო უფრო მეტს ჰკითხავენ მათ, ვიდრე საკუთარი ცოლის შერჩევას“.

„ვინ გინდოდა, მახარაი, ვინ?“

ამის თქმა მოასწრო ლიპარიტმა და კარი გაიღო, დედისიმედი შემოვიდა დარბაზში.

ჰყონდიდელს ფსალმუნი დავიწყნოდა და იგი უნდა წაეღო.

„ეს ანგელოსი, ეს“.

სთქვა ჰოსამ და მიაშურა დედისიმედს.

ქალწული აიმღერა, გაწითლდა ანაზნათ, აღარ იცოდა, რა მოემოქმედნა, ნაბიჯიც ვეღარ წარსდგა გაოგნებულმა წალმა.

სავესებით სახენაცვალი, კისერგამართული, მოურიდებლად მიეახლა მახარაი ქალს.

„გამშვენდეს ლაწვნი შენნი, ვითარცა გვრიტისანი, გოლეული მოსწვეთავს ბაგათა შენთაგან . . . მტილი დახშული, მტილი დახშული ჩემი და წყარო დაბეჭდული“.

წაილულულა და ფერხთით დაუფარდა, მარგალიტის ლილეებიან ქოშზე ეამბორა ერისთავის ასულს.

დედისიმედი გამოირკვა, ხელი დაავლო ჰყონდიდელის ფსალმუნს და დარბაზიდან გაიქცა.

იწვა მახარაი პირქვე, ახლა რომელიღაც ბერძნულ ლოცვას ბუტბუტებდა თავისთვის.

მოაგონეს მანდატურთა, სამმა კაცმა ძლიეს გაიყვანა მთვრალი.



ლიპარიტ ერისთავი დიდად დააფიქრა, მახარაის ეგზომ აღტყინებამ. მან კარგად იცოდა თუ ვინ იყო მახარაი. ბაგრატ კუროპალატის ხარკის ნაშობი¹⁾, მაგრამ მაინც ბაგრატოვანი. მდაბიორი ოსის ქალისაგან შესძენოდა იგი უწესო დიატთა მოყვარულ მეფეს.

¹⁾ ხარკის ნაშობი — უკანონო შვილი, ნაბიჭვარი.

როგორც ნაბიჯეარს, მას უფლისწულის შემკვიდრეობა აღუკვეთეს თავ-
დაპირველად, ბოლოს არაქნა ბაგრატის დედამ, სათნო მარიამის¹⁾ მკურნალობის
წასვლამდე მიაღწეინა ყრმისათვის მამული არგვეთში.

ერთი წილი ვაჟყიდა მახარაიმ და გლახაკებს დაურიგა, ხოლო დანარჩენი
ლიპარიტ დიდს უწყალობა შემოსარიგებლად შეეფმ.

ბაგრატს არ უნდოდა ტახტის შესაძლებელი მოცილე გასწენოდა ვიორგი
მეორეს ოდესმე, როგორც დემეტრე²⁾ თავათ ჰყავდა მას, ამიტომაც ბიზან-
ტიონს თან წარიტანა მახარაი და დასტოვა აკროპოლის სასახლეში, რომელ-
საც ძველ სერალის უწოდებენ, ბოსფორის პირად ახლა.

ამ სასახლეში ცხოვრობდნენ ზოლმე ქართველი და სომეხი მძევლად მოყ-
ვანილი უფლისწულნი, საპატიო ტყვეობაში მყოფი თურქი ამირები და ბულ-
გარელი აზნაურები.

კეისრის რომანოზ დიოგენის დროს ქრიზოტრიკლინის დიდ სასახლეში
ფრიად მიღებული კაცი იყო „იბერიელი აზნაური“ მახარაი. პაქანიკების წი-
ნაღმდევ ბრძოლებში ისახელა თავი შრავალჯის დაჭრილმა.

თავათ შესანიშნავი მოჯირითე, ბოლოს სპარაზენი³⁾ გახდა კეისრის პიპო-
დრომისა.

უწესო დედათა მოყვარული, დრომის ლოგოთეტის⁴⁾ ცოლს გადაეკიდა,
კონსტანტინოპოლიდან გაძევება დაუპირეს, კეისრის მეუღლემ, ედოკიამ ხე-
ლი დაფარა ქრისტიანობისათვის შებრძოლ რაინდს. ბოლოს ხმა დაეარდა სა-
სახლეში: თავათ დედოფალსაც ჰყვარობსო იბერიელი სპარაზენი.

ავი ენების დასამოკლებლად, სელჯუკთა წინაღმდეგ წარგზავნეს მახარაი.
მერმე ის იყო ტყვედ ჩაუვარდა იგი აღღ-არსლანს მანციკერტთან, სადაც
სულტანმა ჭუსლი დაჰკრა დატყვევებულ კეისარს რომანოზ დიოგენს.

ერთ მილიონ „ბიზანტიურის“ საფასით გამოისყიდეს კეისარი, ხოლო მახა-
რაისათვის ოცი ათასი ოქრო დრაჰკანი გაიღო კეისრის მეუღლემ.

კონსტანტინოპოლში მობრუნებული, ქრილობებს იმუშებდა მახარაი. ამ
დროს სევასტოსის ტიტულის კანდიდატად შერაცხა იგი დევტერმა⁵⁾, მიღე-
ბის დღე დანიშნული ჰქონდა კეისარს და სწორედ წინაღამეს, ქალურად გა-
დაცმული შეისწრეს დედოფალთან მახარაი და დაასაქურისეს ზომიზე მეტად
გამიჯნურებული რაინდი.

კეისრის მეუღლის, ედოკიას შემონაზენების შემდეგ, სასახლის გვინიკეას⁶⁾
მესაწოლედ დანიშნეს იგი.

ბოლოს დასნეულდა, ბნედა შეეყარა კირთამომენს.

მარიამ დედოფალმა, დავითის მამიდამ, საქართველოში ჩამოიყვანა. შემ-
დგომ ამისა ჩარჩა აფხაზთა მეფეების სასახლეში მახარაი, როგორც
ბედისწერის მიერ გამწვარებული მასხარა, კარვისმცველი და ბაზიერი, და

¹⁾ დ ე მ ე ტ რ ე — ბაგრატ კუროპალატის ნახევარი ძმა, რომელიც ლიპარიტ დიდს მი-
ემბრო, ბერძნების ჯარი მოიყვანა მანვე და ამყოფია გადასცა ბიზანტიას.

²⁾ ს პ ა რ ა ზ ე ნ ი — სამმდგომი, ბერძნულად „ტრისტატოს“, პიპოდრომზე, ასპარეზზე მო-
ჯირითეთა უფროსი.

³⁾ დ რ ო მ ი ს ლ ო გ ო თ ე ტ ი — დაბლობებით, საგარეო საქმეთა მინისტრი კეისრის
კარზე.

⁴⁾ დ ე ვ ტ ე რ ი — ბიზანტიური ტიტულების განმრიგე დიდებული.

⁵⁾ გ ვ ი ნ ი კ ე ა — იმპერატორის მეუღლის საწოლის დარბაზი, სადგომი.

ცხოვრობდა ისე, როგორც დაწერილია: „რამეთუ ძალლიცა ჰქუამედ ნაბუკვე-საგან¹⁾“, რომელ გარდამოსცვივიან ტალბთაგან უფალთა მათთასა“.

თავისი უებარი პირდაპირობისა და გულითადობის წყალობით, მევერს უყვარდა, მაგრამ უმრავლესთ სძულდათ სასახლეში მახარაი, რადგან გამბე-დავობა მისი გიჟისა და გენიოსის²⁾ სითამამეს შორის ირყეოდა მუდამ.

გიორგი მეფის სასახლეში მაინც უფრო მეტის უფლებებით სარგებლობდა იგი, ვიდრე რომელიმე სისხლით ნათესავი ბაგრატოვანთა გვარისა.

განწყობილება მისი მიტომაც ენიშნა ლიპარიტს და ბუნებრივად დაასვენა: უფლისწული დავით კიდევ არა ჰქარგავსო იმედს, დედისიმედი მისი რომ გახდებოდა ოდესმე.

ეს ყოველივე მით უფრო სანუკველი იყო ამჟამად, რადგან ლიპარიტის სარწმუნო კაცებს ვერ მოჰქონდათ ისპაპანიდან კარგი ამბავი.

თრიალეთის საერისთაოში უკვე იცოდნენ, ლიპარიტსა და კატაის დესპანებს რომ უგზავნიდა მალიქ შაჰს უფროსი ვაჟი ბარქიაროკი (პირველი შვილი სულტანისა, ზუბაიდ ხათუნისაგან), დედისიმედის ცოლად შერთვა უწა-და მას.

ბუზღუნებდა ლიპარიტის ეზოსმოძღვარი ზოსიმე, უკმაყოფილონი იყვნენ მანგლელი ეპისკოპოსი და თრიალეთელი აზნაურთაგანნი ზოგნი, მაგრამ ამას არ შეეპუებოდა ლიპარიტ.

ასე იმართლებდა თავს: რა ვუყოთ, რომ მუსლიმია ბარქიაროკი, განა პაპა-მისს, აღფ-არსლანს, არ მიათხოვა თავისი მკვიდრი დისწული, ყოველად ქრის-ტიანმა მეფემ, ბაგრატ კუროპალატმან?

სამაგიეროდ მალიქ შაჰს დინასტიასთან ნათესაური კავშირის დამყარება პერსაქექტივებს უქადოდა თრიალეთის ერისთავს დადს, ცალი ხელით სომხე-თის სამეფოს ნაწილებს მიითლიდა ლიპარიტ, ცალითაც საქართველოს აღ-მოსავლეთის სავსებით დაეუფლებოდა.

ახლა სულ სხვა დაბრკოლება ელობებოდა წინ ლიპარიტის ზრახვებს.

სიბერეში გადამდგარმა მალიქ შაჰმ ყიფჩაღის ქალი შეირთო ტაჟურკან ხა-თუნ და ამ დიაციისაგან შეეძინა მას სეფეწული აჰმედ.

ისპაპანის სასახლე ორ ბანაკად გაიყო. თუმცა ამირები ბარქიაროკს უჭერ-დნენ მხარს, მაინც გააფთრებული იბრძოდა ტაჟურკან ხათუნ; დღენიდაგ ემუდარებოდა სულტანს: სიცოცხლეშივე ტახტის მემკვიდრედ დაედგინა მცირეწლოვანი აჰმედ.

არავინ იცოდა, რითი დასრულდებოდა ეს ბრძოლა. თავათ მალიქ შაჰ სხვა ამბებით იყო გატაცებული. უფროს ქალს მისას, ხალიფის მეუღლეს, ვაჟა ეყოლა. ამას მიეღტვოდა სულტანი, თავისი შვილისშვილი, ექვსი წლის ბალ-ლი, ხალიფის ტახტზე დაესვა როგორმე.

ლიპარიტი შეაჰოჰმანა ამ ახალმა ვითარებამ.

ისპაპანის ტახტის საეგებო მემკვიდრეს უთუოდ ერჩივნა ერთადერთი უფლისწული ბაგრატოვანთა გვარისა.

მით უმეტეს იგიც იცოდა ერისთავმა დარბაზის ერნი არ იყვნენ კმაყო-ფილნი გიორგი მეფის მართებლობითა, მის მიერ დაკისრებული ხარაჯის³⁾ წყალობით დრტყინავდა ხალხი.

¹⁾ ნაბიკვე — ნამუსრევი, ნამცეცხ.

²⁾ ხარაჯი — ხარკი.

როგორც სასახლეში, ისე ერისთავთა შორის უკვე ჩურჩულობდნენ გიორგის შესაძლებელი გადადგომისა და დავით უფლისწულის უკუდევრობის გამო.

ასეთი წინაგრძობა ჰქონდა ერისთავს: ვეეთინის შემდეგ მრავალი რამ უფრო ნათელი იქნებოდა უთუოდ.

თუ დედისიმედი საქართველოს დედოფალი გახდებოდა, მაშინ უმწეო ქალი შესძლებდა მოხვეჭას იმ გვირგვინისას, რომლის გამოც დიდი ლიბარტი, ძე მისი იოანე, თავათ ლიბარტი და მთელი გვარი ორბელიანთა, დედაწულიანად ებრძოდნენ ბაგრატიონებს თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე.

რუსუდან დედოფალთან გაყრის ამბავი არც ისე საძნელო საქმეთ მოსჩანდა, ბიზანტიის კენსრები გაცილებით უფრო მართლმორწმუნენი იყვნენ, ვიდრე ბაგრატიონნი, ისინიც არ ერიდებოდნენ დედოფლებთან გაყრას. თავათ მარიამ დავითის მამიდა, ორ კენსარს გაეყარა დიდად მორწმუნე ქალი, და, როგორც კოზმან ბერი ამბობდა, ახლა მესამე უპირებსო შერთვას.

მარიამ დედოფლის მოსვლა ახალ შუქს შეიტანდა ამ საქმეში, უთუოდ, მხოლოდ იგი თუ ალაგმავდა „ამ ბებრეკსა და უკუით“ გიორგი ჭყონდიდელს, „გვეგუთის სასახლის დემონს უბოროტესს“, როგორც მას უწოდებდა ხოლმე ლიბარტი.

ახლა მტკიცედ გადასწყვიტა ერისთავმა: ჭყონდიდელისათვის უსახშნოდ აღთქმული ხვასტაგა¹⁾. მართლაც გაეგზავნა ვეეთინს, დაუყონებლივ უკუეხმო აღსართანის საშველად ჰერეთს წარგზავნილი თავისი ვაჟი რატი და თრი-ალეთელი აზნაურნიცა. ხოლო უკეთუ ჭყონდიდელის ლაშქარი გზებს გაუხსნიდა მეფე გიორგისა და ვეეთინს აიღებდნენ, კახეთ-ჰერეთის დანარჩენ ციხეების შემუსვრაში თავათაც მიეშველებოდა მეფესა და უფლისწულს.



არც დავითს სძინებია იმ ღამეს, აღარც იგი ნანობდა კლდეკარში გამოვლას, თუმცა მარიამ დედოფლის ჩამოსვლის ამბის გარდა სხვა არაფერი სმენია სასიამო ამ საღამოს.

ლიბარტი ერისთავისა და წინაპართა მისის მუხანათობის გამო მრავალი რამ ჰქონდა სიყმიდანვე განაგონი, მაგრამ ბევრი რამ გადაქარბებულად მიიჩნდა აღრე დაბრძენებულ ყრმას.

მოენეთა და მსტოვართა მიერ განვიადებულ ამბავად ეჩვენებოდა ოდითგანვე გაღეზიანებული მტრობა ბაგრატიონთა და ორბელიანთა შორის.

ჯერ კიდევ შარშან ლიბარტის უბანში²⁾ მოხიზლა უფლისწული დიდის თავაზიანობითა და პურმარილით ლიბარტმა.

განცვიფრებული იყო თავათ მეფეც.

მასპინძელმა ჯეირნები დააჭერინა მენადირეთა, ნადირობა სამ დღეს გაგრძელდა, ხოლო ნადიმებს აღარ უჩანდა ბოლო.

უჩვეულო ჯიროთი გამართა, ბოლოს თავათ შეჯდა მალიქ შაჰს მიერ ნაჩუქარ არაბულზე, აფხაზ აზნაურებს გაეჯიბრა ქარმაგი ერისთავი.

¹⁾ ხვასტაგა — საჭონელი, საკლავი პირუტყვი.

²⁾ ძველი სოფელი, აწ უკვე ნასოფლარი, მანგლისის მახლობლად.

მეფე და უფლისწული დამშვიდებული დაბრუნდნენ გეგუთს: მოხერხდებაო ზიდის გადება ამ ძველ უფსკრულზე.

ამ საღამოს ბევრი რამ ახალი შეიქნო დავითმა.

თუმცა უჩვეულოდ ენამრავლობდა ლიბარტი, მაგრამ ზოგჯერ მისი ღუმელი უფრო მეტად ენამჭევრობდა.

ერისთავის საჭურჭლეთაც ფრიად ჩააფიქრეს დავითი. დაწოლის წინ ნინია უამბობდა: ეს ყოველივე შეათედიაო მხოლოდ. სამალავებში უნახავსო ეზოსმოდღვარს ზოსიმეს დიდძალი ოქრო და პატიოსანი თვალი.

ჯორაქლეშებზე კიდებული სტაერა და ლარი გამოუგზავნიაო გასულ კვირას ბარქიაროკს.

რა ღარაბი მოსჩანდა ლიბარტიც კარის პირისპირ მრავალგზის გაძარცვული სასახლენი გეგუთისა, ქუთათისისა და წაღვლისთავის მხედრული სადგომი.

თრიალეთის ეკლესიებში კვლავ იხსენიებდნენ თურმე ხუცები წირვისას ლიბარტ დიდს, „როგორც პიროედრს, მაგისტროს და წინამძღვარს ყოვლისა აღმოსავლეთისას“.

ჭვეყანა სისხლისაგან იცლებოდა, თურქები განუკითხავად დათარეშობდნენ. უძლურდებოდა ერთმორწმუნე ბიზანტია.

ირანის სულტანმა მალიქ შაჰმ წაართვა საქართველოს კარის ციხე და ანისიკა, რომელიც ბაგრატ კუროპალატს ერგო, როგორც დედული, სენაქერიმ სომეხთა მეფის მემკვიდრეობიდან.

მცირეაზია დაჰკარგა ბიზანტიამ, ნიკეა და დარიღეუმიც მალიქ შაჰს ეპყრა. მას უკვე კეისარიც ადიდებდა, როგორც „სულტანს ყოვლისა აღმოსავლეთისას“.

საქართველოს ძველი მოკავშირე სომხეთიც გადათქერეს თურქთა, სომეხთა კათალიკოსი ზღების ნებას ევედრებოდა მალიქ შაჰს ამაოდ.

კონსტანტინოპოლის პირველ მიწვითში უკვე საჯაროდ ადავლენდა მოლაპლოცვას დიდი სელჯუკის, თოღრულ-ბეგის¹⁾ სულის შესავრდომებლად. ხანში შესული მეფე გიორგი უზომოდ სევამდა, ნადირობდა, მიანიც იბრძოდა გამწარებული, თუმცა ეს „რჩეული მშვილდოსან-ცხენოსანი“ უკვე აღარ იყო ის გაუტეხელი მეთმარი, რომელმაც ფარცხისთან სასტიკად დაამარცხა და აოტნა თურქნი.

დიდი თურქობის შემდეგ ღონემობილი იგი ისპაჰანში ეახლა მალიქ შაჰს და ანტიოქიის ალბაში უშველა, ბოლოს ხარაჯა დაიკისრა, ქართველი ხალხი წელში იყო გაწყვეტილი ამ ყოველწლიურ ბეგარისაგან.

მეფის მიერ ამ ბოლოჯამს აღებული გეზი არც ჭყონდიდელს მოსწონდა, არც უფლისწულს, მაგრამ მეფე ისე გულფიცხი და უხიაგი ვახდა, შებეაქრებას ვერვინ უხედავდა.

არც ვეინის გალაშქრება მოსწონდათ გეგუთში, სადაც მან თან წარიტანა ნაჭირაეები თურქნიცა, ბოლოს ეგზომ მოუფიქრებლად დაწყებული ბრძოლით საფრთხეში ჩაადგო როგორც ლაშქარი, ისე საკუთარი თავიცა.

კახეთ-ჰერეთის მეფენი, ორბელიანნი და აბაზისძენი სწეწდნენ საქართველოს. მრუში ეპისკოპოსები თანამდებობებს ვაჭრობდნენ.

ბნელად მოსჩანდა უფლისწულის მერმისი...

¹ თოღრულ-ბეგ-ალფ-არსლანის მამა.

ჯერაც უცნობი იყო მისთვის მოლხენანი სიჭაბუკისა და სასახლეში უკვე ჩორჩულედნენ: გიორგის საცოცხლეშივე უპირებნო ტახტისმტკიცე უაჩქევას და სამეფო მახვილის შემორტყმას დაეითს. ხოლო უფლისწულს, ~~როგორც~~ კბაგზე ჰქონდა მომდგარი:

„თანა წარიღე, უფალო, ჩემგან სასუმელი ესე, ხოლო არარაი იგი მე მნებავს, არამედ შენ“.

გიორგი ჭყონდიდელი წინააღმდეგი იყო ამისა: ცოდვა არისო ყრმაი, ვაცალოთო დაეატაკება.

კიდევ ერთი გულისქირი შეჰმატებოდა: მხოლოდ ერთ კედელს გადაღმა ეგულებოდა თავისი სასურველი, „მტილი დახშული, წყარო დაბეჭდული“ მისი.

ამ ლექსს კითხულობდა მიმწუხრის ეამს ყოველთვის ხმამაღლა დაეითი, ამიტომაც დახსომებოდა იგი მახარაის.

რა უცნაური შეხვედრა იყო მაინც! კიდევ ერთხელ ეღირსა პირისხილვა მისი და ორიოდ სიტყვაც ვერ გაუბედა საცოლეყოფილს.

„მტილი დახშული, წყარო დაბეჭდული ჩემი“.

გახშიანდა ეს სტრიქონი მის პირში.

თავი წამოჰყო დაეითმა, ხომ არ გაიგონაო ვინმემ?

უღრტეინელად ეძინა ნიანაის.

მოუხშირეს საყვირების ცემა მეციხოვნეთა.

დარბაზში შემოფათურდა უზარმაზარი ლანდი. ასე ეგონა ჭყონდიდელს: სძინავსო უფლისწულს.

შუბლზე აკოცა თავის გაზრდილს მზრდელმა და წასჩურჩულა: „ადექი, შვილო, მამა შენი შენგან მოელის შეველას“.

ლინლის ბუმბულზე ნებეირად მწოლარეს არჩვის ტყავები ზედ ეხურა. კიდევ უნდოდა ეოცნება მცირე ხანს, მაგრამ ლოცვაზე უტკბესად ნათქვამში იმდენი ფოლადი სდულდა, უსიტყვოდ წამოიჭრა გამიჯნურებული მხედარი.



მართლაც უამრავი ზვასტავი გამოიღო ერისთავმა ვეეინს გასაგზავნად. მაინც ამრეზილი იყო ვაზირთა უპირველესი.

ვეეინს არ წამოსვლამ ლიპარიტისამ გეგმები აღრია ჭყონდიდელს, თრი-ალეთის საერისთაოს აზნაურნი და ლაშქარიც თან რომ წაჰყოლოდათ, ჭყონდიდელის ჯარიც კლდეკარიდან ალგეთის ხეობით წავიდოდა ვეეინს პირდაპირ.

თრიალეთის საერისთაოს აღმოსავლეთის საზღვრებიდან მტკვარამდე მთლად გადაკმული იყო ეს მხარე, თურქთა დამშეული ბრბოები განუკითხვად დათარეშობდნენ ალგეთსა და მტკვარს შორის, ასე რომ ზვასტავიანად ამ გზით წასულთ ბრძოლით უნდა გაეკაფათ გზა.

ამიტომაც გონივრულად იცნო ჭყონდიდელმა მანგლისიდან ვერის ხეობით გადასვლა, ლასტის ციხეს ჩაუვლიდა და, მუხათგვერდთან მტკვარზე გადასული, მარტყოფით გავიდოდა ვეეინს.

რა თქმა უნდა, უფლისწულიც უნდა წაეყვანა თან.

შერგილ ლიპარიტიანი მამაცი ვაჟაკია, თუ მისჭირდა, ბრძოლით გაიყვანსო რუსთავამდე ლაშქარს.

უფლისწულმა რა შენიშნა, განსაცდელს მაარიდებსო მზრდელი, უფეულოთ გაჯიქდა, მე წარვეუძღვებო აღგეთის ხეობით რუსთავს მიმეფეუ ნესტოფი.

ვაეცადება, გაიფიქრა ჭყონდიდელმა, საფრთხის მონატყუარს მხედბაო მიტომაც. ბოლოს ამით დაიმშვიდა თავი: მოთარეშე თურქთა ბრბოები თავს არ გასწირავენ იოლად, თუ საქონელი თან არ მიჰყავსო ჯარს.

ჭყონდიდელს, ამ ფიქრებში გართულს ნაბიჯით მიჰყავდა ცხენი.

როცა კლდეკარის ციხეს კარგ მანძილზე ვასცდნენ, იგი გამოერკვა, უფლისწულსა და ნიანიას მიუბრუნდა:

„ვიდრე რუსთავს შემოეწყობოდეთ, ლიპარტიანის თათბირს ყური ათხოვეთ, იცოდეთ, იგი მრავალჯნის თან მყოლია ციხეთა შელევვისას. ბერძენი ტეხისეიპლეტეს¹⁾ მყავდა ერთი უფლისციხეში, მისგანა აქეს ვალანების შემსურა ნასწავლი, კი ვაეცაცია შერგილი.

ფილაკეანები თან წაიღეთ და ვერძებიცა.

ჩვენი მეციხოვნენი თუ ჩავაყენეთ რუსთავში, ტფილისის ამირასაც მალე მოვუღებთ ბოლოს. აღსართანს მე და მეფე მოვაშთობთ, ლიპარტიასაც ძელზე გასმა მოუწევს.

ლიპარტი ერისთავიც, პაპა მისივით, კახთა განდრეკილობას ემყარებოდა მუდამ“.

დადუმდა ვაზირთა უპირველესი და ისევე მიეცა ფიქრს.

მას კარგად ესმოდა, რუსთავის აღება ურთიერთისაგან გასთიშავდა საქართველოს ერთიანობის სამ მტერს: კახეთ-პერეთის მეფეს, თრიალეთის საერისთაოს და ტფილისის ამირას.

ეს საწადელი დიდი ხანია, რაც გულში ამოკრილი ჰქონდა გიორგი ჭყონდიდელს, მაგრამ მეფე გიორგიმ ისე უთავებოდ დაიწყო ვეფხინის შემოწყობა, ამ საქმეს სასიკეთო არ უჩნდა პირი.

მანგლისთან უნდა გაჰყოფდა უფლისწულს და მის ლაშქარს, გულში იღუმალი ძრწოლა არა ცხრებოდა მაინც: ვაჲ თუ გიორგი მეფის თავაწყვეტილ ახირებას მსხვერპლად შეეწიროსო ყრმა უფლისწული, საკუთარი შეიღივით გაზრდილი მისი და როგორც მამას, ძისა მოყვარულს, სულ ბალლი ჰგონია ხოლმე თავისი ვაჲი, ასე ეგონა გიორგი ჭყონდიდელსაც, ჯერ ნაადრევიაო ჰაბუკისთვის ბრძოლის სიმძიმელი.

ციხნი მხარმარჯვენით მიაბრუნა ვაზირთა უპირველესმა, მიეახლა უფლისწულს, უნდოდა აღერსიანი სიტყვა ეთქვა განშორებამდე მისთვის, მაგრამ წესად ჰქონდა მას: აროდეს ამცნობდა გრძნობათა სიჩვილეს, საცხებით ყრმასაც და მხოლოდ ეს უთხრა თავის გაზრდილს:

„შენ გჯერა, ლიპარტიის თირკმლების ამბავი?“

„ეგონებ, უსაზნოდ ეძალებოდა ერისთავი ლულუფრის შარბათებს“.

მიუგო დავითმა.

„მაგ ვერცხლის მშვილდი ბარქიაროკს გამოუგზავნია ლიპარტიისთვის ძღვნად“.

შენიშნა ნიანიამ.

„იცოდეთ, ის კაპარკის ისარი ჩვენსკენაა მოშვერილი, თუ დავაცალეთ“. სიტყვა ჭყონდიდელმა და ღეზი ჰკრა ცხენს.

¹⁾ ტეხისეიპლეტეს — ბერძენთა ჯარისკაცი, ციხეთა გოდოლთა შემსურაში განსწავლული.



უკანასკნელად მიხედა უფლისწულმა კლდეკარის ციხეს.

ახლა ურყევად სჯეროდა: საწადელს მიალწევსო სულტანის ქვეყნისათვის. ელენესა და რუსუდან დედოფლებსაც ამის იმედი ჰქონდათ. გეგმების სასახლის დარბაზის ერნიც დარწმუნებულნი იყვნენ: დედისიმედს ბარქიაროკი წაიყვანსო ცოლად, დამშვიდდებო უფლისწული შემდგომ ამისა.

გულისტკივილით შორდებოდა კლდეკარის შემოგარენს დავითი, უკანასკნელად უჩვენა ცამ პირი, კიდევ ერთხელ ეღირსა გულისმიჯნურის ხილვას, ორიოდ თაგაზიან სიტყვას ვერ მოუყარა თავი, ხმადაბლა მაინც ეთქვა: მშვიდობით.

ბაგრატ კუროპალატის დისწული მოაგონდა, აღფ-არსლანის ცოლყოფილი, რომელმაც თურქულ პარამხანაში დასტოვა თავისი მშვენიება და სიყმაწვილე, ბოლოს კვლავ საქართველოს მოაშურა სვე გამწარებულმა და ჩაიცვა მონაზნის ჩოხანი.

იგივე ბედი მოელოდა დედისიმედსაც, ჯერ წამებანი პარამხანისა, ბოლოს კი ძაძანი გლოვისა.

ახანურს ქართველთაგანს არ მიათხოვებდა გულზეიდი ერისთავი ქალს. მეგლმა დაიყმუღლა გზის პირად, დაიურვა უფლისწულმა გაოჩნებული ელაყი, ჭყონდიდელსა და მის ამაღას წამოეწია.

ახალი მთვარე ჯერაც არ გადასულიყო, ცას გადაკეროდა ორაგულის ქერცვისფერი.

II

ბრძენისა და უღმრის თათბირნი

...„მხოლოდ ცუნდრტანი თუ დაიწვე-
ბენ უთათბიროდ ბრძოლას...“

ვეკაშენ კატაკონ.

ჰყონდიდელი გამობრძმედილი იყო ომებში, იცოდა: არ ივარგებდა ლამ-
ქრის დაქანცვა ბრძოლის კვირაძალში, ამიტომაც სენებით მიჰყავდა სპანი.

შერგილ ლიპარტიანმა მსტოვარნი წარგზავნა რუსთავისაკენ. დაეხვერათ ციხენი და გზანი, თურქმანების ბრბობები აღერიცხათ ალგეთისა და მტკვრის ნაპირებზე.

ღელავდა ვაზირთა უბირველესი იდუმალ.

როგორ ეწადა თავათ შესწრებოდა პირველ მოკიდებას უფლისწულის ხმლისას, ნიადავ თვალწინ ჰყოლოდა ახლადშესული ბრძოლაში.

სხვა რიგად ინება განგებამ.

მანგლისთან უნდა გაყრილიყვნენ.

ჰყონდიდელი, ვერის ხეობის საათავეებზე გასული, მუხათგვერდთან გადა-
ლახავდა მტკვარს და მარტყოფიდან მიაშურებდა ვეჟინს, ხოლო უფლისწუ-
ლი ალგეთის ხეობით ივლიდა მტკვრამდე.

ჰყონდიდელი ურჩევდა, ლამე გაეთიათ მტკვარს გამოღმა, რუსთავს ქვე-
მოდ, საირმეს ფონის გასწვრივ და უთენია გასულიყო გაღმა, აღმოსავლეთი-
დან მისდგომოდა რუსთავის ციხეს.

„ვშიშობ, გულფიცხოზა არ გამოიჩინოს უფლისწულმა ბრძოლაში, ეტუნება
ვაზირთა უბირველესი შერგილ ლიპარტიანს, ყოველი კაცი ბრძენია ბრძო-“

ლის დაწყებამდე, მაგრამ ომში, შესაძლოა, მტრედის მართვესავეთ უწყინარი ფოცხვერივით გაფიცდეს და ვეფხივით ხელი დაადინჯოს სისხლის დანახვამ¹⁾. უფლისწული და ნინია წამოეწიენ მოსაუბრეთა. ჰყონდღეღეღეღეღე მათი მოახლოება, ახლა სამივეს ვასაგონად დასძინა:

„გულფიცობა მტერია ყოველგვარი წარმატებისა, ეგ იცოდეს ომში მიმავალმა ყოველმა. განა უგრილესი წყარონი არ გააპობენ ხოლმე უმტკიცესთა კლდეთა?“

შლევნი სარდალი პირველ წაგებულ ბრძოლის შემდეგ დაფრთხება, ხოლო ბრძენი უფრო მეტად გააღმასღება, წაგებულ ბრძოლებში ისწავლის მოსაგებ ომების ხერხს.

ბრძენი მეომარი ჯერ რკუსავეთ გაინაბება, გვემასაც აიტანს უცილოს, მაგრამ მოდგება ჯამი და ურჩხულივით შეიმართება²⁾.

ოთხივე მხედარს უკან მოსდევდა მახარაი, სდუმდა ენამრავალი საერთოდ. გულის სიღრმეში შეურაცყოფილიყო მახარაი, შერგილ ლიპარტიანს რომ აბარებდა ჰყონდიდელი მის ძმისწულს და არა მას, კატაკლონ კეცკამენის შეგიღოს³⁾.

ახლა უფლისწულს მიუბრუნდა ვაზირთა უპირველესი.

„რუსთავის ციხის ერთი კედელი სარკინოზებმა დაარღვიეს სწორედ იმ წელს, როცა მათ ნავთით⁴⁾ გადასწვეს ტფილისი.

ვკონებ, სამხრეთის კედელი... სულკურთხეულმა ბაგრატ კუროპალატმა თიხა-ფიქალით ააგებინა იგი, თხის ბეწვში აღრეული კირით შემტკიცული. ეცადე იმ კედელს მიაყენო ვერძები, თორემ დანარჩენ სამს უფრო ხანგრძლივად დასჭირდება ბურღვა.

უმთავრესია ციხე უსისხლოდ აიღოთ როგორმე.

ძველთაგან ჰერეთელი მეციხოვნენიც არიან რუსთავში. ციხისთავი შირვანელია, ალი-ბეჰადურ. თურქნი იცავენ საბრძოლო გოდოლებს⁵⁾.

მერმე შერგილსა და ნინიას ჩახედა სახეში, დასძინა:

„ეცადეთ, უგრძნეულად აიღოთ ციხე“.

მახარაი გვერდით ამოუდგა უფლისწულს და ეუბნება ხმადაბლა:

„ომის დაწყებამდის მეფეს შეუძლია ყოველი კაცის თათბირს ათხოვოს ყური, მაგრამ ხმალი თუ როდის გააშიშვლოს, ეს ამბავი საკუთარ გულს უნდა ჰკითხოს მხოლოდ.

უპირველესი საწინდარი ომში გამარჯვებისა, მოულოდნელი ზემოქმედებაა მაინც. უმამაცესიც შედრკება, როცა მოულოდნელი განსაცდელის წინაშე წარსდგება.

კეცკამენ კატაკლონ იყო ჩვენი დომესტიკი, როცა პაჭანიკებს ვებრძოდით დუნაის პირად ერთ ტყეში.

კურდღლის გული ჰყონდათ პაჭანიკებს, კურდღელივით მომრავლებულთ, მაგრამ ერთ ადგილას თავმოყრილნი ფოცხვერივით მამაცნი იყვნენ, სიმრავლისგან გულმოცემულნი.

დიღბანს ვსდიეთ იმ ტყეში მათ. პაჭანიკებს არც საბარგულები გააჩნდათ, არც აქლემები ხორაგეულის საზიდი. ერთ ტაფოზში ჩავამწყვდიეთ, შევეუკა-

1) კატაკლონ კეცკამენი — ბიზანტიელი სტრატეგი, კეისრის ისააკ კომნენის დროს იგი დომესტიკი იყო ანისისა და იზერიის საკატეპანოსი. მრავალ წელს ებრძოდა სელჯუკებსა და პაჭანიკებს.

2) ნავთით გადაწვა ტფილისისა მოხდა 238 პიჯრით, გ. ი. 853 წ. ქ. შ.

რით გზები. მსტოვარებმა ამბავი მომიტანეს: ქრისტიან ტყვეების სიორს სკამენო დამშუღლნი, გარემოცულნი.

ტყვედ ჩამივარდა ათასი პაჭანიკი, ვუბრძანე ასისთავებზე დაქვემდებარებათ, კარგად გაეძლოთ ტყვენი, სამი კაცი გავაქციე განზრახ. უამბეს თვისტომთა: ქრისტიანულს ვულმოწყალებით გვეპყრობიანო ბერძნები.

ერთი უტევანი გვიკლდა მათ ბანაკამდე, ვუბრძანე სტრატოტებს: ¹⁾ თავები დაეკრათ პაჭანიკ ტყვეებისათვის და გულდაში ჩაედო მეომარს კაცად კაცადს. შთვარიან ლამეში მივეპარეთ მძინარე ბანაკს, ვუბრძანე ჯარს: შუბებზე წამოეგოთ პაჭანიკების კოწოლიანი თავები და ქარაფებიდან გადაესროლოთ ბანაკში.

„პაჭანიკები დაფრთხნენ, შუბების აღებაც ვერ გაბედეს, ისე დაგვენებდნენ“.

უფლისწულმა ვაილიმა და ეს უთხრა მახარაის:

„მწვერვალიდან ლოდის დაგორება დიახაც ადვილია, მაგრამ მწვერვალზე მცხი ატანაა ძნელი, სხვის მიერ ჩადენილი გმირობის მოსმენაა იოლი, მაგრამ მისი გამოყენებაა ძნელი“.

„უგუნური მეფე ბრძნულ თათბირს მოისმენს, ბოლოს ისე გააკეთებს, როგორც დააბარეს, საქმეს წაახდენს, ვაზირს დააბრალებს, ხოლო ჭკვიანი ბრძენსაც მოუსმენს და შლევსაც, მაგრამ ისე მოიქცევა, როგორც საქმე და ეამი მოითხოვს ხოლმე“.

„ეგ იმიტომ, ჩემო მახარაი, რომ არც ბრძენი ყოფილა მიუმცდარი ჯერ სადმე, არც შლეგი, რომელსაც სიბრძნე თუნდაც ერთი არ დასცდნოდეს“.

მანგლისამდისაც არ იყვნენ მისულნი, როცა ცხენოსანი წამოეწიათ ტენებით.

ვეყინიდან იუწყებოდა მეფე:

„გვარამ ერისთავმა გზები გაგვიხსნა, მაგრამ შირვანელნი და მთიელნი მოერთვენო აღსართანს. კახთა მეფის ძმისწული რუსთავის ციხეშიაო, კვირიკე იჩქაროსო ჭყონდიდელის ლაშქარმა.“

მაშინ ბრძანა ვაზირთა უპირველესმა და მოსართავები მოუჭირეს ცხენებს, მარბიელი წინ გაუშვა ჭყონდიდელმა, დააბარა: ჰერეთში გადასვლისას არ აელოთ ალაფი, საქურველის გარეშე.

ჰერეს საყვირებსა და გარეკეს ჭყონდიდელის ლაშქარი.

ჭყონდიდელმა გადაჰკოცნა უფლისწული და გაუმეორა:

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, საირმეს ფონის გასწვრივ გაათეე ლამე და უთენია გადადიო რუსთავში.

ერიდეთო კენწლაობას თურქთა ბრბოებთან გზადაგზა. დაუბარა ნიანია ზაკურიანსა და შერგილ ლიპარტიანს.

III

„მუჰამედ ბრძელი“

უფლისწულის ლაშქარი ტაბატით მიდიოდა. ლამე ტყეში გაათიეს, ალგეთის პირად, მხოლოდ მეორე დღეს მიადგნენ მტკვარს.

შერგილ ლიპარტიანი უკვე შეჭალარებულნი იყო ბრძოლებში. ჭყონდიდელის გაზრდილს ურყევად სჯეროდა თავისი მწვერთვანელის შეგონება ყოველი.

შეკრთა, როცა ვაიგო, რომ უფლისწული დაუყონებლივ გაღმა გასვლას არ აპირებდა.

¹⁾ სტრატოტო—მეომარი ბიზანტიის ჯარისა.

ახლა დაეინებით ურჩევედა ლიპარტიანი: საირმეს ფონის დაბანაკებას.

დავითს სიყრმიდანვე ენადირნა მტკვრის ველებზე, ყოველწინაგან მტკვრის ველზე და ამ მიდამოში. შერგილი და ნიანია აიყოლია.

სწორედ რუსთავს გამოღმა, ტყისპირად გაშლილი ველი დაათვალიერა ცხენდაცხენ.

მტკვრისკენ ჰაობები ემიჯნებოდა მინდორს, ხოლო სამხრეთიდან — ტყე.

აქ გააქრევიანა ახოები, ბანაკებისთვის.

ბრძანა კარვები ურთიერთისგან ისრის საწვედენზე დაედგათ, ჯებირები გაეყეთებინათ ტყეში, რათა მტერს არ მოეველო იქიდან, ხოლო ტყესა და ჰაობებს შორის მდებარე ველი ხანდაკებით დაეცვათ აღმოსავლიდან და დასავლეთიდან.

გვაც დასძინა: კარავთა შორის უმრავლესნი ტყეში უნდა ყოფილიყო, მხოლოდ რამდენიმე გამოდიოდა ველზე იმ გვარად, რომ რუსთავის ციხიდანაც დაენახათ ისინი.

აღმოსავლეთისაკენ ნიანია და მისნი სპანი დააყენა, დასავლეთისაკენ შერგილ ლიპარტიანი ჯარითურთ, ხოლო შუაში, უფლისწულის დიდი კარვის გარშემო, დაბანაკდა სპაი ქართლისა.

დღისით გაჰყავდა ბანაკიდან მოლაშქრენი, ავარჯიშებდა მშვილდის მოზიდვაში, უუზანგოდ ცხენზე შეხტომას ასწავლიდა, ჰენების დროს ვერცხლის დრაპკანის აღებას, ჯებირების ნაცკლად ეკლიან ბარდებზე გადახტუნებას ცხენისას, ხანდაკების გამოყენებას, როცა ქვეითად ბრძოლა უხდება მხედარს, ცხენის დაწვევას მინდორზე და საფრად გამოყენებას მისას.

ამას ყოველივეს ზედადენენ რუსთავის მეციხოვნენიც შორიდან. საღამომით კარავში იწვა უფლისწული მგლის ტყავებისაგან გაკეთებულ საგებზე, ფსალმუნს კითხულობდა ჟინჯილის შუქზე: თორს არ იხდიდა, სანამ პირველ საყვირის ხმას არ გაიგონებდა, მთელი ღამე ესმოდა ტურების ერთობლივი კივილი, მგლების ყმუილი, ვარხვებისა და ტყისბატების გნიასი.

გავიდოდა ხანდახან კარვიდან, უთვალთვალებდა გუშაგებს, ამოწმებდა ტალად¹⁾ დამდგართა სიფხიზლეს.

თავათაც უყვარდა ღამეული სეირნობანი მდინარის პირად, როცა ადამიანებს დაეუფლებოდა ძილი და ტყიურნი არ ისვენებენ მაინც, იბრძვიან სიციცხლისათვის ბნელში, ხოლო ცადაჭნილი კანკელივით კაშკაშებს, ვარსკვლავები აფახურებენ თვალებს, თითქოს მიჯნური წამგიყოფდეს ციდან და ვპირდებოდეს კვლავ მოხვეჭას იმ სიყვარულისას, რომელსაც დღემდის ვერ მიხვდომია გული.

ღამით მსტოვარებს აგზავნიდა რუსთავს, არც ნიანიასა და არც შერგილ ლიპარტიანს უმხელდა, თუ რად არ გადადიოდა მტკვარს გაღმა?

გაოცებული იყო რუსთავის ციხისთავი ალი-ბეჰადურიც.

მას ცნობა ჰქონდა უფლისწულის ლაშქრის თრიალეთზე გადმოსვლის გამო. თავდაპირველად ეგონა: მტკვარს გადმოლახავენ და შემოეწყობიანო და უყოვნებლივ ციხეს. როცა დაყოენდნენ მცირეს, ასე იფიქრა: მტკვრის ხეობაში სათარეშოდ წამოსულანო გურჯნი.

¹⁾ ტალა — გუშაგი, ყარაული.

ლამით მსტოვარი მოუვიდა რუსთავიდან უფლისწულს, დაიპარტახნენ კარავში და გამოჰკითხა.

მეორე დღით უთენია ადგა, ნიანია, შერგილი და მცირე ჯგუფი ატყულო. აღმოსავლეთისკენ მიჰყვენ ცხენდაცხენ მტკვრის ნაპირს. როცა საირმეს ფონს მიეახლნენ, ბეჭობზე შეაგდო დავითმა ცხენი, თითი მიაშვირა გადაღმელ ტყეს, ეუბნება შერგილსა და ნიანიას:

„აი იმ ტყეში დგას აბუ-მუჰამედ-ატტაველის ჯარი, ზუთი ათასი ცხენკეთილი მხედარი, კვირიკეც მასთანაა თურმე, კახთა მეფის ძმისწული, და ლიპარიტისძე რატი.“

საირმეს ფონზე რომ გავსულიყავით, მუჰამედ-ატტაველის ჯარი მტკვარზე გასვლას არ გვაცლიდა, გინდაც ციხეს მიედგომოდით, ზურგიდან დაგვევიდნენ უთუოდ“.



აბუ-მუჰამედ-ატტაველ ან მუჰამედ „გრძელი“, როგორც ქართველნი უწოდებდნენ მას, ტფილისის ციხისთავი იყო ოდესღაც, ბოლოს ამირობა მოინდომა და საწამლავე შეაპარა ტფილისის ამირას ბენ-ჯაფარს.

დროზე გაუგეს და ძელზე გასმა დაუპირეს, მაგრამ შურისციხიდან გაიქცა, მეპურის სამოსით გადაცმული. თავი მოუყარა შირვანსა და ქართლში მოთარეშე თურქთა ბრბოებს, დაძრწოდა თავისი ლაშქართურთ, ყველას შეელოდა, ვინც ოქროს უჩვენებდა, იგი ეხმარებოდა ლიპარიტ ივანესძეს და ვარდან სვანთა ერისთავს, როცა მათ გიორგი მეორეს „აუშალეს ქვეყანა“ და „ნიანია ქებაუღიძემ წარიღო საქურტლენი ქუთათისისა“.

სამ წელს სომხეთს არბევდა. შირვანის ციხეთა შეღწევაშიაც მიშველებია მრავალთ, გიორგი მეორეს შეევეპარა, აგაღებინებო ვეფინის ციხეს, მაგრამ მოაღწია თუ არა გვარამ ერისთავის ლაშქარმა, გაჯანჯლდა მეფე, რადგან ოცი ათას ოქროს ბოტინატს¹⁾ ითხოვდა მუჰამედ გრძელი, კვირიკემ გადაიბირა ბოლოს და რუსთავის ციხისთავს მიჰგვარა მოსყიდული—მოსყიდულს.

შერგილ ლიპარტიანი მაინც თავისას არ იშლიდა: მტკვარი გადავლახოთ და ველზე შევევბათო მუჰამედ-ატტაველს.

ნიანია დადუმდა, არც დავითი ამბობდა რამეს.

მესამე დღეს ისევ მოუვიდა უფლისწულს მსტოვარი.

რუსთავის ციხეში ხანგრძლივად უთათბირნიათ ოთხთა: კვირიკეს, რუსთავის ციხისთავს, ალი-ბეჰადურს, მუჰამედ-ატტაველს და ლიპარიტის ძეს, რატის.

მსტოვარს ვერ გაეგო, რა მოეთათბირნათ. საღამოს ციხიდან გასულა მარტოკა აბუ-მუჰამედ-ატტაველ, ეგეც დასძინა ამბის მომტანმა:

თეთრი ჩაღმით ჰქონდაო შებურვილი თავი, მწვანე მოსასხამი ეცვა, შავი ხანჯალი ზედა ერტყა, ხანჯლის ვადაზე სწვდებოდაო გრძელი და ძლავლი წვერი.

უფლისწულმა მსტოვარი დაითხოვა. შერგილი და ნიანია ახმობინა მანდატურს.

¹⁾ „ბოტინატი“—ციხის ბოტანიტისი, ანუ ბოტინატის მიერ მოპრილი ფული დავით აღმაშენებლის დროს ზმარებაში იყო საქართველოში.

მხარაი მიწაზე იჯდა ინახით, წინ ყალივანი ედგა, თრიაქა სწველ/ლო-
ყებ გაბუშტული.

ახლა ნიანიაც ამას ურჩევდა უფლისწულს: მაინც მთავარიანი ლაშქრები, ნაეტიკებიც თანა გვაქვს, უფონოდ გადავლახოთო რუსთავს ქვემოდ მტკვარი, შორიდან მოვუაროთ და თავს დავესხათო მუჰამედ-ატრავილს.

სდუმდა გაჯიქებული უფლისწული, არც იმას ამბობდა თუ სანამდის უნდა ეცადა მტკვარს გადმოღმა ლაშქარს?

ლოდინისაგან მოგვრილი მღელღარება უზომოდ ქანცავსო სპათა.

ესა სთქვა ნიანია.

შერგილ ლიპარტიანს ბრძოლა მოსწყურვებოდა, ბუნებით მშვიდსა და დარბაისელ რაინდს.

ველარ აიტანა უფლისწულის დუმილი და ჯიქურ შეჰკადრა:

„დაუჯდომელის კითხვაში ხომ ვერ მოვიგებთ, უფლისწულო ბატონო, ომს?“

უფლისწულს ეამა ეგზომ წრფელი შებაეგრება ყმისა, ეს გაიფიქრა: ჯიქური სიტყვა სჯობიათ ვაზირთა უსაშველო ლიქნას, უნდოდა ებასუხნა ლიპარტიანისათვის, მაგრამ ნიანიაიმ დაასწრო კითხვა:

„მაინც სანამდი უნდა ვიცადოთ, უფლისწულო, ამ ქაობებში?“

„უნდა მომწიფდეს უამი“...

ვერც ამ თქმიდან შეატყეს საეგროსა და ტაოელთა ჯარების სარდლებმა, რა განზრახვანი ჰქონდა უფლისწულს გულში?

„ეგ იცოდეთ, ყოველ წუთს მზად უნდა ვიყოთ. ბანაკების გზირებს თვალი ადევნეთ, ასისთაეებმა შეამოწმონ ხოლმე მათი სიფხიზლე“.

„ყოველამ მე თავათ ედგები სამჯერ, ბანაკს გარს ვუვლი და ვამოწმებ, გზირებსა და მსტოვარებს თავათ ვაგზავნი საჭვრეტად, თვალყურს ვადევნებ ტალად დამდგართა ცვლას“.

ესა სთქვა ნიანია ბაკურიანმა.

მე საერთოდ არ მძინავს ღამლამობით.

ამბობდა შერგილი.

უფლისწულმა არა მიუგო-რა, ადგა, კარვიდან გავიდა და ვარსკვლავებს დაუწყო ჰვრეტა.

ნაბიჯის ხმა შემოესმა: მოიხედა, მხარაი ამოსდგომოდა გვერდით.

„იმ ვარსკვლავს დააკვირდი, უფლისწულო, ირმის ნახტომის კიდღე. ბორტი თვალი ხომ არაა ნეტავი?“

სწორედ იმ ადგილას იყო ის ვარსკვლავი, რომელიც კონსტანტინოპოლში გამოჩნდა ოცდა სამი წლის წინად. დოკიდა დაარქვეს მას, სახრჩობელას წაფაეადა, დასავლეთისკენ მიდიოდა მსგავსად მთვარისა.

დიდი თურქობა მოჰყვებო ამას, ასე ამბობდნენ იდუმალთა მიმთბრობნი“.

სთქვა მხარაიიმ და თავათაც მიაშტერდა ცთომილს.

ერთმა კვირამაც განვლო, მთელი ბანაკი დარწმუნდა: აღარ აპირებსო უფლისწული რუსთავის აღებას. სულწასულთაგანი ასე ფიქრობდა ზოგი: უფლისწული ხამი სარდალია, შესაძლოა შედრკაო ქაბუცი.

ალბათ, ვეფინის აღებას უცდის და მერმე შემოეწყობაო რუსთავს, ასე ვარაუდობდნენ სხვანი.

ერთ სალამოს ნიანია ბაკურიანს მოუნდა მტკვრის ნაპირების დასჯერება თავით, ასიოდე მოისარი აიყოლია, მუხლმაგარ ცხენებზე მსხდარნი მტკვარს მიჰყვა აღმოსავლისკენ ველდაველ.

უკაცრიელ ჭალებში გარეული ტახები დაკეინტრიშობდნენ, ჯეირნების ჯოგები დაჰქროდნენ უმრავლესნი ცხვრისა.

აღამიანის ჭაქანებაც არსად ისმოდა, მხოლოდ მტკვარს გაღმა თვალი მიატანეს დედაწულიანად მიმავალ მცირე ბრბოს თურქებისას. ერთ ტყეში შევლდნენ ელნი თავიანთის ფალანგებითა და ხეასტავით.

გარემოს აყრუებდა ვარხვების ხარხალი, ფოცხვერების ჩხავილი და ყმული მგლებისა.

ნიანია თავგადაგებული მონადირე იყო. ტყეურის გამოჯავრებაში გაწაფული ფრიად.

მოდებოდა თუ არა ირმის მყვირალობა, შევიდოდა ტყეში, შეიბურვოდა სუროთი, ირმისებრ ბლავილს მორთავდა, მოიტყუებდა ფურის მაძებარ ხარს.

ასევე კარგად ბაძავდა იგი ლომების დვრინვას, ფოცხვერების ჩხავილს, აღრიალებასა და ბურღლუნს დთევისას.

ახლაც ამ გავერანებულ გარემოში, ნადირობა მოენატრა ტყეურის გნიასის გამგონეს, მაგრამ გაახსენდა მყისვე: უფლისწულმა პირველი დღიდანვე აღუკვეთა ნადირობა ყველას, რათა ამ საჭმეს არ გაეტაცნა სპანი და კარვების ახლოს ყოფილიყვნენ დღისით და ღამით.

უკვე ბანაკისაკენ უკან მომავალს ზედა გზისპირა ჭოჭიდან¹⁾ წამოუვარდა უხარმაზარი ტახი და პირდაპირ დაადგა საცხენე გზას

ველარ გაუძლო ამ ცთუნებას ჭაბუკის გულმა, ცხენს დეზი ჰკრა, შემართული ჰოროლით გამოუდგა ოტებულს.

ტახმა რა იგრძნო, მომეწევაო ცხენი, ჭაობისაკენ გაუხვია მხარმარუჯენით. ნიანია უნაგირიდან გადმოიხარა, ზედ ყვრიმალში მიაწვდინა ჰოროლი, ტახი დაიჭრა, მაგრამ ჭაობში შეასწრო ცხენს.

ველარ შეიკავა ბედაური მხედარმა და უშველებელ ტლაპოში ჩაიფლნენ სამნი.

გადმოხტა ნიანია და მახვილი აძგერა ნადირს.

მოუსწრეს სპათა, ძლივს ამოათრიეს ჭაობიდან ეშვი და ცხენი. თხემიდან ტერფამდის ამოიწუმბა მხედარი.

სალამოს შეაცვივა და კარავში მიბრუნებულს მოეძალა ხურვება.

მოკლული ტახი კარვის წინ დააგდეს სპათა.

დათვის ტყავი წამოისხა ნიანიამ, ძილფხიზლობდა კარავში მწოლარე.

ნაშუალამევს ადგომა მოიწადინა. იფიჭრა ავდგები, მივებდავო გუშაგებს, მაგრამ მუხლების ტკივილი იგრძნო უეცარი.

თავისი შეაბჯრე მოიხმო, უბრძანა:

ხანდაკებისაკენ წაიყვანა მოისარნი, გაესინჯათ, თუ ფხიზლობდნენ გუშაგნი.

ცივი ქარი დაჯირითობდა ველზე, შეაბჯრეს დაეზარა ტყეში მდგომ კარვებისაკენ გავლა და იქიდან გამოყვანა სპათა, მოხსნა ნიანიას კარვისმცველნი და ხანდაკებისაკენ²⁾ წარიტანა თან.

¹⁾ ჭოჭი — ჭაობი.

²⁾ ხ ა ნ დ ა კ ი — თხრილი, ტრანშეა.

მთვარე უკვე ამოსული იყო, როცა ტაოელმა მოისარებმა დალანდეს გელ-დაველ ქენებით მომავალი ცხენოსანი ლაშქარი. ლანდებივეთ, გაღუფრსულნი ისხდნენ რკინის ჩაბალახიანი მხედრები უნაგირებზე, ცხენების აუქსრფტქური და ფრუტუნი მოისმოდა მხოლოდ, ბედიით ლაპლაპი გაჰქონდათ თორ-მუ-ზარადებს.

დახოცეს ხანდაკებთან ტალად მდგარნი სპანი, ნიანიას მეაბჯრემ მიუსწრო ამ ამბავს, ჰოროლი აბგერა მხედართავანს ერთს, მაგრამ სულ მალე შუბზე წამოაგეს იგი, ხანდაკები გადალახეს, უგრძნეულად შემოაგელვეს ბანაკში ცხენები და მიაშურეს ტყის პირად გაწკაპულ კარებებს.

ცხენების ფრუტუნი რა შემოესმა, ასე იფიქრა ნიანიამ: მსტოვარნი მოსულანო რუსთავიდან, შეხმინება მოინდომა, მაგრამ გაიტერინა, ყური მიუგდო.

კარვის კართან მოღწეულმა მხედრებმა მიწაზე გდებული ღორი რა შენიშნეს, „დონლუზ“¹⁾ დასცდა ერთ მათგანს.

ნიანია წამოვარდა, მახვილს მისწვდა, დათვის ტყავი წამოისხა ზედ, სწორედ ამ დროს კარავში თავი შემოჰყო ჩალმიანმა, წვეროსანმა თურქმა, ნიანიამ დაიღრიალა ისევე, როგორც დათვის ჩვევია ზოლმე, როცა ბეჩოში შესწრებენ მონადირენი.

თურქები შეკრთნენ, ასე ეგონათ: შინაური დათვი ჰყოლიათო ცალიერ კარავში და განერიდნენ.

ნიანიამ კარვის კალთა გასჭრა სწრაფად, კარვის უკან იცდიდა მცირე ხანს ხმალშემართული და როცა მხედრები კვლავ შემოახტნენ ცხენებს, ტყეში მდგარ კარვებს მიაშურა, სცეს გუშაგებმა საყვირებს, წამოსცვივდნენ ტაოელნი, შუბებს წააღეს ხელი, ხურგებისაგან დასუსტებულს მუხლი ეკრებოდა ნიანიას, ცხენს შემოახტა მიინც და უბრძანა სპათა: მიჰყოლოდნენ ფეხდაფეხ.

კარავში წამოწოლილ უფლისწულს ფსალმუნი ეკირა ხელში, ხოლო მახარაის თინელილი—და მგლის ტყავზე დაჩოქილი უსმენდა.

სწორედ ამ ლექსს კითხულობდა უფლისწული:

...„ღმერთო, უშველონი აღდგეს ჩემზედა და კრებულთა ძლიერთამან იძიეს სული ჩემი“...

და ამ დროს კარვის გარედან მოისმა ცხენთა თქარუნი, აბჯრის ვღრიალი, გუშაგთა ყვილი.

უფლისწული ზეწამოიჭრა, მუზარადი დაიხურა, ცალ ხელში მახვილი აიღო, ცალშიაც ფსალმუნი შერჩა.

სამი, ხმალშემართული მხედარი უგრძნეულად შემოვიდა კარავში.

გრძელწვერა, შავხანჯლიანი, ახმაზი მოუძლოდა მათ წინ.

მახარაიმ იცნო მუჰამედ გრძელი, ანთებული მაშხალა ესროლა სახეში, ჩალმიანმა მოასწრო განზე გადახრა თავისა, ხმალი გადაუქნია უფლისწულს, მაგრამ კარვის ძელზე მოცარულმა, დავითს მუზარადზე დაჰკვესა ფოლადმა.

¹⁾ „დონლუზ“ — თურქულად, ღორი.

უფლისწულმა გამართა მკლავი და კარავში გაგორდა თეთრჩაღშიანი თავი. უკუიქცნენ დანარჩენი თურქნი, რადგან მუჰამედ ატტაველის წაშტყვას შემდეგ, ხმალმოსაჭნევი ადგილი აღარ იყო კარავში. გარედ გასულთ ნიანი შეეხენა, ერთი მათგანი ხმლის წვერზე წამოაგო ბაკურიანმა, მეორესაც ვილაცამ გაუყარა შუბი.

უფლისწულმა არ ისურვა ნიანიასაგან მორთმეულ ცხენზე შეჯდომა, ქვეითად გვიჯობსო ცხენოსნებთან ბრძოლა, რათა მტერი და მოყვარე იოლად გაარჩიონო სპათა.

შერგილ ლიპარტიანის კარგებამდის ვერ მიესწროთ თურქთა, მას უკვე ოთხმწკრივად დარაზმულნი, შუბშემართულნი მოჰყავდა სპანი, მეწინავენი ყოეინებდნენ, ეგრიხელნი და აფხაზნი, უმოწყალოდ სცემდენ ჰოროლებს მოზღვავებულ ცხენოსნებს.

ახალი და ახალი რაზმეულები გამოცვივდნენ ქართლის სპათა ბანაკებიდან, მათ უკვე მოესწროთ ცხენზე შეჯდომა.

უფლისწული მიხვდა მუჰამედ გრძელის მიერ დაშვებულ შეცდომას, მას ხანდაკებთან უნდა დაეტოვებინა ცხენები, უბრძანა სპათა, რათა ცხენებიდან გადმომხტარიყვნენ, თავით წარუძღვა ქვეითებს, შეუძახა ომახიანად, ჰოროლსა სცემდა მკლავმაგარი თურქის ცხენოსნებს.

მახარაის ხმლის წვერზე წამოეგო მუჰამედ გრძელის თეთრჩაღშიანი თავი, მოკლულისავე ცხენზე გადამჯდარი ჰყვიროდა თურქულად: გურჯებმა მოგვიკლესო მუჰამედ-ატტაველ.

რა შეიცნეს თურქთა, აღარ გეყავსო ბელადი, შედგრნენ, უკუიქცნენ დასაველეთის ხანდაკებისკენ, საეგროსა და აფხაზეთის სპათა შუბებზე გადაეხიენ.

ტყისკენ დააბირეს წასვლა, უფლისწულის მხედარნი წინ გადაელობნენ, სცემდნენ ჰოროლები სპანი ქართლისანი. სხვა გზა აღარა ჰქონდათ თურქებს და მიაწყდნენ მტკერის გაყოლებით გაშლილ ჭაობებს.

გადაგლესილ კალოებსავეით ლაპლაპებდნენ მთვარის სინათლეზე ისინი.

თურქებმა მალე შენიშნეს, თუ როგორ ვარდებოდნენ მათივე მეწინავენი ლაფში, წინა ტორები ჩაეფლებოდათ ქაობში ცხენებს, მხედრები ყირაზე გადადიოდნენ, თავათაც სცვივოდნენ შიგ.

მიჰყვნენ სამივე მხრიდან მოზღვავებულნი საეგროს, აფხაზეთის, ქართლისა და ტაოს მოლაშქრენი, ახლა ხმლები გააშიშვლეს უკვე.



მეორე დილას სრული მყუდროება სუფევდა ბანაკში.

ნიანია ბაკურიანი დაიჭრა მსუბუქად. მუჰამედ გრძელის ჯარიდან სამასიოდე მხედარმა ძლივს შესძლო ჭაობების გადალახვა და მტკვარს გაღმა გასვლა, მათვე ამცნეს ეს ამბავი რუსთავის ციხისთავს.

მეორე დღეს დიდი ძელი აღამართინა მახარია უფლისწულის კარვის/ გასწორივ, ზედ ჩამოაცვეს აბუ-მუჰამედ-ატტაველის თავი.

როცა თურქების ცხედრებისა და მათი ცხენების ლეშებისაგან ამცხვართ ქენი აუტანელი ვახდა, ნაშუალამევს აპყარა უფლისწულმა ბანაკი და საირმეს ფონზე გადაიყვანა ლაშქარი.

კვირიკე და რატი ციხიდან გაიქცნენ, მაგრამ ალი-ბეჰადურმა დაახშევინა ალაყაფის კარები.

ბედიის ეპისკოპოსი მიუგზავნა დავითმა ციხისთავს: ურჩია დაგვენბდიო უბრძოლოდ.

ხმალმა ვაგვასწოროსო, შემოთვალეს ციხიდან.

რუსთავის გარშემო სამივე კიდეზე ქეძეები და ლიჭიანი იყო. შერგილ ლიპარტიანმა ცეცხლი გაუჩინა შემხმარ კატაბარდებს.

ექვსი დღე იერიშები მიჰქონდათ ციხეზე, მაგრამ მამაცურად იბრძოდნენ მეციხოვნენი, ჩამოეგებოდნენ ციხიდან, ეკენწლავებოდნენ გარს მომდგართა, ისევ დახშავდნენ ბჭეებს ციხისას.

ბოლოს დაიწყო რუსთავის გარემოცვა. ციხის გარშემო ორმწკრივად გავლებული იყო ხანდაკები, ნიანიამ ძელეები ვადაადებინა ზედ, ფილაკაევანები და ვერძები გადაიყვანა თხრილებზე.

უფლისწულმა ბრძანა და ოთხივე ვალავანს მიაყენეს ფილაკაევანები და ვერძები, სცემდნენ დაუცხრომლად ლოდებს.

ლამლამობით, შუბოსანი მეციხოვნენი გამოდიოდნენ, ვადმოდგებოდნენ სერებზე, ასტებდნენ ღრიალს, ისევ გარბოდნენ უკან.

ბოლოს ჰყონდიდელის თათბირი მოიგონა დავითმა.

სამხრეთის კედელზე მიაყენეს ვერძები და სასტიკად დაუშინეს ფილაკაევანებიდან ლოდები.

ვერძები ბურღავდნენ ვალავანს, ნელ ნელა იბზარებოდა კედელი, ამ გაბზარულზე უშენდნენ ლოდებს. ასიოდე მამაცმა მეომარმა იფარა ფარები, ხოხვით მივიდნენ კედლის ძირამდის და დაიწყეს წერაქვებით ბალავრის თხრა.

ისევ დაუშინეს ვერძები და ვადაწვა სამხრეთის კედელი, გრუხუნით დაეცა მიწაზე.

მაშინ უფლისწულმა, ბრძანა არავინ შესულიყო ციხეში, კარებში მიბრუნებულეყენენ სპანი და ყოველშემთხვევისათვის ყოფილიყენენ მზად.

ციხისთავი დაიბნა, მას არ ესმოდა, რად არ შემოდოდა უფლისწული ციხეში?

სამ დღეს კარებში იდგა ლაშქარი; პირველი თოვლი მოვიდა და ციხისთავმა გამოგზავნა ციხის კლიტენი.

უფლისწულმა ჰერეთელები, მთიულები და შირვანელები შეივრდომა, ხოლო დაქირავებულ თურქთა ბორკილები დაადვეს ქედზე.

ციხისთავს ალი-ბეჰადურს სამოცჯერ ჰკრეს უკანალზე ტაჯგანაგი¹⁾.

¹⁾ ტ ა ჯ გ ა ნ ა გ — დიდი მათრახი.



ქართული

ენციკლოპედია

ზამთრდებოდა. მშვილდოსანის ზოდიაქოდან გამოსული მზე სხის სქისას უახლოვდებოდა უკვე.

მოსთავა რუსთავში.

უფლისწულმა მეციხოვნენი ჩააყენა ციხეში, თავათ აყრას აპირებდა, ვეჟინს წასასვლელად ლაშქრითურთ, შუალამეს მალემსრბოლი მოვიდა.

ქყონდიდელი იუწყებოდა:

პირველი თოვლი მოვიდა თუ არა ვეჟინში, გიორგი მეფეს ეშვზე ნადირობა მოენატრა, ალყა შემოხსნა ციხეს და აჯამეთს წაეიდაო ღორზე სანადიროდ გუშინ.

დაეთი შეაძრწუნა ამ ამბავმა, თავის სიცოცხლეში ეს პირველად წაეკიდა მამის უსაქციელობის გამო ბრახი, აჰყარა სასწრაფოდ ლაშქარი, სამგორზე წამოსული ქვახვრელთან მიეწია ქყონდიდელსა და მის ჯარს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გიორგი კახანიძე

კ ა შ ლ ი ს ხ ე ე ბ ი

გვანან ვაეკაცებს გაშლილმხრებიანს,
ზამთარს იტანენ მუდამ მოთმენით;
გაზაფხულდება, აყვავდება,
მოირთვებიან მწვანე ფოთლებით.

თვალს არიდებენ ამინდს ბრაზიანს,
სძულთ ზარიანი გივი ქარები,
გუნდ-გუნდად მოსხმულ ნაყოფს დაზრდიან,
დაამწიფებენ მზის მცხუნვარებით.

აწმყოს ნათელი მხრებზე ჰტენიათ.
შორით უღიმით დრო აწინდელი.
ზოგის ნაყოფი ქარვისფერია,
ზოგის — ლალივით ლოყაწითელი.

ძირს დაუხრიათ ტოტები მიმიედ,
მათაც სინაზე, მათაც ხორცი აქვთ,
და, ვით სიცოცხლის დედას და იმედს,
დახარბებულად მიწას კოცნიან.

სიმღერა არის იმათი დღენი,
მე ეს სიმღერა ძალ-ლონეს მშატებს;
ტოტებს წედებიან ბავშვები ღზენით
და მწიფე ხილით ივსებენ კალთებს.

დროდარო მეც ტოტს შევარხევე ფრთხილად,
მომხიბლავს მოლზე ვაშლების დაყრა...
გამრჯე ბაბუას ვიგონებთ ტბილად,
ვინც ეს ხეები დარგო და დამყნა.

მან გულით სთესა ქვეყნად სიკეთე,
ეს ბალი იყო მისი ქონება;
იყო მეურნე და სხვას უკეთესს
რას დატოვებდა მოსაგონებლად.



მკერდზე ეფინა მას თეთრი წვერი,
 ხშირად ამ ხეთა ჩეროში იჭდა.
 თუთუნს ჩაფშენიდა ჩიბუხში ცერით
 და აბოლებდა მოხუცი დინჯად.

შევეურებ ხეებს წინაპრის ნაშენს,
 ძალა და სივრცე მინდება მეტი;
 შევეურებ ბალით მადლიერ ბავშვებს
 და მათრთოვანებს ბაბუას ბედი.

მიტაცებს აზრი, ვით დილა მთაში,
 ვით სიყვარულში ჩემი ნალღელი:
 შე რა დავტოვო ისეთი ხალხში,
 დილის შუქივით თვალის გამხელი,
 რომ მომავალმა მკლავების გაშლით
 ტკბილად ახსენოს ჩემი სახელი!

ლადო ასათიანი

ლექსები

ლენინის ტომი

ბევრი წიგნი მაქვს ყმაწვილს ნანახი,
ბევრჯერ მიგრძენია აღფრთოვანება.
ზოგში მომწონდა იგავ-არაკი,
ზოგში მარტოდენ ხატოვანება.
ბევრი მათგანი სულ არ გაჭრილა
გაპყვა საყვარელ ქალს, თუ მეგობარს,
ბევრი კი შერჩა ჩემს შავს განჯინას
ეთ მტვერწაყრილი უიმედობა.
ბევრი გახუნდა ბედის ტრიალში
და ნელ-ნელ მიდის შავს სამარემდის,
მაგრამ ეს ერთი ცისფერყდიანი
ჩემს მაგიდაზე დარჩა მარადის.
მაგრამ ეს ერთი დარჩა იმგვარი,
ურწმუნო ძველებს რომ ვანცვიფრებდით,
ეს ერთი იყო ჩემი იღბალი,
ჩემი ბედი და ცხრაასჩვიდმეტი.
მან მოარჩინა ჩემი წუხილი
ჩემს სიმღერებში გამოვლენილი,
მის ფურცლებიდან შუბლშეკმუხენილი
მესაუბრება მამა ლენინი.
მან შემაყვარა სიბრძნე კობასი
წყვედიადში ლამპრად შემოტანილი
და ლენინივით ვიგრძნე მყობადში
ჩემი მხსნელი და ჩემი სტალინი.
ის ლაგვარდივით ფურცელგაშლილი
ჩემი მზე გახდა ჩემი მშვენება.
მან შემასწავლა მე კომკავშირით
განახლებული ქვეყნის შენება.
ასე გულდაგულ ვერ ვიზრომებდით,
რომ არ გვიძლოდეს მისი ცისკარი.
იგი წიგნია ჩვენი ცხოვრების,
ყოველდღიურად წასაკითხავი.
ბევრი წიგნი მაქვს ყმაწვილს ნანახი,



ბევრჯერ მიგრძენია აღფრთოვანება,
ზოგს შემოაცედა ყდა და ვარაყი,
ძველი ვერ შერჩა ხატოვანება.
ზოგიც ვახუნდა ბედის ტრიალში
და ნელ-ნელ მიდის შავს სამარემდის,
მაგრამ ეს ერთი ცისფერყდიანი
ჩემს მაგიდაზე დარჩა მარადის.

კაფე რიონის პირად

იმ ცისფერ კაფეს ვიგონებ ახლაც,
დღემდე იმგვარად დარჩა ის მგონი.
დღემდე მეც ძვირფას ოცნებად მახლავს
ჩაის ვარდები და ჩაის ბოლი.
ისმის რიონის შრიალი შორი,
ჩვენს ლურჯ თვალეზში შემოუსვლელი;
ცისფერ კაფეში შევდივართ ორნი,
ცისფერ მაგიდას შემოვუსხდებით.
იფეთქებს ფიჭვი, ვით ჩაის ბოლი,
დაეძებს ლანდებს და ია-ვარდებს,
შეუერთდება რიონის რონის
და ლაქვარდებში გაინავარდებს.
ცისფერ კაფეში ვოცნებობთ ორნი,
ჩაის ვარდების სჩანს აკვარელი.
— სად არის შენი ნანატრი ტოლი,
— სადა გყავს დედა ან საყვარელი.
— რა იქნა დიდი მომავლის ბავშვი,
ხედავ, ბერდები და თან ყვითლები, —
ცისფერ კაფეში და ცისფერ კვამლში
ჩვენ ჩვენს ბედილბალს დავაკვირდებით
და იმ წუთამდის, ვიდრე ზარების
ვაგვალეძებდეს ზმა საოცარი
ვრულავთ ბინდ-ბუნდში, როგორც მგზავრები
შავით მოსილნი და შაოსანნი.
ცისფერ კაფეში... ეს იყო ძველად...
დღემდე იმგვარად დარჩა ის მგონი,
დღემდე მეც მახსოვს გულის დამწველად
ჩაის ვარდები და ჩაის ბოლი.
დღემდე მიტაცებს შრიალი შორი,
ჩვენს ლურჯ თვალეზში შემოუსვლელი.
ცისფერ კაფეში შევდივართ ორნი,
ცისფერ მაგიდას შემოვუსხდებით.

მანანა ორბელიანის სურათზე



შენ შაოსანო, შევთვალავ შევს სამარეში გძინავს
 ჯერ კარგად არც კი გამთბარა ჩემი პატარა ცირა.
 შენი სახელი დავარქვე, მინდა შენ გგავედეს მარტო,
 ერისთვის ქალო, ფიქალო, აფუებულო ვარდო.

მინდა რომ შენებრ ელავდეს და იყოს შენისთანა,
 სამშობლოსათვის ღელავდეს, სანამ ხედავდეს, მანამ.
 მინდა რომ შენებრ ჰკერავდეს ის საქართველოს ალამს

პირმოქარგული ბალიშით, ძვლის ყაისნალით ხელში...
 შენი მარილი გამოჰყვეს, შენი წარბების ეშხი.

შენსავით გაიშრიალოს, ხმელეთი გადალახოს
 ქალობა დაიმკვეხაროს, ცა და ქვეყანამ ნახოს.
 მე კი თუნდ მიწა მეყაროს სადმე ტფილისის ახლოს.

შენ, შაოსანო, შევთვალავ, შევი სამარე გფარავს,
 ჩემი მანანა აკევანში ხან გაიცინებს ხან არ.
 თავზე ადგია კაშკაშით ბედნიერების ხანა.



აბასთუმანში

პატარა გალია

სახლია

მთის ძირში მიდგმული.

ამ სახლში

წაბლისფერთმიანი ქალია

დიდბუნოვანი და

დიდგული.

მე, როცა

თამარის ციხიდან მოვდივარ

და ირგვლივ

ღამეა უკუნი,

როდესაც

დაღლილი სხეული ღონდება

და ისმის

ხეობის გუგუნნი,

როდესაც ეცემა

ბილიკზე შეათედ

უბელო ღრუბელი

საზარი

და ოცხე

დაქანცულ ლაგვარდებს მიათრევს



ხავსიან ლოდების
 შანშარით,
 პატარა სახლიდან
 მდინარის პირამდე
 უეცრად
 იფეთქებს ნაძენარი —
 ეს იგი გამოჩნდა
 და ზოლი ჭა შინათოფსა
 მისი ნაწნავეების
 ხანძარი.
 აბასთუმანში
 პატარა გალია
 სახლია
 მთის ძირში მიდგმული,
 ამ სახლში
 წაბლისფერთმიანი ქალია
 დიდბუნოვანი და
 დიდგული.

ივანე ჯავახიშვილისადმი

როცა წარსულის
 სიღრმისაყენ ეტრატით ხელში
 შებრუნდებოდი
 და შუქს ჰფენდი, როგორც მთოვარე.
 მაგონდებოდა მე მშენება
 ვახტანგ მეექვსის
 სამეფო კვერთხით
 სამეუფო ტახტზე მჯდომარე.
 როგორც მლოცველი
 მზე დაღეულ ლანდთა მხილველი
 ბველს ქართულს სიტყვას
 მოუხმობდი, აბატონებდი
 და ნათლდებოდნენ შენს თვალბში
 გასაკვირველად
 „ქართლის ცხოვრების“
 ფერწასული კაბადონები.
 ფოთლისა გვარად
 ცახცახებდა ფურცელი ძველი,
 რომ გაცოცხლება
 შენს ბაგეთა შიგან ეღირსა.
 ხან პატივყრილ
 ქრისტეანთა ცრემლები მწველი
 და ხან ჭიხვინი
 გამხეცებულ თემურლენგისა.



როგორც მლოცველი
 წარსულისკენ ხელებაწვდილი
 გადიხრებოდი,
 რომ იქედან გამოგეტანა
 პერგამენტივით
 დახვეული ფიჭვის ღრუბელი
 და შემდეგ მაინც
 „კი მაგრამა“ გეთქვა ნეტარად.
 დახვესებული
 პალატები ერთხმად ამღერდნენ
 როს მრუმე სულში
 ჩასწვდათ შენი ხმა უვნებელი.
 ნათელო კაცო,
 სიკვდილის ფრთა ვერ დაგაბნელებს
 შენ ხომ ქართული
 ისტორიის ხარ რჯულმდებელი.
 ნათელო კაცო,
 თუმც განხვედი და განისვენე
 შენი ჭალარა
 ძველებურად ისევ კაშკაშებს,
 ისევ კაშკაშებს
 და ცოდნისკენ უზმობს ისევე
 შავულვაშიან
 და შეეგვრემან ქართველ ვაჟაკებს.
 როცა წარსულის
 სიღრმისაკენ ეტრატით ხელში
 შებრუნდებოდი
 და შუქს ჰფენდი როგორც მთოვარე,
 მაგონდებოდა მე მშვენიება
 ეახტანგ მეექვსის
 სამეფო კვერთხით
 სამეფო ტახტზე მჯდომარე.

უიარაღო

მაძიებელი

(გაგრძელება *)

როცა მთლად გამოსთქვა, რაც გულში ედვა, დამშვიდდა, მაგრამ ახლა მამის და ცოლის დარიგება გაახსენდა, რომ ეს ამბავი ჭერეთ საიდუმლოდ უნდა შენახულიყო. ეწყინა, მაგრამ რაღა დროს იყო. პავლეს-კი სთხოვა: ჭერ-ჭერობით ჩვენს შორის დარჩეს, ნურავის ნუ ეტყვიო...

მივიდა თუ არა პავლე შინ, ცოლს უამბო, თანაც სასტიკად აუკრძალა — ჭერ-ჭერობით არავის უთხრაო, ცოლი სიხარულით დაჰპირდა, არავის ვეტყვიო. მან საიდუმლო გაანდო მხოლოდ მეზობლის ცოლს, როცა ეს უკანასკნელი მის სანახავად შევიდა. ასე მტკიცედ შენახული საიდუმლო განა გამელაენდებოდა?

მეორე დილას ფარნა თოხიტარია ბასილის სასიმიინდეს ცხენ-და-ცხენ მიადგა. თვითონ ბასილი სასიმიინდეს კართან იდგა, თავი შიგ შეეყო და ახლად დასვენებულ მუშებს მუსაიფით ართობდა. მათრახის ხმაზე სწრაფად უკან მიიხედა და, დაინახა რა ფარნა მხიარულად მიეალერსა.

— ყა, ვაჭარი ბიჭი! მობრძანდი, მობრძანდი!

— გამარჯობა, კაი ბატონო! მე ერთი წუთით შემოვირბინე. ხომ მოგხსენებათ, ბატონო ჩვენი ხელობა. თქვენი ჭირიმე, ნუ შეწუხდებით.

— შეწუხება რას მიქვიან, შე საპატიო კაცო! — აუჩქარებლად ამბობდა ბასილი და თან სასიმიინდეს კიბიდან ნელ-ნელა ჩამოდიოდა. — შესაწუხებელი რა მაქვს, რომ არ ვიცი! — გაიმეორა ბასილმა და ერთ-ერთ მუშას დაუძახა: — ვახთაია, ვახთაია! ერთი ჩამოირბინე და ფარნას ცხენი ჩამოართვი.

— შენი თავი ნუ მომიკვდება, ბატონო ბასილ! — მიუგო ფარნამ და ცხენიდან სწრაფად ჩამოხტა. — ძალიან საჩქარო საქმეები მაქვს, ბატონო: ამ ერთ თვეში ოციათასი ფუთი სიმიდი უნდა მოვავროვო...

ამ დროს თმა და წვერაბურძვენილი, სიცხისაგან სახე და მკერდ-დათუთქული, მუშაობისაგან გაოფლიანებული და სიმიინდის ქინკლში ამოვან-გლული ვახთაია და მისი ამხანაგი სასიმიინდეს კარებთან გამოჩნდნენ.

ვახთაია გადმოსვლას აპირებდა.

— გამარჯობა, ძმებო, თქვენი! — მიესალმა ფარნა. — არ ჩამოხვიდე, არ ჩამოხვიდე, ცოლ-შვილი ნუ მოგიკვდება! მე ახლავე უნდა წავიდე.

ვახთაია შეჩერდა.

*) დასაწყისი იხ.: „მნათობი“, 1940 წელი, №№ 10, 11 და 12; 1941 წელი, № 3.



- რას მეუბნები? ვისადილოთ, — მიიპატიეა ბასილმა.
- დიდი მადლობა! მოგახსენეთ, რა საჭირო საქმე მაქვს.
- ახლა შენც, საქმე და საქმე! უსაქმო კაცი ეკლებოდა გულში ეძებე. საქმე რომ გაქვს, მეც ვიცი, მაგრამ რაც გინდა საქმე გქონდეს, სადილი ხომ მაინც საჭიროა; შიმშილის დაკერება ხომ შეუძლებელია?
- მაინც ჭერ, ბატონო, რა დროის სადილია, სადილობამდი ნახევარ ჰყონონას შემოვირბენ.
- მერე ვინ გიშლის? წადი და თუ გინდა მთელი სოფელი შემოიარე. სადილად ჩემთან მოდი. გამიხარდება, მერაბის სულიმე! — გულ-წრფელად დაუმატა ბასილმა.
- გმადლობთ, ბატონო...
- ამდენი მადლობა რა საჭიროა! უსათუოდ მოგელი სადილად.
- რანაირი ხასიათის კაცი ხარ ხანდისხან, ძუკუს მამავ! — უსაყვედურა მარიკამ, როცა მუშებმა ისევ კაკუტების¹⁾ დაგა-დღუგი ასტეხეს და ბასილი, ახალუხის ლილბ-გახსნილი, წელი ღილინით ოდის კიბზე ადიოდა.
- რა ყოფილა, ხარდანაძის ქალო? — გაიკვირვა ბასილმა.
- რაეა რა ყოფილა: რა დროს სხვის სადილად დაპატიეებაა?
- რატომ? — მიუგო ბასილმა, აივნის კიბის საფეხურზე შეჩერდა და მარიკას შეაცქერდა.
- როგორ რატომ, ძუკუს მამავ? მე დღეს შაურკარში ვაპირებ წასვლას. დედა-შვილს კაბა არ გვაცვია. ახლახან სატირალში სირცხვილით ვიწვოდი, ეფროსიმეს ახალი მოდის შალის კაბა ჩაეცვა და შრიალ-შრიალი გაჰქონდა. მენცარს მაგის ქმარს, ქუთაისიდან თურმე მოუტანია და მე აქაურ საფართლოშიც ვერ მიყიდნია.
- მერე, აქ გულმოსასვლელი რაა, შე კაი კაცო? — დინჯად მიუგო ბასილმა. — ჯერ ერთი ეს მიბრძანე, შენ ვინ გითხრა, სადილად დავპატიეე ვინმე თუ არა?
- აკი თოხიტარიას უძახდი, სადილად მოგვლიო.
- კარგი, ბატონო, ძლიერ კარგი, კარგი და პატიოსანი! სადილად დავპატიეე ფარნა თოხიტარია. კნიაზ მინდრელსკი ხომ არ დამიმატიენია ან კულბაკინი ღენერალი? შაურკანში შენი წასვლის გულისათვის მეც და ჩემი მუშებიც უსადილოდ თუ გინდა დავგეტოვო? ასე, ასე, მადლობა მომიხსენებია! — ხუმრობით სთქვა ბასილმა და თავი ძირს დახარა.
- უსადილოდ კი არა! — თავმოწონედ მიუგო მარიკამ: — მაგისთანა ყაზახების გასასტუმრებელი ჩემ ოჯახში ნასადილევისაც მოიძებნება, მაგრამ რაც გინდა იყოს, კაცს სადილად მოიწვევ და შენ განზე წახვალ, რა პატიოსნება! მაგისთანები კეთილშობილზე უფრო სარიდებელია.
- კარგი და პატიოსანი, ჩემო ბატონო! მე აქ სამწუხაროს და გულ-მოსასვლელს არაფერს ვხედავ. — ისევ მშვიდად მიუგო ბასილმა. — კაცი პირადად მე დავპატიეე, მევე დავხვდები, მერაბის სულიმე! ფარნა თოხიტარია ჰყონდარი არაა, რომ ძროხა დავუკლა, არც პრისტავია, რომ მის პატივსაცემად ხეზე თხა ჩამოვყიდო. ყვერული რომ დაჰკლეს, ჩემი თვალით ვხედავდი, სხვა რაღა გინდა, ჩემო ბატონო? ღვთით, ყველანი გაეძღებით. თქვენ

¹⁾ გამხმარი სიმინდის საფშენი კერძი.

კი, ია-ვარდი გფენიათ! მიბრძანდით, საითაც გნებაეთ. ერთი-კი მიბრძანეთ, ვინ მიგყავთ?

— ვინ წამყვება, ძუკუ მიმყავს. ცხენების მოსაყვანად, ^{ქარქინულში} წავიდეთ, ცხენი ვიშოვნე, ტასიაც მინდა წაიყვანო.

— არა, არა, ნანა! — გამოვხმაურა წინა ოთახიდან ტასია. — სვიმოია მეფართლე გუშიწინ არ ამბობდა, ცირების საკაბე რიგიანი არ მაქვსო. ეკენიას ქართში!) წავალ და ბევრს მოვიტანო. მე მაშინ ავირჩევ...

— ახლა რომ ვთქვათ, ფულებიც არა გვაქვს მაგდენი, ხარდანაძის ქალო, — დინჯად შენიშნა ბასილმა. — ძუკუც, ალბად რასმე იყიდის.

— აკი სიმინდს ვფშენით, ფულებს სრულად არ ჩაგვაბარებს?

— ჩაბარებით ჩაგვაბარებს, ხარდანაძის ქალო, მაგრამ განა დაგავიწყდა, რამდენი სხვა კიდევ გვიჭირს: ცალკე ვალი, ცალკე, ვინ იცის, კიდევ რა!

მარიკა ცოტა შეწითლდა და ოთახში შევიდა, ბასილმა-კი ჩიბუხი თამბაქოთი გატენა და ფიცარზე ჩამოკლა.

ტასია და მოსამსახურე გოგო ირინე დატრიალებდნენ და ხელად რიგიანი სადილი დაამზადეს. ირინე უკვე დანიშნული იყო, ქორწილიც ამ შემოდგომაზე უნდა გადაეხადათ და ეს საქმეც ამ ქესატობის დროს დოლივით გულზე აწვა ბასილ მძებრადეს, რადგან ირინესთვის თითქმის ათი წლის სამსახურისთვის, საკადრისი შხითვეი უნდა მიეცა.

ნაშუადღევის ორ საათზე ფარნაც დაბრუნდა და სადილობა დაიწყო.

— ახლა რომ არ მოსულიყავი, ტყვილი რა საჭიროა, მეწყინებოდა. მე კიდევაც დაგავიწყდა. მეგონა, ესლა, ბატონო რა დროს სოფლის სადილობაა? ამ დროს გოროდ ადგილებში სადილობენ, — გაეხუმრა ბასილი, როცა ხელი დაიბანეს და სასადილო მაგიდას მოუსხდნენ.

— დიდი ბანძლი არის ეს ოხერი, ეს სიმინდის ყიდვა! — უკმაყოფილოდ წარმოსთქვა ფარნამ. — ჩვენ კაცს მაინც და მაინც ვერ დააჭერებ, რომ სიმართლეს ეუბნები. მამაშენიც რომ იყოს არ გენდობა, სულ ატყუილებ ვონია. ერთხელ სალაპარაკო ათვერ უნდა უთხრა.

— ებე გუშა! ახალგაზრდა ვაჭარო! — ცქვიტად გადასძახა ბასილმა: — ნათქვამია, ბაბაია ნანაიას ტყვილად არ ჰყოცნისო. ვაჭრებმა, შვილო, სულ მასთე იციოთ თავის მართლება. ხალხი თუ ეჭვობს თქვენ სიმართლეზე, ალბათ, საფუძველიც აქვს: ან წონაში, ან ფასში მოატყუილებთ...

ფარნას გაეცინა და ტასიას შეხედა. იმანაც გაუღიმა და თავისი ლამაზი დიდრონი შავი თვალები რაღაც უცნაურად შეანათა ახალგაზრდა კაცს. გული აუტოკდა და მთელი ტანი აუცახცახდა...

— აბა, ძმაო, — მიმართა ბასილმა, — უკაცრაოდ კი ვართ იმაზე, რაც გვაქვს. დიასახლისი გავგვექცა დღეს. მაგრამ მის მაგიორობას ტასია გავვიწყვეს. ეს ხომ შენი ნაამხანაგარია, — სიცილით დაუმატა ბასილმა. — შენ არ ვიცი და ეს კი, ძმაო, ხშირად გიხსენიებს. ვინძლო იქით ფოთისკენ, ვინმე კაი საქმრო აურჩიო, ნასწავლი კაცი უნდა...

ფარნა აენთო. მთელ მის სხეულს რაღაც სიმძიმე დააწვა. პირიდან კინალამ ლუკმა გაუვარდა და შემწვარ კიბოსავით ყურებამდე გაწითლდა. უხერხული მდგომარეობა როგორმე რომ დაეფარა, ბასილს ჰკითხა:

— მარიკა სად ბრძანდება?

1) თბილისში.

— შურკარში წავიდა. ხომ მოგეხსენება, ბატონო, ქალის ხასიათი: ოცი კება რომ ჰქონდეს, სანამ ოცდამეერთეს არ შეიკერავს, ძილი არ მოუვს; აბა, პე, ასწი რალა! — მიუთითა ღვინით სავსე ჭიქაზე, მეორე ჭიქა ფეხითი კიბლო, ჩამოილოცა და დალია.

ღდეს ბასილი მხიარულ გუნებაზე იყო. ფარნაც თანდათან წათამამდა, და სადილმა მხიარულად ჩაიარა.

ნასადილეც ბასილი ჩვეულებისამებრ ტახტზე წამოწვა. ფარნამ-კი ეზოში ალუჩის ჩრდილო აირჩია, სადაც კილობი და მუთაქა მიართვეს. წამოწვა ჩრდილ-ქვეშ, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. სიმხიარულემ გაუარა და რალაც მოწყენა იგრძნო. მალ-მალ ოდისკენ იხედებოდა და გულის ფანცქალით იქიდან ვიდაცის გამოსვლას ელოდა. რალა დასამალია, რომ გრძნობა ტასიასადმი, ჯერ კიდევ პატარაობისას ჩასახული მის გულში, თანდათან გაიზარდა და ეხლა საშიშ ზომამდე იყო მისული. ფარნამაც ტასიას თვალებსა და ქცევაში შეატყუო, რომ ისიც გულგრილად არ უყურებდა, და ამან ახალგაზრდა კაცს გრძნობა-გონება გადაუბრუნა, თანაც ექვობდა—იქნებ მომჩვენო. ყმაწვილმა გადასწყვიტა რამეფერად გამოლაპარაკებოდა ტასიას, თუმცა სასურველი პასუხის მიღების ფიქრისაც-კი ეშინოდა. გონება უტყუარი საბუთებით უმტკიცებდა, თუ რამდენად მიუწვდომელ საქმეს ეპოტინებოდა. მაგრამ გულს მაინც თავისი გაჰქონდა და აიძულებდა. ამ გრძნობა-გონების ბრძოლაში ყმაწვილი კილობზე მოუსვენრად გორავდა.

სხვა რამეზე ცოტად რომ გული გადაეყოლებინა, სიმინდის ყიდვის ფიქრში გაერთო. ცდილობდა გაეხსენებინა, ვის რამდენი ბე მისცა, რამდენი ფუთი იყიდა, აქედან პირადად მას რამდენი მოგება ერგებოდა. მაგრამ მაინც ტასიას სახე წინ ედგა და მოსვენებას არ აძლევდა. დაფიქრებული და მოწყენილი ცის ლაქვარდს შეაჩერდა, მაგრამ უეცრად თოფნაკრავივით წამოვარდა. გაახსენდა ცხენი, რომელიც ღდეს ჩქარი სიარულით საკმაოდ გაილახა, და ახლა, ალბათ, ბასილის ეზოს განაპირას სადმე ფალაგებში დაბმული იქნებოდა. ვინ იცის, შეიძლება თოკში გაიხლართაო, — გაიფიქრა მან და საჩქაროდ იქითკენ გაემართა. საღამოზე ისევ უნდა გასდგომოდა გზას და ახლა კარგი მოვლა-პატივი ესაჭიროებოდა.

ფარნა სწორედ დროზე მივიდა. ბასილის მოჯამავიერეს ცხენი მართლა ფალაგისკენ წაიყვანა, პალო დაესვა და იმაზე თოკით მიემა. შშიერი ცხენი ხარბად დასწაფებოდა მაღალ და ნოყიერ ბალახს და პალოს გარშემო ადგილი ხელისგულივით მოეტიტვლებინა, მერე წაღმა-უქუღმა ტრიალით თოკში გახლართულიყო. იდგა ახლა ერთ ადგილას თავჩაკიდული და გრძელი კუდილი ბუზებს იგერიებდა.

ფარნას დანახვაზე ცხენმა მოწყენით დაიხეიხვინა, თითქოს უსაყველურებო. ფარნამ მიწიდან პალო ამოაძრო, თოკი გახსნა და ცხენი უკეთესს საბალახოზე დააბა. ცხენი რომ ხელ-ახლა არ გახლართულიყო, ჩოხა ჩრდილში დააგო, ზედ წამოწვა და ისევ ოცნებას მიეცა.

ბასილ მძებრადე ტკბილად ხვრინავდა ტახტზე. არა ნაკლებ ტკბილად ეძინა ირინეს ოდის უკანა ოთახში. ტასია სუფრიდან მოწყენილი და დაფიქრებული წამოდგა და როცა ნასადილეც ყველანი მიჭუმდნენ, წინა ოთახში შევიდა და რალაც საკერავი აიღო ხელში. ორჯერ-სამჯერ ნემსს გაუყვარა, მაგრამ ძაფი გაეხლართა. საკერავი გადაადლო, მაკრატელი აიღო და ქაღალდისაგან რალაც თანგის გამოჭრას შეუდგა. არც ეს მოეწონა და საჩქაროდ

ესეც გადაადგო. რაღაც წიგნს დაავლო ხელი, პატარა ტახტზე წამოწვა და ვითომ კითხვა დაიწყო, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ დაინახა, რომ წიგნი უკუღმა ექირა. წიგნიც გადაადგო, მოწყენით აქეთ-იქეთ მიიხიშნა, ხეზე წამოდგა, მუთაქას ხელი დაავლო, კარებამდის მივიდა, გარედ გაიხედა, და მუთაქა ისევ ტახტისკენ ისროლა. წინა ოთახიდან უკანა ოთახში გავიდა. იქ ირინე პირადმა იწვა, ცალი ხელი თავქვეშ ამოედო, მეორე ხელი გულზე დაედო, პირი ოდნავ გაეღო და ტკბილად ეძინა. ერთი ბუზი ცხვირზე ეჯდა, ორი კიდევ ტუჩებს დასტრიალებდა. ტასიამ ხელი გაიქნია და სამივე ბუზი გააფრთხო, ერთიც მაგრა მიახველა, მაგრამ ირინე ოდნავაც არ შენძრეულა.

ტასია უკანა ოთახიდან უკანა პატარა აივანზე გავიდა, იქიდან ოღას უკანიდან მოუარა და იმ ჩრდილისკენ გაიხედა, სადაც ფარნა უნდა ყოფილიყო წამოწოლილი. ხის ქვეშ მიწაზე კილოში და მუთაქა ეგო, ფარნა-კი არა სჩანდა. ქალი შეჩერდა და დაფიქრდა. სასიმიინდედან კაკუტების დაგა-ღუვი მოისმოდა. ეტყობოდა, გულდადებით მუშაობდნენ.

სამზად სახლს უკანიდან თხმელონი ეკრა, რომელსაც ადგილობრივ ქველოს ეძახდნენ. ტყე ხშირი იყო და ცალი მხრიდან ფალაგეში გადიოდა. ფალაგე წარმოადგენდა ღობის პირად დაუმუშავებლად დატოვებულ ადვილს, რომელსაც ერთის მხრიდან სიმიინდის ყანები საზღვრავდნენ, მეორე მხრიდან — ბასილის ეზოს ღობე. თავისით ვერავითარი პირუტყვი ვერ შევიდოდა იქ, ამიტომ ბალახი მაღალი იზრდებოდა. სწორედ იქ სძოვდა ფარნა თოხიტარიას ცხენი.

ტასია ბასილს მეტად სათუთად ჰყავდა გაზრდილი და ძალიანაც უყვარდა. რაკი ძუეუ სწავლაში არ გამოდგა და ტასიამ-კი გაიმარჯვა, ბასილმა ერთი ორად უფრო შეიყვარა იგი. რომ ვისმე ერჩია და შთაეგონებინა, შეიძლება სწავლის განსაგრძობად წაეყვანა კიდევ სადმე. თვითონ-კი ვერ მოისაზრა. გარდა ამისა, აზნაურობის ძებნამ უკანასკნელი შედი-რვა წლის განმავლობაში ფულიც და მოცალეზაც სულ მთლად შთაუნთქა.

სკოლიდან დაბრუნების შემდეგ ტასია დაარწმუნდა, რომ ღელ-მამასთან და ძმასთან მისი მეგობრობა შეუძლებელი იყო. მათ შორის კედელი იყო აღმართული. მარიკას საუბარში ხშირად უყვარდა თავისი წინაპრების, ხარდანაძეების, ქება-დიდება. მოჰყვებოდა, თუ რამდენი ყმა ჰყავდათ, როგორ ეპყრობოდნენ ამ ყმებს, როგორ მოჰქონდათ მათ, მხარზე გადებული, ვეებერთელა გატრუსული ღორები. ხარდანაძის ქალი აღტაცებული იყო იმით, თუ როგორ ააწიოკეს ერთხელ ურჩობისათვის გლეხები მისმა ბიძაშვილებმა ლევანმა, მანჩამ და ერისთუმ. მხოლოდ სამმა ოცამდე გლეხი იფრინა და ზურგზე ბოლი აადინა და მათი სახლ-კარი ნაცარ-ტუტად აქციათ. ერთი გლეხი თურმე გაუძალიანდა და ერისთუს თუ მანჩას (ეს ხარდანაძის ქალსაც აღარ ახსოვდა) ჯოხი დაარტყა. მაგრამ ვაი უბედურს! — აღშფოთებით უმატებდა მარიკა: — ჯერ ორმოცდაათი როზგი დაჰკრეს, მერე ციხეში ჩასვეს და მთელი ათი წელიწადი მზის სინათლე არ დაანახვეს. როცა გამოიყვანეს, კაცი კი არა, ლანდი-მოჩვენება იყო. აი ასეთ მაგარ საფუძველზე იდგა მაშინ უმფროს-უმცროსობათ: ბატონი ბატონად იყო, ყმა ყმად, შიშს და ორანს პატივი ჰქონდა და ცხოვრებაც ბედნიერი იყო, — მწუხარებით იგონებდა ხარდანაძის ქალი.

ტასიას-კი სულ სხვა რამეები ჰქონდა გაგონილი ისეთ ამბებზე, რომლებსაც მარიკა ასე აღტაცებით იხსენიებდა. მასწავლებელმა ქალმა ტასიას

იმ თავითვე მიაქცია ყურადღება და მარტო სკოლაში გაცვეთილის სწავლებას არ დასჭერდა. ხშირად ნასადილეცაც იბარებდა, ემუშავებებოდა და პატარა საკითხავ წიგნებსაც აძლევდა. მასწავლებელ ქალთან კამჩირე ტასიას სკოლის გათავების შემდეგაც არ შეუწყვეტია. თუ სამაზრო ქალაქში წავიდოდა, უსათუოდ მასთან შევილიდა, რამე ახალ წიგნს გამოართმევდა და, სასარგებლო მუსაიფით დამტკბარი, თითქოს სულიერად განახლებული, ჰყონონაში ბრუნდებოდა.

ერთი-ორჯერ, ტასიას თხოვნით, ბასილმა მასწავლებელი ქალი ჰყონონაშიც დაჰპატიჟა და კარგადაც გაუმასპინძლდა. მისი ჰყონონაში ყოფნა ტასიასთვის ხომ ნამდვილი დღესასწაული იყო.

თუ მარიკა ხარდნაძეების საგმირო საქმეების გახსენებით სტკებოდა, ძუკუ არა ნაკლები ალტაცებით მოჰყვებოდა ხოლმე ამალღება დღის ჯარიანობის ამბავს სოფელ ტაბაკელში. ჯერ ჩამოსთვლიდა, ვინ, როგორ და რაფერის ცხენზე იჯდა, როგორი ხმალხანჯალი ეკიდა. მერე გადავიდოდა იმაზე, თუ როგორ ასტეხეს ჩხუბი ბაგრატ თავადმა და პეტრე აზნაურმა. ჯერ ერთმანეთს მათრახები მოუქნიეს, მერე გაართყეს ურთიერთს, შემდეგ ხმალხანჯალ-რევოლვერებზე იტაცეს ხელი და ერთმანეთი დასჭრეს...

რაც შეეხება ბასილს, მან თითქმის ზეპირად იცოდა, სამეგრელოს თავდაზნაურთაგან ვინ რა, შინაარსის და ვისგან ბოძებული საბუთი შეიტანა ქუთაისის „პრისუსტიაში“ როგორც თვითონ ეძახდა. რვა წლის განმავლობაში ბასილი საბუთების საქმეში იყო გართული და ამას ისე შეეთვისა, რომ რაც გინდა სხვა საუბარი დაეწყოთ, ის მაინც ბოლოს საბუთობაზე გადავიდოდა.

— მერაბის სულს ვფიცავ, — იტყოდა ხოლმე, — ჩვენი საბუთისა მრცხვენოდა და, წარმოიდგინე, სხეებმა რანაირი საბუთები შეიტანეს? დუტუ მორჭილადის საბუთში სწერია: „რადგან მეურჩებოდი და ჩემის მოსისხლე მტრის გურიელის მხარი გეჭირა და იმასთან ჩემი საიდუმლო ამბები მიგქონდა, დაგივირე და ხუნდში ჩაგაჯდინეო“. ივანე ხელთათვიანის საბუთში ასეთი სიტყვებია: „თავმდაბლად მეაჯენით და ვისმინეთ თქვენი აჯა... და იმ თავითვე რადგან ჩემი მორჩილი ყმა იყავი, ჩემი ძველი ძიქვაც¹⁾ შენთვის მიჩუქებია“—ო. გოგი უროსალიამ რომ შეიტანა, იმ საბუთში სწერია: „ყმა იყავ ჩემი და მებეგრე, ლორი რომ მოგქონდა, ძროხის შვილზე შეგიცვალე, და რადგან ჩემი კარის დეკანოზი იყავი და ჩემი მლოცველ-მწირავი, ესეც მიბატებია და აზნაურობის წარისხიცი მომიცია“—ო. ეს ყოველიფერი კარგი — დამთავრებდა ბასილი, — მაგრამ შემამჩრწუნებელი ამბები გვესმის, მერაბის სულიმე, შემამჩრწუნებელი: თურმე ყალბი საბუთების შედგენა დაუწყიათ და გლეხებსაც შეუტანიათ...

ამნაირ ამბებს უგდებდა ყურს ტასია მთელი დღეობით და თვეობით. ზანდისხან ვერ მოითმენდა და ან დედას ან ძმას გამოედაეებოდა, რაც ყოველთვის უკმაყოფილობით თავდებოდა.

ზოგჯერ მამასაც წაელაპარაკებოდა ხოლმე საბუთობაზე. ტასია ამტკიცებდა, რომ ახლანდელ დროში აზნაურობის ძებნა და იმაზე ფულის ხარჯვა უპკუობააო.

ასეთი მსჯელობა ბასილსაც არ მოსწონდა და ხარდნაძის ქალი ხომ მოთმინებიდან გამოდიოდა.

1) შარვალი.

— რა მისი საქმე იყო სწავლა!? — ბრაზით სთქვა ერთხელ მარიკამ: — კლასში მეც არ მისწავლია, მაგრამ ხარდანაძის ქალი მარიკამი ვაჩუქა თუ? რომ მცოდნოდა, ასეთ სულელურ აზრებს შეითვისებდა, ღმერთო! როგორც გამიწყობოდა და იქ როგორ ვაგვზავნიდი. ეფროსიმეს გოგომაც გაათავა, მაგრამ ასეთ სიჩურჩუტეს რომ არ ამბობს? — კვირობდა მარიკა.

B.

ტასია ერთხანს დაფიქრებული იდგა. მერე გაიხედ-გამოიხედა და პატარა ტყეში შევიდა. ცდილობდა თამამად ყოფილიყო, მაგრამ გული მაინც საშინლად უტყვებდა. თვალწინ მხოლოდ ყმაწვილი კაცი ედგა, რომელსაც პატარაობითვე იცნობდა, რომელიც პატარაობითვე მისი მეგობარი იყო და რომლის სსენებაც ყოველთვის სიამოვნებას ჰგვრიდა ხოლმე. დღეს ეს ყმაწვილი კაცი მათთან იყო, უკვე საქმაოდ მომწიფებული, რომელსაც მამა მისი, ბასილ მძებრადე, არა თუ ქუონონაში, მთელ მაზრაშიაც ცნობილი აზნაური, მეგობრულად ეპყრობოდა და ცდილობდა ესიამოვნებინა. ტასიამ ცხადად დაინახა, თუ როგორ იმოქმედა ყმაწვილ კაცზე ბასილის სიტყვებმა: შენს მეგობარს კაი საქმრო მოუძებნეო. ტასიამ აშკარად შეამჩნია, რომ მასავით ფარნასაც გულზე რალაც ცეცხლი ეკიდებოდა და გადასწყვეტა გამომქლავნებოდა. უკეთეს შემთხვევას ვერც-კი იშოვნოდა.

მაინც რცხვენოდა და თამამად მისვლას და გამოლაპარაკებას ყმაწვილ კაცთან ვერ ბედავდა. იდგა პატარა ტყეში ერთ ალაგას, თავდახრილი, და წინ ფეხის გადადგმას ვერ ახერხებდა. ოჰ, რა გაუხარდება, ახლა რომ თვითონ ფარნა მივიდეს მასთან! ჯერ ისიც არ იცოდა, რას ეტყოდა, გრძნობდა მხოლოდ, რომ ძალიან გაუხარდებოდა...

ფარნა კი ამ დროს წამოწოლილი იყო ძეწნის ძირას და ტასიაზე ნაკლებ არ იტანჯებოდა. იგი სხვადასხვა გეგმას ადგენდა: როგორ და სად გამოლაპარაკებოდა ტასიას, ან წერილი მიეწერა, ან სხვა რამე საშუალება ელონა, თუმცა არც ერთი ქყუაში არ უჯდებოდა, რადგან ორივენი ისეთ პირობებში იყვნენ, რომ მათი მოხერხებულად შეყრა, დილაღაც ძნელი იყო. თვითონ რომ ზოგიერთებით მოცლილი ყოფილიყო, შეიძლება რამე მოეხერხებინა, მაგრამ მავარი ის იყო, რომ ერთი წუთი თავისუფალი დრო არა ჰქონდა. მძიმე ლოდივით მოაწვა სევდა გულზე ახალგაზრდა კაცს. გულის სიღრმეში სწყველიდა ფულსაც, ვაჭრობასაც, მალაზიასაც... ამ წუთში მთელი მისი არსება სხვა სენით იყო შეპყრობილი: მის გულს სიყვარულის ალი მოსდებოდა, ყოველის შემძლებელი გრძნობა დაუფლებოდა...

ტასია მიწას დასცქეროდა და არ იცოდა, ვაებდნა წინ წასვლა თუ უკან გაბრუნებულიყო. მის მახლობლად თავის სოროდან ფრთხილი ხელიკი გამოძვრა. შეიძლება ისიც გულის ფანცქალით ელოდა სატრფოსთან შეყრას ან, სიამოვნებით დამტკბარი, შინ წასასვლელად ეშზადებოდა, ან იქნება გაწბილებული, გულდამწვარი გლოვობდა. ყოველ შემთხვევაში ბუნებას მისთვის უფრო ცუდი ბედი ერგუნებინა, ვიდრე ჩვენ ახალგაზრდა ცირასთვის: მძღარი იყო თუ მშიერი, შეყვარებული თუ გაწბილებული, ხელიკს ყოველ წამს სიფრთხილე სჭიროდა, რომ რომელიმე მტერს მისი სიცოცხლისთვის ანდერძი არ აეგო. კარგად იცოდა, რომ ბევრი მტერი ჰყავდა, ამიტომ ყოველ ფეხის გადადგმავზე წინდახედული იყო. ფრთხილად გამოძვრა სოროდან და თავისი ქკვიანი თვალებით მიმოიხედა, მერე ზევით აიხედა: იქიდან ზომ არ მომელის.

რამე უბედურებაო. აიხედა და მისი ტანტალა თვალები ტასიას ანთებული თვალებს მოხვდა. ვაი, დავილუპეო, გაიფიქრა და, რაც ძალი ფაქტურა მქონდა, ტასიას წინ გაირბინა, თან ტყაცანი მოადინა გამხმარ ფინჩისებში და კულვახეთილი მიიშალა.

ტასია შეერთა, ნანა, ნანაო, წამოიკივლა და თვითონაც გულვახეთილი ღობისკენ გაიქცა. მისი ხმა ფარნამ გაიგონა და საჩქაროდ მასთან მიიჭრა.

რამდენიმე წამის შემდეგ ძეწნის ქვეშ ისხდნენ.

— ოი, დედა, ღმერთო! ბასილი ნუ მომიკვდება, ძალიან შემეშინა იმ წყეულმა გველმა, — ძლივს მოითქვა სული ტასიამ.

— შეიძლება გველი სულაც არ იყო, — შენიშნა ფარნამ.

— ამა რა იქნებოდა? ისეთი გაირბინა და ისეთი ტყაცა-ტყუცი მოადინა, რომ...

— შენ მტერს! — სიცილით სთქვა ფარნამ, — ხელიკი ყოფილა. გველს განა სირბილი შეუძლია? ნამდვილად ხელიკი იქნებოდა! — დაუმატა ფარნამ.

— რა ვიცი, მე კი შემეშინა, — ჩუმად წარმოსთქვა ტასიამ და გაწითლებულმა თავი ძირს დახარა: მერე ფრთხილად სახლისკენ მიიხედა.

— რა იყო? — შეეკითხა ფარნა.

— არაფერი, — გაფანტულად უპასუხა ტასიამ.

ფარნა აენტო, სახე გაუფიქრდა, მთელი ტანი ციებიანივით უცახცახებდა. ცდილობდა თავი შეემავარებინა, მაგრამ ვერას ხდებოდა. ერთი ორჯერ სახეზე ხელი მოისევა და ათრთოლებული ტასიას მარჯვენა ხელს დაატკერდა, რომელიც ქალს მუხლზე ედვა.

— ხელი ხომ არა გტკივა? — უცაბედად წამოსცდა ფარნას. თვითონაც არ იცოდა, რატომ უთხრა ეს და არა სხვა რამე.

— ხელი? — გაკვირვებით შეხედა ტასიამ. — არა. რომელი ხელი?

— აი ეს, — მიუგო ფარნამ და ქალის ნეკს ოდნავ ხელი შეახო.

ქალიც არ იყო ფარნაზე უკეთესს ყოფაში. ფარნა ნათლად ამჩნევდა, როგორ მიმოდ სუნთქავდა იგი და რა სისწრაფით ერწეოდა მაღალი მკერდი.

— ეს ხელი რომ არ მტკივა, — ძლივს წარმოსთქვა ტასიამ.

— მე დასიებულივით მომჩვენა, — მიუგო ფარნამ და ქალის ორ თითს: ნეკს და არა თითს ფრთხილად ხელი მოჰკიდა.

ქალიც დააჩერდა თავის თითებს და ჩუმად მიუგო:

— არა, ეს თითები არა მტკივა. შარშან ცერი მტკიოდა, ეკალი შემერტო, ზღმარტლს რომ ვკრეფდი...

— ჰოო, — გააგრძელა ფარნამ და თითებს ოდნავ ხელი მოუჭირა.

ქალმა ნაზად თავი დახარა. სახეზე ოდნავი ღიმილი უქროდა.

ვაჟმა დანარჩენი სამი თითიც ხელში მოიმარჯვა. ქალი სდუმდა.

— ხომ არაფერი გწყინს ჩემგან? — აკანკალებული ხმით შეეკითხა ფარნა.

— არა, — ჩუმად ჩაილაპარაკა ქალმა და რალაც უქნაურად შეხედა.

— მაშ არა გწყინს, მაშ არა გწყინს? — ტუჩების კანკალით ამბობდა ფარნა და ხელს თანდათან მაგრა უჭერდა.

— ხელი არ მომამტერიო, მეტკინა! — აღერსიანად ჩაილაპარაკა ქალმა.

ვაჟი აენტო.

— მეტკინა? ღმერთო მომკალი, გინდა ახლავე გაუშვებ?

— გაუშვი მეთქი კი არ მიტყვამს, მეტკინა მეთქი, — ტკბილად მიუგო ტასიამ და თვითონაც ვაჟის ხელს ხელი მოუჭირა.

— ტასია!—წამოიძახა ფარნამ.

— რა იყო?—პკითხა ქალმა.

ფარნას უნდოდა რაღაც ეთქვა, —ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა თავში, მაგრამ თქმას ვერ ახერხებდა, ენა არ ემორჩილებოდა. მთელი ტანი საშინლად აუჯანკალდა, თავბრუ დაესხა, ვერ ხედავდა, რა ხდებოდა გარშემო. ანთებულნი თვალებით ქალს შეაჩერდა... რამდენიმე წამიც და ერთმანეთს მაგრა ტუჩებით ჩაეკონნენ.

— ჩემო სიც...ოც...ხლევ! შენი ჰირი...მე!—ძლივს გასაგონად ლულულუღებდა ახალგაზრდა ცირა, როცა ვაფი მზურვალედ უკონინდა ტუჩებს, ლოყებს, კისერს...

ვაჟმა ქალს ხელი წელზე შემოხვია და მკერდზე მაგრა მიიკრა.

მაგრამ ტასია უკვე გონს მოვიდა, გამოერკვა და თავის განთავისუფლება მოინდომა.

ფარნა კი არ უშვებდა. მაგრა იქერდა და თავისკენ იზიდავდა.

— გამიშვი, გამიშვი ფარნა, ასე ხელს ნუ მიქერ, მტკიცია... ასე როგორ შეიძლება!..—ლულულუღებდა ტასია.

ცოტა-ცოტად აღელვებამ ფარნასაც გაუარა, ხელების ძალა შეასუსტა და მერე სულაც გაუშვა.

ტასიამ თმა გაისწორა და აბრეშუმის თავსახვევი ხელახლა შემოიხვია, თან სანდომიანი თვალებით ფარნას შეჰყურებდა და ამბობდა:

— ჩემთვის ეს ჯერ არავის გაუბედნია, ფარნა... არავის გაუბედნია და იცოდე, ვერც გამიბედავს. მაგრამ შენი ბრალი არ არის: მე მეტისმეტად აეჩქარდი, სისუსტე გამოვიჩინე. მაგრამ რა ვქნა: ღვთის და კაცის წინაშე გამიმუღავენებია, რომ გრძნობის დაფარვა ვერ შევიძელი. ჩემი ფიქრით, ბევრი ვებრძოლე ჩემ თავს, მაგრამ ვერას ვავხდი. მიყვარხარ ფარნა...

— მეც მიყვარხარ, ტასია, უსომოდ მიყვარხარ, დიდი ხანია მიყვარხარ, მაგრამ ვერ ვხედავდი. ასეთი ბედნიერება ფიქრადაც არ მომდიოდა მე, თოხიტარიას...

— სუ! ეს მეორეჯერ არ წამოგცდეს!—სალოკი თითის მალღა აწევით გაუჯაერდა ტასია:—შენ ქალაქ ადგილას ცხოვრობ, განათლებულ ხალხთან ახლო ხარ, მგონია, და ფრთხილად იყავ, რომ სოფლის გოგამ არ გაჯობოს...

ფარნა გაოცებული შეჰყურებდა.

— რა, გოკვირს? ჯერაც ვერ შეგიტყვია, რომ თოხიტარიობა-მძებრაძეობას ვადა გაუვიდა? მე შენ მეტყოდი, მეგონა, რასმე მაგაზე და, როგორც ვატყობ, იქით უნდა გაგაგებინო, —მძიმედ ამოიოხრა ტასიამ.—ცხოვრება შეიცვალა, მერე რა ჩქარა! ჰყონონაში დღესაც რამდენი კაცია, რომლებსაც თავიანთი თვალთ უნახავთ ბატონყმობის უსამართლობა. უნახავთ კი არა, თავიანთ ზურგზე უგემნიათ მისი სიტკბოება. ესლა კი სხვაა, ამის დანახვას სწავლა არ უნდა, ეს ცხადი და აშკარაა. ჩვენი აზნაურობა წეს-ასაგები მიცვალებულია. მიცვალებულს რომ შენდობის ქალაღს ატანენ, ზომ გინახავს, სწორედ იმას ჰგავს ახლანდელი საბუთობაია...

— ეს მე ცოტად კი ვიცი, მაგრამ მიკვირს, შენ ვინ გაგაგებინა, —სიცილით გააწყვეტინა ფარნამ.

— მე ვითომ რატომ არ მეცოდინება? ქალი რომ ვარ, იმიტომ?

— არა, მაგრამ...

— რაღა ბევრი მაგრამ გინდა, თუ კი ვამბობ, მაშ ეტყობა, გომიგია და შენც იმიტომ ვითხარი, რომ მაგნაირი ბოდიშით თავისს დღეში არ მომმართო. ჩემთვის შენ ადამიანი ხარ, რომელიც სულით და გულით მიყვარხარ. მეცხეული
მეხეიროსეა

ფარნამ ხელი დაუჭირა და მხურვალედ დაუკოცნა.

— მე იმდენად აღელვებული ვარ, ტასია, რომ ენა არ მემორჩილება. ათასი რამე მინდა ვითხრა, მაგრამ ძალა არ შემწევს, — წარმოსთქვა ყმაწვილმა.

ფარნა ანთებული თვალებით შეტყურებდა ლოყა ავარდისფერებულ ახალგაზრდა ცირას და ამ წუთში ის რაღაც უშველებელ არსებად ელანდებოდა.

— ეგრე დაკვირებით რას მიყურებ? — სიცილით ჰკითხა ტასიამ.

— უკეთესს ვის ვუყურო? ნეტავ მუდამ ასე მიყურებინა შენთვის, არც მასე და არც მაჭამა!

— გადააქარბე, მგონი. ვითომ იმდენად გიყვარვარ?

— განა ჩემ გულწრფელობაში რამე ეჭვი შეგაქვს, ტასია? — მწუხარედ შეეკითხა ფარნა.

— ამ წუთში გენდობი, ვხედავ, რომ მართლა გულწრფელი ხარ...

ამ დროს ბასილის ეზოში ქათმებმა საშინელი კაკანი ასტეხეს. ტასია სწრაფად ზეზე წამოიჭრა, ალბათ, გამოიღვიძებნო, ჩაილაპარაკა, და შინისკენ გაეშურა. ღობეზე მარდად გადახტა და ტყეში მიიმაღა.

ფარნა ერთ ალაგას იღვა სულგანებული და უკვე მოწყენილი თვალები იქით ჰქონდა მიქცეული, სადაც ახალგაზრდა ქალი ტანის ნაზი რბევით მიიმაღა. სიზმარში ხომ არა ვარო, ეკითხებოდა თავის თავს, თან განუზომელი სიხარულით ევსებოდა გული...

— სად გამეპარე, შე საპატიო კაცო? — აივნიდან ხუმრობით ვადმოსძახა ბასილმა, როცა ფარნამ კისერზე თოჯ-მობშული ცხენი ისევ ეზოში შეიყვანა. — პატივი გეცი, მგონია, ჭილობი და მუთაქა ჩრდილქვეშ მოგართვი, შენ კი ტყეში გაიპარე...

— დიდად გმადლობთ, ჩემო ბატონო, მაგრამ ამ ცხენის დარღმა აღარ დამაძინა.

— ჰო, ეგ კი დაგიმადლე, მერაბის სულიმე, პირუტყვის პატივისცემა რომ გყვარებია. შენ რამდენს იქით პატივს სცემ, შეილო, ცხენი აქეთ ხუთ იმდენს გცემს. ეს კარგი, ეს სწორედ მოგიწონე. საზოგადოდ ქალაქ ადგილას ნაცხოვრებ კაცებმა ძლიერ ნაკლებ იციან, ცხენის პატივისცემა. თოხარიკი ცხენის სიარული კი მოსწონთ! მოახტებიან ზედ და ჰაიდა, არ დაგიღვევენ, არც იკითხავენ, რომ ცხენსაც კაცივით მოშივდება, მოსწყურდება, ან დაიღლება. დალოცვილები ამაებზე თავს სრულებით არ იტკიებენ.

— არა, ბატონო, თუ რიგიანად არ მოუარე, მამა ჩემი მეორევერ არ მათხოვებს და საქირავებელი შემექნება, — მიუგო ფარნამ და ცხენი ოდის მახლობლად ზეზე გამოაბა.

— მამა შენი ცხენს რაეა დაგიჭერს, შე კაცო! მაგრამ... აქ შემოდი, კაცო, პირი დაიბანე, — შეიპატიეა ბასილმა.

— პირი დავიბანე კიდევ, ბატონო.

— სად?

— წისქვილის წყალში.

— სიმინდებში შეიარე? კაი დაგემართოს! როგორ მოგწონს ნამუშევარი?

— მშვენიერია, განსაკუთრებით წისქვილის წყლის გაღმა-გამოღმა. ექ ყოველთვის კარგი მონაწივე მინახავს, მაგრამ წრელს მაინც ხელ ჩინებულა. ის, მგონი, თქვენია?

— ჩემი ვახლავს, — ამაყად მიუგო ბასილმა. — ერთი წვევრტი ბოლოსკენ ლავრენტი ტყვარჩელიასია, სხვა კი ჩემია.

მათი ლაპარაკის დროს ტასია გამოვიდა და, თითქოს აქ არაფერიყო, გულგრილად აიენის ერთ სვეტს მიეყრდნო. ფარნა კი უნაგირის გამოსატანად ოდისკენ გაემართა.

— ბიჭს დაეუძახებ და იმას მოვატანინებ, შე კაცო, — უთხრა ბასილმა.

— მე ვითომ ბიჭი არა ვარ? — სიცილით მიუგო ფარნამ. — შეიძლება ეჭვი გაქეთ ჩემ ბიჭობაში?

ბასილმა ჩაიციინა.

— ბიჭებმა, ბატონო, როგორმე თავიანთ საქმეს დაუჩქარონ და უნაგირსა და მაგისტანებში არ შევაწუხებ, — განაგრძო ფარნამ, — ხვალ შეადლისას ურმები მიიდა გავგზავნო. ოცამდე კი მყავს მოპრიანებულნი...

— ხვალ სადილობის დროისთვის რა მოგახსენო, — მიუგო ბასილმა, — თუ კი ამდენად გეჩქარებოდა, რატომ გუშინვე არ მითხარი.

— მე კი ვითხარი, ბატონო! — სიცილით მიუგო ფარნამ.

— მაშ მოიკა, ერთი დავათვალიერებ, აბა რამდენი უკლიათ და თუ ისე ვნახე, რომ სამი კაცი ვერ მოერევა, დილიდან ბლომად დაეყრი და როგორმე მოვასწრობ. ამაზე არ შეგაწუხებ, ნუ გეშინია, — ჩაილაპარაკა ბასილმა და სასიმილისკენ გაემართა.

ფარნამ უნაგირი გამოიტანა, ცხენს დაადგა, წინა მოსართავი მოუჭირა და ბალიშს ხელით სწორება დაუწყო, რომ აიენიდან ჩუმი ძახილი მოესმა. აიხედა, ტასია ზევიდან გადმოპყურებდა. გოგომ ხელი წინ გაიშვირა და დაკეცილი ქალაღის ნიკერი ძირს ვადმოავდო. ფარნა საჩქაროდ დასწვდა და ჯიბეში შეინახა, თან ფრთხილად აქეთ-იქით მიიხედა. ტასიამ ერთი შეხედა, გაულღმა და წინა ოთახში შევიდა.

— ფიქრი ნუ გაქვს, — შემოილაპარაკა ბასილმა: — დღეს კარგად უმუშაენიათ, ხვალ ჰიფე სადილობამდის ბდღვირს აადენენ. ნარჩევი ბიჭები არიან. შენ მხოლოდ ფულები მოამზადე.

— ფულები უეჭველია, ბატონო, ნეტავ ათი იმდენი მოგცათ, რომ სულ წითელ-წითელი გაუტეხელი ოხარკალაია ბილეთები ჩაგიჩხრიალოთ, — მიუგო ფარნამ. ბასილმა არა უპასუხა რა.

ფარნა მორიდებით გამოემშვიდობა და თავის საქმეზე გასწია.

ბასილის ეზოდან გასული ფარნა მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როცა ტასიას მიერ გადაცემული ბარათის წაკითხვის საშუალება მიეცემოდა. ცალი ხელი ჯიბეში ედო და ქალაღი მაგრა ეჭირა, თითქოს ეშინიან, ვინმემ ჯიბიდან არ ამომაცალოსო. როცა ბასილის სახლს კარგა მოშორდა, ქალაღი ამოიღო და გულის ფანქვალით გახსნა. შიგ ფანქვით რამდენიმე სიტყვა ეწერა: „შაბათს შეადლისას იქ მოდი“. ფარნამ რამდენჯერმე ჩაიკითხა ეს მოკლე უსტარი. ქალაღის ნახევი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა, რომ მოესმა:

— კაი მაგას! მაგას ექნება ფულები, კაი ადგილას შემხედა! ჰეი გიდი: სად არის მაჰაჯირობა, ერთი რომ მაგას...

ფარნა შეკრთა. ქალაღი საჩქაროდ ჯიბეში ჩაიღო, ალვირი მოიმარჯვა და უკან მიიხედა.

მის უკან, ცოტა მოშორებით, გამხდარ ჭკეცხეზე ვადამჯდარი ქართონელი აზნაური ვახუ მძებრადე მოდიოდა. უნაგირის ძველ დახეულ ბაღშიდან ცალკე ხაესი და ცალკე ბამბა მოსჩანდა. რამდენიმე ადგილას უჩქრულ ტყეში რილი მოსართავები. მაგრა ერთი ერთი მუქა ღონემიხილ ცხენს. თვითონ მხედარს ვაჭუჭყიანებული შალის ყაბალახიდან ცხრა ადგილას დაკერებულ წულამდე, — ყველაფერში სიკოტრე და სიქესატე ეტყობოდა.

— ოჰ, ვახუს ნახვა მრავალ წელს! — მიესალმა ფარნა და ცხენი შეაჩერა. ვახუ დაეწია. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და გადააკონეს.

— შენი ჭირიმე, — უთხრა ვახუმ, — სწორედ დიდად მესიამოვნა შენი ნახვა, ოსეყმას სულს გეფიცები! მაგრამ ცოტა ქე გემღური, ამდენი ხანი აქანე ხარ და ერთხელ არა გვენახე.

— უკაცრად კი ვარ, მაგრამ. — მოიბოდიშა ფარნამ: — ხომ მოგეხსენებათ, ისე საჩქარო საქმეები მაქვს, რომ დღე და ღამე...

— ვიცი, ვიცი, ვაქარ კაცებმა სულ მასთე იცით, მაგრამ, — გაავრძელა ვახუმ, — თანაც უზანგებს ფეხები ძალზე მაგრა დააჭირა, რომ ცხენზე უფრო კობტად მჯდარიყო. საბრალო ცხენი სიმძიმისაგან რკალივით ჩაილუნა. საუბედუროდ, ცალი უზანგის ღვედი მკვიდრი არ გამოდგა, ფეხის დაჭერა ვერ აიტანა, ვაწყდა და მხედარი ცოტას ვაწყდა ძირს არ ჩამოვარდა. — შე ბალაგარო, შე ოხრად დასარჩენო! — უკმაყოფილოდ წამოიძახა და სხვა რა გზა იყო: ცხენიდან ჩამოვიდა. ბედზე თასმის ნაჭერი და სადგისი ჯიბეში ჰქონდა.

ფარნაც შეჩერდა და ისე შეტოკდა, თითქოს დახმარება სწადიანო. ვახუ, ცოტა არ იყოს, შეწითლდა და ფარნას ღარ-დასხმულ ცხენს და შიგრიანის ბალოშიან ახალ უნაგირს შურიანი თვალით ვადახედა. იგი ვამწყდარი ღვედის მიკერებას შეუდგა, თან თავის თავს პატარა ქება შეასხა ისეთი ჰკვიანური ჩვეულებისათვის, რომ თასმა-სადგისს მულამ თან ატარებს. არც დაწყებული ლაპარაკი დაივიწყა და ვანავრძო:

— ერთი სიტყვით, ძლიერ მოხარული ვარ, რადგან ჩვენი კეთილი და მეგობარი კაცი ხარ, რომ კაი ბიჭი ვამოხვედი.

— გმადლობ, ბატონო! კარგობა სად არის, მაგრამ... — მორცხედ მიუგო ფარნამ.

ვახუმ, როგორც იყო, უზანგის ღვედი დააკერა, ისევ ცხენზე შეჯდა და გზა ვანავრძო.

— აა, ბევრი ფულეები მივაქვს ჯიბით ხომ? რა ვასადარცავეი კაცი ხარ ახლა, ერთი მაპაჯირობა რომ იყოს!

— შენ ის თქვი, იქით არ ვაგძარცვო, — მიუგო ფარნამ.

— მე? — მწარედ გაიღიმა ვახუმ. — აბა რა უნდა წამართვა? ერთი ვახვრეტლი კობეიკი, უკაცრავად მოხსენებაა, არ მომეძვევა ჯიბაში. ჩემი ცხენი და უნაგირი რაც მტრის თვალების დამაბნელებელია, ცხადად ხედავ. სხვა რა, შეილო! ეს ხანჯალი? — ერთი ხელი ვახუმ ხანჯლის ტარზე დაიღო. — ეს ყაბა. ჩემო ბატონო, ვიანობა წელს ვიყიდე, ბათობი რომ ავიღეთ, მაშინ. მაშინ მე დვარენცი პოლკში მელიციათ ვიყავი. ვოჭრო არ აცხია და ვერცხლი. აჯერ ათ წელიწადზე მეტი იქნება, როგორც შენ არ ამოვიღია, არც მე, და არც ვიცი, ქარქაშიდან ამოვა თუ არა. ახლა, მგონი, ჩაყანგული უნდა იყოს. აბა მითხარი, ვინ რა უნდა წამართვას, ოსეყმას სულიმე? მაგრამ შენ ეს მითხარი, რა ქალაღი იყო, რომ ასე გულმოდგინედ ჩასჩერებოდი? თამასუქი ხომ არ იყო? ან შეიძლება ვინმე ბედ-დამწვარმა ვოგომ მოგწერა?

ფარნა ჰარხალივით წამოწითლდა და ინსტინქტიურად წელი ჯიბისკენ წაიღო.

— ჰო, ქე მივხვდი!—ალტაცებით წამოიძახა გახუმ:—^{ერკენულე}წუ^{ქეშეფყყიუქუ}წა-
გართმევ. აბა, რას არ მივხვდები? ეხ, სადა ხარ დროება, სადა ხარ სიყმაწვი-
ლევ! მოგიკვდეს გახუ, გახუ მოგიკვდეს, თუ ყოველთვის ასეთი გახუნებული
იყო! მე შენ გეტყვი, ბიჭი არ ვიყავი, აი! ვაიანობა წელს გულმკერდი სულ
სირძით მჭონდა აქრელებული. ბელაურზე კავკავის კეზი მელგა და ზედ მე
ვოჯდდი. სხვა რალა გინდა? იქიდან რომ გამოვბრუნდი, ვინც კი შემხვდებო-
და: გახუს გაუმარჯოს ღმერთმაო,—ერთ ჰქცევაზე თავს მიკრავდა. ჯიბეც არ
მჭონდა, ღვთის წყალობა, ცარიელი და ქალები, როგორც ფუტკრები თავლს
ისე მტხვეოდნენ. მწუწუნეს და მწუწუნეს, გაქეს ღღენჯრძელობა, სანამ თავლი
გამაჩნდა. მაგრამ როცა მოვხუნდი, თავლი გამომელია და ცარიელი ფიქა და
დავრჩი, ჩამომეცალენ, მაგ არ გასაშობები... ალბათ, მოგაკვლიეს ახლა ბედ-
დამწვარებმა, ფულიანი კაცის სახელი რომ გაგივარდა. იცოდე, ფრთხილად
იყავი, არ დაგიბრაიყვონ და არ მოგატყუნონ, თორემ ასე გაგზდიან!

აქ გახუმ მარცხენა სალოკი თითი პირში შეიყო, საჩქაროდ ისევ გამოიღო
და ფარნას უჩვენა, თან ისეთი სასაცილო სახე მიიღო, რომ ფარნამ ვეღარ
მოითმინა და გადახარხარა.

— ოსეუმას სულს გეფიცები!!—ღნჯად უთხრა გახუმ.—შამაკაცის ნაშრომ-
ნაღვაწს ქალი რომ არ ანიაგებდეს, ბარაქა ქვეყანაზე ვერ დაეტყვოდა... სხვა,
ფარნა, შენი ჰირომე, — ხმა დაშვებით შეეკითხა გახუ: — ხარ სულ კარგად,
სულ ყოჩაღად?

— გმადლობთ, ასე, თქვენი გამოისობით!

— კეთილი, კეთილი. ბევრი გაქვს კიდევ სიმიინდი საყიდელი?

— კაი თუთხმეტ-ჩვიდმეტ ათას ფუთამდე კიდევ მექნება საყიდელი.

— რა ცუდი დრო აგირჩევია: ახლა სადღაა სიმიინდი?

— ვიცი, მაგრამ ისე მოგვიხდა...

— ჰო, იშოვება ეხლაც.

— თქვენ, ბატონო, რავა მშვიდობით ბრძანდებით ოჯახობით?

— გახლავართ, გმადლობთ, სული გვიდგია. ცუდი დრო შეგვეწრო, მე-
ტად ცუდი დრო! ამ აზნაურობამ ხომ სულ ტუბუტში ჩავვაჯდინა. შენ არ
მომიკვდე! სამი ჰქცევა მიწა ისეთი გავყიდე, რა დაგიმალო, უმისოდ სასიმიდე,
ტყვილად რომ მელგას, რალად მინდა! მამა ვაჟიშვილისთვის არ შეეღეოდა,
მაგრამ რა შექნა? კაცს სირცხვილისთვის ზურავს ქუდიო. შენ რა, ღმერთმა
სიკეთე ბევრი მოგანიჭოს, ჯერ ბავშვი ხარ და ჩენი ძველი... ჰო, სხვა მძებ-
რაძებები ჩვენთან რა სახსენებელია!—ჩუმად ჩაილაპარაკა გახუმ.—ამას ჩენი
საბუთიც მოწმობს: საბუთი ისეთი მჭონდა, ისეთი საბუთი, რომ პირსუსტი-
აში ერთხანს საოცრებასავით ათვალეირებდნენ. მძებრაძე ის ჩენი ძველი ყო-
ფილა და ესენი კი, ა, მერენდელი, თითქმის ახლანდელი მოსულები არიან...

— მაშ საბუთი კარგი გჭონდა, ა?

— იიპ! ჩენი საბუთი, ბატონო,—გაავრძელა გახუმ,—ქალალზე კი არ
გახლავს დაწერილი, ტყავზე არის დაწერილი, გრძელ ტყავზე და რულეზეა
დახვეული. დადიას მოცემული კი არ არის, მაგრამ მაფას მოუცია ჩენი ძვე-
ლისათვის...

ამნაირი ლაპარაკით ისინი იმ ადგილას მიუახლოვდნენ, სადაც გზა ორად
იყოფოდა. გახუ ჰილის გზას გაჰყვა, ფარნა კი სერებისკენ გაემართა.

9.



თემა ბოჰოკიამ ჩვეულებრივ დროს ივანშმა და ჯარგვალის მამის მონაწილეობით მოღონულ-მიღონულ ფიქრებისგან გაკეთებულ ტანტზე დასაძინებლად წამოწვა.

ძილი არ ეკარებოდა. ან რა დაძინებდა: ცალკე უკმაყოფილო კუჭი აწუხებდა—ერთი კვირა გადიოდა, რაც რიგზე არ გამომძღარიყო, ცალკე ის უკლავდა გულს, რომ დღევანდელი მოსავალი მისი ცოლ-შვილისათვის საუნუგემოს ვერაფერს წარმოადგენდა. ზამთარი კარზე იყო მომდგარი, მას-კი ერთი ღერი შეშაც არა ჰქონდა დამზადებული. მოტანის თადარიგშიაც არ იყო, რადგან ძნელად თუ ვინმე ხარ-ურემს ათხოვებდა.

ამ საღამოს რაღაც განსაკუთრებით ნათლად წარმოუდგა თავისი უნუგემო მდგომარეობა და გულის სიღრმეში დაუდევრობა-სიზარმაცისთვის თავისს თავსაც ამტყუნებდა. იმავე დროს მეორე აზრმა ვეჭილივით გამართლება დაუწყა: რა უნდა გექნა, მარტოხელა კაცი ხარ, მიწა საკმაო და რიგიანი არა გაქვს, ხარები არა გყავს, მამულ-დედული არ დაგრჩენიაო, და სხვადასხვა. ამ ფიქრებით დატანჯული დაფლეთილ ლეიბზე მძიმედ გორაობდა.

უეცრად ძალღმა უღაზათოდ დაიყვდა და ჯარგვალის ახლოს ვიღაცამ დაახველა.

თემა გამოერკვა, ხმით იცნო, ვინც უნდა ყოფილიყო და საჩქაროდ ზეზე წამოვიარა.

— მობრძანდით, ბატონო!—მიიწვია კუღამ.

— არა, შენ თვითონ მოდი აქ.—მოისმა ძუკუ მძებრადის ხმა.

ჯარგვალის მახლობლად ჩამოსხდნენ. ბნელი ღამე იყო. იქაურობას მინდვრის ბაყაყების ყიყინი აყრუებდა.

— ასე ღამით რამ გაგაწყინა, ბატონო?—იკითხა კუღამ.

— მეზოღიშები კიდევ, შემომაკვდები, შე უბედურო!

— რატომ, ბატონო?—მიუჯო თემამ და გაიცინა. ძუკუსაც გაეცინა.

— კიდევ გეცინება? კაცი მეტი არა ვარ, ღამის გადავირიო, და რაც საქმე დაიწყე, რად არ ათავებ?

— რა ექნა, ღმერთმა ამოავდოს...

— არა, არა, რა ექნა კი არ გიშველის, ან უნდა...

— მომიტმინე, ძუკუ, ძლიერ ჩქარობ!—საქმიანი კილოთი გააწყვეტინა კუღამ:— ტყემალი ხომ არ არის, ეგ ოხერი, ტახანა ესროლო და ძირს ჩამოხერტყო. ღმერთმა ამოავდოს, ახლა ისიც საეშმაკოდ გამოეჩხირა! ქუჭა სარიქოს გავგზავნეთ, მეგონა, და ქუჭა კი არა, მეორე ისეთი გამოჩნდა და აგვიჩხირა დავთარი. ის ფარნაა თუ ვიღაც ჭაკი ცხენი, რომ ჩამოეთრია... გუშინწინ თბებს მიყოობოდა ის ყურუშსალი, ასეთი კაცი ის გამოვიდოდა, ამას როგორ მოვიფიქრებდი! ახლა რომ შეჰხელო, გადმობრუნებულა ყაზახი, მაგრამ როგორ?! რაც ის ფეხ-სატეხი მოვიდა, ნიკოიას სახლში დღეში ორმოცი კაცი ისე მიევა, როგორც ორი. ღმერთო, მოჰკალი! მოდის და მოდის ხალხი: ზოგი წინიდან, ზოგი უკანიდან, გზას არ დაგიდევნ და კარს. ზოგს ბე უნდა, ზოგს ანგარიშის ვასწორება, ზოგს კამერ-ურემი ჰყავს და სიმინდის წაღებას ურიგდება. ერთი სიტყვით, მის სახლში ახლა ხალხი ისე ირევა, როგორც სასამართლოში. იმ ქოფაკმა, იმ ნიკოიამაც შეშჰამა. ერთხელ, როგორც იყო, მივედი. მივედი რაღა, პატროსნად, წინა კარებიდან. დილა მშვიდობისა-მეთქი.

სიმინდი ხომ არა გაქვს, თემა, ვასაყიდო, მაშინათვე მომიხალა და ულვა-
შებში ჩაიციანა. მაგ ჩენაგა ყაზახმა, მაგან. ფარნამ-კი, — უმერეთსე მართალი
უყვარს! — ღმერთმა გავიმარჯოსო, ზრდილობიანად მითხნე. *სიცილით*

— შენ რა უთხარი მერე ნიკოიას? — სიცილით შეეკითხა ძუკუ.

— რას ვეტყვოდი, არა მაქვს-მეთქი. აბა რა გნებავსო, დამიჯინა. მოვი-
ფორთხიეც რაღაც-რაღაცა, მიდებულ-მიდებული. ვინცხას ვეძებ-მეთქი. მაგრამ
ლამაზი რომ არ გამოდიოდა, მეც კარგად ვხედავდი. იმ დღეს, აბა, რას გა-
ვაწყობდი. შემდეგაც, როგორც კაცი, ბარემ ოთხჯერ ვიყავი. საღ და საღ არ
ვუღარაჯე? ერთხელ კინაღამ მამასახლისი შემეფეთა, მერე ისეთ საიდუმლო
ალაგას რომ ვენახე, ეჭვს აიღებდა... ძლივს გადავრჩი. გუშინწინ, როგორც
იყო, ერთი წუთით შევხვდი: რა ვქნა, ხომ ხედავ, ხალხი როგორ ირევა, თა-
ვისუფალი დრო ვერ მომიძებნიაო. შაბათს ნასაღილევეს მოვიდესო, დაგზიბარა.

— მაგათი კისერის მოტება, მაგათი კისერის მოტება! — თავის ქნევით ჩა-
ილაპარაკა ძუკუმ. — ვერაფერს ველირსე! მაგის გულისთვის ახლა სხვა ქალე-
ბიც დამემდურენ...

— ეს ასე, ძუკუ, მაგრამ ერთი უნდა გითხრა: შენ გამოცდილი კაცი ხარ
და მე რაღა დავასწავლი: შენ თითონაც უნდა ეცადო, შენ თითონ უნდა გა-
მოელაპარაკო, უნდა დააჯერო, თორემ ჩემთან კიდევ რცხვენია ოჯახდაქ-
ცეულს! შენ ისე არ მითხარი: თუ გაჭირდეს, უთხარი ცოლად შეგირთაე-
თქვა. ამით ვუფერავ პირს, თორემ ისე ახლა ძნელია...

— შენც ერთი! — უკმაყოფილოდ გააწყვეტინა ძუკუმ: — უთხარი, თამამად
უთხარი, უსათუოდ ცოლად შეგირთავს-თქვა, შენ გარდა ცოლი ღმერთმა
შხამად უქციოს-თქვა. რა გენალღებდა, რომ არ ვიცი? თუ ასეთი ადვილი
რამე ბადეში შემოაგდებს, უთხარი, უთხარი, დაარწმუნე... ერთი ჩამივარდე-
ბოდეს ხელში, თორემ მერე მე ვიცი, როგორ უნდა ცოლად შერთვა!

— ასე, ჩემო ბატონო, და ახლა შენ იცი, მიდი შაფათს, უკეთესს დროს
ვერ იშოვნე.

— მესმის, გვარიანი ამბავი მოგიტანია. მაშ ზევ შუადლისას მივიდე, ა?

— დიახ, დიახ!

— ეს კარგია, სწორედ კარგია! — მხიარულად მიუგო ძუკუმ. — შენს გარ-
ჯას, ნუ გეშინია, დავაფასებ. ახლა კი, აი, მეტზე ნუ დამემდურები, — ხელი
გაუწოდა ძუკუმ და ქალაღდის ფული ხელში შეაჩერა.

კუდამ სიხარულისაგან კინაღამ ხელზე აკოცა.

მესამე დღეს, შაბათს, შუადლისას, ძუკუ მძებრადე ნიკოია თოხტიარის
ეზოს უკანიდან მელასავით ეპარებოდა. შეშფოთებული სახე ჰქონდა, ფოთ-
ლის ყოველი შრიალი, ჩიტის ტოტიდან ტოტზედ გადაფრენა აერეოლებდა.
სამზად სახლს უკანიდან მიუახლოვდა და შეჩერდა. აქამდე ზოგან ტყე იყო,
ზოგან სიმინდი და ვერაეინ შეამჩნევდა. აქედან კი როგორც სამზადი სახლის,
ისე სასტუმრო სახლის წინა პირი მწვანე ეზოს წარმოადგენდა, სადაც ალაგ-
ალაგ ხილის ხეები იდგა.

ძუკუმ კარმიდამო ფრთხილად შეათვალიერა. არავინა სჩანდა. სახლიდა-
ნაც არავითარი ხმაურობა არ მოისმოდა. მხოლოდ სამზადის გვერდით ქათ-
მები სიმინდებში ჭიებს ეძებდნენ. დაუბატიყებელი სტუმრის დანახვაზე მათ
უკმაყოფილო კაკანი ასტეხეს. განსაკუთრებით ცხარობდა ერთი ბებერი კრუხი,
თავი მაღლა აეღო, კისერი დაეგრძელებინა და გაჰყოლია: ამას ვის ვხედავ,

ამას ვის ვხედაო. სწორედ, სწორედო, კისერ-მოდერებული უდასტურებდა მამალიც და ახალმოსულ ვაებატონს ეკვიანად ათვლიერებდნენ.

— ჰოუ! ჰა, ჰა, ჰა! — მოისმა სახლიდან ქალის ხმა. გიგლიყოსეჟა ძუკუ მიხვდა, რომ გაიანე შინ იყო. ორი-სამი ნაბიჯი უკან დაიწია, სიმინდებში შევიდა და სულგანაბულმა ლოდინი დაიწყო.

ქათმების ხმაზე სახლის გვერდით მწოლარე ძაღლიც გამოერკვა, თავი მაღლა აიღო და ძუკუსკენ უგულოდ ყეფა დაიწყო. ვო, ვო, ვო! — იძახდა გიშერა და თავს ოდნავ აკანტურებდა, ტანი-კი არ შეუნძრევია, რკალივით ჩრდილში წამოწოლილიყო.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ძუკუ ელოდა, მაგრამ სახლიდან გაიანე არ გამოვიდა. ვაჯაკს მოთმინება დაეკარგა, აქეთ-იქით მიმოიხედა, დაავლო ფხვიერ მიწას ხელი და ქათმებისკენ გაისროლა, თვითონაც გასაქცევად მოემზადა, თუ ვინცობაა ვინმე მამაკაცი გამოვიდოდა. ქათმებმა უფრო მეტი ალიაქოთი ასტეხეს და ფრთა-ვაშლილები სახლისკენ გაიქცნენ. ერთმა ქორფა წიწილე-ბიანმა კრუხმა-კი უმჯობესად მიიჩნია იქვე, სიმინდის განაპირად, შამბნარში მიმაღვა. თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა კრუხ-კრუხ-ს გაიძახოდა.

— ჰოუ! ჰა, ჰა! — ხმა მაღლა დაიძახა გაიანემ და საჩქაროდ ქათმებისკენ გაიქცა.

— გაიანე, გაიანე! — ხმადაბლა დაუძახა ძუკუმ.

— აქ მოდი, აქ! — მიუგო გოგომ, გახსნილი ღილები შეიბნია, ტანისამოს-ზედაც ხელები წაისე-წამოისევა და სახლის კედელთან შეჩერდა. — ნუ გეშინია, შინ არაეინ არის, — მიმართა კვლავ გაიანემ და ხელი დაუქნია.

— წინიდან ვერ მოვალ, შეიძლება მეზობლის სახლიდან დამინახოს ვინმემ, — გამოელაპარაკა ძუკუ.

— ეინ დაგინახავს? კარგი: აი აქედან შემოდი! — სთქვა გაიანემ და უკანა კარები შეაღო.

რამდენიმე ხნის შემდეგ სახლში ისხდნენ. ძუკუს საკმაოდ თამამად ეჭირა თავი, თუმცა აღლუგებული იყო. სახე გასწითლებოდა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, ერთის სიტყვით, კაცი ვნებათა ღელვად იყო გადაქცეული. გაიანესაც შეკრთომა ეტყობოდა, თუმცა ცდილობდა თავი უბრალოდ და ღირსეულად დაეჭირა.

— რამ მოგაწყინა, გაიანე? თუ ჩემი მოსვლა გეწყინა, ახლავე წავალ! — რიხიანად სთქვა ძუკუმ.

— მოწყენილი რომ არა ვარ? — მიუგო გაიანემ და რალაც უცნაურად გაულღობა.

ძუკუს ტანი აებურძენა და ოდნავ აუკანკალდა.

— ჰო, მაშ შენ იყავი, ქათმები რომ შეაშინე? — მიახალა ქალმა, — რატომ წინა კარებიდან არ შემოდი?

— მომერიდა, ეშმაკს თვალი დაუდგეს! ხომ არ მოვლი ვისმე? — დაუმატა ძუკუმ.

— ეის უნდა მოველოდე! ჩვენიანები, ალბათ, საღამომდი არ მოვლენ, — გულგრილად სთქვა გაიანემ.

— როგორ თუ, ალბათ? რომ მოვიდნენ?

— არა, — მიუგო გაიანემ და გაუბედავად გაუცინა.

— მაშ ახლა ჩვენ მარტონი ვართ?

გაიანემ თავის ოდნავი დაწვეით და ცალი თვალის დახუჭვით დაუდასტურა.

— ჩემთან ახლო დაჯდები გაიანე!—მიიბატიეა ძუკუმ და გაიანე.
 — აქ ვითომ რა მიჭირს, აქედან ძალიან კარგად გხედავ, დამიღლით მი-
 უგო გოგომ და ეშხით სავსე თვალეზი ვაეისკენ გადისრუფდეს.
 — ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს, — აკანკალებული ხმით მიუგო ძუ-
 კუმ: — შორიდან მწეს და მთვარესაც ვხედავ.

ქალმა არა მიუგო—რა, ოდნავ თავი დახარა.

— რა არის, გაიანე, რომ ჩემი წვალეზა გიყვარს? — რაც შეიძლებოდა ალერსიანად მიმართა ძუკუმ და დინჯად ზეზე წამოღდა. — შე უღმერთო, შენა, არა მხედავ, კაცი როგორ დადენი?

დამდნარს არაფერი მიუგავდა: გაეინჯილებული ვაეკაცი თითქმის კანში არ ეტეოდა. გაიანემ ცოტახანს თვალეზი დაამტერა და ორქოფად გაიღიმა.

— გაიანე! — ხეწნის კილოთი ჩაიჩურჩულა ძუკუმ.

— რა არის? — ჩუმადვე მიუგო გოგომ.

— არ გებრალეზი, შე ცეცხლ-მოკიდებულო? — ათრთოლებული ხმით სთქვა ძუკუმ და ქალის მარჯვენა იდაყვს ხელი შეახო.

ქალი არ უარობდა. ძუკუ გვერდით მიუჯდა და ხელი უფრო მაგრა მოკვიდა. ქალი არ ეწინააღმდეგებოდა. ვაემა ხელი წელზე მაგრა შემოხვია და თავისკენ მიიზიდა.

— უ... უ! — დაიკრუსუნა გოგომ, უცბად შეტრიალდა, ვაეის ხელეზიდან თავი გაინთავისუფლა და კუთხეში მაგიდასთან გაჩერდა.

— რა მოგივიდა, გაიანე, შენი ჭირიმე? — მიეაღერსა ძუკუ, — ხომ არა გეწყინა რა? — და თან ფრთხილად უახლოვდებოდა, თითქოს ფოც ცხენს იკერსო.

— არა, არაფერი მწყენია... მაგრამ...

— მაგრამ, რა? ხომ არა გჭამ? — საყვედურის კილოთი უთხრა ძუკუმ და კვლავ ქალისკენ გაემართა.

— ჭეიტ, ჭეიტ, ჭეიტ! — დაიძახა რალაც ჩიტმა მახლობელი ხის ტოტიდან. — ბეე! — სადღაც შორს შებღავლა ძროხამ.

— გაიანე!

— რა არის?

— ამას შენგან არ მოველოდი?

გაიანემ კვლავ არა მიუგო—რა.

ძუკუ ისევ მიუახლოვდა, ალერსით მხარზე ხელი დაადო, მერე ერთბაშად გადაიხარა და ლოყაზე აკოცა.

ქალი შეკრთა, ცალი ხელი სახეზე მიიფარა, მეორე ხელით მაგიდას დაეკიდა, ასე რომ ზედ დაწყობილმა ჭურჭელმა წკარუნი დაიწყო.

— გამიშვი, ძუკუ, როგორ შეიძლება! — წმეტუნებდა გაიანე და მაგიდას ხელს არ უშვებდა იმ იმედით, რომ ძუკუ ჭურჭლის დამტვრევას მოერიდება და თავს დამანებებსო.

მაგრამ ძუკუს ჭურჭლის დარდი სრულებით არ აწუხებდა, მას ჭურჭლის წკარუნი არც კი ესმოდა, რაც ძალი და დონე ჰქონდა გოგოს თავისკენ იზიდავდა და ჰკოცნიდა.

— გამიშვი, გამიშვი, ძუკუ, გეყოფა! გითხრა უნდა რალაც! — ეუბნებოდა ქალი, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ძუკუ ასე უბრალოდ არ მოშორდებოდა, პირიქით, ადვილად შესაძლებელი იყო, მაგიდა წაქეუულიყო და ჭურჭელი დაღეწილიყო, გაიანემ საუკეთესოდ სცნო მაგიდისთვის ხელი გაეშვა.

ახლა ქალი უფრო თამამად ეწინააღმდეგებოდა, და ზეზეურად წაიჭიდნენ.

— კარგი რაა? მე ძალით ხომ არ მოვსულვარ, შენ თანაშა იყავი, მეგონა!—უკმაყოფილოდ სთქვა ძუკუმ, გოგოს ხელი გაუშვა და გააფლანგებული სახე ცხვირსახოცით მოიწმინდა.

გაიანემ აბურძგვნილი ნაწნავი გაისწორა და ისეთი სახით შეჰხედა ძუკუმს, თითქოს ეუბნებო: შე დალოცვილო, რაღა დროის ჩემი მოტყუებაა.

— გაიანე! — ისევ გამოეხმაურა ძუკუ.

ქალმა პასუხი არ გასცა.

— გაიანე! — გაიმეორა ძუკუმ. — ან შენი ხელით ყელი გამომჭერი, ან იცოდე, მეტი აღარა ვარ.

— ყელის გამოჭრა ღმერთმა გაშოროს, — ჩუმად შენიშნა ქალმა.

— დედა ნუ მომიკვდება, აქ შენ წინ ჩემი ხელით თავს მოვიკლავ! — გაბრაზებით წარმოსთქვა ძუკუმ და თვალეზანთებულმა ხანჯალზე ხელი დაიდო. იმდენად აღელვებული იყო, რომ გაიანეს, ცოტა არ იყოს, შეეშინდა და ღმობიერად გამოელაპარაკა:

— ამ ზომამდი რად ფიცბდები, ძუკუ: პატარა არც შენა ხარ და არც მე...

— პატარასავით კი ირჯები და! — გააწყვეტინა ძუკუმ.

— ხა, ხა, ხა — ნელა ჩაიციხა გაიანემ: — პატარასავით რომ გავრჯილვყავი, შენ ახლა კმაყოფილი იქნებოდი...

— შე ცეცხლ-მოკიდებულო, ქე მაინც რა გალაპარაკებს ასეთ შხამიან სიტყვებს!

— შხამიანს სრულებით არ ელაპარაკობ, ძუკუ. გოგოობა კარგა ხანია გავათავე, სრული წლოვანი ვარ და ახლა მე რომ ისე პალა-პალად შევცდე და თავი დავიღუპო, დიდი სირცხვილი იქნება ჩემთვის...

— შეცდიო, ვინ გეუბნება? ან ვინ გლუპავს?

— დალუბული არ ვიქნები?

— რატომ?

— როგორ რატომ: კისერ-მოჭრილს ქე დამტოვებ...

— ვინ ვითხრა? — ვითომ და დიდად გაიკვირვა ძუკუმ.

— რა ბევრი თქმა უნდა, როგორც მეფის შვილი მე არ შემირთავს, ისე არც შენ შემირთავ... — ქალმა თავი მოწყენით ძირს დალუნა.

— რატომ ვითომ? რომ შეგირთო? — მტკიცედ სთქვა ვაქმა.

ქალმა ამღვრეული თვალებით შეხედა.

— რაო? ვითომ რაო? — გამოცოცხლდა ძუკუ. — ვითომ შენ რომელი აზნაური შვილის ქალი გჯობია? ან შენ ძმებს რომელი აზნაურის ბიჭები სჯობიან? მაშინ მოგიკვდეს ძუკუ, თუ შენ რომელიმე აზნაურზე გაცვალოს! ღმერთი თავდებად მომიცია... აბა რა ვითხრა: რაც მე შენ დაგინახე... ახლა კი არა, აგერ ხუთ-ექვს წელზე მეტია... რაღაც ისე გულში ჩამივარდი... მას აქეთ დღე და ღამე სულ წინ მელანდები... ღმერთი არ იცი? საცაა გადავიროო... შენ კა სისხლის მაგიერად ძარღვებში წყალი გდგმევია და ეს არის! ჯანა ჩემს ტანჯვას არ ხედავ? — და რაც შეიძლებოდა ღმობიერად მივალერსა ძუკუ.

— რომ მომატყუილო, ძუკუ? — ნელა წარმოსთქვა გაიანემ.

— მეე? — წყენით სთქვა ძუკუმ.

— ეხ, ძნელი სანდოა!

— ჩემს სისხლს, ჩემს ღირსებას თავისს დღეში არ შევკადრებ, რომ პატროსანი სიტყვა ერთხელ ვთქვა და მერე ისევ გარდავთქვა...



ქალი ყოყმანობდა, დაფიქრებული ძირს იყურებოდა.

— შენ მაშ ასეთი შჩატე აზრის ყოფილხარ ჩემზე? — ვიფიქრებ, ნაწყენმა სთქვა ძქუქმ. — მე კი სხვანაირად ვფიქრობდი... კარგე კარგი მდგობელი ვარ... რომ სიმართლეს არ გადის ახლანდელ დაქცეულ დროში!

— არა, მე ისე, გულმოსასვლელად კი არ მითქვამს, — მშვიდად მიუგო გაიანემ. — თუ კი მართლა ასე გულწრფელად გიყვარვარ, რას ჩქარობ, საქმე კანონიერად გავათავოთ და სულ შენი არ ვიქნები?

— შენ, წლოვანი ვარო, ამბობ და გეტყობა ჯერ კიდევ ბალლი ყოფილხარ. განა არ იცი შამა-ჩემის, ძველი ხახურაზის ამბავი? გინდა, რომ ერთი ალი-აქოთი ასტეხო, ეს საქმე ნელ-ნელა უნდა შევაპაროთ, თორემ ასე ტუქურად ვინ გაიგონა? შენ მე მენდევო, ბატონო, მე შაცალე და თუ საქმე გავაფუჭო, რაც გინდა, ის მიყავი. ღმერთი თავდებად მომიცია, როგორც შენ ფიქრობ, ისე მოვაწყობ საქმეს...

ქალი სდუმდა. ძქუქ ნელა მიუახლოვდა. ფრთხილად ხელი შემოხვია და გულში ჩაიკრა.

— ახ, არა, შე კაცო!.. უჰ! — არც მაინც და მაინც მტკიცედ უარობდა ქალი.

ამ დროს გარედან რაღაც ხმაურობა მოისმა.

ქალ-ვათი გაშეშდა.

— ხე! — მშრალად დაახველა ვიღაცამ და ცოტა ხნის შემდეგ ხრინწიანი, მიღებული ხმით დაიძახა: — ყვი მასპინძლო!

ხმაზე ეტყობოდა, მოხუცი უნდა ყოფილიყო.

— ვინ დასალუბავია? — ჩუმად სთქვა ძქუქმ. მზად იყო, ამ დაუბატიებელ სტუმრისათვის ხანჯალი ტარამდის ჩაეცა გულში.

— არ ვიცი, ვინ არის. — ჩუმადვე სთქვა გაიანემ. — ჩვენნიანის ვისიმე ხმას არა გავს.

— ღმერთო მომკალი! ახლა როგორ?

— შენ აქ იყავი, ერთ წუთს გავალ, — კანკალით, ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა გაიანე. პირზე ხელი მოისვა, თმა გაისწორა და კაბაზე დაიხედა.

— ყვი მასპინძლო! — გაიმეორა სტუმარმა.

— ვაი შენ! — ბრაზით ჩაილაპარაკა ძქუქმ და ზიზლით გადააფურთხა.

— მობრძანდი, ბატონო! — გაისმა გაიანეს ხმა.

— ოო, ბაბაია, შინ არავინ იყო, მეგონა... აი, სიკვდილს თვალი დაუდგება! ქალი, ბაბაია, ოჯახის დამამშვენებელია. აი, ახავია! — მოისამძიმრა, ალბათ, ან გაიანეს დედაზე, ან დიდედაზე ნაღვლობდა.

გაიანე აივანზე გავიდა. აივნის წინ, მდებარე, ვიღაც მოხუცი იდგა, რომელიც გაიანეს საღვაც ენახა, მაგრამ მისი სახელი და გვარი აღარ ახსოვდა. მოხუცი პატარა კაცი იყო, თოვლივით თეთრი მოკლე წვერ-ულვაში ჰქონდა. თავზე მოძველო შალის ყაბალაზი ეხვია, გაყვითლებული მოკლე ნაბადი გვერდზე ჰქონდა მოქცეული, ხელში ბლის მოგრძო ჯოხი ეჭირა. სანდომიან თვალებს ჯერ კიდევ მკვირცხლად აცეცებდა. საზოგადოდ გულკეთილი გამომეტყველება ჰქონდა.

— მობრძანდით, ბატონო! — გაიმეორა გაიანემ.

— ოო, ბაბაია! კი, ბატონო! — აუჩქარებლად სთქვა მოხუცმა და ნელ-ნელა ივნის საფეხურებზე ავიდა.

გაიანემ სკამი გამოუტანა. მოხუცი ჩამოჯდა და ზურგით კედელს მიეყრდნო.



— ნიკოია არ არის, ბაბაია? — ალერსით ჰკითხა მოხუცმა.
 — არ გახლავს, ბატონო!
 — არც ბიჭები?
 — არც ბიჭები.
 — სად არიან, ბაბაია?
 — ბაბა, პეტრე და ათანასე ჰვავს თესენ დობებრაში, ივანე და ფარნა სიმინდის საყიდლად დადიან.

— ჰო, ბაბაია, მეც იმ სიმინდის მყიდველები მინდა... შენ, ბაბაია, ნიკოიას შვილი ხარ?

— დიახ, ბატონო!

— კაი დაგემართოს! კაი ცირა დარჩენილხარ საწყალ დედა-შენს. მე არ მიცნობ, ბაბაია, და შენი ბაბა კი კარგად მიცნობს. მე აქ ვალმა ვსახლობ. მე თუთაშხია მოწებია ვარ. ერთი-ორი კაკალი ღეთის წყალობა ქე მქონდა სიმინდი. შენი ძმა მიქეს, კაი ფასს აძლევსო, თორემ სიმინდის მყიდველი თმის სისქე ირევა... მეც წამოვიჩანალაკდი. მაგრამ რა? — ბუზღუნით წარმოსთქვა მოხუცმა: დავბერებულვარ, ბაბაია, დავბერებულვარ. მე მამა შენზე უხნესი ვიქნები. როცა ის პატარა თიკნებს მიუობოდა, მაშინ მე მხარზე ყირიმის თოფი შეკიდა და შველებზე და ტახებზე ენადირობდი. — მოხუცი ლაპარაკის დროს ხშირად ჩერდებოდა, სულს ითქვამდა, ამოქნარებდა და ისევ ნელ-ნელა აგრძელებდა. — მეტი არა ვყოფილვარ, ბაბაია: უფრო თამამად წამოვიდოდი, მეგონა, მარა, ყა, არა, ღონეს უღალატნია. ეს მუხლები მაშინათვე ჩამეყეცება, თუ ცოტა მეტი გავიარე. ამ აღმართზე სულ ვერ დავატანე ძალა. ჰაი, ახავი! როცა ჯეელი ვიყავი, ასეთი აღმართი კი არა, გურიის და სვანეთის მთებზე ჯოგს რომ გავრეკავდით, ჩიტივით დავფრინავდი. აა, ვავაია! — ჩაიკრუსუნა მოხუცმა, უკან ხელი წაიღო და ქამრიდან მოკლე-ტარიანი, გამურული ჩიბუხი ამოიღო, მოსძებნა არა ნაკლებ გაქუჭყიანებული მიტკლის ქისა და შიგ ყალიონს თავი ჩაუყო. — ერთი, ბაბაია, ცეცხლი მომიტანე, — მშვილად მიუბრუნდა გაიანეს.

გაიანემ ასანთის კოლოფი მიუტანა.

— ოო, ბაბაია, სიფირჩქა მომიტანე? მუგუზალი მოგეტანა, ბაბაია, ამას ხეირიანად ვერც კი მოუკიდებ... ეე, სად იყო, ბაბაია, სიფირჩქა! სიფირჩქა კი არა, ცხონებულ ოტია ფართას, — კაი თავადიშვილი იყო უბედური! — სიფირჩქა თვალით არ ენახა. მზის სინათლით ჯდებოდა ვახშმად, სანთელი რომ არ დახარჯოდა. — თან ლაპარაკობდა მოხუცი, თან ერთი ღერი ასანთი აიღო და გაუბედავად კოლოფზე წაუსვ-წამოუსვა.

მაგრა ჩამოკარით, ბატონო, — შენიშნა გაიანემ, რომელიც სიცილს ძლივს იკავებდა.

მოხუცი შეეცადა მაგრა ჩამოეკრა, კიდევაც ჩამოჰკრა აკანკალებული ხელით, მაგრამ ასანთი შუაზე გადაუტყდა.

— მე მოუკიდებ, ბატონო, — მორიდებით უთხრა გაიანემ და მოხუცისკენ მიიწია.

მოხუცმაც ასანთის კოლოფი სიხარულით მიაწოდა. გაიანემ ერთი ღერი აიღო, მოუკიდა და თუთუნით სავეს ყალიონს დაადო.

— აა, ბედნიერება და გახარება შენი, იპ, იპ, იპ! — სიამოვნებით უბაბუნებდა მოხუცი ჩიბუხს და სქელ-სქელ კვამლს პირიდან უშვებდა. — კარგია, კარგი, ბაბაია, კარგად დასახლებულა ნიკოია! ღმერთმა ხელი შეუწყოს!

ბევრი ხანია, ბაბაია, თქვენ სახლში არ ეყოფილვარ, მაშინ ეს სახლი არ გელგათ.

— სახლი, ალბათ, ეს იქნებოდა, ბატონო, — მიუგო გაბნეულად მერე გამოვავეთეთ.

— აა, განზედ მოაბრუნეთ? ჰო, ვიცი, ვიცი, ახლა ვიცი! კაი დაგემართოს! — ათვალღიერ-ჩათვალღიერა სახლი მოხუცმა. — თვალს ვერ ვაწვდი, ბაბაია, რიგინად ვერ ვხედავ... ახლა, ბაბაია, — მიუბრუნდა გაიანეს: — ისევ შინ წავიდე, მერე აბა რა ამომიყვანს? რაკი მოვედი, ქე მაინც ვნახავ შენ ძმას და ახლა ბარემ სუმინიკას სახლში შევალ, სისხლი და ხორცია, საწყალი რამდენი ხანია არ მინახავს, სიკვდილ-სიცოცხლეა, ბაბაია. ერთ თვალს იმათაც მოვკრავ და ასე საღამო ეამს ისევ შემოვივლი, ბაბაია.

ესა სთქვა მოხუცმა, მძიმედ წამოღგა, ნელ-ნელა კიბეზე ჩავიდა და გზას გაუღგა.

— გაიზარდე, გაიზარდე! — მიეაღერსა პატარა ხბოს, რომელიც თუთის ხის ძირში იწვა, მოხუცის მიახლოვებაზე წამოხტა, ცქვიტად წაიკუნტრულა და, შორი-ახლო გაჩერებული, მოხუცს შეაჩერდა.

— ვინ კარგამოკეტილი იყო, ვინ ოჯახდაქცეული? — ცხარობდა ძუკუ.

— რა ვიცი, თუთაშხია მოწებაია ვარო.

— თუთაშხა¹⁾ კი არა, ეაშხაც²⁾ ნუ გაუთენოს წმინდა გიორგიმ! რაზე მოეთრია აქ?

— თავის საქმეზე მოვიდა.

— საქმიანად ამოაგდოს ჩემმა გამჩენმა!.. გაიანე, აბა...

— ახლა არა, შენი ჭირიმე, ძუკუ! ახლა ვერაფრის ვხით ვერ შეიძლება. ვგებ კიდე ვინმე მრვიდეს, ქვეყანაზე თავი მომეჭრება.

— შენი ხელით მომკალი და ეს არის! — სასოწარკვეთილად მიუგო ძუკუმ.

— რომ მომკლა არ შემიძლია, — გადაჭრით სთქვა გაიანემ.

— შე აქედან ცოცხალი არ წავალ! — მიუგო ძუკუმ.

— აბა რა ვიყო, რომ არ ვიცი! — სიცილით წარმოსთქვა, გაიანემ.

— კიდე გეცინება? ეშმაკებად ხართ გაჩენილი ქალები!

— თუ ეშმაკი ვარ, თავს რად მატებ? — ისევ ჩაიცინა ქალმა.

— რა ვუთხრა მაგ შენს ენას! — ნელა მიუგო ძუკუმ, მიუახლოვდა და ხელი მოხვია.

— შეშინია, ძუკუ, მზე გადახრილია, იქნება ვინმე მოვიდეს, ან რომელიმე ბიჭი დაბრუნდეს. მართლა, დღეს შაბათია, აღრე მოვლენ. — გაიანე დაფიქრდა: — მომითმინე, მომითმინე. იცი, რა გითხრა? — მზიარულად სთქვა გაიანემ. — მოდი ერთი ჩვენ ხულაში შედი და იქ მოითმინე, მერე შე მოველ...

— რატომ აღრე არ მითხარი, ეს თუ იცოდი? — სიხარულით წამოიძახა ძუკუმ, — მაგრამ იქ რომ ვინმე შემოვიდეს?

— ვინ შემოვა, ჩემ გარდა, იქ ძვირად თუ ვინმე შევა...

— მაშ კარგი, — მზიარულად ატიკტიკდა ძუკუ და უკანა კარებისაკენ გაეშურა.

ძუკუ სახლიდან გაეარდა და ხულისკენ გაიქცა. ხულა სახლს ექვსი-შვიდი საყენით იყო დაშორებული. ერთი მხრიდან სახლი ფარავდა, მეორე მხრი-

¹⁾ ორშაბათი.

²⁾ კვირა.

დან — ხეები და მაღალი სიმიინდი, ასე რომ იქ შეშავალს, თუ არ სავანებო მზვერავი, ძნელად თუ ვინმე შეამჩნევდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გაიანეც მივიდა, ღია კარში შევხვდნენ და მსუბუქი ხმით შეილაპარაკა: ოპო, შენი გულისა, რა კარგი ხარი მყავს დამწყვედულო.

— ვაი, შენი ჭირი! — მკერდზე ხელის დარტყმით სთქვა ძუკუძმ.

— კარი დავეტო ვინდა, თუ ღია დავარჩინო?

— ცოცხლად გინდა მაინც და მაინც მომხარშო? ქე მაინც წყალი აადულე და შიგ ჩამაგდე!

— მაშ კარგი, ღია იყოს. აი მავ სიმიინდის ტაროებზე წამოწევი, ცოტა უხერხულად კი იქნები, მაგრამ რას იზამ, უნდა მოითმინო, — სიცილით მიუღო გაიანეც.

ხულა წარმოადგენდა მკვიდრ ფიცრულ თთახს. ჭერ-იატაკიც მაგარი ფიცრებისაგან ჰქონდა. ფიცრები ერთმანეთზე ისე მჭიდროდ იყო მიკრული, რომ კარის გარდა არსაიდან სინათლე არ შედიოდა. კარი კი, სიგრძე-სიგანით სამ ჩარქემადე, წინა კედლის შუა ადგილას იყო გამოჭრილი, ასე რომ შიგ შემსვლელი ერთბაშად ვერ შევიდოდა: ჯერ თავი უნდა შეეყო, მერე ტანი და ფეხები გადაეჩოჩებინა. შიგნით ხულა პატარა დაბალი კედლით ორად იყოფოდა, ერთში ზოგი ვაუფშენილი, ზოგიც ვაფშენილი სიმიინდი ეყარა, მეორეში ვაუცეხავი ღომის თავთავი და ოჯახის სხვადასხვა სახმარი და უხმარი ზურდა-მურდა — პატარა ქვევრები, ქოთნები, ღოჭები, ერთი დიდი ღვინის საწყავი კოკა, მარილით სავსე თიხის ტაშტი. კედელზე დამტკრეული კეხიც ეკიდა. გატეხილი ცოცხვი იქვე იატაკზე ეგდო. ხულის შიგნით სისუფთავეზე, ეტყობოდა, ნაკლებად ზრუნავდნენ. მის კედლებსა და იატაკს, მგონი, ცოცხვი არასოდეს არ მიჰკარებოდა. ამიტომ საითკენაც უნდა მიგეხედათ, მტვერი ეყარა. რადგან, პატარა კარის გარდა, ჰაერი არსაიდან არ შედიოდა და კარიც მეტწილად დაკეტილი იყო, შიგ აშშორებული სუნი ტრიალებდა. რაც უსუფთაობის მხრით პატრონს ხელი დაეკლო, ის ობობას შეესრულებინა და ჭერი და კუთხეები ღამაში ქსოვილებით მოეფინა.

ამნაირ საპყრობილეში იყო თავის ნებით დამწყვედული ვენბათა ღელვისაგან თავბრუდასხმული ყმაწვილი კაცი.

— მომითმინე მე შენ, თუ ხელში ჩაგიგდე! — იმუჭრებოდა ძუკუ, სიმიინდის ტაროებზე წამოწოლილი.

ერთხანს სიმიინდზე წოლა კიდევაც ესიამოვნა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო გრძნობდა კუნთებში ტკივილს. გარდა ამისა, ყოველ მის განძრევა-გამონძრევაზე სიმიინდის ტაროები ირხეოდნენ, ერთმანეთს ეხახუნებოდნენ, რაც ნერვებაშლილ კაცს საშინელ უსიამოვნებას ჰგვრიდა. ყველაზე უფრო ღოდინი აწუხებდა, ერთი წამი ერთ საათად ეჩვენებოდა. ძუკუ ვერ იტყოდა, რამდენი ხანი გავიდა, რაც ამ დიახაც არასასურველ ყოფაში იყო, ატყობდა კი, რომ საღამო ეამი მოახლოვებული უნდა ყოფილიყო. მის ყურებამდის მამაკაცის ხმამაც მიაღწია:

— ჩქარა ვაარბენიე, ბიჭო, ვუჯუსთან თოხები, დილას ადრე მზად დაგვახედროს. ჩემი ერთ მხარეს ცოტა სქელია, დაათხელე-თქვა, უფრო უფრო ფეხის? მოითმინე, აქეთობას წისკვილშიაც გამოიარე. მაძინიას უთხარი, ჩვენი სალამოსათვის სამი ქილა უსათუოდ დაამზადოს, საღერღელად მიუშვას, საღერღელად, გაიგონე?

— ჰო!

— აბა, გაეჩქარე, — აბარებდა ნიკოია ათანასეს და მჭედელ-წისკვილისკენ ჰგზავნიდა.

— ა, ა, არიქა, აქეთ დახვდი პეტრე, აქეთ! ის კინჩხ-მოსატეხი გოგო სადღა ნეტაეი? — უფრო გარკვევით და, მაშასადამე, ხულასთან უფრო ახლოს მოესმა ძუკუს ნიკოიას ხმა. — არ გაუშვა, არ გაუშვა! აი ბანძლი თუ გინდა! ესენი თუ თავისით ანგვარაში შესვლას არ დაეაჩვიეთ, ტყუილია ჩვენი საქმე! რძე ხომ რიგინად მოსწველე, პეტრე, ასე ჰო, ასე, იქით, ჭიშკრისკენ დახვდი!

ცხადი იყო, რომ ხბორებს დასაბინავებლად დასდევდნენ. ხმა ხან გარკვევით ესმოდა ძუკუს, ხან გაურკვეველად.

— აი, ენწერთლმა მგელმა კისერი მოგიგრიხა შენ! — წყენით ჩაილაპარაკა ნიკოიამ თითქმის ხულის გვერდით.

ძუკუმ სული განაბა და კედელს ლავაშევით მიეკრა.

— ხულის კარიც ღია დაუტოვებია მაგ რინტუ გოგოს... აგერ, აგერ დაბერდება და მიმხვედრილობა კი არა აქვს. ჩვენი საცხოვრებელი კი შიგა ყრია. შემობრძანდეს ეგება ის კაცი და შენი ლუკმა თავის სახლში წააბრძანოს, ბევრ ზრასტისაც არ გეტყვის, — სთქვა ნიკოიამ, ხულის კარი მაგრა მიაჯახუნა და რკინის რაზა გაუყარა.

— ოჰო-ჰო! ე მაგრე, ყურში დაავლე ხელი, ყურში მაგ ბალანგარს, კისერზე ხელს ნუ მოუტყერ, ცოდვია, ღმერთმა თუ ცული რამე არ უქნა, გვარიანი მოზვერა გამოვა... ერთი გაიანესაც უთხარი, ხულას ბოქლომი დაადვას. ახლა სიმინდი ძლიერ მოსაფრთხილებელია, ბევრია, კაკალი არ მოეძვევა... აბა, ჰა, პეტრე, შენ იცი, მაგ გოქს რა კარვად გატრუსაე! — ამბობდა ნიკოია და ხულას თანდათან შორდებოდა.

ძუკუს მდგომარეობა მართლაც უხერხული იყო. ბრაზიც მოდიოდა და ეციინებოდა კიდეც. სწუხდა, თავის თავს სწყევლიდა. გარშემო ჯოჯოხეთური სიბნელე ეხვია. ერთ წუთს ხანჯალზე დაიღო ხელი და მით კედლის გამოქრა მოინდომა, მაგრამ მალე უკუაგდო ეს აზრი...

ბოლოს ფეხის ხმა მოესმა, კარი ფრთხილად გაიღო და გაიანემ ჩემად შეილაპარაკა:

— აბა, წადი, თავს უშველე, სტუმარი მოგვივიდა, ვერ მოვახერხებ!

ეს იყო და ეს. გაიანე ხულას განშორდა. და კარი ღია დასტოვა.

— აი თქვენი... — რალაც, არც იმდენად საალერსო, სიტყვები წაიდუღუნა ძუკუმ, ხულიდან საჩქაროდ გადმოხტა და სიმინდებში შევიარდა. ვიშერა, რომელიც ღლისით მოკაეული იწვა, საშინელი ყეფით წამოვიარდა, როცა სიმინდებში შრიალი მოესმა.

ქუე უგზო-უკვლოდ გარბოდა სიმინდში, ხოლო ვიშერა ვაი-ლით მის-
დედა.



— ა... უ... უი!—ჩაუყიენა პეტრემ.

— მიდი, ჰო, მიდი, ჰო, არ გაუშვა!—აქეზებდა ნიკოიაც.—ტურაა ნამდვი-
ლად, ტურა!—ამბობდა ნიკოია.—აქეთ რობუსკენ აქეს ომანე¹⁾ იქით კვირას
ენახე, სულ ახალი გამოთხრილია. ოსქს²⁾ კარები ხომ კარგად დაუკეტე, ბაბა?
საშიშია, გოკები არ დაგვიკამოს მაგ მსუნაგმა, მაგანა. ღმერთო შენით, ერთი
თუ მოვიცალეთ, დადარაჯება უნდა, ან ომანე დავათხაროთ, თორემ ქათმებზე
ვაგვაწყალეხს...

— ოი, თქვენი რჯული და სალავეთი!—და ერთი მეორეზე უფრო მყრალ
სიტყვებს ისროდა ქუე, თან სიმინდებში მირბოდა. ერთ ადგილას ღობეს
მიადგა. რა თქმა უნდა, შურდულივით გადაეშვა. იქით ეკლნარი და ბუჩქნა-
რი აღმოჩნდა. ეკალი წამდაუწუმ ჩოხა-ახალუხს ედებოდა, მის ცხვირ-პირ-
საც ბევრი მოხვდა. ერთი ეკალი კინალამ თვალში ჩაერკო, თვალს ასცდა,
მაგრამ ლოყა საგრძნობლად გაუფხაჭნა, და ამნაირად დაფხაჭნილმა და
დაბურჭენილმა, როგორც იყო, სამშვიდობოს მიადწია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

¹⁾ სორი.

²⁾ სალორე.

მ. ლეონიძის



ჰო, მაშ, მშვიდობით! ამ ხმის ღღერა ჩემი გულისთვის
პირველად არის შემზარავი, რისხვით მკვებარი...
მშვიდობით! მოაქვს ამ ცხრა ბერას ტანჯვა ურიცხვი
და მოაქვს ჩემგან ყველაფერი, რასაც შეეხარი.
ახლა შევხედები მის მშვენიერ თვალთა ნათებას...
ვინ იცის... იქნებ უკანასკნელად.

რ ა ტ მ

მე მოწყენილი იმიტომ ვარ, რომ შენ მიყვარხარ
და თანაც ვიცი: შენს სიტურფეს გაუკიცხავად
არ მოეშეება გამჭორავი, ცბიერი ენა.
თუ წილად გერგო ნათელი დღე, ან წუთით ლხენა —
ცრემლით და ნაღვლით უნდა უზღო კვლავ ბედს ისინი.
მე მოწყენილი... იმიტომ ვარ, რომ შენ იცინი.

თარგმნილი რუსულიდან ა. სიზინავას მიერ.

ი. ზრანკო

მ რ ს ე

I

ორმოცი წელი იხეტიალა,
დულდა უდაბნო არაბეთისა.
მიჰყავდა მოსეს ხალხი ტანჯული,
პალესტინამდე მისვლა ეღირსა.

მოაგის ქედი გადაელობათ,
ისევ ქეიშა და სიცხე თაკარა.
ქედის გადაღმა — მწვანე მინდვრები
და იორდანეს წყალი ანკარა.

არ მოისურვეს ქედზე გადასვლა,
რისთვის გასწიონ ჯაფა ამდენი.
უდაბურ დაბლობს ეტანებიან
გულგატეხილი მომთაბარენი.

და ძილის გუდათ გადაქცეულნი
დაგლეჯილ კარვებს გაშლიან ზანტად;
შათი ხარები და სახედრები
ხრავენ უდაბნოს ეკლიან ქალტამს.

არაგის სჯერა, რარივ ახლოა
აღთქმული ქვეყნის სანაპირონი
კოტაჟ კიდევ და —
ქედის გადაღმა
ბრწყინავს ზურმუხტი და საფირონი.

ორმოცი წელი
ენაწყლიანი
მოსე ადიდებს აღთქმულ ქვეყანას,
ორმოცი წელი განუწყვეტელი
ხალხი უდაბნოს მტვერში ეყარა.

ორმოცი წელი ეძახდა მგზავრებს
ზურმუხტი ველი იორდანისა.
ფუქი გამოდგა აღთქმა დიადი,
ხალხის გონება ეჭვმა დანისლა.

ზურგი აქციეს ხრიოკ მწვერვალებს
გაჰჭრა ლოდინის, ნატერის ხალისი.
ისრაელს არსად მიეჩქარება,
გზირის ყიეინიც აღარ გაისმის.

გათენებიდან დაღამებამდე
სანამ ხორშაკში დულდენ ველები,
მოაგის ხევში, კარვების-ჩრდილში
თვლემდენ უსაქმო ებრაელები.

II

ლტოლვილთა შორის ფხიზლობდა
ერთი, რომელიც ბრბოს არ დანებდა.
ერთი, რომელიც ბრბოს არ დანებდა.
ფიქრებით მოცულს, კავშნის ფრთები
ქედის გადაღმა მოაქანებდა.

ეს იყო მოსე მივიწყებული,
უნათესაო, ღონე-მიხილი.
ჯოგიც, ცოლებიც შემოეფანტა,
თავს დასტრიალებს მხოლოდ
სიკვდილი.

გულში ჩაკირულ მიზანს შესწირა
რაც ცხოვრებაში მოეძეოდა.
კვალდაკვალ სდევდა უბედურება
და მისი სული მაინც მზეობდა.

ულალატებდა ხშირად იღბალი
და განსაცდელი თვალეზს ახელდა.
მაშინ მოძმეთა ურწმუნოება
მასაც უფსკრულში ჩაუძახებდა.

ჩაუჭრა ცეცხლი შთაგონებისა,
მისი მგზნებარე სიტყვაც დაობდა.
გამოყრუებულ წინასწარმეტყველს
აღარ უსმენდა ახალთაობა.

III

მოსალამოვდა, ქედის გაღაღმა
მზე ჩაესვენა თვალეზ-დამცხრალი,
მხოლოდ მწვერვალზე კიდური ცისა
ელავს, გიზგიზებს როგორც ხანძარი.

და როგორც წვიმა ოქროს-წვეთება
ციდან სივრცელე გადმოიღვარა.
კარვებს დაეტყო გამოცოცხლება,
ფეხზე წამოღვა ხალხი მძინარა.

კობტა, შავთვალა ქალიშვილები
ლაღად მისდევნენ ქვიან ბილიკებს.
შიაქეთ შოლტები, თიხის სურები,
სადაც ლარტაფში წყალი ლიკლიკებს.

თიხის სურები თავზე დაუდგამთ,
ხალსიანად წყალზე მიდიან.
მიდის ასული თხის მოსაწველად,
პატარა ვუდა მხარზე ჰკილია.

საღლაც კარავში ქალი იცინის
საღლაც შორიდან სიმღერა ისმის.
როგორც უღაბნო შეღამებისას,
ნაღელიანია სიმღერა მისი.

ჰა გამოდიან ბერიკაცები,
მოიჩრდილებენ უძალო ხელეზს.
შორეულ ქედებს თვალს შეაელებენ,
გადახედავენ გახრკილ ველეზს.

იქნებ შენიშნონ ყვითელ ბურუსში
სამტროდ მოსული ურდოს კაცები!
იქნებ სამხრეთის ქაჯი წამოღვა, —
ქვიშის გრივალი თავზარდამცემი.

არაფერი სჩანს... და უფროსები
მიეყრებიან სადმე უკარვოდ...
ჩივიან: „ჯოგი ცბიერს... ჩვეულების
თხაც დაილია, დაპატარავდა“.

„აღარც სახეღარს ყოფნის ბალახი
ხრიოკი ველი ველარ გვაცხოვრებს.
რალას ვუცადოთ, სჯობს ავიყაროთ,
დავეპატრონოთ ახალ სამოვრებს“.

უცებ კარვებში ატყდა ჩოჩქოლი,
გარეთ გამოზრბის დიდი-პატარა.
შფოთი, სირბილი, გადაძახება,
მთელი ბანაკი ფეხზე დამღვარა.

იქნებ ბადეში მოჰყვა ნადირი,
იქნებ მოაღვა ბანაკს მტრის ჯარი.
არა, კარვიდან მოსე გამოდის
და მოედნისკენ უხმოდ იჩქარის.

როგორ მოხარა წელთა სიმრავლემ,
ვამთა სიავემ როგორ გათელა.
მაგრამ თვალეზი მაინც უელავს,
როგორც ღრუბლებში ელვის ნათება.

როგორ შეენოდა ხანდაზმულობა,
თავზე სპეტაკი თოვლიც შეენოდა.
როგორც ორი რქა, ორი კულული,
შუბლზე ამაყად გადაჰფენოდა.

მცნებათა კარავს მიუახლოვდა,
ხალხიც მოაწყდა, როგორც ჩანჩქერი.
ოთხ-რქიანია იგი კარავი.
ქვეყნის ოთხივე მხარეს ვასცქერის.

შუა კარავში ერთი სცივრია
მიმე სპილენძით შემოჰკედილი.
შიგ ინახება უფლის ბრძანება,
თავისუფლების ნიში კეთილი.

დიდხანია წმინდა კარავი
გადაივიწყეს ებრაელებმა.
როგორც ქოფაკი, დღითაც, ღამითაც
კარავს დარაჯობს საშინელება.

მაგრამ კარაიის აღმოსავლეთით
უზარმაზარი ლოდი აგდია.

ადათი ბრძანებს: ლოდზე ავიდეს,
ხალხთან ბაასი ვისაც სწადია.

ახლა მოვსულვარ, რომ გესაუბროთ
და საგანგებოდ მოგმართოთ მინდა.
გაძლევთ პირობას, რომ ასრულდება
ჩემი მუქარა და სიტყვა წმინდა.

გინდათ — არ გინდათ უნდა მისმინოთ,
თუმცა დაგახრჩობთ ბრაზი და გესლი.
ნეტა ვიცოდეთ, ხელს ვინ შეშართავს
და ჩასაქოლად პირველ ქვას მესვრის!

ავიდა მოსე. ხალხიც ლოდისკენ
შეძრწუნებული მოდის. მოღელავს.
ხალხის სურვილის მიუხედავად
ნუთუ გაბედავს ხმის ამოღებას!

„მაშინ მოხუცი უნდა ჩავჭოლოთ,
დამპალ მძორივით უნდა შეგვძაგდეს!
მერე ვინ? ვისაც ჩვენი პაპები
ხალხის საყვარელ მამას ეძახდენ“.

IV

„უპირველესად, — გუშინ გეთაყვა
გქონდათ მსჯელობა მეტად ბრიყვეული.
მტრები ცდილობენ, — ვიყო ხალხისგან
გამოთიშული და გარიყული.“

გინდათ ბოქლომი პირზე დამადოთ,
გინდათ დამიხშოთ გული ნათელი.
თქვენი სურვილის მიუხედავად
მსურს მოგახსენოთ ჩემი სათქმელი.

მისმინეთ ბრიყვნო, ჩემი ღალადი
მისწედეს ბრმადშობილ თაობის ენას.
მგზნებარე გული თუ ჩააჩუმეთ,
მაშინ ქვებიცი აიღვამს ენას.

ფრთხილად იყავით, თორემ უფალი
საჭირო ენას მონახავს თქვენთან
უფრო საზარელს, ვიდრე ათასი —
უღაბნოს მეტი გავარდეს ერთად.

როგორც უდიდეს ბედნიერებას —
მყუდრო ცხოვრებას ქვემოთ დღეში
შინგაღწევაში,
არ შეუთანხმეთ სულისკვეთება
ებრაელების ღმერთსა და ბატონს.

ქალაქ ურიდან და გარანიდან
აბრამის მოდგმა რისთვის დაიხსნა!
ნუთუ მისთვის, რომ დაკმაყოფილდეთ
და შეაფერხოთ წინსვლა ხალხისა?

შვიდი მშვიერი წელი ატარა
ნილოსის პირად ებრაელები.
რისთვის ეძახდა იორდანისკენ?
რომ დაიკრიფონ გულზე ხელები!

ღმერთს რომ უნდოდეს ეგდოთ
უძრავად,
როგორც კრიპტოსში აგდია ლეში,
მაშინ მერწმუნეთ, დღესაც ეგვიპტეს
ეყოლებოდით წამების დღეში.

დღეს არ მოგმართავთ ჩემი სახელით,
რადგან განგება ისევ შემზრობა
მსურს ჩაგაგონოთ, — არ შეიძლება
ღმერთთან ჭიდილი და პაექრობა.

უკვე მოზიდა მშვილდი უფალმა —
მტერს შეუნგრიოს გულის ფიცარი,
მაღე ისარიც ამოფრინდება...
ებრაელებო, თქვენ ხართ ისარი!

განა ისარი დამიხნებული
და მოპირული დიად ბრძოლისთვის
იტყვის: „დამაცათ, მსურს მოსვენება
და უღარდელად ლარზე მოიცდის“.

V

თქვენ გამიწბილეთ სიტყვა კეთილი
ღვთის მოწყალების ცეცხლით
გამთბარი,
ამიტომ როგორც უქვეო ბალებს,
მინდა ვიამბოთ ერთი ზღაბარი.

ერთხელ მინდორზე ხენი მოგროვდენ,
ყველა მოვიდა — ნორჩი, ხნიერი...
„ჩვენი საერთო ნება-სურვილით
ამოვირჩიეთ მეფე ძლიერი.“

მან დაგვიფაროს, ის დაგვეხმაროს,
მალლა ასწიოს ჩვენი სახელი.
იყოს ბატონი, იყოს მსახური
და ჩვენი მიზნის გამომსახველი“.

„რახან ავრეა“, წარმოსთქვა ერთმა:
„მეფის არჩევა უნდა ვინებოთ.
ავერ მიემართოთ ლივანის კედარს,
რომ საუკუნოდ ჩვენზე იმეფოს.“

ბებეც მიჰყენენ გონიერ რჩევას
და მალალ კედარს მიმართეს ერთად:
„დასტოვე შენი ამაყი მთები,
პოდი და მეფედ იყავი ჩვენთან“.

მაგრამ კედარი დადგა უარზე:
„ხეებო, ჩემსკენ ნუ იხედებით.
თქვენი გულისთვის უნდა დაეტოვო
ჩემი მთები და ჩემი ქედები...“

„მითხარით თქვენთვის როგორ
დაეტოვო
კაშკაშა მზე და ლალი ბუნება.
თავისუფალი ბრბოს ვემსახურო.
დავკარგო ჩემი თავისუფლება?“

უკან დაბრუნდნენ გაწილებულნი
და ლამაზ პალმას მიადგნენ ხენი.
„ჩვენთან იზრდები, ჩვენი გვარის ხარ,
მოდი და მეფე იყავი ჩვენი“.

პალმამ მიუგო: „ძვირფასო ძმებო,
მეტად მაოცებს თქვენი ფიჭრები.
მე რა წესრიგის დამცველი მნახეთ,
ან სადაური მეფე ვიქნები.“

არ მინდა გავხდე თქვენი მეწესე,
და ჩემი საქმის ერთგული ვრჩები.
როგორ დაეტოვო ნაზი ყვავილი
და გემრიელი ნაყოფი ჩემი.“

განა ამოდ მავსებს შარბათით
მზე ცხოველი და შარბათიანად?
განა ამოდ ეძებს ჩემს ნსყოფს
ტყის ნადირი და ადამიანი?

სხვა გამონახეთ. რაში მჭირდება
სამეფო ტახტზე ვიყო დაკრული.
ჰსურს ჩრდილი მიეცე გამვლელ-
გამოვლელს,
მიეცე ნაყოფი და სიხარული“.

ნაწყენი დარჩნენ. ხეთა კრებული
უსიხარულო ფიჭრებს დანებდა.
კედარმა ტახტი არ მოისურვა,
აღარც ლამაზი პალმა გამეფდა.

ვარდს შევეხვეწით! მაგრამ რათ უნდა,
ვარდი ისედაც ქვეყნის თვალია.
ლეთისნიერია და უგვირგვინოდ
შინც ყვავილთა დედოფალია.

მუხას მივმართოთ! მაგრამ რათ უნდა,
დიდ მემამულეს გვირგვინი მეფის.
რკობის ვარდა, არას დაეძებს,
თავის ტოტებს და ჭონებას ეტრფის.

არყის ხეს ვთხოვოთ! მაგრამ რათ უნდა,
თეთრი ატლასი მოსაეს. ჭალიშვილს.
ბშირად მოიწყენს, დახრის წამწამებს,
მძიმე ნაწნაებს მხრებზე გაიშლის.

მაშინ ვილაცამ თითქოს ხუმრობით
წამოიძახა სიტყვა ბავშუერი:
„რა დაგვრჩენია, ეკალს მიემართოთ,
იქნებ ეკალმა მოგვცეს დასტური“.

ყველამ თანხმობა გამოაცხადა,
ხალისიანად ერთხმად შეჰვიტეს,
რომ შეუთვალონ უჩინო ეკალს,
ტახტზე დაბრძანდეს, როგორც
ხელმწიფე.

და სთქვა ეკალმა: „ვინც ეს გირჩიათ
კაცი ყოფილა ნათელ გონების,
არ გაგაწილებთ, სამეფო გვირგვინს
მივიღებ დიდი სიამოვნებით.“

არ ვარ ტანადი, როგორც კედარი,
არც პალმასავით ვარ ეშხიანი.
არც მუხასავით — პატრემოყვარი,
არყის ხესავით — კაეშნიანი.

თქვენი კარების მცველი იქნება
ეკლებით სავსე, ერთგული ხელი.
ჩემს რძისფერ ყვავილს გულზე
დაიბნევს
მხოლოდ მწირი და ხრიოკი ველი.

მხოლოდ ჩიტების ბუდე ვიქნები,
ვიქნები კურდღლის თავშესაფარი,
თქვენ გაიხარეთ. მე დავიღუპო,
გზაზე გათხარონ ჩემი საფლავი“.

VI

სულგანაბული უსმენდა ხალხი.
„აი ზლაპარი“. წარსთქვა ჭადაგმა.
„ახლა მისმინეთ ებრაელებო,
მინდა ავიხსნათ მისი ქარაგმა.

ხენი — სხვადასხვა ქვეყნის ხალხია
მეფე — ხალხია, ღეთისგან რჩეული,
მისი განგების ამსრულებელი,
მისი შვილი და მისი სხეული.

როს იელოვამ ყვავილნარივით
მიწას მოჰფინა ხალხი მრავალი,
ყველას ჩაზედა გულში, გაიგო
მათი იღბალი და მომავალი.

ყველას ავკარგი ამოიკითხა
გულთამხილავემა, ქვეყნის გამჩენმა.
მთელი ქვეყანა შემოიარა,
ლირსეულ შვილის ამოსარჩევად.

და სამუდამოდ უარპყო ღმერთმა
ხალხი მყვირალა და ქედმაღალი
ფიქრით — ზეცაში მოხეტიალე
ფეხით — მოძმეთა სისხლში მავალი.

უარპყო იგიც, ვისაც ჭონება
ბევრი ჰქონდა და აღარ ყოფნიდა.
და იშენებდა ძვირფას აკლამას
ხალხის ცრემლით და ხალხის ოფლითა.

უარპყო იგიც, — თავქარიანი
ჩანგით რომ უყვარს, კედლებზე
შინგლიწკრიალოში,
ცდილობს, უკვდავყოს თავის სახელი
სიმღერაში და მარმარილოში.

უარპყო ღმერთმა ამქვეყნიური
დიდება, ცოდნა, ბედნიერება.
არც მწიგნობრების ენა მოსწონდა,
არც ხელოვნების მშვენიერება.

და როგორც ეკალს, ხეების გვერდით,
არც სილამაზე, აღარც შუქი აქვს,
მისი ნაყოფი, მისი ყვავილი,
ქვეყნად არავის არ შეუქია —

აგრე ის ხალხიც, ღეთისგან რჩეული
მწიერ-ტიტველი დახეტიალებს.
დაკეტილია მისთვის კარები,
სადაც სიკეთის თვალი ტრიალებს.

იგი არ იყო სიბრძნით განთქმული
არც მეომარი, მკლავით მავარი.
სტუმარი იყო მშობელ მხარეში,
ქვეყნის შარაზე იყო გამდგარი.

მაგრამ უფალმა გულთამხილავემა
გულში ჩაუღო განძი დიადი,
რომ შეინახოს სიტყვა უფლისა
და ლამპარით გასჭრას წყველიადი.

დაუსრულებლად, შეუჩერებლად
ცხოვრების გზაზე იყო მავალი.
და საგზალივით გამოატანა
თვისი მცნება და აღთქმა მრავალი.

მაგრამ უფალი, ჩენი მფარველი
შურიანია, ავი გულისა,
ვინც შეიყვარა, იგი არადროს,
არ შეიყვაროს ვინმე უღირსმა.

ამიტომ ადგა და შემოავლო
ხალხს სიყვარულის დიდი კედელი,
სხვებისთვის მარად შემოუფლებელი
და ეკალივით მუდამ მჩხვლეტელი.

ეკლით შეღობა, კინკრით შემოსა რომ თვალი მისკენ არავის დარჩეს. რჩეული ხალხის სულის წალკოტი მხოლოდ თავისთვის უნდოდა გამჩენს.

XV

ერცელ ტრამალებზე მზე ამოგორდა როგორც ყირმიზის რგოლი მბრწყინავი. და დაიცბრილა ოქროს ისრებით ღამე, კაეშნით სულის მყინავი.

ელვარე მზეზე იდგა ცა-გორა ვით დედოფალი ძოწით მორთული. სხვა მთებზე უფრო მაღალი ქონდა მრისხანე, ქედი ცად ამართული.

ამ ქედზე, ღრუბელთ და ხმათა ზევით, მწარე ფიჭრებით მთლად დაპყრობილი, იდგა ვილაცა, როგორც გიგანტი, ცისკენ მდუმარეთ ხელაპყრობილი.

და ამომავალ მნათობის შუქზე, მეწამულ ფერით აყვავებული, უზარმაზარი იმისი ლანდი სჩანდა შორიდან გაქვავებული.

და ებრაელთა კარავებიდან გაოცებული თვალთა გუგები, ვით ვარსკვლავები, ქრიან მთისაკენ სად გიგანტი დგას განაშუქები.

„ეს მოსე არი“ — იმათ ბაგედან გაუბედავი ისმის ჩურჩული. და ვერ ამბობენ ხმამაღლა იმას რამაც მარწუხით ატკინათ გული.

ეს მოსე არი. ქვეყნის შემომქმედს ესაუბრება ლოცვად დამდგარი. და მისი ლოცვა ცას ერქინება როგორც ცეცხლის რქა და ცეცხლის ქარი.

თუმც ბაგე მაგრათ მოუკუმია და მისი სიტყვა არ ისმის ახლა, მაგრამ გული აქვს როგორც გრიგალი და იელოვას შესძახის მაღლა.

მზემ მიაღწია ცის გუმბათამდე, მოსე დილიდან ხელაპყრობილი დგას ისევ ლოცვად უმარწუხი, როგორც სალი კლდე მტკიცე და მყარი.

ხოლო დემონი დაღლილი, ველად დაეხეტება მარტო და უბრაო. მოსე კი თითქოს ვილაცის ხელით ზევით თანდათან მიიწევს უფრო.

უკვე დაეშვა მზე ნელა, ქვევით, უახლოვდება ფაზგას მწვერვალებს. გაჩნდნენ ჩრდილები. გახშირდა ბინდი, ცის დაფიონი აღარ ელვარებს.

და მოსეს ლანდი უზარმაზარი უკანასკნელად ეცემა დაბლა. ემშვიდობება ებრაელთ კარავებს, ვით მამის გული, იღვრება თაფლათ.

ბანაკს კი უცებ მოედვა შიში: „წინასწარმეტყველს აღმოხდა იქნებ წყვეა, რის გამოც ერთი ჩვენგანიც ამ ქვეყანაზე გზას ვერ გაიგნებს.“

ასეთ ლოცვისგან თვით დედამიწა როგორც ფოთოლი მიმოირხევა. დადნება კლდენი და იელოვას მარადი ტახტიც მყის შეირხევა.

თუ გეწყველის მოსე, თუ მზეც ჩავიდა და დაგვეუფლა ღამე მწუხარე, ბნელში უკვალოდ დიკარგება მთელი ხალხი და მთელი ეს მხარე“.

XVI

იბრძოდა მოსე და მიზნისაკენ მიისწრაფოდა მარტო, ეული, და როცა მთებზე დაეშვა ღამე, პირქვე დაემზო ძალდაღებული.

შეინძრა სალი თვალშეუწვდენი. დაბნელდა ირგვლივ. ის კი უგონოთ კვლავ იწევა, თითქოს აკეანში იყო დედის კალთასთან ბავშვი უღონო.

ხედ ეფრქვევოდა რაღაც სიმღერა, სევდიანი და მწუხარე ჰანგი. ნელა არწევდა ვილაცის ხელი მსუბუქი, თანაც თეთრი ვით მანგი.

შემდეგ გაისმა ჩუმი სიტყვები: „შვილო საწყალო, ჩემო საწყალო, აი რა გიყო მკაცრმა ცხოვრებამ აგივსო შხამით გულის საწყაო.“

ნეტავ როს იყო ხელით დამყავდი, გზრდიდი ხალხისთვის კეთილ ვენახად. ნუ თუ იმიტომ ვშობე, ძვირფასო, ასეთი ტანჯვა ქვეყნად გენახა.

შენს ლამაზ სახეს ნაოჭი ფარავს, შენი სხეულიც დარდით წამხდარა. და თმა, რომელსაც მე გიკოცნიდი, ახლა თოვლივით თეთრი გამხდარა.

რა რომ გამშორდი შვილო, მას შემდეგ ბევრმა ღრუბელმა გადაიარა. ხედავ, სად მიხვალ. მითხარი მაინც გულზე რამდენი გაზის იარა.

ჩემო საბრალო, საბრალო ბავშვო, მრავალი ტანჯვა იგემე მარტომ. დღესაც მთელი დღე მზეზე წვალობდი, ეს ყველაფერი რისთვის და რატომ?

მხოლოდ ლოცვები. შენს ზალხს უბედურს ლოცვებით გინდა რომ ჩაუნერგო ჰომავლის რწმენა და სიყვარული. მაგრამ ბრმა ბავშვო, ნაცვლად რა ბერგო?

აი, მე ამ ქვას ვისერი ამ კლდიდან და უცებ ფუძე გამონაცალი კლდიდან კლდეებზე, ხევიდან ხევში იგორებს, ვიდრე ექნება ძალი.

გზაზე დატოვებს ნატეხებს. ასე თუ ქვამ მთელ მანძილს გადაურბინა ვინ იტყვის, თვითონ თვითეულ ნატეხს სად სურს რომ დარჩეს და ჭონდეს ბინა?

ამას ვერ გეტყვის თვით იელოვაც, რა გინდ ლოცვებით მოჩირილი იყო. იქ დაეცემა ნატეხი მართლაც სადაც ის უნდა დაცემულიყო.

მას ააქვს ხელში საჭე, უფლებაც. მას ააქვს ხელში ძალა დიადი, რამაც ალაგი ქვას მიუჩინა და რამაც შექმნა დღე და წყვდიადი.

და იელოვა, ვინც შენ გწამს ასე, ვერ შეცვლის ამ წესს, ამ ძალოს დიადს. ვერ შეაჩერებს ის გატყორცნილ ქვას, ბრწყინვალე მზითაც ვერ შეცვლის წყვდიადს.

აგერ მტერის ერთი პაწა ნამცეცი რომელსაც შენი ძლიერს ხედავს თვალი. შენს იელოვას არ შეუძლია გააქროს, მოსპოს იმისი კვალიც:

არ შეუძლია უბრძანოს წასელა სხვა გზით, ან შექმნას მისგან კრებული. ის მიყავს მუდამ იმ ძლიერ ძალოს რაც მასშივეა დამკვიდრებული.

მაგრამ ზალხი ხომ სულთა კრებაა, ხან ბედნიერი, ხან განაწირი, რომლის ცხოვრება, მოძრაობაში თვითეულს შეაქვს თავის ნაწილი.

გახსოვს სიმღერა, ბრმა ორიონზე, უსინათლოთ რომ იტანჯ-იწამა? თვალის ჩინისთვის ერთხელ გმირთ-გმირმა მზეს მიაშურა, დასტოვა მიწა.

მხარზე შეისვა გზის მაჩვენებლად ბავშვი ცელქი და დაუდევარი. იმის სურვილზე, იმის სიტყვაზე ეს გოლიათი ქროდა ვით ქარი.

ბავშვს ორიონმა აღერსით უთხრა:
„მზისკენ წამიყვან ჩემო პატარა“.
მაგრამ ცუდლუტმა ის ხან სამხრეთით
ხან დასავლეთით უგზოთ ატარა.

ბრმა ორიონს კი სწამს მზესთან მიდის
ამიტომ რბენა აღარ წყინდება.
აეხილება ჰგონია თვალი,
თვალში ნათელი გაუბრწყინდება.

გადაუქროლებს ზღვებსა და გორებს
არსად ჩერდება სინათლის მდომი.
და როდი ფიქრობს, რომ შეიძლება
დაცინის ბავშვი, მის მხარზე მჯდომი.

ორიონია — კაცობრიობა
ნატვრით ყველაფრის გადამლახველი.
ჩქარობს, ისწრაფვის, როგორმე მალე
უზილავ მიზნის გახედეს მნახველი.

მას უყვარს მხოლოდ მიუწვდომელი,
წამს შორეული, სურს ხელი ახლოს.
და მიუღწევებს რომ მხარსიონ
თელავს მშობლიურს, რასაც კერეტს
ახლოს.

აშენებს გეგმას ძალთან უწონელს,
ხშირად ისახავს მიზანს აღვილად.
მაგრამ დაცინის ამ გეგმას, მიზანს
ბავშვი — ლოლიკა და სინამდვილე.

და როგორც ის ბრმა, ის გოლითი
ვისაც უძლოდა სხვისი თვალები,
მუდამ იქ მიდის, სადაც არ სურდა
რომ მისულიყო განაწვალები.

შენ კი ლოცვილობ. საბრალო ბავშვო.
გონის მაგივრათ გაქვს ყალბი რწმენა.
ამაოდ ცდილობ რომ შეაჩეროს
ქაფმა მუდარით მდინარის დენა“.

უკრაინულიდან სთარგმნეს:

ქ. ლორთქიფანიძემ (I—VI თავები)
და რ. გვებაძემ (XV—XVI თავები).

8. დელა

შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“

(შინეშენები პოემის ავსტრული გამოცემისათვის)

„ქართველი ხალხი თავისი კულტურით ერთი უძველეს ხალხთაგანია ჩვენი ქვეყანაში. ქართველი ხალხის კულტურა ჯერ კიდევ ჭრისტიანობის წინა ერაში წარმოიშვა. იგი ვითარდებოდა მსოფლიოს უძველეს და უახლეს კულტურებთან ურთიერთობაში. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის არცერთ კულტურას არა აქვს ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორც ქართულ კულტურას. მე პირადად ვოველთვის მადღეროვანებდენ საქართველოს სიმღეღეების, ქართული ხელოვნების, ქართული ლიტერატურის ძეგლები. როცა რუსთაველს კითხულობ, ფიქრობ: არც ისე ბევრი არიან ისეთი მწერლები, რომელთაც შეიძასა წლის წინათ უცხოვრიათ, რომლებიც ქართული კულტურის ამ კეთილშობილ გენიას შეედრებოდენ!“

მ. კალინინი.

შოთა რუსთაველი პოეტური სიტყვის ნამდვილი ბუმბერაზია. მისი ბრწყინვალე შემოქმედების მწუხრი არასოდეს დადგება. „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედის უკვდავი სახელი მარადიულად იცოცხლებს საუკუნეებში. გენიალური ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის იმ გამოჩენილ კლასიკურ ნიმუშებს ეკუთვნის, რომლებზედაც მარქსი სწერდა: „რომ ისინი კვლავ გვანიჭებენ მხატვრულ სიამოვნებას და გარკვეულის მხრივ ინარჩუნებენ მიუწვდომელი ნიმუშის ნორმის მნიშვნელობას“. შოთა რუსთაველი არის შვილი დიდი ქართველი ხალხისა, მსოფლიოს ერთერთ უძველეს და უკულტურულესი ხალხისა, იგი ცხოვრობდა და ჰქმნიდა თამარ მეფის ეპოქაში.

XII საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეფე დავით მესამემ (აღმაშენებელმა) მოიშორა დამპყრობელთა უღელი და დააარსა ძლიერი სახელმწიფო, რომლის საზღვრებიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ყარსიდან ჭიქეთამდე სწედებოდა.

საქართველო, რომელიც ორი მსოფლიოს საზღვარზე მდებარეობდა, თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობის წყალობით გადაიქცა უმნიშვნელოვანეს კვანძად აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა ურთიერთობაში. ბრწყინვალე სამხედრო წარმატებებმა და საწარმოო ძალთა სწრაფმა ზრდამ XI და XII საუკუნის საქართველოში გამოიწვია საერთო აღმავლობა: იგი ცნობილია ისტორიაში ქართული რენესანსის სახელით, რომელმაც 100 წლით დაასწრო აღორძინების ცნობილ ეპოქას — დასავლეთ ევროპას ქვეყნების აყვავების ეპოქას.

საქართველოს აყვავების ამ ეპოქამ წარმოშვა გამოჩენილი ქართველი მწერლები და ფილოსოფოსები, რომელთაც აღამაღლეს ეროვნულ-ფილოსოფიური და ქართული ენა მიიყვანეს ისეთ სრულყოფამდე, რომ იგი ვახტანგის მტკრმინდელი მწერლებისათვის სანიმუშოდ“ (დ. ჩუბინაშვილი).

ასეთი არიან მოსე ზონელი, სარგის თმოგველი, იოანე შავთელი და ჩახრუხაძე.

ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად ამ ეპოქის ფილოსოფიაში გვევლინება იოანე პეტრიწი — საქართველოს ელლადათ წოდებულის — გელათის ცნობილი აკადემიის ხელმძღვანელი. ქართული ფეოდალიზმის აყვავების ეპოქის ლიტერატორებისა და ფილოსოფოსების ბრწყინვალე პლყადაში პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის გენიას, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს — შოთა რუსთაველს.

რუსთაველი გაბედული ნოვატორია, მან აიყვანა ძველი ქართული საერო ლიტერატურა მიუწვდომელ სიმაღლემდე, იგი უდიდესი ჰუმანისტი და მოაზროვნეა. რუსთაველმა შექმნა თავისებურობით და ორიგინალობით განუყოფელი პოემა. „ორიგინალურობა არის არა შემთხვევითი, არამედ აუცილებელი თვისება გენიალურობისა“—ო, სწერდა დიდი რუსი მეცნიერი და კრიტიკოსი ჩერნიშევსკი.

ნამდვილი პოეტური შემოქმედება, რომელიც გაუძღვებს საუკუნეებს, შეუძლია შექმნას მხოლოდ დიდ მოაზროვნეს. ამ ჰუმანიტების ღრმა აზრი კარგად ესმოდა რუსთაველს. „შაირობა პირველადე სიბრძნისაა ერთი დარგი“—ო ამბობს იგი თავის პოემაში.

მისი დიდი ნიჭი ხასიათდებოდა დიდი პოეტის და მოაზროვნის ყველა თვისებით. „ვეფხისტყაოსანი“ არა მარტო თავისი ორიგინალობით და პოეტური სრულყოფით არის შესანიშნავი, არამედ იმითაც რომ აყენებს ფილოსოფიურ პრობლემათა მთელ რიგს.

„ვეფხისტყაოსანში“ თავის გამოხატულება ჰპოვა გელათის აკადემიის ფილოსოფიურმა მეცნიერებამ, რომელსაც ქადაგებდა ცნობილი ქართველი ნეოპლატონიკოსი იოანე პეტრიწი.

როგორც სჩანს რუსთაველი ამით არ შემოფარგლულა, „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ფილოსოფიურად დიდად განათლებული რუსთაველი განიცდიდა ბერძენ ფილოსოფოსთა სტიქიური მატერიალიზმის გავლენასაც.

დიალექტიკის ელემენტები, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ მგზნებარე სტროფებში გვხვდება, მოწმობენ იმას, რომ რუსთაველი იცნობდა ძველი დროის ერთერთ ყველაზე შესანიშნავ მატერიალისტის ჰერაკლიტე ეთესელის მოძღვრებას.

ამ პრობლემის შესწავლას რუსთაველის შემოქმედების გაგებისათვის აქვს ფრიად საყურადღებო მნიშვნელობა, რადგანაც მას აქვს არა მარტო ისტორიული, არამედ მეთოდოლოგიური მნიშვნელობაც.

როგორც ცნობილია, ჰერაკლიტეს ფილოსოფიის თანახმად სამყაროს სუბსტანციად ითვლება ცეცხლი.

ცეცხლი იმყოფება მუდმივი ცვალებადობის პროცესში, ერთი მდგომარეობიდან სწრაფად გადადის მეორეში და როგორც მატარებელი შეუწყვეტელი მოძრაობისა, საფუძვლად უდევს სამყაროს განვითარების რთულ პრო-

ცეს, ობიექტიური რეალობის განვითარებას. „უმოძრაოთ დატოვებული კიკონიც კი იხრწნებაო“ ამბობდა ჰერაკლიტე.

განუწყვეტელი მოძრაობისა და ცვალებადობის, ერთი მდგომარეობიდან მეორეში განუწყვეტლად გადასვლის პრინციპი რუსთაველთანაც წამყვან როლს თამაშობს. „ვეფხისტყაოსანი“ გვაოცებს ამბების დინამიური გაშლით; თავისი შეუწელებელი ტემპით, თავისი ძალით და გაქანებით. მოვლენათა ეს დიდებული ცვალებადობა იშლება უზარმაზარ სივრცეში. სისხლის მღვრელი ომები, სიყვარულისა და მეგობრობის ძლიერი გრძნობანი, სიზარტული და ტანჯვა, გმირობის მიწმიდველობა—ყველაფერი ეს რუსთაველს გამოხატული აქვს შეუწყვეტელ მოძრაობასა და განვითარებაში. აი, როგორი სიტყვებით გამოსთქვამს ცხოვრების მოვლენათა თანამიმდევრობის კანონებს რუსთაველი თავის პოემაში:

„რა ვარდმან თვისი ყვაილი გაახმოს, დამჰქნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

რუსთაველი მრავალ შესანიშნავს სტრიქონს უძღვნის მზეს, როგორც მუდმივი ყვაილებისა და ბუნების მოვლენათა ცვალებადობის წყაროს:

„მაგრა ვარდას უმზეობა გაახმოს და ფერსა აკლებს“.

თავისი პოემის გმირებს ტარიელს, აეთანდილს, თინათინს და ნესტან-დარეჯანს რუსთაველი ადარებს მზეს, მზის სილამაზეს და დიდებულებას.

ამ მხრივ საინტერესოა ჩვენს მიერ უკვე მოხსენებული ჰერაკლიტეს ნათქვამი მზის ძალის შესახებ: „ამ გვარად მზიდან მომდინარე სასიცოცხლო სითბო, უზრუნველყოფს ყველა ცოცხალის სიცოცხლეს“ ან: „მიუხედავად სხვა მნათობთა არსებობისა, უმზეო ქვეყნად იქნებოდა ღამე“.

„აზროვნება უდიდესი ღირსებააო“ — ამბობს ჰერაკლიტე. ცნობილია რა მნიშვნელობას აძლევდა აზროვნებას რუსთაველი. იგი უმღერის ადამიანის გონებას, აღფრთოვანებულია გონებით და თვითონ ზელმძღვანელობს გონებით. „გულთან ბრძოლა ძნელია: ყოველგვარი სურვილი შეისყიდება ფსიხეის ფასად“ — ვკითხულობთ ჰერაკლიტეს ფრაგმენტებში.

როგორც ცნობილია რუსთაველს თავისი რომანტიული პოემის სიუჟეტის საფუძვლად სიყვარულიც უდევს. შემთხვევითი არ არის ის, რომ რუსთაველის გმირები მზად არიან გასწირონ სიცოცხლე, საყვარელი ადამიანის გულის დასაპყრობად. აი კიდევ ერთი დამახასიათებელი მაგალითი: „ბრძოლაში დაცემულებს ღმერთებიც პატივს სცემენ და ადამიანებიც“ — ამბობს ჰერაკლიტე. რუსთაველთან ჩვენ ვკითხულობთ:

„ლაშქარნი მკვდართა სტიროდეს, სწრაფა აქვთ წყლულთა ხევისა“.
(სტრ. 98).

საქმე აქ ანალოგიის გატარებაში კი არ არი და არც ფორმალურ ნიშნების მსგავსობაში, არამედ პოემის თვითონ არსში და სულში, რომლის ბევრი დებულებაც საფუძველს იძლევა ვიგულისხმობთ ჰერაკლიტეს მსოფლმხედველობის გავლენა რუსთაველზე.

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წელზე მეტი გავიდა. გენიალობის ძალა, მხატვრულობის სიმძლვე, რომლითაც გამსჭვალულია პოემის ყოველი 6. „მნათობი“, № 4.

სტრიქონი, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ყოვლის დაუნდობელი დრო რუსთაველისთვის ისევე, როგორც პომეროსისა და ფირდოუსის, დაქტეცაულებუშკინისათვის, აღმოჩნდა უძლური. საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი მწიგნობარი მხრით ცდილობდნენ ლაქა მოეცხოთ დიდი პოეტის სახელისათვის, უწოდებდნენ რა მას „მავნე შაირთა მთხველს“. კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I-ლი, იძულებულია აღიაროს და ჩამოსთვალოს რუსთაველის ღირსებანი, მაგრამ იქვე დასძენს: „ამაოთ დაშურა, საწუხ არს ესე“-ო. არა ერთხელ დაუწვავთ კოცონებზე, არა ერთხელ მიუციათ მტკვრის ტალღებისთვის „ვეფხის-ტყაოსანი“, იმისთვის, რომ მოესპოთ რუსთაველის უკვდავი ქმნილება. ეს დევნა გასაგებია. თავისი ფილოსოფიით, თავისი მსოფლმხედველობით რომანტიული პოემის ავტორი რუსთაველი, რა თქმა უნდა უცხო იყო რეაქციონერ ფეოდალებისათვის. ამით აიხსნება, ის გადმოცემა, რომელსაც ხალხური თქმულება მოგვითხრობს: შოთა რუსთაველი, უკვე მოხუცებული, იძულებული ყოფილა გასცლოდა საქართველოს, სადაც მას სდევნიდნენ და დიდხანს ყოფილიყო უცხოეთში; რუსთაველს სდევნიდნენ მისი პოემის ხალხრობისთვის, პოემაში გამოხატულ ოპტიმიზმისა და ჰუმანურობისათვის, პეროიკისა და სიყვარულისთვის, ქალისადმი ამაღლებულ დამოკიდებულებისათვის, ნათელი გონებისა და განათლებულობისათვის, მეგობრობის დიდი ძალის აღიარებისათვის, გონების ქებათა-ქებისათვის და სქოლასტიკის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ხალხმა გაიგო ძალა და სიბრძნე გენიალური მომღერლისა, რადგან „ვეფხის-ტყაოსანი“ წარმოადგენს პოეტურ ნიმუშს ქართული მუსიკალური ენისას, რომელიც გამოხატავს ხალხის ამაღლებულ გრძობებსა და აზრებს. ამით აიხსნება ხალხის დაუშრეტელი სიყვარული რუსთაველის და მისი გმირებისადმი. არაჩვეულებრივად პოპულარულია „ვეფხის-ტყაოსანი“ ხალხში, არაჩვეულებრივად პოპულარულია რუსთაველის სახელი, მისი გმირების — ტარეელის, ნესტანის, ავთანდილის და თინათინის სახელები. ხალხი და გენიალური პოეტი ერთმანეთისგან განუყოფელია. ქართული ფეოდალური წრეების მოქმედების მიუხედავად, ხანგრძლივი და სისხლის მღვრელი ომების მიუხედავად, თავისუფლების მოყვარულმა ქართველმა ხალხმა შესძლო „საუკუნეებში გამოეტარებინა თავისი ენა, უძველესა კულტურა, თავისი სწრაფვა გამარჯვებისა და თავისუფლებისადმი“ (ლ. ბერია). თემურლენგისა და შახაბაზის ამაოხრებელ ომებში, ტანჯვაში და წვალებაში, გმირულ ბრძოლებში ქართველმა ხალხმა გამოატარა „ვეფხის-ტყაოსანიც“ და მოიტანა სოციალიზმის ეპოქაში. ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში იცავდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა თავისი ნაციონალური გენიის დიად ქმნილებას, მორალის ამ თავისებურ კატეხიზისს. ხალხმა ზეპირად იცის ტარიელისა და მისი საყვარელი თანამებრძოლების პოემა.

„ვეფხის-ტყაოსანი“ განსაკუთრებულის მხატვრული დამუშავებით გადმოგვცემს სიყვარულის, მეგობრობის და ვაჟკაცობის ხალხურ მოტივებს. ვაჟკაცობა მუდამ თან ახლავს უსაზღვრო სიყვარულს და მეგობრობას, იგი აუცილებელია სიცოცხლის შიდალი მიზნების მისაღწევად. „ვეფხის-ტყაოსანის“ პერსონაჟები იშვიათი ფიზიკური და სულიერი ძალით, დამატყვევებელი სილამაზით და კეთილშობილებით გამოირჩევიან. ისინი მართალნი არიან, შეუძლიათ, სიცოცხლის განუსაზღვრელი სიყვარული, ადამიანების სიყვარული და ამა-

ვე დროს ძლიერი სიძულვილი მტრებისადმი, მამაცურად, უშიშრად ბრძოლა და გამარჯვება.

გარკინული
ნიკოლოპოლი

ქალის სახეს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „ვეფხისტყაოსანში“. მთელი პოეტური თხრობა პირველ სტრიქონიდანვე დაწყებული გამსჭვალულია ქალისადმი მგზნებარე და ვნებიანი სიყვარულით.

„თამარს ეაჭებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ეთქვნენ ქებანი ვისნი მე, არ ავად ვამორჩეული.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
და ვინცა ისმინოს დაესვას ლაზვარი გულსა ზეული“.

ან:

„ხამს მეღუქმე ნაჭირგებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს,
ერთი უნდეს სამიჯნუროდ, ერთსა ვისმე აშოკობდეს,
ყოვლსა მისთვის ზელოვნობდეს, მას აჭებდეს, მას ამკობდეს
და მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“.

შეუდარებელ თინათინთან გამომშვიდობების წინა წუთების, ავთანდილის სულიერი განცდა ფსიქოლოგიური დაძაბულობითაა გადმოცემული:

„ყმა წავიდა სიშორესა თუმცა მისსა ვერ გასძლებდა,
უკულმავე იხედვიდა, თვალთა რეტად აყოლებდა.
ბროლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, ტანსა მჭევრსა აიორთოლებდა
და გული ჰქონდა გულისათვის, სიყვარულსა ავალებდა“.

რუსთაველის პოეტური სტრიქონები, ავთანდილის თინათინთან გამომშვიდობების ერთ ეპიზოდში, განსაკუთრებულის, ყოვლის შემძლე სიყვარულზე მოგვითხრობენ:

„ყმა წავიდა სედიანი, გვერდსა იცემს ამაღ ილებს,
რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და ავულჩილებს,
რა ღრუბელი მიედარვის, მზე ხმელეთსა დააბრდილებს,
და მის მოყვრისა მოშორება კელავ აბინდებს, არ იდილებს“.

ან:

„მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რადგან სულსა,
მაგრამ შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;
მომეგონოს მოშორება, მემატების წულელი წულულსა,
და ნუცა მტრ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, შენთვის დაკარგულსა“.

სწერს ნესტარ-დარეჯანი ტარიელს. აქვე ხაზგასმით უნდა ავღნიშნოთ, რომ რუსთაველი აყენებს ქალისა და კაცის თანასწორობის საკითხსაც:

„თუმცა ქალია ზელმწიფედ, მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნვეთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვიოქვამს კელა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია;
და ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ზეადია“.

ღრმა გრძნობა პოემაში არ ამოიწურება კაცისა და ქალის სიყვარულით. ასეთსავე სიმაღლეზეა აყვანილი მეგობრობა, ურთიერთ ერთგულება. მაღალი

ვაჟკაცური მეგობრობის მოტივებითაა გამსჭვალული დიადი ამბის სველ-კოლიზია.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჰირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“—ო.

ამბობს ავთანდილი.

„სჯობს სიოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება“. (სტრ. 727).

„მის ყმისა ცეცხლი მედების, ვტირი ცრემლითა ცხელითა“. (1002 სტრ.).

„აწ ვეძებ მისთა წამალთა, ვიქმ იჭით-აქათ ბრუნვასა“. (1003 სტრ.).

პოემაში ძლიერია მეგობრობის და ხალხთა ძმობის, ინტერნაციონალიზმის მოტივები. ისინი შეადგენენ სიუჟეტური ქსოვილის ერთ საფუძველთაგანს. პოემა გაშლილია რამდენიმე ქვეყნის ფონზე, მასში ერთგვარი დიდებულებით არიან გამოხატულნი სხვადასხვა ერების წარმომადგენლები, განუყრელი და კეთილშობილი მეგობრები, ერთმანეთთან არიან გადაჯაჭვულნი. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ფრიდონის, ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობა და ძმობა.



ცალკე უნდა აღინიშნოს ბატალური სურათები „ვეფხისტყაოსანში“. სამხედრო სიბრძნის შესანიშნავი ნიმუშები გვაქვს „ხატაველთა მეფის წერილში ტარიელისადმი“, „თათბირში ფრიდონის, ავთანდილისა და ტარიელის ჭაჯეთის ციხის აღების წინ“ და „ჭაჯეთის ციხის აღებასა და ნესტანდარეჯანის განთავისუფლებაში“. აქ მკითხველი ბევრ ბრწყინვალე სამხედრო ტაქტიკურ დებულებას ხვდება, ისეთებს, რომლებიც ეხლაც ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას. რუსთაველის პოემაში მითითებული სამხედრო ხელოვნების მთავარი პრინციპებია სამხედრო თვალთმაქცობა, სიფხიზლე, დარტყმისათვის მზადების საიდუმლოს დაცვა, მოწინააღმდეგის ძალთა სწორი შეფასება, მისი ტაქტიკისა და განზრახვების ცოდნა, ოპერატიული ჭკუფების გულდასმით შერჩევა, ეკვიპირების საკითხების აღრიცხვა, ჩქარი ცხენოსანი ჯარის გამოყენება, როგორც ჯარის ძლიერი სახეობისა, მტრის კომუნიკაციების დაჭერა და სხვა.

გადამწყვეტად ითვლება გაბედული, სწრაფი დარტყმა, ისე, რომ არ მისცე მტერს შესვენება, მანამ, სანამ, იგი საბოლოოდ არ იქნება განადგურებული. ეს მაღალი საბრძოლო ხელოვნება ბრწყინვალეთაა ნაჩვენები ხატაელებთან ბრძოლაში, იმ ამბავში, სადაც მოთხრობილია ხატაელთა მეფის რამაზის და მისი ჯარის განადგურებაზე. აი მამაცი და შემპართებელი ტარიელი, როგორ ანადგურებდა ხატაელებს:

„შიგან ასრე გავფრივე, ვნოლის ჯოგსა ვითა ჭირი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;
კაცი, ჩემგან განატყორცი ბრუნავს ვითა ტანჯორი,
და ერთობ სრულად ამოვწყვიტე წინა კერძო რაზმი ორი.“

ერთობილი მომეხვივნეს, მრგვლივ შეიქმნა ომი დიდი;
გატრი რასაცა, ვერ დამიდგის, სისხლსა შტეტრსა აღმოვდგრიდი;
ცხენსა კაცი გაკვეთილი მანდიკურად გარდაეკიდი.
და სითაც ვიყვი, გამეჭიან, მათ შექმნიან ჩემი რიდი“.

(სტრ. 447 — 448).

თავის ყმათა გმირობას რუსთაველი განსაკუთრებული სიძლიერით უმღერის. მას სძულს სიკვდილი, სძულს ჭაბანი და გამცემლები.

„რა უარეა მამაცა, ომშიგან პირის მღმეველსა;
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მკვეველსა“.

რუსთაველის საყოველთაო ცნობილი ისტორიული დევიზია:

„სჯობს სიკოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

რუსთაველის მგზნებარე პატრიოტული მოწოდება არა ერთხელ ამალღებდა ქართველი ხალხის სულს ბრძოლისა და გამარჯვებისათვის. რუსთაველი შესანიშნავად ერკვევა ჭარის სამხედრო ტაქტიკურ დანიშნულების სხვადასხვა ფორმებში, დიდი სამხედრო შენაერთების მასიურ გაშლას იგი უთანხმებს პატარა, დამკვრელ ქვეშენაერთების გამოყენებას, რაც იძლევა ჩქარ და ეფექტურ შედეგებს. აი, როგორ არის პოემაში აღწერილი ერთი ასეთი ხერხთა-განი:

„დიდთა რას ეაჭნეთ ლაშქართა, კარგნი გვინდა და ცოტანი;
სამასი კაცი გვეყოფის, წავიდეთ მართ მეოტანი;
ჩვენ ჭაჯეთს ჭაჯთა საომრად დავაგნეთ ხრმალთა კოტანი,
და მას ადრე ეპოებთ, ვისიცა მოგვეკლავს ალვისა მო—, ტანი.“

ჭაჯეთს ერთხელ კვლაც ყოფილვარ, პნახეთ, თქვენცა გემარგების,
ყოვლანით კლდეა, ვარეშემო მტერი ვერა მოადგების;
თუ იღუმალ არ შევეუვალო, ცხადიდ შებმა არ გვების,
და მით ლაშქარი არად გვინდა, რაშიმ მალევით ვერ მოგვეყების“.

რუსთაველის გმირები ნებისყოფიანი და მტკიცე მეთაურები არიან. ავთანდილის, ფრიდონის და ტარიელის თათბირში ქაჯეთის ალების წინ გამოთქმულია ბრწყინვალე სამხედრო რჩევანი. სწრაფი შეტევისას ქაჯეთის-ციხის, ბნელი ძალების ციტადელის ალების მომენტში, პოემის სამმა გმირმა უდიდესი თავდადება და სიმამაცე გამოიჩინა, სამივენი აღმოჩნდნენ არა მარტო შესანიშნავი ბელადები თავიანთი ხალხისა, არამედ ბრწყინვალე მხედარმთავრები:

„გავმართნეს და წავიდეს დია სპითა და ბარგითა,
ტარიელ, ფრიდონ, ავთანდილ, თავითა მეტად კარგითა,
კაცი ოთხმოცი ათასი ჰყვა ცხენებითა ვარგითა,
და მივლენ სამნივე გულითა ერთმანეთისა მარგითა“.

(სტრ. 1577).

ყოველივე ეს არა მარტო აფართოვებს „ვეფხისტყაოსანში“ აღძრულ კითხვათა წრეს, არამედ იძლევა იმის საფუძველსაც, რომ რუსთაველი წარმოგვიდგეს დიდ მხედარმთავრად და ქემმარიტ პატრიოტად, რომელიც საჭართველოს სხვა საუკეთესო შვილებთან ერთად, მამაცურად იცავდა თავის საყვარელ სამშობლოს მრავალრიცხოვან მტრებისაგან.

აღორძინების ეპოქის გამოჩენილ ადამიანთა აქტიურ მონაწილეობის შესახებ პოლიტიკურ ცხოვრებაში ენგელსი სწერდა: „ისინი თითქმის ყველანი მათი დროინდელი მოძრაობის შუაგულში იმყოფებიან, პრაქტიკულ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი, ამათუიმ პარტიის მხარეზე დგანან და იბრძვიან ვინ სიტყვითა და წერით, ვინ ხმლითა და ვინ კიდევ ორივეთი.“¹⁾

¹⁾ ენგელსი—„ბუნების დიალექტიკა“, გვ. 10, სახელგამი, 1940 წ.



რატომ არის რუსთაველის სახელი ხალხისთვის ასე საყვარელი? რატომ გახდნენ რუსთაველის გმირთა სახეები ქართველი ხალხისთვის უკვდავი? რუსთაველმა მთელი თავისი პოეტური გენიით გამოხატა თავისი ხალხის სული, მისი საშვილიშვილო აზრები და გრძნობები.

რუსთაველი ქართველი იყო. სწორედ XII და XIII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო გაერთიანების პროგრესში დაავეყვაცა მისი გენია და რუსთაველის უკვდავი გმირები ქართველები არიან. რუსთაველმა ისინი დააჩილდოვა თავისი შესანიშნავი ხალხის საუკეთესო თვისებებით. ჭკუა და ფიზიკური სიჭანსაღე, სულიერი კულტურის სილამაზე, კეთილშობილება, პატრიოტიზმი და მებრძოლი სული—აი, ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებანი. მათ განხორციელებათ გვევლინებიან რუსთაველის გმირები. ცნობილი აკადემიკოსი ბროსე, იძლეოდა რა XII საუკუნის ქართული კულტურის მაღალ შეფასებას, და იგონებდა რა ალტაცებით, რუსთაველის, მოსე ხონელის და სარგის თმოგველის სახელებს, სწერდა: „რომ გავხსნათ მათი პოეტური ტალანტების ხასიათი და გავარჩიოთ ეგზომ ორიგინალური ნაწარმოებები, ეს მაინც ისტორიის სურათი იქნებოდა, რადგანაც მომჭმედი პირები ამ ნაწარმოებებისა ქართველი გმირები არიან, მოგონილი სახელებით“¹⁾. რუსთაველის ღრმად შთაგონებული პოეზია არ შეიძლება წარმოშობილიყო მისთვის უცხო ნიადაგზე და არ შეიძლება გამხდარიყო ქართველი ხალხისთვის ასე გასაგები და ახლობელი. „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანია. მხოლოდ თავის უკვდავი ეროვნული სახეებით, ნაციონალური ფორმის წყალობით შევიდა ეს პოემა მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ოქროს ფონდში. ასეთი პოემა არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო მზა სახეების ნიადაგზე, ნასესხებ სიუჟეტებზე, სპარსიზმისა და ელინიზმის ნიადაგზე.

საქართველო ვითარდებოდა და მიდიოდა თავისი საკუთარი ისტორიული გზით. „ვეფხისტყაოსანი“ თვით მყოფადი ქართული ნაწარმოებია, რომელიც თავისი დროის საუკეთესო იდეებს გამოსახავს. შოთა რუსთაველი პოეტურ შემოქმედებას დიდ მოთხოვნილებებს უყენებდა:

„მოშირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი,
თავი ყოლა ნუ ჰკონია მელიქსეთა კარგთა სწორი;
განალა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
და მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯორი.

მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშირეთა,
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა,—
ეამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
და დიდსა ვერ მოჰკვლევნ, ხელად აქვს ზოცა ნადირთა მცირეთა.

მესამე ლექსი კარგია სინადიმოდ, სამღერელად,
სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად;
ჩვენ მითიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად,
და მოშირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“.

(სტრ. 15, 16, 17).

¹⁾ Броссе — „Взгляд на историю и литературу Грузии“, ж. „М. Н. П.“, XL, стр. 286.

განა შეეძლო რუსთაველს, რომელიც ასე მკაცრად და კრიტიკულად უდგებოდა პოეზიას, დაკმაყოფილებულიყო სხვისი იდეებით და გამხდარიყო ასე ღრმად შთაგონებული? — რა თქმა უნდა არა. ეს მით უფრო უსაზრმაოა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გამოხატული სცენების მთელი რიგი ემთხვევა ისტორიულ ამბებს, რომლებზედაც ქართული მატრიანეები მოგვითხრობენ და რომელთაც ადგილი ჰქონდა XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში.

ქართველების კულტურული კავშირი აღმოსავლეთის და დასავლეთის ხალხებთან ძლიერ გაფართოვდა X, XII საუკუნეებში.

„X და XI საუკუნეებში ქართველებს ფილოსოფიის დარგში აინტერესებდათ იგივე საკითხები, რომლებიც მაშინდელი ქრისტიანული მსოფლიოს აღმოსავლეთსა და დასავლეთ მოწინავე ადამიანებს აინტერესებდათ, იმ განსხვავებით, მაგალითად ევროპელებისაგან, რომ ქართველები სხვებზე ადრე ეხმარებოდნენ ყველაზე უახლეს მიმდინარეობებს ფილოსოფიური აზრისას და მუშაობდნენ თავის დროისთვის სანიმუშო ტექსტუალური კრიტიკის ყველა საშუალებით, უშუალოდ დედნებზე“¹⁾.

ეს ის დრო იყო, როცა ქართველები არა მარტო სწავლობდნენ სხვა ხალხებისაგან, არამედ თვითონაც ახდენდნენ გავლენას ამ ხალხებზე. აკადემიკოსი ნიკო მარი სწერდა: „ბარბაროსული“ ელემენტი კერძოდ ქართული იგივე როლს თამაშობდა XI საუკუნის ბიზანტიის ფილოსოფიის აღორძინებაში, რაზედაც გვაქვს ერთი ბერძნული მითითება“-ო.

რუსთაველი ღრმად შევიდა ხალხური შემოქმედების დაუშრეტელ საგანძურში. ამით აიხსნება მისი ლექსის ნაწი ამღერებულობა, არაჩვეულებრივი სიმდიდრე და შინაარსიანობა მისი ლექსიკის, მუსიკალურობა და კეთილხმოვანება მისი პოეზიისა. საქართველოს პოეტური გენია, შოთა რუსთაველი, ხალხისაგან სწავლობდა სიტყვის მაღალ ხელოვნებას, ისევე როგორც მისგან დღემდე სწავლობს ქართული პოეზიის შეუდარებელ კლასიკურად გამოკვეთილ ხელოვნებას ხალხი, ისევე როგორც დღემდე სწავლობენ მისგან ხალხის აზრების გამოთქმას მგზნებარე, მუდამ ნათელი, მომჯადოებელ-მუსიკალური ლექსით. რუსთაველის შესანიშნავი პოეზია თითქოს რომის პოეტის პორაციუსის ანდერძს მისდევს:

„მოკლედ უნდა სთქვა, რომ არ გაბუნდოვანდეს აზრი,
რომ აზრის დინება იყოს თავისუფალი,
წყობა უნდა იყოს ხან დინჯი, ხან თამაშისებური,
რომ მასში იცნო რიტორი, პოეტი და
სილამაზის სინატიფ“.

შინაარსით ღრმა, ფორმით ბრწყინვალე სენტენციები და აფორიზმები რუსთაველისა, გამოხატავენ ქართველი ხალხის სიბრძნეს. ისინი მკვიდრად შევიდნენ ქართველი ხალხის შეგნებაში და ითვლებიან მის სულიერ კულტურის მარგალიტებად.

¹⁾ Н. Я. Марр — „Записки восточного отделения Русского Археологического Общества“, т. XIX, стр. 113, 1909.



ქართველ ხალხთან ერთად, რომლის უკედავი შეილიც პრინციპული, აფხაზი ხალხი, რომელიც ათასეული წლების განმავლობაში თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველ ხალხთან, რუსთაველის დიდებულებას გამოხატავს თავის ხალხურ პოეზიაში, თავის ფოლკლორში.

დამახასიათებელია რომ გლეხები ახლაც მოგვითხრობენ თქმულებებს შოთა რუსთაველზე. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის ტარიელის ძლიერი სახე გახდა აფხაზებისთვის სილამაზის სიმბოლო, ფიზიკური და სულიერი ჯანსაღობის, გმირობისა და სიმამაცის სიმბოლო.

ხალხში სცოცხლობს ანდაზები, რომელთა წყაროც რუსთაველის პოემა ყოფილა: „ატარიალ დეფიფშუპ“ („ტარიელის მსგავსი“), „უნან სიკუხშანდაზ ატარიალ დეშეიფშუტ“ („ო, როგორ ვეთაყვანები ტარიელის მსგავსს“), „ატარიალ ეპშ, დკატკატო“ („მარჯვე როგორც ტარიელი“), „დეიხტკატ კატო ატარიალ ეპშ, დშერძა“, („ტარიელივით ტანკენარი“) და სხვ. აფხაზებისთვის ეს შედარებები ყველაზე დიდ შექებათ, ყველაზე კარგი თვისებების მიკუთვნებად, სილამაზის და გმირობის ნიმუშად ითვლებიან.

ქაჯები, რომლებიც რუსთაველის პოემაში ბოროტებას ანსახიერებენ, აფხაზ ხალხში იწვევენ ასეთსავე უარყოფით დამოკიდებულებას. ამ სახელს უწოდებენ ბოროტ და შავენ ადამიანებს. მაგალითად აფხაზები ამბობენ: ურტ აქაჯკუა, აქაჯაურშოუა, აქაჯა ბურხუხაიტ, აქაჯა უქურბლაიტ და ა. შ. რაც, ნიშნავს—ქაჯებმა შეგვამონ, ქაჯებმა შეგვწიან. უკველია, რომ თვით გაგება ქაჯისა, როგორც სიტყვა ქაჯი, აფხაზურ ლექსიკონს რუსთაველისგან აქვს ნასესხები.

აფხაზებში გავრცელებულია რუსთაველის გმირების სახელები: ტარიალ (ტარიელი), თანდელ, აეთანდილი (ავთანდილი), რუსტან, არსუტან (როსტევიანი), თინათ, თინა, (თინათინი), და დარჯან (დარეჯან), მაგრამ დარეჯანი გვხვდება აგრეთვე კაცის სახელადაც. რა თქმა უნდა აფხაზეთში გვხვდება „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორის უკედავი სახელიც — შოთა, შათა.

აფხაზეთში დღემდე შემონახულია ჩვეულება, რაც შემდეგში მდგომარეობს: პატარძლის პატივისცემის ნიშნათ, მაზლის სახელს არ ამბობენ, არ ამბობენ ბიძაშვილი ვაყების, ახლო მოგვარეების და სხვა ნათესავე ვაყების სახელბსაც. პატარძალი თვითონ არქმევს მათ სახელებს. აქ მეტად საინტერესოა იმისი აღნიშვნა, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე ხშირად პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად, პატარძალი ქმრის ნათესავებს, სახელად არქმევს — ტარიელს. ეს სახელი გამოხატავს მეგობრობას, ახლობლობას და ნათესაობას. იგი სიმბოლოა ადამიანებისადმი საპატიო დამოკიდებულების. ჩვენ ვფიქრობთ, ამ ჩვეულების წარმოშობა წყაროთ უნდა იყოს ხალხის ამდღებულ დამოკიდებულება რუსთაველისა და მისი პოემის „ვეფხისტყაოსნისადმი“.

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია თავის წერილში „დავით ჩხოტუა და მისი ნარკვევები რუსთაველის პოემაზე“ სწერს აფხაზებზე — დავით ჩხოტუაზე და გიორგი შერვაშიძეზე რომ „ისინი ორივენი აღზარდილი იყვნენ ძველი ქართული კულტურის ნიადაგზე, რომელსაც კარგად იცნობდნენ“ და ორივემ მშვენივრად იცოდა რუსთაველის პოემა, რომლიდანაც ზეპირად მოყავდა ციტატე-

ზად მთელი თავები. დავით ჩხოტუამ ასე სთქვა თავის სიყვარულზე „ვეფხისტყაოსნისადმი“:

„პატარობიდანვე ახლო ვიყავი ამ დიდებულ ნაწარმოებზე; პირველად მე ვუსმენდი მშობლებს პოემის კითხვას; შემდეგ მე თვითონ დავიწყე მისი კითხვა. რამდენჯერმე გადავიკითხე და დავისწავლე ზეპირად; ხელახლა ვკითხულობდი და კვლავ ვებრუნდებოდი. ასე დღემდე, თითქმის სამოცი წლის განმავლობაში; მიუხედავად ამისა შთაბეჭდილებათა სიახლე და ემოციის ძალა ამ ჯანუწყვეტილი კითხვისაგან არა თუ შენეღდა, არამედ პირიქით, თითქო ყოველ ახალი წაკითხვის დროს უფრო ძლიერი ხდებოდა“¹⁾.

როგორც გამოირკვა ჩხოტუამ არა მარტო ზეპირად იცოდა პოემა და უყვარდა იგი უსაზღვროდ, გამოკვლევაც კი დასწერა რუსთაველის შემოქმედებაზე, რომელშიაც გამოთქვა, მთელი რიგი საინტერესო შეხედულებებისა, „რომელთაც თანამედროვე რუსთველოლოგიამ ანგარიში უნდა გაუწიოს“ (ს. ჭანაშია).

აფხაზი ხალხის სიახლოვე და სიყვარული „ვეფხისტყაოსნისადმი“ გამოსთქვა ახალგაზრდა აფხაზმა მწერალმა ხუხუტ ბლაეზამ, რუსთაველის ისტორიულ იუბილეს ტრიბუნიდან: „სახელს შოთას ჩვენ ვინახავთ და ველოლიაგებით სიყვარულით, იგი ჩვენი სულიერი თანამგზავრია, ჩვენ მისი კანონიერი მემკვიდრენი ვართ“-ო.

აფხაზი მშრომელების ცხოვრებაში, „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზურ ენაზე გამოცემა, თვალსაჩინო კულტურული მოვლენაა. აფხაზ ხალხს მიეცა საშუალება, მშობლიურ ენაზე წაიკითხოს გენიალური ქართული პოემის თარგმანი.

„ქართული პოეტური სიტყვის ადეკვატური თარგმანის მოცემა ყოველთვის არ შეუძლიათ, თვით გამოცდილ და პროფესიონალ პოეტებსაც“-ო, სამართლიანად შენიშნავს აკადემიკოსი კ. კეკელიძე, უსვამს რა ხაზს ამ ამოცანის განსაკუთრებულ სიძნელეს და სირთულეს.

ეს შეხედულება შეიძლება ითქვას რომ განსაკუთრებულად სამართლიანია, რუსთაველის ტექსტის სხვა ენაზე თარგმნის სიძნელების მიმართ.

აფხაზურ ენაზე პოემის თარგმნის დროს გამოყენებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ და სხვა თარგმანებით მიღებული გამოცდილება.

მთარგმნელის წინ წამოჭრილი სიძნელები წარმატებით იქმნა დაძლეული, ქართულ და აფხაზურ ენების მნიშვნელოვან ნათესაობის წყალობით. ქართული პოემის აფხაზური თარგმანი ეკუთვნის აფხაზეთის პოეტის დიმიტრი გულუას კალამს.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე სამი წლის განმავლობაში ბეჯითად მუშაობდა გულუა.

აფხაზური ენის შესანიშნავად ცოდნამ, ქართული ენისა და ლიტერატურის ცოდნამ, პოეტ გულუას საშუალება მისცა გადაეჭრა ძნელი ამოცანა. „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური თარგმანი გამოირჩევა ქართულ ორიგინალთან სიახლოვეთ; გულუამ თარგმანში შეინარჩუნა რუსთაველის შაირის 16 მარცვლოვანი ზომა. აღსანიშნავია ის ყურადღება და დახმარება, რომელსაც ამხანაგ გულუას უწევდნენ მუშაობის დროს აფხაზური გამოცემის რედაქტორი აკადემიკოსი ს. ჭანაშია და დოცენტი ქეთო ლომთათიძე.

¹⁾ რუსთაველის კრებული, აკად. საქ. ფილოლის გამოცემა, გვ. 171 — 172.

პოლიგრაფიულად „ვეფხის-ტყაოსნის“ გამოცემა საუცხოოდაა შესრულებული. წიგნის გამოშვებაზე მომუშავე კოლექტივმა დიდი სიყვარული გამოიჩინა ამ საქმეში და ღირსეულად გადასტრა დაკისრებული ვალდებულება.

შემდგომისათვის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პირველი აფხაზური თარგმანის გამოცდილების გამოყენებით, გაღრმავებული იქნას უფრო მეტად მუშაობა, არა მარტო დიმიტრი გულიას მიერ, ახალგაზრდა აფხაზი პოეტების ნიერაც, რათა „ვეფხის-ტყაოსნის“ უკედავი სტროფები უფრო გარკვეულად ისმოდეს აფხაზურ ენაზე, ისევე შეუდარებლად ისმოდეს, როგორც ქართულ ენაზე. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ ჯერ კიდევ 1937 წელს, ახალგაზრდა ნიჭიერმა აფხაზმა პოეტმა, ბაგრატ შინკუბამ წარმატებით შეასრულა რუსთაველის პოემის ნაწილის თარგმანი.



რუსთაველის პოემის აფხაზური თარგმანი გვიჩვენებს იმას, თუ რა დიდ კულტურულ წარმატებებს მიაღწიეს აფხაზეთის მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების დროს. მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტიამ, მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ მისცა აფხაზეთის მშრომელებს უფლება შრომისა და განათლების, მისცა შესაძლებლობანი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურული აყვავებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცი წლის მცირე მანძილზე, აფხაზეთის მშრომელებმა, ქართველი ხალხის დახმარებით, მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

მეცნიერებათა აკადემიის ისტორიკო-ფილოლოგიური განყოფილების სხდომაზე, 1913 წელს ნიკო მარიმ თავის მოხსენებაში სთქვა: „აქეთ მგზავრობისას სოხუმში რომ მოვედი საღამო აღვილობრივ, აფხაზთა ინტელიგენციის წრეში ვავატარე. აფხაზი ინტელიგენციის წრე, სულ რამდენიმე კაცისაგან შესდგებოდა“¹⁾. იმ დროს განათლებული და ნასწავლი ადამიანები აფხაზეთში ერთეულობით გვხვდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთში წარმოიშვა ახალი ინტელიგენცია, რომელიც პატიოსნად ემსახურება ხალხს და კომუნისმის დიად საქმეს. უკანასკნელი წლების განმავლობაში აფხაზეთის მშრომელებმა, ამხანავ ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით და დახმარებით, მიაღწიეს მეტად ბრწყინვალე წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, გაანადგურეს კაპიტალიზმის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტების ბუდეები, განამტკიცეს ქართველთა და აფხაზთა სტალინური მეგობრობა, და ბევრი გააკეთეს შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურის ფართო განვითარებისთვის.

აფხაზი ხალხი ეზიარა მოძმე რესპუბლიკათა კულტურულ ღირებულებებს, ქართველი, რუსი და სხვა მოძმე საბჭოთა ხალხების კულტურათა უმდიდრეს საუნჯეებს. უზარმაზარი კულტურული შესაძლებლობანი გადაუშალა აფხაზ

¹⁾ Академик Н. Я. Марр—„О языке и истории абхазов“, стр. 56. 1938.

ხალხს, ქართული ანბანის საფუძველზე შედგენილმა ახალმა აფხაზურმა ანბანმა. აფხაზი ხალხი მშობლიურ ენაზე კითხულობს მარტყაქუქ-ღენძინების კლასიკოსთა შრომებს, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით შექმნილ კლასიკ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“, მომე ხალხების და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების — პუშკინის, ტოლსტოის, გორკის, ჭავჭავაძის, შევჩენკოს, წერეთლის და სხვათა ნაწარმოებებს.

„იგორის ლაშქრობის თქმულება“ — დიადი რუსი ხალხის გენიალური უძველესი ძეგლი თარგმნილია აფხაზურად.

აფხაზური მხატვრული ლიტერატურის მიღწევები მნიშვნელოვანია. უხუცესი აფხაზი პოეტის — დიმიტრი გულიას სახელი ფართოდაა ცნობილი. ცნობილი ვახდა ახალგაზრდა აფხაზი პოეტების და მწერლების — ლევარსან კვიცინიას, ბაგრატ შინკუბას, ივან პაპასკირის, ჭიაზიმა აგუმაას და სხვათა სახელები. ცნობილია უდროოდ გარდაცვლილ ნიჭიერ აფხაზ პოეტის იუა კოლონიას სახელიც.

ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი, ჩვენი ბრძენი ბელადისადმი უდიდესი სიყვარულითა და მადლობით აღსავსე აფხაზი მწერლები, ყველაზე მეტად შთაგონებულ ნაწარმოებებს უძღვნიან ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოს, ამხანაგ სტალინს. აფხაზურ ლიტერატურის წარმატების მნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩაითვალოს აფხაზ პოეტთა კრებულის გამოცემა რუსულ და ქართულ ენებზე, მოსკოვსა და თბილისში.

აქვე ხაზგასმით უნდა მოვიხსენოთ, როგორც აფხაზი ხალხის კულტურის ზრდის მაჩვენებელი, ის ამბავი, რომ ახალგაზრდა აფხაზურმა თეატრმა, რომელიც სულ ათი წელია რაც არსებობს, აფხაზეთის გასაბჭოების ოცი წლის საიუბილეოდ დასდგა შექსპირის უდიდესი ტრადედია „ოტელო“. დადგამამ დამსახურებულად მიიღო მაყურებლის დადებითი შეფასება.



1937 წელს საბჭოთა კავშირის დიადმა ხალხმა იღღესასწაულა რუსთაველის იუბილე — 750 წელი „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან. გრანდიოზულ საიუბილეო ზეიმებზე, რომლებიც მთელს კავშირში ტარდებოდა, მშრომელთა მრავალ მილიონიანმა მასებმა ერთხელ კიდევ უჩვენეს, როგორ მალა უჭირავთ სტალინური მეგობრობის დროშა, როგორ აფასებენ თითოეული მომე ხალხის უდიდეს კულტურულ მიღწევას.

საბჭოთა ხალხს რუსთაველის პოემა მიაჩნია არა მარტო თვალსაჩინო ისტორიულ-ლიტერატურულ ძეგლად, არამედ ცოცხალ, მოქმედ პოეტურ ქმნილებად, რომელიც ბევრ რამეში ეხმაურება ჩვენს დიად სტალინურ ეპოქას. პოემაში შექმნილი მაღალი ადამიანური თვისებები — მიჯნურობა, მეგობრობა, ხალხთა ძმობა, პატრიოტიზმის უწმინდესი გრძნობა და მტრებისადმი სიძულ-

ვილი — იქცენ საბჭოთა ადამიანის მორალურ-პოლიტიკური სახის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნებად. რუსთაველის პოემა განსაკუთრებით ახლობელია სოციალისტური ეპოქის ადამიანებისთვის.

იმპერიალიზმის მტაცებელმა ქაჯებმა მსოფლიო ომის ხანძარი დაანთეს. ცეცხლში იწვიან მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა — ჰომეროსის, დანტეს, შექსპირის, ვოლტერის, გოეტეს და სხვათა ქვეყნები. იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნების ხალხები ჩართული არიან იმპერიალისტური ომის საშინელ ხანძარში, როცა გამძვინვებელი ცეცხლი ანადგურებს უდიდეს მსოფლიო ქალაქებს, როცა დაუზოგავად ანგრევენ განუმეორებელ კულტურულ ღირებულებებს, რომლებიც საუკუნეობრივი შრომით შეუქმნია კაცობრიობას, საბჭოთა კავშირის ხალხები დამშვიდებულად და ბეჯითად აშენებენ ახალ ცხოვრებას — აშენებენ კომუნიზმის დიად შენობას.

ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების ბრძნულ პოლიტიკას, ჩვენი საყვარელი ბელადის — იოსებ ბესარიონის-ძესტალინის ნათელ გენიას.

გიორგი ჯივლაძე

გიორგი ნაკათლის შემოქმედება

ვაქას შემოქმედების მსგავსად, გ. წერეთელსაც განსაკუთრებული ბედი არგუნა იდეალისტურმა ლიტერატურულმა კრიტიკამ. მან ვერ შესძლო ამ თვალსაზრისით რომანისტიკის მხატვრული შემოქმედების მეცნიერული ანალიზი. თუ ვაქას შემოქმედება იდეალისტურ-ლიტერატურული კრიტიკის ერთმა ნაწილმა მიიჩნია ნეო-რომანტიზმად, მისტიციზმად, ხოლო მეორე ნაწილმა რომანტიზმად, ზოგჯერ რეალიზმადაც, — გ. წერეთლის შემოქმედების განსაზღვრისას არსებითად ორი ძირითადი თვალსაზრისი ჩამოყალიბდა: თვალსაზრისი, რომელმაც „პირველი ნაბიჯის“ ავტორი რეალისტად გამოაცხადა და თვალსაზრისი, რომელმაც უარყო ეს შეხედულება და „ჩვენი ცხოვრების ყვავილის“, „ჩიკოლიის“, „რუხი მგელის“, „მამიდა ასმათის“ ავტორს ქართულ ლიტერატურაში „ნატურალიზმის წარმომადგენლობა“ შესთავაზა.

მეორე თვალსაზრისი ეკუთვნის ქართული იდეალისტური ლიტერატურული კრიტიკის ტიპიურ წარმომადგენელს კიტა აბაშიძეს, რომელმაც თავისი დებულების დასამტკიცებლად მეტად მწირო არგუმენტაცია მოიშველია. მისი აზრით, „პირველი ნაბიჯის“ ავტორი ნატურალისტი იმიტომ, რომ გ. წერეთელი „როგორც ბელეტრისტი, სუსტი გახლდათ“¹⁾, რომ მას, „როგორც მწერალს, ხელოვანს, ერთობ მდარე ინდივიდუალობა აქვს“²⁾. არ შეგვიძლიან ამ უაღრესად ყალბი დებულების კრიტიკა განხილვის სფეროში არ შევიტანოთ. მით უფრო აუცილებელია ამ შეხედულების გაკრიტიკება, რომ იგი ორ დიდ მეტოლოლოგიურ შეცდომას აერთიანებს.

პირველი: თუ ბელეტრისტი სუსტია, იგი აუცილებლად ნატურალისტი უნდა იყოს; ნატურალიზმი ლიტერატურაში შემოქმედების სისუსტეს გამოხატავს, მისი მხატვრული აღლოს განსაზღვრულობას და ვიწრო დიაპაზონს, — ასეთია კიტა აბაშიძის მეტოლოლოგიური პრინციპი. „ხელოვნების მდარე ინდივიდუალობა“ ნატურალიზმის განუყოფელი თვისებაა, მისი შემადგენელი ნაწილია, — ასეთია კიტა აბაშიძის თეორიული არგუმენტაცია.

დაეუშვათ, რომ ეს მართალია. მაგრამ გადავხედოთ ლიტერატურის, კერძოდ ნატურალიზმის როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის, ისტორიას. განა „მდარე ინდივიდუალობა“ ჰქონდა ემილ ზოლას — ნატურალიზმის ფუძემდებელს ევროპულს ლიტერატურაში და მის კლასიკურ წარმომადგენელს იბსენის დრამების შემდეგ ხომ შეუძლებელია ოდნავი სიტყვის დაძვრა შათი

¹⁾ კიტა აბაშიძე — „ერთუღები“, ტ. II, გვ. 38. ხაზი ჩემია — გ. ჯ.

²⁾ იქვე.

ავტორის „მდარე ინდივიდუალობაზე“? ზოლას ან იბსენის მხატვრული შემეცნება არაეის მიუჩნევია სუსტად და „მდარე ინდივიდუალობაზე“ უფრო ნატურალიზმი შემოქმედებითი სიდატაკის, სისუსტის ან „მდარე ინდივიდუალობის“ სინონიშია, მაშინ სად მოვათავსოთ ზოლას მხატვრული პალიტრა ან მისი ეგზომ ძლიერი ინდივიდუალობა? ნათქვამიდანაც ნათელი ხდება, თუ რამდენად ყალბია ნატურალიზმის ბუნების განსაზღვრა მწერლის „მდარე ინდივიდუალობით“, ან მისი მხატვრული შემეცნების მოკლე დიაპაზონით.

მეორე: კიტა აბაშიძის ზემოთ გაკრიტიკებული მსჯელობიდან გამომდინარეობს უაღრესად ყალბი მეთოდოლოგიური დებულება: როგორც დაინახეთ, ნატურალიზმს კიტა აბაშიძე განმარტავს მხატვრის ინდივიდუალობით. ნატურალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, სტილი, როგორც შემოქმედებითი მეთოდი, გამოთიშულია მსოფლმხედველობიდან, რამდენადაც იგი გაგებულია როგორც მწერლის მხატვრული უნარის დიაპაზონი და არა როგორც მისი მსოფლმხედველობა. მეთოდისა და მსოფლმხედველობის ასეთი გათიშვა იდეალიზმის და იდეალისტური ლიტერატურული კრიტიკის საკუთრებაა. ამ გზით შეუძლებელია ვაეიგოთ ნატურალიზმის, როგორც სტილის, ობიექტური ბუნება. ამიტომაც ვერ შესძლო კიტა აბაშიძემ ნატურალიზმის მეცნიერული განმარტება. ამიტომაც მიიჩნია მან გ. წერეთელი ნატურალიზმის „კლასიკურ ნიმუშად“ ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ რას წარმოადგენს ნატურალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, როგორც სტილი, როგორც შემოქმედებითი მეთოდი?

ნატურალიზმი დასაველეთ ევროპაში განვითარდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მისი პირველი დასაბუთება და მხატვრული ცხადყოფა დაკავშირებულია საფრანგეთის გამოჩენილი რომანისტის ემილ ზოლას სახელთან. ნატურალიზმის წარმოშობასა და განვითარებას წინ უძღოდნენ ისეთი სოციალ-ეკონომიური მოვლენები, რომლებმაც მთლიანად განსაზღვრეს ნატურალიზმი როგორც ლიტერატურული აზროვნება და მეთოდი. ამ მოვლენების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მისი წარმოშობა, რადგან როგორც მარქსი მიგვიითებებს, „სამოქალაქო საზოგადოების ანატომია უნდა ვეძიოთ მის ეკონომიკაში“. ნატურალიზმი წარმოადგენს ბურჟუაზიული რეალიზმის განვითარებას. ნატურალიზმმა, როგორც იგი ემილ ზოლამ ჩამოაყალიბა (რასაკვირველია, ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს ნატურალიზმის იმ თეორიასთან, რომელიც ზოლამ განავითარა, მაგრამ ზოლას ნატურალისტურ თეორიას ვახასიათებთ, როგორც ლიტერატურის თეორიის ისტორიულ საკუთრებას), სოციოლოგიისა და ფიზიოლოგიის კონტრანური პრინციპი წამოაყენა. ზოლას აზრით, „მხატვრული ნაწარმოები ბუნების ნაკვეთია, ტემპერამენტის პრიზმის საშუალებით დანახული“. სამი ძირითადი პრინციპი წამოაყენა ზოლას ნატურალისტურმა თეორიამ: 1) აპოლიტიკურობა, — ხელოვნება პოლიტიკური იდეალების გარეშე, ხელოვნება როგორც მხოლოდ და მხოლოდ ასახვა სინამდვილისა, როგორც იგივეობა სინამდვილისა; ობიექტურობა ხელოვნებაში, — ხელოვნება დაკლილი ყოველგვარი სუბიექტური ზრახვებისა და ინტერესებისაგან, როგორც ზუსტი ვადმოცემა არსებული სინამდვილისა; და მეცნიერება ხელოვნებაში, რომელიც კი არ გაურბის მეცნიერების მიღწევებს, არამედ მიზნად ისა-

1) ზოლას ციტატები ამოღებული გვაქვს ფრანც მერინგის წიგნიდან.

ხავს სინამდვილე ასახოს მეცნიერული მიდგომით და მისი კანონების შესტი დაცვიო.

ეს სამი ძირითადი პრინციპი ნატურალიზმისა, როგორც ^{ნატურული} ~~მეცნიერული~~ ^{შედეგად} ~~შედეგად~~ ^{შედეგად} წამოაყენა, თუმცა მისი შემოქმედება არავითარ შემთხვევაში არ იყო არც ობიექტური და არც აპოლიტიკური. ზოლამ გადაპრით უარჰყო ის შეხედულებები, რომელიც 90-იან წლებში გაბატონდა და რომელმაც ზოლა გამოაცხადა ნატურალიზმის ავტორად და აღმომჩენად. „როგორღა შეიძლებოდა აქედან (ე. ი. ნატურალიზმის ზოლასებური მტკიცებიდან), — სწერს ზოლა, — გამოგეტანა დასკვნა, რომ მე გამოვიგონე თეორია ჩემი საკუთარი მოხსენებისათვის. რომელ ბრწყინვალე მოუვიდა თავში საოცარი აზრი—გამოვეხატე მე ამპარტაენად, რომელსაც მსურს მივაწერო მსოფლიოს საკუთარი რიტორიკა და ჩემს მუშაობაზე დავაფუძნო ფრანგული ლიტერატურის წარსული და მომავალი“!

ზოლას თეორიული მტკიცება, მისი არგუმენტაცია ყალბი და მიუღებელია. ზოლას აზრით, ნატურალიზმი, როგორც მეთოდი, წინა საუკუნის ლიტერატურული პრაქტიკით აღინიშნა, ხოლო XIX საუკუნის რომანები წარმოადგენენ ამ პირველყოფილი ნატურალისტური მეთოდის მარტოოდენ განვითარებას. „მე მოვინახე ნატურალისტური მეთოდი XVIII საუკუნეში, — სწერს ზოლა, — იგი თავს იჩენს, თუ გნებავთ, მსოფლიოს დასაწყისიდან. მე დავამტკიცე, რომ ჩვენს ნაციონალურ ლიტერატურაში მას ბრწყინვალედ იყენებდნენ ბალზაკი და სტენდალი. მე ვამტკიცებდი, რომ ჩვენი თანამედროვე რომანი წარმოადგენს ამ მხატვრების მუშაობის გაგრძელებას, და პირველ რიგში დავასახელებ გუსტავ ფლობერი, ჟიული და ედმონდ გონკურები და ალფონს დოდე“.

ბალზაკისა და სტენდალის მხატვრული შემოქმედება არავითარ შემთხვევაში არ არის ნატურალისტური და, მაშასადამე, გუსტავ ფლობერისა და გონკურების შემოქმედება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მათი ლიტერატურული ტრადიციის გაგრძელებად. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისეთი დიდი მწერლები, როგორც ივენენ ბალზაკი და სტენდალი, თავიანთ შემოქმედებაში ანვითარებდნენ და ანმტკიცებდნენ რეალიზმს და არა ნატურალიზმს. ზოლას მტკიცება, თითქოს დიდრო და რუსო, ბალზაკი და სტენდალი ნატურალისტები იყვნენ, მართებული არ არის. ზოლას მტკიცება, თითქოს „ნატურალისტური მეთოდის გამოყენება ჩვენს ლიტერატურაში დაიწყო გასული საუკუნიდან, ჩვენი თანამედროვე მეცნიერების პირველი ტიპიკიდან“ — მოკლებულია სიმართლეს.

ზოლა ნატურალიზმს ხშირად ვერ არჩევს ნატურალისტურისაგან, ისევე, როგორც რუსეთში XIX საუკუნის 40-იან წლებში ნატურალიზმს ვერ არჩევდნენ რეალიზმისაგან და ყველა რეალისტი (გოგოლი, გრიგორიევიჩი, ტურგენევი და სხვ.) „ნატურალისტური სკოლის“ მედროშედ მიანდათ. სინამდვილის რეალისტურად ასახვა არავითარ შემთხვევაში არ არის ნატურალიზმი, ისევე, როგორც რომანტიკა არ შეიძლება რომანტიზმი იყოს. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნატურალიზმის ტიპური თვისება სამი ძირითადი პრინციპია: აპოლიტიკურობა, ობიექტურობა და მოვლენების, ფაქტების შესტი მეცნიერული კანონიზაცია, რაც ბურჟუაზიულ რეალიზმს აკლდა, როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე რუსეთსა და საქართველოში. ზოლამ ნატურალიზმის ყველა ეს პრინციპი ნათლად დაახასიათა თავის თეორიულ სტატიებში. „მე არ მინდა, როგორც ბალზაკს, — სწერდა ზოლა, — გადავწყვიტო, როგორი უნდა იყოს

ადამიანური ცხოვრების წყობა, არ მინდა ვიყო პოლიტიკოსი, მორალისტი. მე ვკმაყოფილდები მეცნიერის როლით, გამოხატავ სინამდვილეს მასში შინაგან დაფარულ საფუძვლებს“.

შენჯინოთქა

ნატურალიზმმა ხელოვნებაში მეცნიერულობისათვის მართლაც დიდი როლი შეასრულა და ლიტერატურის ისტორიას ამ დებულების დამამტკიცებელი რამდენიმე ფაქტი დაუტოვა. მხატვრულ შემოქმედებაში ეს აღინიშნა ზოლას „ექსპერიმენტული რომანით“ (1879 წელს გამოვიდა). ცნობილია, რომ პენრიკ იბსენი თავისი „მოჩვენებებისათვის“ ხშირად მიმართავდა კლინიკურ ანგარიშებს. ძმებმა გონკერებმა სპეციალურად გადაიკითხეს სამედიცინო წიგნები სულიერი ავადმყოფობისა და, საერთოდ, არანორმალური ადამიანის დასახატავად. ხოლო ზოლამ თავისი რომანის „ადამიანი მხეცი“-სათვის დეტალურად შეისწავლა ორთქლმავლის შემანქანის ფსიქოლოგია და მისი მუშაობის მთელი პროცესი. ყოველივე ეს ცდა, ეს ექსპერიმენტები, აპოლიტიკურობის მანტიით შეიარაღება, ობიექტურობის ქადაგება ხელოვნების თეორიასა და პრაქტიკაში, მიმართული იყო მხოლოდ იქითკენ, რომ მიჩქმალულიყო ის გამძაფრებელი კლასობრივი ბრძოლა, რომელიც ახასიათებდა ბურჟუაზიის ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის იმ პერიოდს. და ზოლამ ხომ არა ერთხელ მიუთითა, რომ მას საერთო არაფერი აქვს ადამიანთა ცხოვრების სისტემასთან, პოლიტიკასთან, ფილოსოფიასთან. ზოლამ ხომ არა ერთხელ აღნიშნა, რომ მისი მიზანია გამოხატოს სინამდვილე, რომ იგი „ექებს მასში შინაგან და ფარულ საფუძვლებს“. დიდროსა და რუსოს რეალიზმს, სტენდალისა და ბალზაკის რეალიზმს არავითარ შემთხვევაში არ წამოუყენებიათ ასეთი პრეტენზია.

და თვით ზოლას შემოქმედებაც ხომ გარკვეული პოლიტიკური, ფილოსოფიური და მორალური სისტემის ცხადყოფა იყო მხატვრული სახეებით. ფრანც მერინგი ანსხვავებს, ერთის მხრით, რუსოსა და დიდროს, მეორე მხრით ბალზაკისა და ზოლას ნატურალიზმს. „ისინი (ე. ი. რუსო და დიდრო — გ. ჯ.) თავს იცავდნენ ფეოდალიზმის საზოგადოებრივი გახრწნისაგან ბუნებაში, ე. ი. ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ წყობაში, ესენი კი (ე. ი. ბალზაკი და ზოლა — გ. ჯ.) კაპიტალიზმის საზოგადოებრივი გახრწნისაგან გადარჩენას ეძებენ, ამასთან ერთად არ იციან სად იპოვნეს ეს გადარჩენა“, — სწერს მერინგი (Фр. Меринг „Литература и пролетариат“. 1925 г. стр. 256) თუ დიდროს, რუსოსა და ბალზაკის ნატურალიზმს ვგერდს აუხვევთ, ეს დებულება მოზღნენილად ახასიათებს ამ დიდი ლიტერატურული სუბერენების აზროვნებას. ასეთივე მოზღნენილია მერინგის მითითება ზოლას შესახებ: ზოლას შემოქმედება უფრო ძლიერი და ფრთავაშლილი იქნებოდა, მას რომ „საზოგადოებრივი მოვლენების ანალიზში გასაღებად ეხმარა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის თეორია, ნაცკლად ლომბროზოს ვულგარული ფატალიზმისა, რომელსაც იგი საკმაოდ ხშირად შეცდომაში შეჰყავდა“ (იქვე, გვ. 275).

გ. წერეთლის შემოქმედების სოციალური ფესვები გადგმულია საქართველოს სამრეწველო ბურჟუაზიის განვითარების ეპოქაში, მაშასადამე, შეუძლებელია მისი შემოქმედება ნატურალიზმი იყოს, როგორც ამას კიტა აბაშიძე ამტკიცებდა. ზოლას მსგავსად კ. აბაშიძეც ვერ ანსხვავებს ნატურალიზმს ნატურალისტურისაგან. შეიძლება მწერალმა რომელიმე მოვლენა ან რომელიმე ტიპი დაგვიხატოს დეტალების თვით უმარტივესი ნაწილებითაც კი, მაგრამ ეს-

არავითარ შემთხვევაში არ იქნება ნატურალიზმი, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ ნატურალისტური მიდგომა სინამდვილისადმი.

გიორგი წერეთლის შემოქმედებაში საკმაოდ მოიპოვება სინამდვილესა და ტიპის დახატვის ნატურალისტური ტენდენცია. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ არის ნატურალიზმი, ეს არის ის „შეუფერავი რეალიზმი“, რომლითაც გ. წერეთელმა დაახასიათა თავისი საკუთარი შემოქმედება. გ. წერეთელი თავისი მხატვრული შემოქმედებით რეალისტია და თეორიულ-პუბლიცისტურ სტატიებშიაც იგი ამ რეალიზმის მედროშედ გამოდიოდა. ამას უფრო ნათლად დავინახეთ მაშინ, როცა შევედგებით „პირველი ნაბიჯის“ ავტორის მთელი მხატვრული შემოქმედების ლიტერატურულ ანალიზს.

როგორ ესმოდა გ. წერეთელს ხელოვნების ფუნქცია? როგორი იყო, მისი აზრით, შემოქმედის დანიშნულება?

გიორგი წერეთელი უარყოფდა „წმინდა ხელოვნების“ თეორიას, „ტკბილ-ხმათათვის და ლოცვებისათვის“ სამსახურს, ის არ გამოდიოდა ხელოვნების იდეალისტური კონცეპციიდან მაშინ, როცა ნატურალიზმი და მეტადრე ზოლა ხელოვნების აპოლიტიკურობის გაცვეთილი დევიზიდან გამოდიოდნენ. გ. წერეთელი ლაპარაკობდა რეალიზმისა და რეალიზმისათვის დამახასიათებელი იდეებით: „მწერალი არის ერთი თავის საზოგადოების წევრთაგანი, ერთი იმ პირთაგანი, რომლების კრებაც შეადგენს საზოგადოებას. ის არის საზოგადოების ტანჯვისა და შვების თანამგრძობელი“. ცხადია, ამ იდეებით არ გამოსულა ნატურალისტური სკოლა საფრანგეთში, ნატურალიზმს თავის ამოცანად არ დაუსახავს ყოფილიყო „საზოგადოების ტანჯვისა და შვების თანამგრძობელი“. იგი თავს იკავებდა იმის ქადაგებისაგან, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი წყობა. მას თავის ფუნქციად არ მიაჩნდა გამოსულიყო საზოგადოების ტანჯვის თანამგრძობად. გ. წერეთლის აზრით, მხატვრის, შემოქმედის მოვალეობაა „აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ნაკლოვანების შესახებ, უჩვენოს იმგვარი საშუალებები, რომლებიც მისი ფიქრით საუკეთესო არიან ამ ნაკლოვანებების მოსასპობად“¹⁾. ზოლას აპოლიტიკურ თეზისს ხელოვნების შესახებ, როგორც დავინახეთ, საერთო არაფერი აქვს გ. წერეთლის კონცეპციასთან, ზოლო თუ რატომ არ არის გ. წერეთელი ნატურალისტი, ამაში უფრო ნათლად დავეარწმუნებს მისი მხატვრული შემოქმედების კრიტიკული ანალიზი. ზოლას აპოლიტიკურ თეზისის წინააღმდეგ, გ. წერეთელი მხატვრულ შემოქმედებაში გამოდიოდა არამარტო მხატვრად, არამედ თვალსაჩინო პუბლიცისტადაც, არა მარტო ობიექტური სინამდვილის ამსახველად, არამედ მსჯავრის დამდებადაც, რასაც უარყოფს ნატურალიზმი, როგორც ლიტერატურის თეორია და მხატვრული შემოქმედება.



საინტერესო ეპოქაში მოუხდა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა გ. წერეთელს. ეს იყო საგლეხო რეფორმის ეპოქა რუსეთსა და საქართველოში, ეპოქა როცა „რაზნოჩინურმა“ მოძრაობამ გამოაფხიზლა რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, როცა გლეხთა მასობრივი აჯანყებების შედეგად ბატონყმობის გაუქმების საკითხი რადიკალურად დაისვა

¹⁾ „საქართველოს მოამბე“, 1863. № 5. გ. წერეთლის სტატია „ციცარს რა აკანებდა?“
7. „წათობა“, № 4.

ბიუროკრატიული რუსეთის სატრაპების წინაშე, როცა საქართველოში სამწერლო და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდნენ თერგდალეულები, ჩოლო 1854 წელს, რუსეთის მსგავსად, საქართველოშიაც გაუქმდა ჩიტრეცობა. ერთის მხრივ ფეოდალური მეურნეობის რღვევა, მეორეს მხრივ—სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის სწრაფი ტემპით განვითარება, ე. ი. ეპოქა, როცა ფეოდალური მეურნეობის სინამდვილეს დაუპირისპირდა ბურჟუაზიული მეურნეობის სინამდვილე, როცა ამ ორი საზოგადოებრივი კლასის წარმომადგენელთა შორის აშკარად იჩინა თავი ბრძოლამ, როცა ამ ბრძოლის, ამ სინამდვილის შედეგად ამოქმედდნენ ახალგაზრდობის გარკვეული ფენები.

ასეთია ის ეპოქა, რომელშიაც ჩამოყალიბდა და განვითარდა გ. წერეთლის შემოქმედება. ყველა საკითხი, დაკავშირებული ამ ეპოქის ვითარებასთან, თავის მხატვრულ გამოძახილს პოულობს გ. წერეთლის შემოქმედებაში, ფეოდალური მეურნეობის რღვევა მის თითქმის ყველა მხატვრულ ნაწარმოებში ასახული. ასეთია: „ჩენი ცხოვრების ყვავილი“, „მამიდა ასმათი“, „რუხი მგელი“, „გულქანი“, „მგზავრის წერილები“, „პირველი ნაბიჯი“. ყველგან ავტორი ნათლად გვიხატავს ფეოდალური მეურნეობის დეგრადაციას, მაგრამ სინამდვილის არა ფოტოგრაფიული გადმოღებით, არამედ მისი კანონზომიერების ჩვენებით. ცნობილია, რომ „ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება საკმაოდ სწრაფად წავიდა, მიუხედავად ბატონყმობის ნაშთებისა, რომლებიც კიდევ აფერხებდნენ ამ განვითარებას“ („საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 7).

„მგზავრის წერილებში“ მგზავრთა ერთი ნაწილის შთაბეჭდილება ავტორმა გამოიყენა ბატონყმური წყობილების გასაკრიტიკებლად. მოთხრობის პირველი ნაწილი უადრესი რელიეფურობით გვიხატავს ბატონყმური სინამდვილის სუსხიან სურათებს საგლეხო რეფორმამდე. გლეხები, რომელნიც ეპიზოდური სახით გვხვდებიან მოთხრობის მთელ მანძილზე, ნათლად გამოხატავენ შეურიგებლობას ბატონყმური სინამდვილისადმი და განუზომელ აღტაცებას მოსალოდნელი საგლეხო რეფორმით. გ. წერეთელმა ამ ნაწარმოებში დამაჯერებლად დავვისურათა ის, თუ რა არაადამიანურ უოფაში იყვნენ გლეხები ბატონყმობის გაუქმების წინ. მგზავრები დადიანის სოფელში შევიდნენ, მათ თვალწინ წარმოუდგათ ილაჯგაწყვეტილი სოფელი, რომელმაც ავტორს ტირილი დააწყებინა: „უფრო ხშირად თავგადახდილი წნელის ქონები, წაქცეული ღობე, ფერდმომხმარი ძაღლები“,—აი გულშემშარავი სურათი ბატონყმობის გაუქმების წინაპერიოდის სოფლისა, რომელიც მგზავრებმა იხილეს. ისინი მიაღწენ ქოხს, სადაც „ახალგაზრდა ქალი პერანგის ამარა იჯდა და ვანის ჩაქები ილღიებამდის შეხეული ჰქონდა, ასე რომ გულ-მკერდი სულ ერთიანად მოტიტვლებული უჩანდა. აკვანში სრულებით ტიტველა ბავშვი ეგდო და არტაშენების მაგიერად ბადრის ჩითის ნაფლეთებით იყო ჩაკრული“. ახალგაზრდა გლეხი ქალის უმწეო მდგომარეობა მძაფრი რეალისტური შტრიხებით არის დახატული. წარმოიდგინეთ ეს სულის სიღრმემდის ჩამწვედომი, მეტად სავალალო სურათი: როცა ის „ტიტველა მკერდის დაფარვას აპირებდა პერანგის ნაფლეთებით... ერთ ძეძუს რომ დაიფარებდა, მეორე მაშინვე თავს გამოყოფდა“. ასეთსავე უნუგეშო და აუტანელ მდგომარეობაში არიან ბავშვები, რომელთაც ტანზე არა აკრავთ რა, გარდა იმისა, რაც მათ დაბადებისას დაჰყავთ. წარმოიდგინეთ ან ის მოხუცი გლეხი, რომელიც მეორე ქოხში სცხოვრობს: მასაც „პერანგისა და შემოფლეთილი პერანგის ამხანა-

გის მეტი არა ეცვა რა“. როცა მგზავრებმა სთხოვეს: თუ გაქვთ სანოვანე მოგვეიდუო, მოხუცმა სიცილით უპასუხა: „ჩვენ გასაყიდი ექვწყურე მოგვეცა, ნეტა იმდენი მოგვეცა, კუქი გავიდლოთ თუ არა გაყიდვისაგან [დამერჩმე] დაგვიფაროსო“.

რა არის მერე სოფლის ამ უსაშინელესი სილატაკის მიზეზი? გ. წერეთელი მეტად დამაჯერებლად, ნათლად და ღრმად გვისაბუთებს ამ მიზეზებს: „ქალის ყელში ცალი მხრით დადიანის სასახლე და მეორე მხრით მონასტერი“, ერთის მხრით, ალვირახსნილი, გლეხობის უსაზიზღრეს ექსპლოატაციაზე დამყარებული ფეოდალური არისტოკრატია, მეორეს მხრით — ასეთივე პარაზიტული წოდება-სამღვდელოება, — აი ორი მთავარი მიზეზი, რამაც გლეხობა და მთელი ეს სოფელი ასეთ სილატაკემდე მიიყვანა. და მე მომჩვენეაო, — ამბობს ავტორი, — თითქოს ეს სასახლე და მონასტერი იყო, ორი ზღაპრული ვეშაპი, რომელიც თითქოს ქალის ყელში იმ განზრახვით დაბინავებულიყვნენ, რომ მთელი ეს მიდამო კლანჭებში ყოლოდათ გაძაგრული და გაუკეთხავათ ელოთ ხარჯი თავის სარჩენად“.

ბატონყმობის კრიტიკასა და გლეხობის სოციალური ყოფის დახატვაში გ. წერეთელი აშკარად განიცდიდა რუსი რაზნოხინელების იდეურ გავლენას და თითქმის ისეთივე თვალსაზრისით აკრიტიკებდა ბატონყმობას და გლეხობის ფიქტიურ განთავისუფლებას, როგორც ჩერნიშევსკი. ბატონყმობის მოსალოდნელ გაუქმებას გლეხობა აშკარად გრძნობდა. მაგრამ მან არ იცოდა, სინამდვილე იყო ყოველივე ის, რასაც ამის შესახებ ამბობდნენ, თუ სიცრუე. მას ჯერ კიდევ ვერ შეეთვისებინა, უკეთ, ის ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული მართლა გააუქმებდნენ ბატონყმობას, თუ ყოველივე ხალხის მოსატყუებელი ჭორი იყო. როცა ლეჩხუმელი და გლახათუბნელი გლეხები გაიგონებენ ჩიკოლიკის ლაპარაკს გლეხთა განთავისუფლებაზე, გლახათუბნელი გლეხი ალტაცებით წამოიძახებს: „ნეტაი ღმერთი იმ ჩემს ბატონს მომაშორებდეს, თვარა კაცი რავე მემჯობინება ქვეყანაზეო“. გლახათუბნელის ღრმა რწმენას, რომ ბატონყმობა აუცილებლად გადაეარდება, უპირისპირდება ლეჩხუმელი გლეხის სკეპტიციზმი. ამ ორი გლეხის შეხედულებათა ჩვენებით გ. წერეთელმა ნათლად გამოხატა ყმა გლეხობაში არსებული ორი თვალსაჩინო ტენდენცია: ერთნი დარწმუნებულნი იყვნენ ბატონყმობის გაუქმებაში, მეორენი სკეპტიკურად უყურებდნენ ამას და ყველაფერს სიცრუედ სთვლიდნენ. ეს უკანასკნელი შეხედულება ღრმად იყო მოკალათებული ლეჩხუმელის გონებაში. მისი აზრით, შეუძლებელია მართალი იყოს ხმები ბატონყმობის გაუქმებაზე. რადგან გლეხთა განთავისუფლებაზე ჩინოვნიკები ლაპარაკობენ, ჩინოვნიკები-კი იგივე მებატონეები არიან. „მგზავრის წერილებში“ მეტად სადად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები ის უდიდესი ინტერესი, რომლითაც გამვალტყავებული ყმა-გლეხობა მოელოდა იმ დღეს, როცა, რუსეთის მსგავსად, საქართველოშიაც გადაეარდებოდა ბატონყმობა. გლეხი დათუნა სწვევლის იმ დღეს, როცა სათავე დაედო ბატონყმობას. ის მწარედ იგონებს თავისი ბატონის უსამართლობას. დათუნა გლეხობის პასიური და აქტიური ნაწილის ცოცხალი გამოხატველია.

აზროვნებით, მერყევი ბუნებით, შიშით სინამდვილისადმი დათუნა უაღრესად რეალისტური ტიპია საგლეხო ბედობრმადელი სინამდვილისა. დათუნა გლეხობის ორი ძირითადი ნაწილის სულისკვეთების მატარებელია: ის აქტიურია, რამდენადაც ატარებს ზიზღს, სიძულვილს, უკმაყოფილებას ბატონ-

ყმური სინამდვილისადმი, ის პასიურია, ქედს იხრის რა ბატონის წინაშე (რადგან მას ძალა აქვს, გაბატონებულია) და არა სურს თავისუფლად გამოვიდეს ბატონყმობის წინააღმდეგ ერთის სიტყვით, დათუნა ტიპია, უაღრესად რეალისტური ტიპი, რომელიც თავისში აერთიანებს რეფორმამდელი გლეხობის ყველა დამახასიათებელ მხარეს, ძლიერებას და სისუსტეს.

ბატონყმობის წინააღმდეგ გ. წერეთელი ენერგიული მებრძოლი იყო. მისი ყველა ნაწარმოებში ამ ბარბაროსული სოციალური ინსტიტუტის უარყოფის მძლავრი მისწრაფებითაა გატენილი. „გულქანი“ ამ დებულების ცოცხალი ილუსტრაციაა. ამ დიდ მხატვრულ ნაწარმოებში ბატონყმობის მთელ საშინელებას გრძნობს არა მარტო როდამი, გოგუცა, პეტრიელა და მთელი მათი მოძმე გლეხკაცობა, არამედ რევან ბაქურიძის მოურავი შიუკაც.

„გულქანში“ ბატონყმობის უარყოფითი მხარეები და მისი დაცემის კანონზომიერი აუცილებლობა მეტად რეალისტური ტენდენციებით არის დახატული. რას წარმოადგენს ბატონი? ადამიანის ეთიური ნორმები მას არ გააჩნია. იგი ყველაფერს საკუთარი კეთილდღეობისა და პირადი განცხრომის საზომით უდგება. როცა ბაქურიძე სიკვდილის პირამდე მიიყვანს პეტრიელას დას და დედას, იგი სწუხს არა იმას, რომ ყოველად უდანაშაულოდ დიღუბა ორი ადამიანი, არამედ თავისი პირადი კეთილდღეობის ნაწილის დაკარგვას: „იმ ბებერ დედაკაცს თუნდაც ჩემი ჭირი წაუღია, ახალგაზრდა გოგო შენანება. ერთი კარგი ხელზე მოსამსახურე დამეკარგავო“, — ამბობს რევანი. და როცა იგი გარდაცვლილი ყმების დაკრძალვას ესწრება, აშკარად სჩანს ის უკმაყოფილება, რომელიც გამოსთქვა იქვე მდგომმა ახალგაზრდამ, მაგრამ რომელსაც არ აცალეს უფრო ხმამალა გამოეთქვა თავისი პროტესტი, რადგან გლეხობის პასიურ ნაწილში ჯერ კიდევ არსებობდა ის რწმენა, რომ „ბატონყმობა ღვთის გაჩენილია... ბატონი ღვთისაგან არის“. და, შემდეგ, როცა უდანაშაულოდ დასჯილი ყმები დაასაფლავებს, რევანმა იგრძნო, რომ ის განწირული იყო, რომ მის ისტორიულ უფლებებს ძირი ეთხრებოდა და დგებოდა დრო, როცა სამუდამოდ უნდა მოსპობილიყო ბატონყმობის გახრწნილი, გადაგვარებული და უსაზიზღრეს სოციალურ ნორმებზე დამყვადრებული ინსტიტუტი.

რუსეთში 1861 წლის, ხოლო საქართველოში 1864 წლის საგლეხო რეფორმამ იურიდიულად გააუქმა ბატონყმობის სოციალური ინსტიტუტი, მაგრამ ეს არ იყო ბატონყმობის ფაქტიური გაუქმება. ამას ნათლად გრძნობდა რუსეთის ნი-იანი წლების რევოლუციურ დემოკრატიული ინტელიგენცია და განსაკუთრებით, მისი იდეური ბელადი ჩერნიშევსკი. დიდი რაზნოჩინელი ღრმად გრძნობდა, რომ ამ რეფორმას შედეგად მოჰყვა არა გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ გაუარესება, რომ საგლეხო რეფორმა არსებითად ჩატარებულ იქნა გაბატონებული, ექსპლოატატორული კლასის ინტერესების მიხედვით, რომ ალექსანდრე მეორის მიერ ხელმოწერილმა მანიფესტმა გლეხობა უარეს მდგომარეობაში ჩააგდო, და როცა რუსეთის ლიბერალური ინტელიგენცია ტაშს უკრავდა საგლეხო რეფორმას, როცა პერცენიცი კი ალტაცებას გამოსთქვამდა ალექსანდრე მეორის მიერ გადადგმული ნაბიჯით, ჩერნიშევსკიმ ცხადად ამხილა რუსეთის მილიონიანი გლეხობის ეს საზიზღარი მოტყუება, მათი ფიქტიური განთავისუფლება.

როგორც ლენინმა აღნიშნა, საგლეხო რეფორმა იყო გლეხობის ფიქტიური განთავისუფლება, განთავისუფლება „ზევიდან“, რომელიც ემსახურებოდა ისევ და ისევ მემამულეთა კლასს, — არისტოკრატის. რუსეთის უმსჯურესი უფლება მონარქიამ მხარი დაუჭირა მათ ინტერესებს. რუსეთის მონარქიასაც ბრწყინვალედ ესმოდა, რომ სჯობდა გლეხთა განთავისუფლება ჩატარებულიყო „ზევიდან“, ვიდრე იგი მომხდარიყო „ქვევიდან“. და ჩერნიშევსკიმ „უმისამართო წერილში“ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1861 წლის საგლეხო რეფორმა იყო სისაძაველე, გლეხების აშკარად მოტყუება, უაღრესად საძაველი მხარე. მართალია, ფეოდალურ არისტოკრატის თავზარი დასცა გლეხთა განთავისუფლების ამბავმა, მართალია, ანასტასია დედარიანის ასულმა ცხარე ცრემლებით გამოიტორა თავისი წარსული ბედნიერებისა და ვანცხრომის დღეები, მართალია, რევზ ბაკურიძეს „მოახლეები ერთიმეორეზე ზედმიყოლით გამოეცალა ხელიდან“, მართალია, რევზ ბაკურიძე მწარედ ჰგმობდა, რომ მოესწრო იმ დღეს, როცა „მის ნაყმევებს ფერხული აქვთ და მის ოჯახში ორი შინაყმაც არ დარჩენილა“, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა მისი „წინასწარი ურვა-წუხილი“. შემდეგ, როცა მან გაიგო, რომ ყმების განთავისუფლებისათვის საკმაო თანხას მიიღებს, როცა გაიგო, „ქალაქში ყმების ფულს არიგებენო, ცოტა არ იყოს გული დაუშვდიდა, სახე გადაეწმინდა“ და აღტაცებით წამოიძახა: „მადლობა ღმერთს, თუმცა პირადი უფლება და ბრძანება მომესპო ჩემს გლეხებზე, მაგიერად ფული ვიგდე ხელში და ესეც ხომ ერთი იმგვარივე ბრძანების იარაღია. მართალია, მებატონის უფლება ამხადეს, მაგრამ რა მიჭირს, ფულით ისევ ბატონი გავხდები. ჩემი საკუთარი ყმა თუ არ მყოლება, ფულით ვინც მინდა, იმას გავიხდი ყმად. აქაური არ იყოს, აფხაზეთიდან და დაღესტანიდან მოვიყვან მოსამსახურეებს. ვისაც ფულს მივცემ, ყველა ჩემი ყმა არ იქნება?“

ბატონყმობის გაუქმების შემდგომი პერიოდის სინამდვილე და გლეხთა განთავისუფლების შინაგანი ბუნება აქ ღრმად და სწორი თვალსაზრისით არის მოცემული. ისე, როგორც ჩერნიშევსკიმ, გიორგი წერეთელმა აშკარად იგრძნო, რომ გლეხთა განთავისუფლება ფიქტიური განთავისუფლება იყო, რომ ბატონს კვლავ შერჩა ბატონის უფლებები, ხოლო ყმა ისევ მონურ, აუტანელ მდგომარეობაში დარჩა. ასეთი მისვლა სინამდვილესთან არ შეიძლება „გულჭანის“ ავტორის ნატურალიზმით აიხსნას. გიორგი წერეთლის იდეოლოგია, რომელიც მხატვრულ შემოქმედებაში ბურჟუაზიული რეალიზმის სახით მოგვევლინა, არის წყარო საგლეხო რეფორმის ასეთი მკაცრი გაკრიტიკებისა. თუ ბატონყმობის პირობებში რევზი სოფლად იყო ბატონი, ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც იგი ქალაქში გახდა ბატონი, რომელსაც აქვს 24.500 მანეთი თანხა და იმავე დროს 800 მანეთი ყოველწლიური შემოსავალი. ქალაქში მისი გადასვლა საცხოვრებლად, მისი გატაცება დრაგუნის ოფიცრის ლიზობლიუდოვის მომავალით, მისი და მისი ცოლის აღტაცება, როცა ისინი სხედან „საპატიო ალაგას და გულში მეტად მზიარულობენ, რომ ჩინოსანი და ორდენებით შემკული აფიცრები, როგორც ფარვანა სანთლებს, ისე გარს დატრიალებენ იმათ ქალს,“ — ყოველივე ეს უაღრესად დამახასიათებელია ფეოდალური არისტოკრატისათვის, ყოველივე ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორ გამოდიოდა იგი თავისი წინანდელი იურიდიული და პოლიტიკური სინამდვილიდან და როგორ ცხოვრობდა საეპრო კაპიტალის განვითარების შედეგად შექმნილ სინამდვილეში, როცა ცხოვრების ერთად-ერთი რვეუ-

ლატორი ფული გახდა, ფული, რომლის წინაშეც მთელმა ცხოვრებამ წამოიჩია.

რევანის ოჯახი ქალაქში უღრესად რეალისტური ფერებზეა დაფუძნებული. რევანის მთელი ცხოვრება ქალაქში განუწყვეტელი დროსტარება და ქეიფია ბალებსა და სადილებზე, ხან საკუთარ სახლში, ხან კიდევ ხორხიანეთის გამგესთან და ქეიანას სხვა ეგრეთწოდებულს დიდკაცებთან. ყოველივე ეს კი იწყებს უდიდეს ხარჯებსა და თანხების ფლანგვას. მთელი თავისი ქონების ნახევარზე მეტი რევანმა ასეთ უაზრო დროსტარებასა და ქეიფში გაფლანგა. რევან ბაკურიძის სახით გ. წერეთელმა ნათლად გვიჩვენა, როგორ შეიპრა სოფელში სავაჭრო კაპიტალი, როგორ დაადგა ფეოდალური არისტოკრატია დეგრადაციის გზას, როგორ გაფლანგა მან მთელი თავისი ავლა-დიდება.

ქალაქად ეს ახლადშობილი საზოგადოება ფეოდალური არისტოკრატის ის ნაწილი იყო, რომელიც სოფლიდან აპყარა სავაჭრო კაპიტალის განვითარებამ და მიიყვანა ქალაქის რანტიეთა ოლიგარხიასთან. იგი ჯერ სოფლად, შემდეგ ქალაქად ზღუდავდა სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის განვითარებას და, ისე როგორც დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმის განვითარების არტახს წარმოადგენდა. ბატონყმობის გაუქმება წარმოადგენდა ერთი უძლიერესი არტახის გაწყვეტას, რომელსაც შედეგად სამრეწველო კაპიტალის სწრაფი განვითარება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ არტახის გაწყვეტა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მის სრულ მოსპობას, საჭირო იყო ყოველგვარი პირობების მოწინააღმდეგე მისი სრული მოსპობისათვის, საჭირო იყო ბრძოლა ამ პირობებისათვის. და ამ ბრძოლის დროშა ხელში უნდა აეღო იმ საზოგადოებრივ კლასს, რომელსაც დასავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად, უნდა გაეცამტვერებინა ფეოდალიზმი, ალეგავა იგი მიწისაგან პირისა.

ეს საზოგადოებრივი კლასი იყო ეკონომიურად ძლიერი, მაგრამ პოლიტიკურად უუფლებო ბურჟუაზია. მისი ისტორიულ მისიას წარმოადგენდა ფეოდალიზმისა და ფეოდალური არისტოკრატის სრული განიარაღება. ამას ნათლად ჰგონობდა გ. წერეთელი და ეს ბრძოლაც თვალსაჩინოდ დაგვიხატა მან თავის მხატვრულ შემოქმედებაში.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ფეოდალურ არისტოკრატისა და ბურჟუაზიის შორის კლასობრივი ბრძოლა გამწვავდა. „გულქანში“ პირველად არის მოცემული ტენდენციები, როცა საქართველოს ბურჟუაზია, წარმოადგენს რა „კლასს თავისთავად“, თანდათან ყალიბდება, როგორც „კლასი თავისთავის“, პიოტრ ივანიჩისა და რევან ბაკურიძის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას რომ თავი დავანებოთ—რაც მეტწილად სუბიექტური მიზეზებით ხასიათდება, თუმცა ძირითადი, არსებითი და გადამწყვეტი ამ ბრძოლაში ეკონომიური ფაქტორია,—ორი ვაჭრის დიალოგში ეს მომენტი უაღრესი რელიეფურობითაა მოცემული.

საქართველოს ფეხადგმული და ეკონომიურად გაძლიერებული ბურჟუაზია უკვე გრძნობს თავის მოპირდაპირე ძალას¹⁾. ამ პერიოდში მას არა სურს კლასობრივად საერთო რამ ჰქონდეს ფეოდალური არისტოკრატის შე-

¹ სხვათა შორის: ბურჟუაზიის წარმომადგენლები გ. წერეთლის შემოქმედებაში ბახვა ფულავა, პეტრე ივანიჩი გაწერელია და სხვანი, თითქმის ყველანი გლეხობის წრიდან არიან გამოსული. „გულქანში“ გამოყვანილი ვაჭართა ეპიზოდური ტიპების სოციალური წარსულიც გლეხურია. ეს ფაქტი საგულლისხმია სავაჭრო კაპიტალის განვითარების ისტორიისათვის საქართველოში.

მოქმედებასა და პარაზიტოზთან. ის შრომობს, დღეებსა და ღამეებს ასწორებს თავის ანგარიშებში. არც ერთ წუთს არა ჰკარავს უსარგებლოდ. მას სიმალური ენერჯით ცდილობს ყოველივე იქით წარმართოს, რამდენიმე ქაიგდოს ქვეყნის მთელი დოვლათი. და თუ ბაზვა ფულავე მხოლოდ საბედისწერო ემს მიხვდა, რა აკლდა მას, ეკონომიურად ძლიერს, თავად თავფეკილაძის ადგილ-მამულის პატრონს, რატომ ვერ მიაღწია მან საბოლოო მიზანს, რატომ კანონიერი გზით ვერ მიუზღო ესმას მკვლელები იერემია წარბას სასჯელი, სამაგიეროდ „გულქანში“ გამოყვანილი ვაჭართა ტიპები უკვე კლასობრივი შეგნებით უყურებენ არსებულ სინამდვილეს, გრძნობენ მოპირდაპირე ძალას, რომელიც მათ „შურის თვალით უყურებს“ და რომელიც თუ სხვას ვერაფერს მოუხერხებს, ჩხუბს მაინც აუტებს, ხანჯლით აჩეხავს, ერთის სიტყვით, არ მისცემს ფეხის წინ წადგმის საშუალებას. ისინი კი წუთსაც არ ჰკარავენ, ოღონდ ფეხი წინ წადგან, მოიპოვონ პატივი და დიდება, როგორც ასე მოხერხებულად და უშიშრად მიდიოდა მისკენ მათი მეგობარი პიოტრ ივანიჩი, რომელიც ასე სასტიკად დაეცა ამ გზაზე. მათ ჯერ კიდევ არა ჰყოფნით ძალა, რომ გაბედულად შეუტეონ მოწინააღმდეგეს. ისინი კმაყოფილდებიან მხოლოდ იმით, რომ ჩურჩულით და ხმადაბალი საუბრით გამოხატონ თავიანთი შევიწროება, უკმაყოფილება, და ამ მოსალოდნელი შეტაკების წინასწარი გრძნობით, ჯერ კიდევ არჩევანში შედიან: „მართლაც, რომ ცუდი დრო დგება. აღარ იცის კაცმა, რომელი დრო არჩიოს: ძველი თუ ახალი?“

ბურჟუაზიასა და ფეოდალურ არისტოკრატის შორის ბრძოლა ამ პერიოდში, მართალია ჯერ კიდევ არ არის ისე გამწვავებული, რომ კლასი იდგეს კლასის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ბრძოლის პირველი და უაღრესად დამაბნელებელი ნიშნები უკვე მოცემულია. პიოტრ ივანიჩის სულიერი სამყარო, რომელიც სავსეა ქარიშხლისებური სტიქიის მსგავსი ბოლმით, სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდება ფეოდალურ არისტოკრატის. მართალია პიოტრ ივანიჩის ბრძოლა რევანის წინააღმდეგ პიროვნულ მომენტსაც გამოხატავს, მაგრამ ეს პიროვნული უფრო მეტად საზოგადოებრივია და სწორედ ამიტომ, პიოტრ ივანიჩი არაფერს ზოგავს, ოღონდ მოსპოს და მიწის პირიდან აღვავოს ბაკურიძის ავლადიდება. ყოფილი ემა, შემდეგ ქალაქის თვალსაჩინო ვაჭარი, დიდი ქონების პატრონი პიოტრ ივანიჩი, იგივე პეტრიელა, სულის სიღრმემდის განაცდის ზიზღს და შურისძიების გრძნობას ბატონყმობის ინსტიტუტისა და მისი წარმომადგენლის—რევანის წინააღმდეგ. თავისი დედისა და დის ვერაგულად დალუბვის გახსენება, გახსენება იმ აუტანელი შევიწროებისა, რომელიც მას რევანმა მიაყენა, მოსვენებას არ აძლევს პიოტრ ივანიჩის შინაგან არსებას, და მის თვალწინ ყოველთვის იხატება „ბასრი ხანჯალი, თოფ-დამბაჩა და გალესილი ცული“. ობიექტურად ეს ნიშნავდა ბურჟუაზიის კლასობრივ ამუხრებას ფეოდალური არისტოკრატის წინააღმდეგ. პიოტრ ივანიჩის პიროვნული განცდა იმდენად დამაბნელებელია, იმდენად ღრმა, სულის სიღრმემდის ჩამწვდომი და ექსტენსიური, რომ არ შეიძლება მთლიანად არ გავხსნათ მისი შინაგანი სულიერი სამყარო:

„მოკალი, ნაქუნაქუნად ააგე, მისი ერთადერთი ახალგაზრდა ქალი გააუპატიურე და ეს ამბავი, ხეზე მიკრულ მის დედამას აუტრებინე, მერე დედაც და მამაც ურა ცხენის კედზე გამოაბი და დააგლეჯინე. მერე თვით მათი ქალიშვილი ცხვარსავით ზედ დააკალი. აი მადლი! აი ბაღამ-გესლით ავსებული ჩემი გულის წამალი! მხოლოდ მაშინ შემისუბნებუ-

დებოდა ჩემი შინაგანი ტანჯვები, მაშინ გამითავისუფლდებოდა ტანი ათას აუტანელი ტკივილებსაგან, როცა რევას და მის ცოლშვილს ენახავდი საწყალი დედაჩემის საფლავზე საკურთხად დაკლულს და შეწირულს. — ამბობს ღრმა შურისძიების გრძობით — მთებულ პიოტრ ივანიჩი. — ახლა რა? მართალია, მე გავმდიდრდი, პარტიის წევრი მოვიხივე, ჩემი უწინდელი მეგობრებ დღეს გვერდით მიჯენს, ალერსით მეგყრობა, თითქმის მითანასწორდება, მაგრამ ვანა ეს დააკმაყოფილებს ჩემს გათანხირებულ გულს?... არა, ეს კიდევ უფრო წამლავს ჩემს სიცოცხლეს, რადგან ვხედავ, რომ ჩემი დედა-მამისა და დის მკვლელები გვერდით მისხედან და მე იმათვე უნდა ვეპირფერებოდე, სიტყვით ფინადახს ვეშლიდი... ვანა ეს აუტანელი ტანჯვა და ცეცხლ-მოდებული სულის ჭეჭნა არ უნდა იყოს ჩემთვის? ვანა არ შემიძლია ერთი ხუთიოდე მოქიფვე ხანჯალ-ლეკურაინი ახალგაზრდა თავადიშვილი მოვიყიო, ერთი სამაძი თუმანი გადავუვლო იმათ, გულთსავით ავაკეპინო ჩემი ოჯახის დამლუვებელი, ჩემი დედა-მამის მკვლელი?... მერე... მერე რა გამოვიდა?... შემძლავა ამით მეც თავი წავავო. არა! ეს ასე არ ვარა. სჯობია, სხვა უტყუარ საშუალებას მივძებნო. მე იმათ აღსრულებათი ფურცლებით ავიკლებ. ნადირი და მხეცი ხომ არა ვარ, რომ მათი დაღვრილი სახლით დავტყე? არა, მე მინდა მხოლოდ მათი ტანჯვით ვისიამოვნო; მე მინდა, რომ ისინი ცოცხლობდნენ და მათი აუტანელი წვალება ჩემი თვალთ ენახო; მე მინდა, რომ მათი კვნესა-გაულება ჩემი ყურით მოვისმინო; მე მინდა, მათი მიწა-წყალი, მათი ადგილ-მამული, მათი სახლ-კარი ხელში ჩავიკრიბო, ისინი ცაროულზე დაესვა, მე რევას ბაკურიძის ადგილზე მოვიკალათო და ის კი თავის ცოლ-შვილიანთ ჩემ ეზოში შოჯალაბესავით უადგილ-მამულო მესახლოს; მინდა ენახო, რომ ისინი ჩემს სახაბაზოს წინ ცივი მკადის ნატებს ჭამდნენ და ვერ ძღებოდნენ. აი, როცა ენახავ, მაშინ, მხოლოდ მაშინ დავემშვიდებები სულიერათ; მხოლოდ მაშინ განისვენებენ ჩემი დატანჯული დედა-მამის ძელები საფლავში, აი, ეს უნდა მოვხდინო მე და შემიძლია კიდევ! დღეს ხელში მიჭირავს ორიათასი თუმნის ფურცლები, მაგრამ ვერ კიდევ ვიცი დავ. ის ორმოცოდედ მოსახლე დროებითი ვალდებული ვლებებიც შემოვიკალონ, თავი დაასწავნიონ, როგორც ორას ათ კომლს დაახსენებენ, რომ მათ ბარომაზე აღარ იყოს რა, გარდა სახლ-კარისა და ადგილ-მამულისა; მერე კი დავეცემი მათ საკუთრებას ჭორივით. ბაკურიძის სახლ-კარს ეს ფურცლებიც ეყოფა. რასაც ამას შემდეგ დავაევალიანებ, ის კიდევ სხვა იქნება“.

ღრმა ტრაგიზმითაა საცხე პიოტრ ივანიჩის პირადი ცხოვრება. მაგრამ ამ ტრაგედიაში გაასალკლდევა მისი ნებისყოფა და ენერჯია. ამ ტრაგედიის მთელი საშინელებით ეკვეთა ის ბაკურიძის ავლა-დიდებას და მიზანსაც მიიღწია. მართალია, ეს მიზანი ხანმოკლე გამოდგა, რადგან პიოტრ ივანიჩი დაეცა, ბაკურიძის მიერ ვაგზავნილი მტრის, მოურავ შიფკას ხელით განგმირული, მაგრამ ბოლოს რევას ბაკურიძის მთელი ავლა-დიდება მიინც მსხვერპლად შეიწირა და თუ პიოტრ ივანიჩები ასე სასტიკად უტევდნენ ბაკურიძეებს, ეს უკანასკნელებიც სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას უტყაბდებდნენ ივანიჩებს, თუ პიოტრ ივანიჩის მოსვენებას არ აძლევდა ნაბატონარის რევას ბაკურიძის მოკვლის აზრი, ამ უკანასკნელსაც სულს უშფოთებდა გრძობა და იღუმალი ხმა ჩასძახოდა: „მოკვალი... ეგ ვაბლენძილი! როგორ ვაბედა მაგან ჩვენს სახლში შემოსვლა? ვააგდე ეზოდან, ძალები მიუსიე მაგ ვაბლენძილი!“ — ჩასძახოდა იღუმალი ხმა რევას ბაკურიძეს პიოტრ ივანიჩის მისამართით. მართალია, ეს ბრძოლა ამ უკანასკნელის დამარცხებით დასრულდა, მაგრამ პიოტრ ივანიჩის გზა განაგრძო მისმა ნოჰარმა, ხოლო რევას ბაკურიძე სამუდამოდ აღიგავა მიწის პირიდან.

ამ სოციალური ტენდენციების მოცემით გ. წერეთელი აშკარად გვევლინება ახლად ფეხადგმული, ეკონომიურად გაძლიერებული ბურჟუაზიის იდეოლოგად. ამხანაგი ლ. პ. ბერია გვასწავლის, რომ ვიორგი წერეთელი ბურჟუაზიულ-პროგრესიული მიმართულების მეთაური იყო. ბატონყმობის როგორც სოციალური ინსტიტუტის კრიტიკა და უარყოფა, ხოლო ბურ-

უფაზიის განვითარებისა და გაძლიერების უაღრესად რეალისტური ღონისძიებით ჩვენება ამ დებულების ნათელი ილუსტრაციაა. გ. წერეთლისათვის ფეოდალური არისტოკრატია, როგორც კლასი, პარაზიტია. რევანშიზტური ხედვით ცხოვრობს არამარტო ბაკურიანში, არამედ ქვიანაში გადასახლების შემდეგაც, როცა უკვე გამოცლილი აქვს წინანდელი იურიდიული უფლებები და როცა იგი აღსასრულის უფსკრულის წინაშეა. ის მაშინაც სიბარიტიზმის ჭიოთაა დაავადებული და მისი გონება სრულებით ვერა გრძნობს, რომ ბაკურიანელების ოდესღაც პირსაცხს სასიმიანდეებში „ჭირნახულის მავიერად ქარი ბზუის და ბედლების თვალეებში ცარიელი იატაკი ჩანს“. როცა მოუთრავი მოახსენებს რევანსს, რომ მისი მამული სახლკარიანად ვაჟარ პიოტრ ივანის დარჩაო, რევანის გონებრივი სალარო იმდენად ლატაკი და დაცარიელებულია, რომ აღშფოთებულ მოუთრავს უდარდელად უპასუხებს: „არაფერია, შენ მშვიდობით იყავი, მამულს კარგად მოუარე და ღვინო და პური არ მოგვაკლოვო“. რევან ბაკურიანის ნეგატიურად ჩვენებით ვიორჯი წერეთელი ჩვენს წინაშე დგება, როგორც ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიის იდეოლოგი.

საზოგადოებრივი და პოლიტიკური რიგის ტენდენციები, რომლებიც ახასიათებდნენ კაპიტალიზაციის ვზახე შემდგარი საქართველოს სინამდვილეს, ტენდენციები, რომლებიც ყალიბდებოდნენ, ვითარდებოდნენ და იცვლიდნენ სახეს, ტენდენციები, რომლებიც არღვევდნენ წარსულის ტრადიციებს და წინ სწევდნენ საზოგადოებრივ ყოფას, „შეუფერავი“ რეალისტის მხატვრულ შემოქმედებაში მეტად დამაჯერებლად გამოვლინდენ, მთელი თავიანთი შინაგანი და გარეგანი არსებით, როგორ იცვალეს სახე წარსულის ტრადიციებმა, როგორ ებრძოდნენ „განახლების გრივალის ქროლას“ ან როგორ ცდილობდნენ შეგუებოდნენ მას, ყველაფერი ეს წერეთლის შემოქმედებაში იშვიათი რელიეფურობითაა დახატული.

ბიუროკრატული რუსეთის დამკვიდრებამ და კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, გამოიწვია ფეოდალური საქართველოს სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური პროფილის შეცვლა. დაცრიცა ფეოდალური ინსტიტუტის ისტორიული ნორმები და ახალმა საზოგადოებრივმა ძალებმა აშკარად დაიწყეს ბრძოლა არსებობისა და ბატონობის უფლებათა მოპოებისათვის. რეალიზმმა ქართულ ლიტერატურაში ძველი და ახალი სინამდვილის დაპირისპირების მხატვრული სახეები მოგვცა. ჯერ კიდევ ერისთავის კომედიებში მკვეთრად აისახა ბატონყმური საქართველოს სინამდვილე, რომელიც შედეგად მოჰყვა ბიუროკრატული რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას და სავაჭრო კაპიტალის განვითარებას. რუსი ჩინოვნიკების მექრთამეობა და გახრწნილება, რომელიც გვიჩვენა ვიორჯი ერისთავმა ვზაიტინის პიროვნებით და შემდეგ ლავრენტი არდაზიანმა, თავისი განვითარებული სახით დაგვიხატა ვიორჯი წერეთელმა ხორზიანეთის მდივანბეგის, ქვიანის გამგისა და საერთოდ მთელი ჩინოვნიკების ჩვენებით. მისწრაფება რუსიციზმისაკენ, რაც ასე ნათლად სჩანს ერისთავის კომედიებში, თავისებური მხატვრული ხერხით დაგვისურათა ვიორჯი წერეთელმა. რევან ბაკურიანის შვილი გვრიტია იმიტომ მიაბარეს ქვიანას ქალთა პანსიონში, რომ მას სწავლა-განათლება მიეღო და, რაც მთავარია, შეესწავლა რუსული ენა. 50-იან წლების საქართველოს სინამდვილე „გულქანში“ დახასიათებულია რეალისტურად, — სინამდვილე, როცა კაცის ღირსებას „მზოლოდ სახელმწიფო ჯამაგირის ადლით ზომავდენ“.

როცა ევროპული ცეკვები ვალსი, კადრილი, პოლკა, მაზურკა ცხორებით ატრიალებდა საქართველოს ფეოდალური არისტოკრატების ქალიშვილებს, როცა ყველა კდილობდა მოწიწებით გაეწვდნენ უცხოელი ჩინისაყენ. ეს ის დრო იყო, როცა „ძველ ქართულ ოჯახს და ადგილ-მამულის უფრის გდებას მაზანდა წაუხდა, როცა ყველა ჯამაგირს შეპყრებდა“, რადგან სახელმწიფო მოსამსახურეს „უფრო მდიდრული, კარგი შემოსავლიანი ცხოვრებაც ქონდა და უფრო ბევრი სიამოვნებაც მოელოდა“. აღნიშნული პერიოდის სინამდვილის ამ გაბატონებულმა ტენდენციამ საზოგადოებაში „დასცა როგორც ქართული ოჯახი, ისე მისი ადგილ-მამულის მოვლაც... ქართველი ქალიც მისკენ იყურებოდა, ვისაც ყოველ ოცს ჯამაგირი ეძლეოდა, ამისთანა კაცისთვის ამზადებდა თავის თავს, ყოველ ღონისძიებას სმარობდა ასეთ კაცს მიითხოვებოდა“. გარეგნული სილამაზე და მხოლოდ გარეგნული სილამაზე, პარმონიული რევერანსები, — აი რა ეთვლებოდა ქალიშვილს უპირველეს ყოვლისა. ქალთა პანსიონებიც ამ იდეას ემსახურებოდნენ და ისინი მხოლოდ ცოლებს უმზადებდნენ ჩინოვნიკებს. ლიდა პეტროვნას სახით გიორგი წერეთელმა ნათლად გამოხატა ეს ტენდენცია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ისტორიულ მონაკვეთებზე.

ლიდა პეტროვნას შეხედულება აღზრდაზე, საერთოდ მთელ ცხოვრებაზე და განსაკუთრებით სოციალურ სინამდვილეზე წარმოადგენს იმ დროისათვის გაბატონებული იდეების კონგლომერაციას ერთ სუბიექტში, ისე, როგორც ტიპი გამოხატავს არა მარტო ერთ მოვლენას, არამედ მთელ საზოგადოებრივ კლასს, ყოფას და ეპოქასაც. ლიდა პეტროვნა უაღრესად რეალისტური ტიპია, — „შეუფერავი“ რეალისტის კალმით ასე დამაჯერებლად, ორგანიულად და ბუნებრივად სისადავით დახატული. მართალია, ლიდა პეტროვნა არ არის ქართველი, მაგრამ ის აღიზარდა კერძის ისეთივე საქალაქო ინსტიტუტში და ისეთივე პედაგოგიურ ატმოსფეროში, როგორშიაც იზრდებოდა გვრიტია და რომელიც ამზადებდა მხოლოდ ცოლებს ჯინჯილებიანი და ეპოლეტებიანი ჩინოვნიკებისათვის. მისი დამოკიდებულება სარდიონ ენუქიძისთან და გატაცება ქართული ეგზოტიკით, როცა იგი ეუბნება სარდიონს: „O! как я люблю грузинскую черкеску, как я люблю грузинский книжал“, ისეთივე ეფემერული აღტაცებაა, როგორიც გვრიტიას გაოცებაა დრაგუნის ოფიცრით, რომელთანაც მან ვალსი და მაზურკა ითამაშა და რომელსაც ისე სიამოვნებოდა ოფიცრის დეზების წკარუნნი, როგორც ლიდა პეტროვნას სარდიონ ენუქიძის ჩოხა-ახალოზი და ზანჯალი. კერძელი ლიდა პეტროვნა და ქვიანელი გვრიტო ბაყურაძე აღზრდილი არიან ეპოქისათვის გაბატონებულ პედაგოგიურ პრინციპებზე, რომლის ძირითად მიზანსაც შეადგენდა გასათხოვარი ქალისთვის ყველაფრის მიცემა, გარდა მეცნიერული განათლებისა. ლიდა პეტროვნას შეხედულება და მთელი მისი პიროვნულ-საზოგადოებრივი ყოფა არ წარმოადგენს გამონაკლისს. ის გამოხატავს საზოგადოების გაბატონებული ნაწილის კლასობრივ ფსიქო-იდეოლოგიას და სწორედ ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს გიორგი წერეთელი ნატურალისტად, რადგან ნატურალიზმი ტიპისაგან არ მოითხოვდა ამ უკანასკნელს საკუთარი თავი გამოეყვანა საზოგადოების გარკვეული ნაწილის გამომსახველად. იგი უმთავრესად კმაყოფილდებოდა ცალკეული მოვლენის ან ფაქტის, როგორც განმხოლოებული სინამდვილის გადმოცემით.

„შეუფერავი“ რეალიზმი სინამდვილის ტიპიზაციას ზოგჯერ უარყოფდა. ის ხშირად გამოდიოდა განმხოლოებული რეალობის პრინციპით. მგჯერამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს ნატურალიზმს, თუმცა, განმხოლოებული სინამდვილისაკენ გადახრა „შეუფერავ“ რეალიზმს ისე ამწყვედევდა ჩიხში, როგორც ნატურალიზმს, რაში მდგომარეობს განმხოლოებული რეალობის პრინციპი? წარმოვიდგინოთ სამი ალბინისტი, რომლებსაც მიზნად დაუსახავთ მონბლანის მწვერვალის დაპყრობა. თუ მათ შორის ერთი დაეცა მიზნის მიღწევაში, ხოლო მხატვარმა ამ უკანასკნელის დაღუპვის მხატვრული აღწერით დაასრულა ალბინისტების მოგზაურობისა და მიზნის ჩვენება იმ დროს, როცა დანარჩენი ორი გამარჯვებული ავიდა მონბლანზე და დაქარგული მეგობრისადმი სიყვარულიც თან აიტანა—ეს იქნება განმხოლოებული რეალობა მხატვრულ შემოქმედებაში. „შეუფერავი“ რეალიზმიც ზოგჯერ ამ გზით მიდიოდა. ის გვიჩვენებდა ფულავათა გამარჯვების ნახევარ ნაწილს, როცა მეორე ნახევარი, უმეტეს ნაწილში მიზანმიუღწეველი, დამარცხებული და მიწასთან გასწორებული სახით გვევლინებოდა. ამიტომაც ბახვა ფულავა საბოლოოდ განწირული, როცა ფულავეებმა ქვეყანა დაიმორჩილეს. მაგრამ ამ გზით უკვე აღარ მიდის გ. წერეთელი „გულქანში“. მართალია, პეტრე გაწერელია შიშუკას ტყვიით განგმირული დაეცა, მისი ქონებაც დაიტაცეს, მაგრამ ნოქარი, რომელიც პიოტრ ივანიჩის ქონების დიდი ნაწილის მიმთვისებელია, აგრძელებს მისი ფაქტიური ბატონის გზას და როგორც ვიცით, „მეორე ქუჩაზე ეპყრობს. თავის სახელზე გააღო საქონლის დუქანი“.

„შეუფერავი“ რეალიზმი, როგორც შემოქმედებითი მეთოდი, არ იყო სინამდვილის შემეცნების მეცნიერული გზა. მოვლენას ის ზოგჯერ გადმოგვცემდა ფორტოგრაფიულად, ხოლო თვით სიღრმე და შინაგანი მისი საწყარო არ იყო გაგებული, ვინაიდან, მოვლენასთან მისვლის საშუალება იყო ვიწრო ემპირისტული და არა მეცნიერული. რევაზ ბაკურაძის მიზეზით გარდაიცვალენ პეტრიელას დედა როდამი და და გოგუცა. ხოლო იმ დროს, როცა რევაზ ბაკურიძე სასიკვდილოთ მიიწევს პეტრიელასაკენ, როცა ის სასტიკი და დაუნდობელია ყმების მიმართ, როცა მან ასე ვერაგულად ამოაგდო პეტრიელას მთელი ოჯახი, ეს ბატონი, ეს „გულქვა მემამულე“, როგორც რადიჩევი იტყოდა,—ცხარე ცრემლით ტირის როდამისა და გოგუცას გაცივებულ ცხედრებს, და აღუთქვამს მიცვალებულებს, რომ ყოველივეს აპატიებს პეტრიელას, ოჯახს წამოაყენებს ფეხზე და გამოისყიდის თავის დანაშაულს. ეს ფაქტი ჩვენ მიგვაჩნია „შეუფერავი“ რეალიზმის დამარცხებათ და გიორგი წერეთლის შემოქმედებითი პალიტრის აქილესის ქუსლად. შესაძლებელია ჩვენ შემოგვედგავინოთ და გვითხრან: ვინაიდან რევაზ ბაკურიძე ფეოდალური არისტოკრატის იმ ნაწილის წარმომადგენელია, რომელიც პირისპირ იდგა ბატონყმობის, როგორც სოციალური ინსტიტუტის აუცილებელი დამზობის წინაშე, რომელსაც სავაჭრო კაპიტალის განვითარებამ გამოაცალა ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება,—მან იგრძნო შიში, უძლურება და ამიტომ შეინანია თავისი დანაშაული,—ჩვენ ყოველთვის მზად გვექნება პასუხი: ამ პერიოდში რევაზ ბაკურიძე ეკონომიურად სრულებითაც არ იყო შელახული. მის ხელში იყო არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ძლიერებაც და შეუძლებელია მას შიში ეგრძნო პეტრიელას წინაშე იმ დროს, როცა ის ასე სასტიკად და დაუნდობლად დევნის ამ უკანასკნელს. მართალია, გიორგი წერეთელი წინასწარ რამდენიმე ფსიქოლოგიურ მომენტს აღნიშნავს,

რომ უფრო ბუნებრივი გახადოს სულიერი გარდატეხა რევვან ბაკურიძის პიროვნებაში (მისი შეუღლის ანასტასია ბაკურიძის შემოქმედება), მაგრამ ეს მაინც ვერ ავსებს ამ ხარვეზს. ბაკურიძის მონანიება როდამის ცხედართან, შესაძლებელია ზოგიერთმა მიიჩნიოს, როგორც „მონანიე აზნაურის“ გოდება, მაგრამ არც ეს იქნება მართებული, ვინაიდან, „მონანიე აზნაურები“—ტოლსტოი, ნეხლიუდოვი, არჩილი—არასოდეს არ აყენებდნენ ყმებს ისეთ მდგომარეობაში, როგორც ამას ჩადიოდა რევვან ბაკურიძე. ამდენად, რევვან ბაკურიძის ტირილი როდამის ცხედართან—არის „შეუფერავი“ რეალიზმის მთელი სისუსტე და მისი არამეცნიერული ხასიათის კონკრეტული გამოვლენა.

ყველგან, სადაც „გულქანის“ ავტორი სცილდება სინამდვილის უმიზნოდ გადმოცემას,—ის ძლიერია, როგორც მხატვარი. უკიდურესი დეტალიზაციის გზას, როცა სცვლის წამყვანი ტენდენციის წინაპლანით დაყენება,—იგრძნობა ძლიერი შემოქმედი, რომელიც არამარტო ღრმად ფლობს თემატიურ მასალას, არამედ, გვისურათებს ბუნებრივი და უაღრესად სადა მხატვრობით. უკიდურესი დეტალიზაცია (თუ როგორ დაიბანა გულქანმა ხელები), რომელსაც არავითარი მიზანდასახულობა არა აქვს, რომელსაც არავითარი ღირებულება არ შეაქვს რომანის მხატვრულ ან იდეურ საგანძურში—ზშირად ასუსტებს გ. წერეთლის პროზას და ანელებს მკითხველზე მის შემოქმედებას. როცა ის თავისუფლდება ამ უკიდურესი და გაუმართლებელი დეტალიზაციისაგან — მისი პროზა ძლიერი და სულის სიღრმემდის ჩამწვდომია. მაშინ სურათებიც იშვიათი დამაჯერებლობით მოძრაობენ მკითხველის ცნობიერებაში. ილუსტრაციისათვის საკმაოა რევვან ბაკურიძის სამგლოვიარო პროცესიის ჩვენება.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ელ. ლოლოვაიძე

ვაჟა-ფშაველას ლირიკა

1

„ისეთი ვიყავ, ძმისაო, როგორც შვიი კლდე სალია,“—მღერის ვაჟა-ფშაველას ზაზულია და მისი სხვა გმირებიც „სალ კლდეებს“ გვანან. ფშაველი გულადი უნდა იყოს. მხდალს მიაში არ დაასაფლავებენ, მას არ შეუსრულებენ დაკრძალვის წესებს. უბრალოა და ვარდაუვალი მამაპაპური ანდერძიც:

„აგრემც ექმნები პაპაშენს
დღეგრძელიო და სრულიო,
ნუ დაისვენებ, ებრძოლე
მტერს, მინამ გიდგა სულიო.
შვილო, მეც ვგრე ვიყავი
ეგ არის ჩვენი რჯულიო.“

(„პაპიშენის ანდერძი“, 1886 წ.).

და პოეტური ნიჭიც, პოეტის აზრიც უნდა ემსახურებოდეს იმავე მთლიანობის, ვაჟაკობის ქება-დიდებას:

„გულს ნუ გაიტებ, მგოსანო,
ხმალი აგელე ფხიანი,
მოკეთეს ემოკეთევე
და მტრებს მიეცი ზიანი“.

(„მგოსან“, 1890).

მაგრამ მალე გაიზრინა სიყრმემ, პოეტის ჰორიზონტი გაფართოვდა, და სამყარო ისეთი როდი აღმოჩნდა, როგორც ხატადნენ მას ძველი მოშაირენი და როგორიც მოსჩანდა იგი მშობლიური ფშავეთის მთებიდან.

ცხოვრებამ ფარავით შუა გააპო შეგნება და გასტება გაუტეხელი რკალი. თეთრწვერებიან ბრძენებს, თემური ტრადიციების მფარველებს ამაოდ ეგონათ, რომ ისტორიის კანონებს ძალა აქვს მხოლოდ ბარის მცხოვრებლებზე, და რომ მათი მშობლიური მთები დაიცავენ ხელშეუხებლად პირველყოფილი თემის მსოფლმხედველობასა და მორალს.

ვაჟა-ფშაველა ადრე დარწმუნდა იმაში, რომ მამაპაპურმა სიბრძნემ თანისი დრო მოსჭამა. გამჭრიახობამ აიძულა იგი დაეტოვებინა მთები, დაეწყო მსოფლიო ლიტერატურის შესწავლა, ყოფილიყო პეტერბურგში, ზიარებოდა უნივერსიტეტის მეცნიერებას. მას აღარ შეეძლო მღერა ისე, როგორც ფრინველები მღეროდნენ. შემოქმედება მისთვის მტანჯველი და საპასუხის-

მგებლო ვახდა, რაც მოითხოვდა უდიდეს საქმიანობას, ხანდახმულობამდის შეინარჩუნა მან უნაზესი სიყვარული და თაყვანისცემა უმწვეკლეს სამღერისადმი, ბულბულის სტვენის ლირიკის მიმართ, რომელიც უცესა: ყველავენი შემაკავშირებელ ჰარმონიად მიიჩნდა პოეტს. მაგრამ თვითონ დიდხანია გაიგო, რომ ეს ჰარმონია ილუზია იყო:

„სიციხელემ შხამი მასშია,
მე კახურ ღვინოდ შევირგე;
შავსვი და ირც მოვერიდე,
თუმც მის სიმწარე გავიგე“.

ვაჟა-ფშაველას ლექსებისა და პოემების გადაკითხვისას ხანდახან იფიქრებთ, რომ იგი ხანში შესვლისას ამ მწარე სამსალას ამჯობინებდა საყვარელი ფშავეთის ბულბულის გალობას. ისტორია უძნელეს ამოცანებს უყენებს ადამიანს; ეს არ იცოდნენ მამა-პაპებმა, ეს იცოდა ვაჟა-ფშაველამ.

ვაჟა-ფშაველამ ხალხურ პოეზიისაგან გაუთიშავად დაიწყო იქიდან ნასესხები მოტივების ახლებურად გარდაქმნა. ეს გარდაქმნა პოემებში შეიხო არა იმდენად ფორმას, რამდენადაც შინაარსს. საბაბი სამღერისათვის წინანდელი დარჩა: ბუნება, მტერთან შეჯახება, სიყვარული და ვაჟკაცური სიკვდილი, მაგრამ ემოციები, აზრები, დასკვნები მიმართულია მყობადისაკენ და ამიტომაც სავსეა აღშფოთებით, მწარე ფიქრებით და ჩივილით დაუბრუნებლად დაკარგულ სამოთხეზე.

ძველი საზოგადოებრივი წესწყობილება ირღვეოდა ბარში, ახალი ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა მთის სოფლებში. ვაჟა-ფშაველა მოწმე იყო 1905 წლის რევოლუციის და მსოფლიო ომის პირველი ორი წლისა.

ვაჟა-ფშაველას პოემები და მთელი მისი ლირიკა თავის განცდათა სიღრმით თავისებური ლიტერატურული ძეგლია ეპოქის იმ დიდი კრიზისისა, რომელმაც ევროპა გასული საუკუნის დამლევს მოიცვა. ეს ძეგლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ვაჟა-ფშაველა, დარჩა რა პოეტად, ეზიარა ევროპის კულტურას, შეიგნო თავისი დანიშნულება მსოფლიოში, არ უკუაგდო ისტორიისაგან შემოთავაზებული შხამიანი თასი.

ვაჟა-ფშაველა უდიდესი სიზუსტით განმარტავს იმას, რაც ხალხისაგან წამოიღო თავისი საუკეთესო პოემებისათვის და რაც მოიტანა თვითონ.

ხალხმა მისცა მას მხოლოდ სუეტური კვანძები და გმირთა ხასიათები, მასთან ეს გმირები სინამდვილეში არ ყოფილან განდგომილები და არ მიდიოდნენ თემის წინააღმდეგ, როგორც ამას ვაჟა-ფშაველა ხატავს, პოეტმა მათ ჩაუნერგა საკუთარი ბობოქარი სული, საყოველთაოდ მიღებული მორალის უარყოფა, თავისებური ცხოვრებისადმი მისწრაფება, განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრივ პოემა „გველის მქამელი“, რომელიც ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს.

„გველის მქამელი“ არაჟი, რაც მე გავიგონე და რაზედაც ავაშენე მთელი პოემა,—სწერდა ვაჟა-ფშაველა,— შემდეგია: ხევსური მინდია ჩაუვარდება ტყვედ ქაჯებს. მათ შორის ცხოვრებამ იქამდის დაალონა მინდია, თავის მოკვლამდე მიიყვანა; თავის მოსაკვლელად გველის ხორცი სჭამა, რომლითაც ქაჯები იკვებებოდნენ. გველის ჭამამ სრულიად სხვა ნაყოფი გამოიღო: მინდია ბრძენ კაცად გადაიქცა. მისი სიბრძნე ხალხური თქმულებით, სხანს მცენარეების ცნობაში, თუ რომელი მცენარე რა სატყეურის წამალია, რადგან ყველა მცენარე თავით იძახის, რის წამალიც არის და მინდიათაც ამ მცენარეთა ენა



კარგად იცის. შედეგი ამ ცოდნისა არის მინდიას გაექიმება, მისი წაშალი უებარია. ხალხური თქმულება ამას იქით არ გადის”.

ვარკუნული

მაგრამ პოეტი უფრო შორს წავიდა. გველის შხამი, რომელმაც სწორედ იმ წუთს გარდაქმნა მინდია, როცა ის სიკვდილისთვის ემზადებოდა, ჰგავს სიმბოლიურ მახვილს, რომლითაც პუშკინის „ექვსფრთიანი სერაფიმი“ გაუპობს მკერდს პოეტს, რომ ამოიღოს „მთრთოლვარე გული“ და მის მაგივრად ჩადვას ანთებული ნაკვერჩხალი. და ისევე, როგორც პუშკინის პოეტი, მინდია უბრუნდება ცხოვრებას. „ესმის დღეიდან ყოველი, რასაც ფრინველნი გალობენ, ან მცენარენი, ცხოველნი, როდის ილხენენ, წვალობენ“.

პუშკინმა პოეტს უანდერძა — „სიტყვით აღანთე ადამიანთა გულებიო“, და მომავლისთვის გადასდო მოთხოვნა იმაზე, თუ როგორი ბედი მოელის „წინასწარმეტყველის“ ახალი გამოცხადებითა და ცეცხლოვანი სიტყვებით დაჯილდოებულ პოეტს; ვაჟა-ფშაველა, ლერმონტოვისა და ბაირონის მსგავსად, დაინტერესებულია არა იმდენად პოეტად აღიარების მომენტით, რამდენადაც ამ აღიარების შედეგით, შედეგი კი იოლი არ იყო არც მინდიასთვის და არც ვაჟა-ფშაველასათვის: იგი „შალია ტყვიასავითა, გრძნეული, როგორც გველია, აღმერთებს, ნუგეშად სახავს ფშავ-ხევსურეთი მთელია! ესმის ყოველი, რასაც ფრინველნი გალობენ, ან მცენარენი, ცხოველნი როდის ილხენენ, წვალობენ“. მაგრამ ცხოვრება მოითხოვს მისგან შალალი ცოდნის უარყოფას. ცოლს სურს გამდიდრდეს, ბავშვები საკვებს მოითხოვენ, მათი გულისთვის მინდია ღუპავს ცხოველებსა და ფრინველებს, რომელნიც თავიანთ საიდუმლოებას ანდობდენ, და იგი აღარ არის ბრძენი. „შვილებიც ჭირად გაუბდა, შააცვლევიენეს ფიჭრია“. ცოლი მზია—შაქარივით ტკბილი იყო მისთვის, ახლა კი სამსალასავით მწარე გახდა. მინდია დღედაღამ სტირის, ეჩხუბება ცოლს, შვილებს:

„თქვენგან დავარგე გონება,
წმინდა გავყიდე რჯულია...
ახლა ჭვეყანაც დავლუპო,
თქვენ პირში ვედგათ სულია!..
ან შე რად მინდა სიცოცხლე,
ან თქვენ გაცოცხლოთ რაღადა,
თუ მთელი ჩემი არსება
აღარ იქნება საღადა?..“

რისთვის-და მინდა იბჯარი,
რისათვის მინდა ხმალია?..“

მინდიასთვის აკრძალული იყო ხისმჭრელობა, ნადირთმხოცველობა. ეს, რასაკვირველია, პოეტური პირობითობაა. მაგრამ თუ უკუვადგებთ სიმღერის ფოლკლორული ფანტასტიკით გაყენებულ პირობითობას, დაეინახავთ პოეტს, რომელმაც განვითარების სამი სტადია განვლო: პირველ სტადიაში იგი ამხედრებული იყო ბნელი ძალების, ქაჯების წინააღმდეგ, თავისი მონობის წინააღმდეგ. მინდია „ტყვევობამ ფრიად დაჩაგრა, სამშობლოს გარეთ ყოფნამა, გული დაუდნო მონებამ“,—ამბობს ვაჟა-ფშაველა. „რა დავდიოდი ბნელს უდაბნოსა, სასულიერო სურვილი მწვეავდა“, სწერდა პუშკინი.

მეორე სტადია—სასოწარკვეთილებია. „და როგორც მკვდარი უდაბნოს ვიწიქ“ ამბობს პუშკინი. „ამოსელს ლამობს სულია“,—განაგრძობს ვაჟა-ფშაველა. როგორია გამოსავალი სასოწარკვეთილებიდან? საჭიროა ძალთა დაძაბვა, „გარემოებათა საერთო მსვლელობის“ შეგრძნება. ეს მომენტი ვაჟამ

ასე განსაზღვრა: „და ამ დროს მოწყალეს თვალთ ტყვეს გადმოხედა ზეცამა“.
 „პოეტის სული გღვიძებული არწივივით შეთროლდება“ — *თქვა მასზე*
 პუშკინმა, იხმარა რა თავისთვის უცნობი ფშავური ლირიკის შეფარებას.

შემდეგ მესამე სტაღია — ესაა პოეტის ეკლიანი გზა დახავსებული, დრო-
 მოკმული, მტრულად განწყობილი ძველი საზოგადოების პირობებში. ვაჟამ
 გმირულს ებიკაში აღბეჭდა ამ გზის მხოლოდ ზოგიერთი მომენტი — უმთავ-
 რესად მისი წარმოშობილი თემიდან გმირის გათიშვისა და უმაღლესი სიმართ-
 ლისათვის ბრძოლაში დაღუპვის მომენტები. ეს სიმართლე გმირმა იცის, ხოლო
 თემი მას არც კი გრძნობს. მისი ლირიკა — ეს არის სევდიანი შენიშვნები ამ
 გზის სხვადასხვა ეტაპზე. აქ ვაჟა-ფშაველას არა რცხვენოდა გამოეჩინა სი-
 სუსტე, სულით დაცემა, ჩივილი წარსულზე, უმწეო, ადამიანური ოცნება, ში-
 ში მომავლისა, — ის გრძნობები, რომელნიც უცხონი არიან ფშაველ ვაჟაკთა
 რაინდული კოდექსისათვის.

როცა მინდიაშ დანახა, რომ ამიერიდან ვეღარ ემსახურება სამშობლოს,
 გაშრა, გაფითრდა...

„ხმლის ტარს შეეხო ცერითა,
 ამოიწვავდა ქარქაშით,
 გულს მიიბჯინა წვერითა,
 მკერდიდან სისხლი, ვით წყარო,
 გადმოუვიდა ჩქერითა...“

გმირული გულიდან ეს წყაროსავით გადმოღვრილი სისხლი განსაკუთრე-
 ბულ კოლორიტს აძლევს ვაჟა-ფშაველას ლირიკას თვით უაღრესი დაფანტუ-
 ლობის წუთებშიც. უმწეობა, შიში და ტკივილი დაძლეულია ვაჟაკობით,
 ვაჟაკობას არასოდეს არ ღალატობდა იგი, ისევე, როგორც არ ღალატობდა
 მშობელ მთებს.

ვაჟაკობა გმირის, „კაი ყმის“ თანდაყოლილი თვისებაა. დალოცვილია დე-
 დის ძუძუ, რომელმაც ვაჟაკი შეილი აღზარდა. შეილი დაეცა უსწორო ბრძო-
 ლაში დარიალის ფერდობებზე, ამწვანებული მდინარის ნაპირას, მაცნე ანუ-
 გეშებს დედას:

„ზევრი იტირებს ჩენის მტრის
 თმათაფლა, თეთრი ქალია,
 დედილამ, ლეინოდ ვაქციეთ
 ერთიან თერგის წყალია“.

(„მაცნე“, 1881)

„მამამ რაღა სთქვა თინინბექმ,
 ამბავ რო უთხრეს შეილისა?
 — გულ ჩაიმჯიღა, ჩაფიქრდა,
 ალი აპვარდა პირისა:
 „რად არ აცალეს რჯულ-ძაღლთა
 ვეფხვს ერთხელ ვასმა კბილისა?
 მოკლეს, თუ მოკლეს, რაღა ექნა,
 წეს ეგ არიო გმირისა!“

(„გიგი“, 1888),

ხმალი უქმად გდია ქარქაშში და სტირის გმირს მახლობლებთან ერთად...
 გმირის „ლურჯაი, ბავას ბავ, თვალთ ცრემლები მისდისა, ტოტს უცემს
 მხარკვერიანი, ზურგი დაღარა მიწისა.“ მებრძოლის ხმალსა და ფარზე, ამ
 ძველი დიდებისა და სახელის ბრწყინვალეობაზე, აღბეჭდილია ამბორი თამარ-

მეფისა, რომელიც ფშაველებმა თავიანთ პანთონში შეიყვანეს, როგორც მკურნალი ღმერთქალი, ხოლო მისი შვილი ლაშა-გიორგი—როგორც კმის ღმერთი. უმჯობესია სიკვდილი, ვიდრე ნაძრახ სიცოცხლეში გატარებული წლები. გმირის დამარცხება მის სამშობლოს დაღუპვას ნიშნავს. ლექსები „სიკვდილი გმირისა“, „1795 წ. სახსოვრად“ და მრავალი სხვა ამის ცხადი დამადასტურებელია.

შეესაბამება თუ არა ამ გმირულ სიმღერათა (მათ შორისაც მღეროდა ფშაველი ხალხი) და ლირიკულ-ეპიურ ლექსთა იერი და წყობა ფშავეთის სოფლის იერსა და წყობას იმ ეპოქაში, როცა ცხოვრობდა ვაჟა-ფშაველა? რასაკვირველია, არა. და აი აქ ვხვდებით მისი შემოქმედების საინტერესო მხარეს. მიუხედავად უნივერსიტეტში ყოფნისა, ვაჟა-ფშაველა განაგრძობდა თავის პოეზიისთვის სახეების შეკრებას იმავე წყაროდან, საიდანაც ამოჰქონდათ ისინი მის მიამიტ ძმებს ლხინის დროს გაშაირებისას, ან მდიდარი ნიჭით დაჯილდოებულ მთქმელებს (პოეტი არაერთხელ შეჯიბრებია მათ, და, მისივე აღიარებით, ყოველთვის როდი გამოსულა გამარჯვებული!), ანდა მოხუცებს, რომელნიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გმირთა ამბები შეილებსა და შეილიშვილებში ნერგავენ ვაჟკაცობასა და სიმამაცეს.

მაგრამ ვაჟას პირველყოფილ თანასოფელთათვის მათი სიმღერებისა და თქმულებების გმირები იყვნენ უახლოესი, თუმცა უჩინარი თანამგზავნი ბეტილში, ნადირობის მონაწილენი, მრჩველნი ცხოვრების მძიმე წუთებში. ვაჟამ დაჰკარგა ეს უშუალობა, იგი მათში მხოლოდ ნიმუშებს ეძებდა თავისი ქმნილებითვის, მას აღლევდნენ არა მათი ცოცხალი მხარეები, არამედ მათი გრძობების უმწიკვლოება და ძლიერება. ამ გრძობების გულისთვის მას ამოჰყავდა საფლავებიდან თავისი ხალხის გმირთა აზრდილები, აყენებდა მათ შეუფერებელ კონფლიქტში თემთან, ან საკუთარ სინიღისთან, ისეთსავე გმირებთან, როგორიც თვითონ იყვნენ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ფშავეთს, შერბილებული „ბარის“ კულტურისა და ქრისტიანობის გავლენით, ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჰქონდა შენარჩუნებული თემური წყობის დამახასიათებელი თავისებურებანი. ვაჟა-ფშაველა შინაურად გრძობდა თავს კარჩაკეტილი თემის სახლებსა და ჯარობაში, იმ თემის, რომელმაც შექმნა სიტყვის საუცხოო კულტურა და საზოგადოებრივი ურთიერთობის გაფაჩიზებული კოდექსი. იმავე დროს პოეტი მთელი თავისი ზრახვებით, ნამდვილად კულტურული ადამიანის შეგნებით, თავისი შემოქმედების მისწრაფებით ცხოვრობდა ბარის ხალხთან, რომელიც თავისი მორალური სახით საქულველი იყო მისთვის: მას აღლევდა მდგომარეობა თავადაზნაურული და ბურჟუაზიული საქართველოსი, რომლის იდეალი არ შეესაბამებოდა მის თემურ-გლეხურ იდეალებს. პოეტი ვერ ძლებდა უქალაქოდ, სადაც სული ეხუთებოდა და სადაც წინასწარ ხედავდა მომავალ სოციალურ ქარაშხლებს, რომლებიც გაანადგურებენ მისთვის ესოდენ საყვარელ პირველყოფილი კულტურის საგანძურს. ამიტომ მამაცობის თემა, რომელიც ჩაისახა მის პოეზიაში ასე მთლიანად, სისხლიანად და არქაულად, თანდათან რთულდება,—მამაცობა სჭირდება ვაჟას არა ურჯულოებთან შეტაკებისთვის, არამედ შინაური ბრძოლებისთვის. არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი ამ მიმართულებით შეასრულეს მისი პირადი ცხოვრების ამბებმაც.

ვაჟა-ფშაველა თავისი ძლიერებითა და აღნაგობით დევგმირსა ჰგავდა. ის იყო ფიცხი ვაჟკაცი, სძულდა სიცრუე და ეშმაკური ხრიკები, ვერ ითმენდა

უსამართლობას, უყოყმანოდ შეეძლო შეურაცხყოფელის მოკვლა, ასეთი ადამიანისათვის, რომელსაც შეგნებული ჰქონდა თავისი ნიჭის ქლივირება, როლი როდი იყო მასწავლებლად „სამსახური“. მისთვის მეტად დადებითი იყო — ალტაცებასთან, მჩქეფარე ცხოველ-ყოფილობასთან ერთად ეგრძნო ცხოვრების წარმავლობა, დაცემლობა. მას სტანჯავდა ფიჭვი ქალის სიყვარულის უნიადაგობაზე, რასაც ვერ ანელებდა თვით ნიჭიერი სიმღერებითაც კი. მას ხშირად აძრწუნებდა ის შიში, რომ დაეშრიტებოდა პოეტური ნიჭი.

1886 წელს ვაჟა-ფშაველამ თავად ამილახვარის სასახლიდან მოიტაცა ამ დიდი ფეოდალის უკანონო ასული და ცოლად შეირთო იგი. ორი შემდეგი წელიწადი მისი ნიჭის მძაფრად გაფურჩქვნის პერიოდი იყო. ის მასწავლებლობდა სოფ. დიდ თონეთში და, ალბათ, საცხე იყო სიხარულით და იმედებით. ამას მოწმობს მისი შემოქმედების არაჩვეულებრივი აღმავლობა.

ამ დროს შექმნა მან თავისი საუკეთესო სატრფიალო სიმღერები. პოეტმა შემდეგშიც განიცადა დიდი სიყვარული, მას შესწირა უდიდესი ძალღონე, მაგრამ არასოდეს არ უქია იგი ისეთი სიხარულითა და სილაღით, როგორც ამ წლებში.

სიყვარულის სევდა და სიხარული ლუკამ განიცადა მამინ, როცა იგი ჯერ კიდევ ათი წლის ბავშვი იყო. ათი წლისა უკვე შეყვარებული ვიყავიო, იგონებდა იგი ავტობიოგრაფიაში.

1886 წლის განმავლობაში ლუკამ დასწერა ორმოცდაათამდის ლექსი და ორი პოემა — არც წინა და არც შემდეგ წელს მას ასეთი ნაყოფიერება არ გამოუჩენია.

მისი სატრფიალო ღირიკა თითქმის ამ ბედნიერ წელს ემთხვევა: იგი სადაა, სისხლკარბი, მასში არის იუმორი, მაცდური სინაზე, ხანდახან მას თამაშით შემოჰყავს ტრადიციული რომანტიკა:

„ქალა, ის მიყვარს მე შენი,
თავს რომ დაკიდებ შელადა...“

დაგძინებია, ქალა,
ლამაზო, ხუტუთმიანო,
ნეტავი გამაგებინა,
რა გესიზმრება, ღვთიანო?..
ვაჰმე, რო საღით შემოგზედეს
ვეფხვი, დათვი, ან მგელია!..
ფხვთ ქალამნები აცვია,
ტანთ კაბა გაცვეთილია“...

ეს ქანრული სურათი გადადის ლოცვაში „ტყის ანგელოსის“ ბედნიერებაზე, (ლერმონტოვის ლექსი „მე, ღვთისმშობელო, მოგმართავ ლოცვით“) და მთავრდება ზეებისა და წყაროსადმი მიმართვით, თითქოს ისინი არიან მისი ერთგული მეგობრები:

„ოქვენც გვხვეწებით, ზეებო,
და შენც, მდინარეც ხმინაო,
ე გოგო-ჩემი სიცოცხლე —
არაფრით დამიზიანაო“.

ქალი ცდილობს დაემალოს სიყვარულს მშობლების ჰერქვეშ: პოეტი ამ დროს მიმართავს ასულს:



„როცა გეტყვიან, ჭაღთა-მზეგ,
 ადგ. გარეკე ცხვირიო,
 საშუბის ყელეზს უმარჯვე,
 არ დაანებო თავიო,
 შეც იქ დაგზვდები ფოცხვერა,
 გაქრული გორის პირადა;
 მალე გაგიწყვეტ საკინძსა,
 ჩაგეტოლები ძნელადა.
 ცხვარს ვინა უგდებს მაშინ ყურს,
 თუნდ ტყვი კი იჭყეს მგელადა“.

„ფშაველის სიყვარულში“ გაისმის ისეთი ნოტები, რომლებიც შემდეგ მისი მომწიფების წლების ლირიკაში მთლიანად ახმაურდნენ:

„ღმერთმა დასწყველოს დიაცი,
 მემრე—ლამაზი ჭაღიო!“

ახლა კი იგი განიცდის მხოლოდ სიყვარულის სიხარულს, თუმცა ისე სწრაფ-წარმატალს, როგორც წუთისოფლის სხვა დანარჩენი სიხარულია.

1888 წლიდან იწყება პოეტის უთანხმოება და შეჯახება უფროსებთან. ვაჟა-ფშაველა ნამდვილი დევივით, ფანტასტიური ალტყინებით ეხმაურება ყველაფერ ამას. და, რასაკვირველია, მარცხდება. ვაჟა, ისევე როგორც მისი გმირები, ტრაგიკულად განიცდის დამციარებას. მოწინააღმდეგენი, რომლებიც თითქოს ნემსებითა სჩველტდნენ და აწამებდნენ, მას ეზიზღებოდა მთის ლელეთა ქვეწარმავლებზე უფრო მეტად, მას ვერც წარმოედგინა თავი მთხოვნელის როლში. პოეტი ღარიბი იყო. ლიტერატურული სახელი დაგვიანდა. 1888 წელს მასში რაღაც გარდატეხა მოხდა და იგი კვლავ დაუბრუნდა თავის მშობლიურ ჩარვალს, არც ისე ამაყი და თავისუფალი „ფშაველი ვაჟაკი“, როგორმაც ინახულა სოფელი, პეტერბურგში ორი წლის ყოფნის შემდეგ დაბრუნებულმა, მწერლობაში „ვეფხის ნახტომზე“ შეოცნებემ. აღმოჩნდა, რომ ყოველდღიური ბრძოლა მოითხოვდა არა ნაკლებ ვაჟაკობას, ვიდრე სამშობლოს დაცვა მტრის თავდასხმებისაგან, ამასთან ეს ბრძოლა არ უქადდა პოეტს არც კმაყოფილებას, არც პატივსა და დიდებას. მაგრამ ვაჟამ აქაც არ დაიხია უკან.

მან თითქოს პირველად დაინახა, რომ ცხოვრებაში მეტად ბევრი მწუხარება იყო. მას ეხარბება ღრუბლის ბედი, — რადგან არ არსებობს დედამიწაზე ძალა, რომელიც შეძლებს გადაუღობოს მას გზა. „სიმღერა“, 1888). ვაჟა შლერის, რათა გულიდან ეხანგი გადაიყაროს („წადილი“). მთები ასწავლიან მას სიმტკიცესა და მამაცობას:

„მინდა ფშავეთში მომღერალს
 სტუმრად მწვევიყვე მთანია,
 თან კლდენი შევეგრეზნებო
 მთების გამშვენნი ძმანია“.

როცა ღამდება, მთათ მშვიდი ძილითა სძინავთ, მათ არ ეშინიანთ მტრისა. ვარსკვლავები ნანას უმღერიან მათ.

მთებს ათასი უბედურება უნახავთ,—სეტყვა, ქექა-ქუხილი, გრივალი, ყინვა, ნიაღვარი, მაგრამ მაინც ვერაფერი დაუკლიათ მათთვის. გაზაფხულზე ისევ მამაცად არიან ამართულნი. გუშინ ყველას მკვდრები ეგონათ ისინი, ახლა კი გამოცოცხლდნენ.

ეს სიმბოლოში როდია. მწყემსი მღერის მთებზე, რომლებიც ამის თქვან მის თვალწინ და იმავე დროს მღერის თავის თავზე. ვაჟას ახალგაზრდობის სიმღერები სავსეა ამ ორაზროვანი თქმებით. მაგრამ თავისი სიმღერით მეორე ნახევარში ის უფრო ხშირად აწიშვლებს თავის პიროვნულ თემას, რადგან მისი განცდები უაღრესად რთულნი ხდებიან.

ასეა გაწიშვლებული გმირობის თემა სიმღერაში იმაზე, თუ როგორ შესვა მან კახური ლეინოსავით შხამი.

ვაჟაკი მოულოდნელ უბედობას ხვდება, როგორც დაპატივებულ სტუმარს. პოეტმა იცოდა, რომ ასე იქნებოდა, — ეკლის ლოგინი გაიშალა და უღარდელად დაიძინა. მისი აზრით, ეს დიდი ვაჟაკობაა. სეტყვის ღრუბელი თავზე ადვას პოეტს, მაგრამ, დაე, დასეტყვოს იგი, ის აზრს არ შეიცვლის, არ შედრკება, რადგან ვულში ცეცხლი უნთია, მამაცად შეჰყურებს ქვეყანას, არ ეშინიან ცრემლებისა.

ჯერ კიდევ რამდენიმე ხნის წინათ ყველაფერი ასე როდი იყო. იგი ახალგაზრდული უშუალობით ამტკიცებდა, რომ მას ეკუთვნოდა მთელი სამყარო, მთებით, ნაკადულებით, სათიბებით, ჯოგებით, მეგობრებითა და მტრებით. ეს საუნჯე ეკუთვნოდა მას დასაბამიდან, დაბადებისა და არა დაპყრობის უფლებით, როგორც ყველა ფშავს. დაუფლების სიხარულითაა აღსავსე მისი პირველი სატრფიალო სიმღერები, ბუნების სურათები, სადაც არა ნაკლებია აღტყინება, ვიდრე მის ეროტიკაში. თითქმის ყოველთვის, როცა ლაპარაკია სიკვდილზე, — იმ ბედნიერს წლებში სიკვდილის გახსენება უფრო აძლიერებდა გულის ხალისიან ძგერას და, მაკრად რომ ვთქვათ, არც იმდენად დიდი ვაჟაკობა იყო საჭირო, რომ მომკვდარიყო ასეთი საუნჯის პატრონი სამშობლოსათვის, რომელმაც ასე უხვად დაასაჩუქრა პოეტი და რომელმაც სიკვდილის შემდეგ დიდება აღუთქვა. გადარითხეთ ფშავის ბუნების აღწერა („მთათ ძილი“, „გაზაფხული“, მეორე „გაზაფხული“ — 1886, 1888 და 1889 წლებში) და იმავე წლების „სიმღერათა“ უმრავლესობა და მიხედვით, რომ სიკვდილი მართლაც იოლია, როცა სიცოცხლე ასე მდიდარია, ასე სავსეა ძალღონითა და თავისუფლებით.

ტხოვრების შხამით მოწამლული, გაქვავებული მებრძოლი, თუმცა მის მკერდში კვლავ სჭქვფს ცოცხალი გრძნობა, სხვაგვარად ხედავს თავის თავს ქვეყნად ვიდრე სამი წლის წინათ ხედავდა, სულ სხვაგვარად ითვისებს წუთისოფლის იმ საუნჯეს, რაც მანამდის შეუმუსვრელად მიაჩნდა.

ლატაკად მიაჩნია თავი, იგი შიშველია და ჩამოგლეჯილი, გულს ინუგეშებს იმით, რომ მარტო ის არ არის ასეთ მდგომარეობაში. ის ეკუთვნის ქებულ ლატაკთა რიცხვს. „მცირენი როდი არიან წუთისოფლის თორწენი“ მის მსგავსად გამოცხობილნი. პოეტს არ ეშინიან გაიციცვისა. იგი მაინც არ იხრის ქედს, თავი მდიდრად მიაჩნია. და კვლავ ჩამოსთვლის ყველაფერს, რაც უყვარდა ამ ქვეყნად, მაგრამ მის ხმაში აღარ გაისმის წინანდელი უშუალობა.

პოეტის საუნჯეთა სია მთლად როდია ამოწურული, მაგრამ ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ ისინი შერჩეულნი არიან არა შეხამებულად, როგორც ეს სჩვეოდა პოეტს, რათა გაეძლიერებინა მათი ცისარტყელური თამაში, როგორც სხვადასხვა წლის „გაზაფხულისა“ და „არაგეში“, არამედ ისე, რომ განგებ გააუფერულონ, გაკენწლონ ირონიით. ამ ლექსებში აღარაა გიჟმაგი სიხარული. მაგრამ ისევ არის ადრინდელი თავისუფლება და გულადობა, არაგვისა და მტკვრის გრილის ნაცვლად — სოციალური მოტივი, მოტივი აღმფოთებისა და

გულისწყრომისა უსამართლობის წინააღმდეგ. ამგვარად, ტყვილი საგან და-
იბადა „გარემოების საერთო მსვლელობის“ ახლებურად შეგნებმა. ვაჟა-ფშავე-
ლა ჰქმნის პირველყოფილ მთიელთა პოეზიაში არნახულ სასიტყველ სიტყვ-
რამას:

„ხარს ვგვივარ ნაიალარს,
რჭით მიწისა ვჩხვერ ვბუბუნებ:
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, —
მძინარიც იმას ვდღუდუნებ;
საწყალო საწყლობა რო მესმის,
იმათ ვარაშე ვწუწუნებ.
არცროს უსაქმო არა ვარ,
მუდამ ვკოწიწობ, ვჩუჩუნებ.
ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერადები,
ბეჩაეთაც ვავეუზიარებ.
სიკეთისათვის სიკეთეს
არავის დაუგვიანებ.
აგის თქვით, ავის ქცევითა
გულს არვის დავეუზიანებ.“

ოცდაშვიდი წელი იცხოვრა ვაჟა-ფშაველამ პატარა სოფელ ჩარგალში. ის
არ გაუბრბოდა მეზობლებს, მხარში უდგა მათ, როგორც თანასწორი ყოველ-
დღიურს შრომაში, ხატობაში, ღრეობაში, და როგორც საუკეთესო მოცილე
შეჯიბრების დროს: შაირობაში, თოფის სროლაში. იგი ნადირობდა ჯიხვებსა
და ირმებზე, მუშაობდა ბოსტანში, თიბავდა ბალახს, ამზადებდა შეშას საზამ-
თროდ, ხოლო ღამით სწერდა ლექსებს, ხანდახან კერის სინათლეზე, ნავთი
არ გააჩნდა, სწერდა ხანდახან განთიადისას, რომელიც ბევრჯერ აღწერა მან
ასეთის მღელვარებითა და ოსტატობით.

ამ წლების განმავლობაში იგი დიდ პოეტად აღიარეს. აკაკი წერეთელმა,
რომელიც ენას უწუნებდა ვაჟას, მაინც უწოდა მას „მარგალიტების მთესვე-
ლი!“.. ილია ჭავჭავაძე ამბობდა, რომ ვაჟა-ფშაველა გადაამეტებს მასა და სხვა
თანამედროვეებს. ფშავეთში მღეროდნენ მის სიმღერებს და საზეიმო შეკრე-
ბებზე კითხულობდნენ მის პოემებს. საქართველო იცნობდა და პატივსაცემდა
მას. არტურ ლეისტმა გერმანულად სთარგმნა მისი ლექსები.

მაგრამ პოეტი კვლავ ღარიბად ცხოვრობდა, კვლავ განდევნილად მიაჩნდა
მას თავი, რადგან აფასებდა დიდ სამყაროსთან კავშირს და სურდა მის ბოძო-
ქარ ცხოვრებაში აქტიურად მიეღო მონაწილეობა.

გარშემო სწრაფი ცვლილებები ხდებოდა. საქართველოში ძირფესვიანად
აღმოიფხვრა ფეოდალიზმის ნაშთები. 1905 წელს თვით მთების მცხოვრებთა-
თვისაც ცხადი გახდა, რომ ქვეყნად გამოჩნდებოდა ახალი ძალა. ძველი ჩეე-
ვები ჰკარგავდნენ თავიანთ იმპერატულლობას, თემური წყობა ირყეოდა. ვა-
ჟა-ფშაველა კავშირსა მოიცვა — მარტოობის გამო, მიუსაფრობის გამო, ვაჟ-
აკაცი მონადირე ჰგრძნობდა, რომ ხელები გულზე ჰქონდა დაკრეფილი იმ
დროს, როცა საზოგადოებრივ საქმიანობაში უნდა ჩაბმულიყო. პოეტი ხანში
შვეიდა, ახლოვდებოდა სიბერე. ცხოვრების გზაზე ერთად-ერთი დასაყრდენი,
ერთად-ერთი მისი გამართლება იყო პოეტური ნიჭი. პოეტში წლითი-წლობით
იზრდება დაეკვება, შიში, რომ ეს ნიჭი შეყვარებულივით მიატოვებს მას.

პოემები უფრო და უფრო დაძაბული, უფრო და უფრო სრულყოფილი ხდე-
ბიან. გმირები იზრდებიან მორალურად და მომაკვდინებელ მახელს სცემენ

ბა მას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მიწა ჩაიხუტებს. პოეტს დაუწყდა ჩანგურის სიმები და აღარ სურს მღერა. სიცოცხლე მოსძულემა.

წლითი-წლობით ერთსა და იმავეს იმეორებს იგი და უკვლავ უმძიმეს წუთებში, ფიქრობს ადამიანის მარტოობაზე, სულით ობლობაზე. პოეტი ამბობს, რომ ტანჯულს მხოლოდ თვითონ ესმის თავისი ტანჯვა, სხვათა გრძობები მისთვის მიუწვდომელია.

აღტყინებით და ნაღველით არის სახესე ლექსი „სიმღერა“ (1908 წ.), სადაც პოეტი შორს ისერის ჩანგურს რადგან, როგორც გამოიჩვენა, ის კი არ მღეროდა, ყვიროდა საშინლად, თავი ბუღბუღი ეგონა, მაგრამ მას არავინ უსმენდა:

„წაიღეთ ჩანგი, თქვენ გჰონდესთ,
ლახტს ვიპყრობ იმის ნაცვლად;
ესლა ისა გაქვს ნუგეშად,
უღედოს — დედინაცვლად.
თავში ვცემ გუშინდელს სატრფოს:
მთასა, წყაროს და იასა,
ალუდას, ზვიადურსა
და ლუბუმს თავაზიანსა,
ლელასა, შუბით აღტურვილს,
კვირიას — კონკებიანსა.

იგი ყველაფერს ანადგურებს თავის გარშემო და გაპყვირის:

„ხმა ამოიღეთ, თქვენცა სთქვით,
მე დავიუბედე რამდენი.
თქვენ გაანათეთ სამყარო,
მე ზომ გამიჭრა სანთელი.
ხმა ამოიღეთ, თქვენს სიტყვას
უფრო ექნება ბაზარი.
მე ვდღუშვარ, ღონე აღარ მაქვს
თქმისა, დამეცა თავზარი!“
მაგრამ პასუხი არა სწანს...
ყურობს სამარე წყვედიადი,
მითრთის ხელეები, სხეული,
ვარამი მქენჯნის დიადი“.

მაშასადამე, ვაჟა-ფშაველას ვაჟკაცობამაც უღალატა?

არა, „კაიყმა“ უბედურებაში გამოჩნდება. ვაჟა-ფშაველამ დასძლია მარტოობაც, დაბნეულობაც, სასოწარკვეთილებაც. მხოლოდ დიდი სიხარულისა და დიდი ძალღონის პოეტს შეეძლო ასე მიძიმედ განეცადა წილხდომილი სევდა და ასეთის უღმობელი სიცხადით გამოემქვანებია იგი.

მისი პოეზია არაგვივით რამდენიმე ტოტად იყოფა, ერთ მათგანს მოაქვს სიკვდილის შავი შლამი, სხვები შეუწყვეტლად გაიმღერიან სიხარულზე, თუმცა არა ისეთის უშუალოებით და გულუბრყვილობით, როგორითაც მღეროდა ვაჟა-ფშაველა ჭაბუკობაში.

1895 წელს ვაჟამ დასწერა „მთანი მალაღნი“, სადაც პოეტი ქეშმარიტად შორსმჭვრეტელ მისანივით ლაპარაკობს „მთების უსაზღვრო მოლოდინზე“. ისინი „ელოდნენ, ელიან და კვლავ მოლოდინში იქნებიან. რა დააშრობს მათ გულში ამ მოლოდინის ზღვას? ინგრევა ხშირად ნახევარი მთა და ზევად მიდის ხევში. კლდე და ლოდები მაინც ელიან რალაცას, დიდ რალაცას. ეს რალაცაა უნახავის დანახვა“.

პოეტი აშკარად ლაპარაკობს არა მარტო მთებზე, არამედ თავის თავზეც და იმავე მძიმე წლებში ის ახლებურად სთხზავს „მხედართა ძველ სიმღერას“, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ სამშობლოსათვის სიცოცხლე უნდა დაიწვას. სამშობლოს სახე კვლავინდებურად ანათებს პოეტისთვის თვით სამარეშიც. იმავე სიმღერაში შეგვხვდებით სხვა სტრიქონებსაც, რომლებიც მახლობელნი არიან ჩვენთვის, ვაჟა-ფშაველას შორეული შთამომავლობისათვის:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცოლება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკედარსაც კი გავცინება“.

1904—1906 წლებში დაწერილ ლექსებში ვაჟა მღერის:

„გულო, არ გატყდე გამაგრდი,
კლდო, კლდედ იდევ სალადა!..
... თუ აქამომდე გავძელით,
დღეს მტერი გავგეტებს ედარა“.
... კიდევაც ვნახავთ გაზაფხულს,
ყელმოღერებულ იასა,
სიკედლის სიცოცხლედ მაჭყეველს,
იმის სიტურფეს ღვთიანსა,
იმწვანებულსა მთა-ბარსა,
დამწვანებულს ყვავილიანსა...
აღარვინ იტანჯებოდეს
და აღარცვისა შიოდეს...“

„საახალწლოში“ (1908) პოეტი პირდება ჩანგურს—ემსახუროს ცხოვრებას, რადგან პოეტი ვერ მოჰკლა უგნურთა ზრახვამ და ვერ დაცალა გრძნობათაგან.

1910 წელს დაწერილ ერთ-ერთ „სიმღერაში“, „სტეირში“ (1912) და „სიმღერაში“ (1914) ჩვენს წინაშე სდგას ვაჟა-ფშაველა, რომელიც სიმტკიცით და ძლიერებით უსწორდება თავისი პოემების კეთილშობილ გმირებს, მთელი თავით მალდა სდგას იგი თვითმკვლელ მინდიაზე,—პოეზიის ეს ჭაღარა შეუპოვარი დევი, რომელიც ღებულობს ცხოვრებას, მთელი თავისი სევდა-ვარამით, ალტაცებით გაიძახის:

„აღარა მიჭირს კარგად ვარ,
იღარადრის მაქვს დარდია,
კარგი მაქვს წუთისოფელი,
კაი დროს დავიბაღია...
აღარ მიზღვეტავს ევალი,
ვეღარ დამიჭერს მარდია,
თავისუფლად ვიფს არწივი,
ცელქობს შერცხალი მარდია...
მტერს დღენაკლული ვეგონე,
შედავს, რო გავიზარდია...
კარგად ვარ, წველული მირჩება,
იღარადრის მაქვს დარდია“.

გაქცეა თუ არა ვაჟა-ფშაველა თავისთვის უცხო „ქალაქის ცივილიზაციას“? იყო თუ არა ის პანთეისტი, ასულიერებდა თუ არა ბუნებას თავის ლექსებში? იყო თუ არა ის სიმბოლისტი?

ამ საკითხების გადაწყვეტა შეიძლება, თუ მოვიყვანთ ასობით ციტატას მისი ნაწარმოებებისა და წერილებიდან, თუ დავაჯგუფებთ რუბრიკებად და ისე

განვიხილავთ კერძოდ მის ბიოგრაფიას. მაგრამ შეიძლება სწრაფვარად მოქცევაც: ქარს გავატანოთ ყველაფერი ეს, როგორც ამას ჩაიდენდა ვაჟა-ფშაველა.

ის არ „გაქცეულა“ მთებში, — არსებობისათვის აუტანელმა ბრძოლამ და დაპყრობილ საქართველოში გაბატონებულ ბიუროკრატიულ წესწყობილებასთან შერიგების შეუძლებლობამ ჩაპყტა ის სახლში, ჩარგალში.

სიღარიბეს რომ ხელი არ შეეშალა, ვაჟა რამდენსამე ხანს კიდევ დაჰყოფდა პეტერბურგში, მოინახულებდა გოეთეს სამშობლოს, საითქვნაც მიუწევდა გული, და შეიძლება მოსურვებოდა ბაირონისა და შექსპირის სამშობლოს და იტალიური აღორძინების ნაშთების გაცნობაც. ჩვენ ვიცით, თუ რაოდენად მოუსვენარი იყო სულით ვაჟა-ფშაველა, რამდენად ხარბი იყო შთაბეჭდილებების მიმართ, თავისი ხედრის არჩევა მას არ შეეძლო, ისევე, როგორც ვერ ამოიჩინეს იგი პუშკინმა, ლერმონტოვმა, აკ. წერეთელმა და ი. ჭავჭავაძემ.

ვაჟა ცხოვრობდა ბუნებასთან, ის ყოველთვის მის გარემოცვაში იყო. ბავშვობისას, სიკაბუჯეში, ბუნება ჰკვებავდა მისი წინაპრების მრავალ თაობას, ის აძლევდა სიხარულს. მას არ შეეძლო არც ერთი სტრიქონის შეთხზვა, თუ არ ისარგებლებდა ბუნების სახეთა მრავალფეროვანებით, მისი მოვლენებით, — პანთეიზმია თუ არა ეს? ყოველ შემთხვევაში, პანთეისტურ ფილოსოფიას იგი არ მისდევდა. ადამიანის ცხოვრება, ადამიანის ბედი — უკანასკნელ მწყემსიდან სამშობლომდის — მისი პირველი და უკანასკნელი ფიქრი იყო. იგი იყო პოეტი, სიცოცხლის მგზნებარედ მოყვარული ადამიანი, და თავისი გულით დაატარებდა ყველაფერს, რასაც აძლევდნენ მას ბუნება, ხალხი, მისი სამშობლოს წარსული, სიყვარული და სიძულვილი, კაცობრიობის უდიდეს გონებათა შფოთი და იმედები, რომელთა ქმნილებები გადაიკითხა მან თავის ლატკურ ქოხში.

თითქმის ახლაც არ შეგვიძლიან სავსებით წარმოვიდგინოთ სიღიადე ამ ერთად-ერთი თავისებური ფიგურისა — უშუალო, მდიდარი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედებისა, რომელსაც არ გააჩნდა თავის სინდისთან მლიქვნელობის უნარი. ამიტომაც ის განწირული იყო დასაღუბად და ილუპება კიდევ, როგორც მუხა, როგორც არწივი, როგორც ლომი, როგორც ყველაზე სახელოვანი ფშაველი ვაჟაკი. მსოფლიო ლიტერატურის რომელი ასეთი ნიჭიერი წარმომადგენელი ცხოვრობდა და ილუპებოდა ასე?

ვაჟა მოვიდა მწერლობაში სინდისისა და სახელისთვის უძველესი მეომრის წარმოდგენით. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ცხოვრებაში მას არ გააჩნდა სხვა გამოსავალი, გარდა ჩარგალში ჩაკეტვისა, და ამავე დროს ის იყო უდიდესი დიაბაზონის პოეტი. სწორედ მან შეთხზა სიმღერა მტრის მიმართ უღმობლობასა და მასთან სისხლიანი გასწორებისა. მაგრამ მანვე გვამცნო ალუდა ქეთელაურის დამარცხებაც. მისთვის ცნობილი იყო შეყვარებულისადმი უნაზესი გრძობა, რომელმაც ო. უაილდს ასეთი სიტყვები უკარნახა: „მაგრამ ყველანი ჰკლავენ მიჯნურებს“. თავისებურად, მაგრამ საშინელის სეველით მოგვითხრობს ვაჟა: როგორც კი ხელს შევახებთ იმას, რაც გვიყვარს, რაც გვებრალემა, წუთსავე უღმობელი ვხედებით მის მიმართ, დავლუპავთ, გავსრესავთ, მგლურად გავუსწორდებით მასო. ვაჟა ისეთივე ლმობიერი თრთოლვით უსმენდა ირმის ბლავილს, როგორითაც ჰქმნიდა ლექსებს სატრფოზე, და იმავე ენით, გამოუთქმელი სიფაქიზით ჰკაზმავდა მთებისა და ველების უსაზღვროებას ისტორიული რემინისენციებით: მინდვრის ყვავილები თამარ მეფის თვა-

ლებს აგონებენ, ანდა: მთის მკერდზე გაშლილი ფარა ლამაზის სახეზე შამობ-
ნულ ხალხბად მიაჩნია.

ასეთი დიაბაზონისა და ბედის პოეტს სრულიად თავისებურად უკრძავენ-
ცადა თავისი მოწოდება. მას შეეძლო, რამდენიც სურდა, ემღერა სიცოცხლის
სიხარულზე, მაგრამ როცა თავის ლექსებში პოეზიის როლზე ლაპარაკობს,
ჩვეულების თანახმად, თავის მუხას მტირალ ქალად სთვლის („მესტიერის
ჩივილი“): მესტიერეს ქურდებმა მოჰპარეს სალამური. რად უნდათ იგი წყე-
ულებს? მისი გაყიდვა არ შეიძლება, ლერწმის უბრალო ღერო ვერცხლით
მოკაზმული არ არის, ის მხოლოდ უბედურთა და უსახლკართთა თმებითაა
შეკრული, მის ყელში კი დამალულია ქვეყნის ტანჯვა და ვარაში...

გაივლის მრავალი წელი. ერთის მხრით, აღიარება, მეორეს მხრით — საზო-
გადოებრივი ბრძოლა უქარნახებენ ვეჯა-ფშაველას სულ სხვა წარმოდგენებს.
ის აღიდებს სიტყვის ძალას, რომელიც იყო:

„ტანჯულის გულის ნაცრემლი,
ჯავრით ნაკვები, სნეული,
გულგანგმირული, ბეჩავი,
თავს მანდიღრამოხვეული!“

მაგრამ ამ სიტყვამ შემდეგ:

„წერს მარგალიტი მოისხა,
ტანი ზურმუხტით იფარა,
ისე წვა-დაგვით გაზრდილმა,
რას ვიფიქრებდი, იხარა...
მთელს ქვეყანაზე სხივსა ჰფენს,
როგორც ცამ გამოიდარა.“

მაგრამ სიტყვის ეს ამაყი სიყვარული ჯერ კიდევ შორსა დგას ვეფას ნამდვი-
ლი შემოქმედებითი საქმიანობისაგან. „მგოსნის ნუგეშში“, რომელიც იმავე
წელს არის დაწერილი, მან პირველად მოახერხა ერთად შეეკრიბა ყველაფერი,
რასაც ფიქრობდა საკუთარი პოეზიის შესახებ. პოეტმა აქ განსაკუთრებული
სიფხიზლე გამოიჩინა. ზუსტად აღნიშნა თავისი შემოქმედების ფსიქოლო-
გიური და ხალხური ფესვები, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ის ახა-
ლი, რაც მან ლიტერატურაში შემოიტანა.

იგი გამსჭვალულია ფიქრით კეთილ სამყაროზე და თვით გატურბის უსამართ-
ლობასა და ბოროტებაზე წერას. ადამიანის გული მთლიანად უნდა დაიწვას.
რომ პოეტის გულად გადაიქცეს ის. იგი შევარდენივით ეძებდა გზებს ცის
კამარაში, არა სურდა მიწაზე ბობლვა ქვემშრომივით. თავისი სიტყვების სიძ-
ლიერით და სიყვარულით მამაბაბათა აკლდამებიდან გამოიწვია გმირთა აჩრ-
დილები, დადაფნა მათი თავები და ჩასვა მათი ტანი ფოლადის ჯაჭვ-ჯავ-
შანში:

„მე არ ვუთხარე მოძმესა ორმო,
მოხრელი შევემტრე კუბრით და ლაფით,
არვის ვაგტაცე მე ლუკმა პური,
სხვასაც ვაფუყავ ნაშოვნი ჯაფით,
და სიყვარული ჩემს თანამომემთ
ვაუწყე მედგრად ნაღარით, დაფით,
უსულო საგნებს სული ჩაებერე,
იფასებრე ლოდები კლდისა,

და, როგორც მეფე, გავათამამე
 მწირი ბალახი, ის ჭრტი შთისა.
 მადლი მდენია მარჯვენაზედა
 იმ შემომქმედის, მალალის ღეთისა!*



მხოლოდ ერთი რამ ვერ გადმოგვცა ამ აღსარებაში: შემდგომი ბრძოლისა და ძიების დაძაბულობა. შეიძლება თითონაც არ იცოდა, რა მოელოდა მომავალში, თუმცა იმავე წლებში ხშირად იმეორებდა, რომ ცა რისხვით ემუქრება და მისი გული ძრწოლით ელის ტანჯულ აღსასრულს.

მაგრამ ესეც მალე მოვიდა: საფლავებიდან გამოძახებული გმირები მან შესცვალა ჭეშმარიტებისათვის მებრძოლებით. პოეტს გმირად მხოლოდ ის მიაჩნდა, ვინც განუწყვეტლივ მკმუნნვარებს ამ სოფლის სიხარულსა და სიღუბჭირეზე. მხოლოდ გმირი იღუპება აზრისა და სამართლიანობისათვის. დაილოცოს მისი დედის ძუძუ, ის ნანა, რომლითაც უმღეროდა დედა გმირს („სიმღერა“ 1897 წ.).

და შემდეგ უფრო და უფრო სიტყვა ძუნწია პოეტი, უფრო და უფრო მეტად შეუპოვარი და გამომწყვევი ხდება იგი:

—დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე.
 აჟა ვარ ჩემის თავითა,
 გულითა გაუტეხელი,
 მოულალავი მკლავითა...
 მცნებას ვერ შემაცვლივინებ,
 მოზღვავებულის ავითა“. და სხვ.

პოეტის ბიოგრაფიიდან, მისი ეპოქის ისტორიიდან ვიცით, რომ ეს „მოზღვა-
 ვებული ავი“ პოეტური გაზვიადება არ იყო. მხოლოდ გოეთეს ღეთისმებრძოლ,
 პრომეთეოსის სულიკვეთებით გააღენთილ ნაწარმოებში ვხვდებით ჩვენ სახეთა
 ასეთ სიმტკიცეს, სიმკვრივესა და უმაღლეს „ლოკალობას“. გოეთეს ღეთის-
 მებრძოლნი ერთეულები იყვნენ, ვაჟა-ფშაველას მესტიერე ფშავეთის თე-
 მის მარტოხელა და რიგითი მებრძოლი, თანამებრძოლებს ამოცანათა ერთი-
 ანობის შეგნების მიხედვით, ირჩევს. ეძებს მოძმეებს არა მარტო ნათესაობის,
 არამედ სულისკვეთების მიხედვითაც, განა მარტო ვარ ამ სოფლად, ჩემგვა-
 რი მრავალაო, ამბობს პოეტი.

მრავალი სიმღერა შექმნა ვაჟა-ფშაველამ პოეტსა და მის დანიშნულებაზე
 პოეტურ სამყაროში, მაგრამ მან შემდეგ ვეღარ შეიძლია ისეთ სიმალლესა და
 ლაკონიზმს, როგორსაც ამ „სიმღერაში“.

ვაჟა-ფშაველას ლირიკულ ლექსთა თემატიკა მრავალფეროვანია. იგი სა-
 უცხოოდ ჰვლობდა ამ ქანრს, შეჰქონდა რა მასშიც, როგორც ჰეროიკაში,
 ლირიკული ინტონაციები. მისი საყვარელი სფერო ლირიკაშიაც და ეპოსშიაც
 ბუნებაა. როცა ვაჟა ბუნებაზე ამეტყველდებოდა, მისი შემოქმედება ნამდვი-
 ლად თავისუფალი ხდებოდა ყოველდღიური ცხოვრების გზნებისა და სი-
 ღუბჭირისაგან.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული შემკვიდრეობა ჯერ კიდევ არაა მთლიანად
 შესწავლილი. მისი შემოქმედება კიდევ უფრო გაგვაკვირვებს თავისი ძლიერე-
 ბითა და ცხოვრების გამაზგილებული შეგრძნებით.

ალ. სულავა

ირაკლი აბაშიძე

ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველი ახალი ხანა თავის შესაფერი მოტივებისა და თემების ლიტერატურულ მოვლენებს ჰბადებს. საბჭოთა ეპოქამ დასაბამი მისცა ახალი შთავგონების ლიტერატურას. ამ ეპოქას თავისი განვითარების ისეთი ღირსშესანიშნავი ეტაპები და პერიოდები აქვს, რომელთაც წინ წასწიეს ცხოვრება, გამოიწვიეს ახალი ცვლილებები, ჩასწერეს განვითარების ახალი ფურცლები.

საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში ამ პერიოდებმა სათანადო გამოხატულება ჰპოვეს, წარმოშვეს არა მარტო ახალი ლიტერატურული მოვლენები, არამედ პოეტთა ახალი თაობებიც.

სამოქალაქო ომების შემდეგ საბჭოთა ცხოვრების ასეთ მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის უდიდესი ეპოპეა—ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გაშლა, ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დასაწყისი, კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ სოციალიზმის ძლევა მოსილი შეტევა. ამ პერიოდმა საბჭოთა პოეზიის წინაშე დიდი ამოცანები დასახა,—მან დარაზმა მწერალთა საუკეთესო ძალები.

პოეტების ის თაობა, რომელსაც ამ პერიოდში მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, უშუალოდ დაუკავშირდა საბჭოთა პოეზიას ამ დროის საბრძოლო ამოცანებით და თემებით. ასეთი საბრძოლო განწყობილებით შემოვიდა ქართულ საბჭოთა პოეზიაში ირაკლი აბაშიძე.

ქართველ ნიჭიერ საბჭოთა პოეტებთან ერთად ი. აბაშიძეს წილად ზედა ჩვენი დიდი ეპოქის ბედნიერების შემცველი იდეების, ახალი ადამიანური ურთიერთობის, სასიხარულო განწყობილების გამოხატვა. კაცობრიობის ისტორიაში ასეთი ზეედრის ღირსნი პირველად საბჭოთა პოეტები გახდნენ, ამიტომ ამბობს პოეტი ერთ თავის ლექსში: გაივლის მრავალთ მრავალი წელი და ჩვენზე იტყვიან, რა ბუმბერაზ დროს ცხოვრობდნენ და იყენენ ლექსის მართალი მქადაგებელნიო.

მსოფლიო სევდის ცნობილი იტალიელი პოეტი ჯაკომო ლეოპარდი სიკვდილამდე დარწმუნებული იყო, რომ სამართლიანობა ვერასოდეს ვერ გაიხარება და ქვეყანაზე, ოსკარ უაილდს სწამდა, რომ მწუხარება ერთადერთი კეშმარიტება იყო. „მწუხარება უდიდესი ემოციაა,“ — ამბობდა იგი. რუსი პოეტი სოლოგუბი სიკვდილს უთხზავდა პიმს „ჩვენ მომწიფებული ვართ საფლავისათვის“. სიყვარული და სიკვდილი ერთი და იგივეაო.

საბჭოთა ეპოქამ ძირფესვიანად შესცვალა ცხოვრების ის პირობები, რომლებიც საფუძველზედაც ყალიბდებოდა წარსულში დაცემულობისა და მწუხარების ასეთი პოეტური იდეოლოგია და პირველად კაცობრიობის ხელშეწყობაში გადაშალა ნამდვილად ადამიანური გრძნობები, ბედნიერებისა და სიხარულის უძვირფასესი განცდები, თავისუფალი ადამიანის სასიხარულო ჰანგები.

ამ სასიხარულო ჰანგების, სამშობლოს ბედნიერების, ახალი ადამიანის მებრძოლი სულისკვეთებისა და განწყობილების პოეტად ჩამოყალიბდა ი. აბაშიძე. მას გააჩნია პოეტური უნარი, რათა მღელვარებით გამოხატოს საბჭოთა ცხოვრების მდიდარი მოვლენები.

ი. აბაშიძის პოეტური აზროვნება ლირიკულ ფორმაში იხატება. ამ ლირიკულობაში მოსჩანს მისი ნიჭი. ლირიკა არის ცხოვრება და სული პოეზიისათვის, — ამბობდა ბელინსკი. ხელოვნების ამ რთულ დარგში უბრალო ემოციურობა კვალს ვერ დააჩნევს, თუ მას სიცოცხლის უშუალობა და სიცხოველე არ ავსებს.

ი. აბაშიძის ლირიკულ სიცხოველეს ფრთას ასხამს საბჭოთა ცხოვრების პათოსი, ახალი სოციალისტური ცხოვრების სიხარულის გრძნობა. იგი თავისი პოეზიით მტკიცედ ანხორციელებს იმ შვერმეტყველებას, რომ არ არსებობს ლამაზი ფორმა შინაარსს გარეშე. ამ პოეტის შემოქმედებას — კი შინაარსსა და აზრს საბჭოთა ცხოვრება აძლევს.

ი. აბაშიძეს აქვს უნარი განიცადოს, პოეტურად გამოხატოს ჩვენი ცხოვრების ლამაზი მხარეები, საბრძოლო ამოცანები, მთელი ქვეყნის სასიხარულო განცდები. პოეტი თავისი სასიხარულო ჰანგების, მთავარი მოტივების წყაროდ სთვლის ჩვენი სამშობლოს აყვავებისა და აღორძინების სინამდვილეს. ეს სინამდვილე სოციალიზმის გამარჯვების შედეგია. მან ჩვენს ქვეყანას, საბჭოთა ხალხებს მისცა მშვიდობა, გადაუშალა ცხოვრების უჩვეულო ფურცელი. ამიტომ ამ ბედნიერების, ადამიანთა სასიხარულო საკითხებს პოეტი განსაკუთრებული ინტერესით ეკიდება. ამ ინტერესის შედეგია მისი ლექსები: „მე ხმაც და ენაც“, „დიდი გაზაფხული“, „გადარჩენის ბალადა“, „მიძღვნა ამხანაგ ლავრენტი ბერიას“, „გმირები“, „ქანდაკება მთაწმინდაზე“ და სხვ.

თავისი პოეტური დანიშნულებისა და მოწოდების საკითხს ი. აბაშიძე უკავშირებს საბჭოთა ეპოქას, რომელმაც დაბადა როგორც სამშობლოს ბედნიერება, ისე პირადად მისი პოეტური საყვირო ხმები:

„მე ხმაც და ენაც — ჩემი არჩივი —
მომცა საბჭოთა მზემ და ყანებმა,
მას შევეზარდე მე მხრებგაშლილი,
მან დამიმტკიცა სრულწლოვანება.

შემდეგ მე ამ ხმას პანგად გაეძაბი
ჩემი სამშობლოს მთად და ველადა:
ეს ხმა კაცობის პირველ გაზაფხულს
მე მისახსოვრა დიდმა ბელადა.

მოთხრა: — ამ ხმაზე ქვეყნებს გასძახე,
როგორ იხარეს ჩვენმა ერებმა,
შენ გაპყიონე, ვაჟო, ამ ხმაზე
შენი სამშობლოს ბედნიერება.

სოჭი — საყვარელი შენი მიდამო
როგორ წუხდა და მტარვალს მონობდა,
სოჭი — რა ვიღონეთ, რომ სამუდამოდ
შენ და შენს ტოლებს ეს ხმა გჭონდათ.



სამშობლოს ბედნიერება პოეტის ბედნიერებაა და ისიც აღსავსეა სურვილით, გააყიენოს ქვეყნებს თავისი ალტაცება და სიყვარული ჩვენ სამშობლოს ბედნიერებაზე. ამ ბედნიერებამ მისცა სწორედ პოეტს „არჩივი“, ახალი ხმა და ენა და დაუმტკიცა სრულწლოვანება. ამ ლექსში პოეტი გამოხატავს საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა ადამიანის შადლობას საბჭოთა ცხოვრებისადმი, იმ პიროვნებისადმი, ვინც კაცობრიობის ახალი და ნამდვილი ფურცელი გადაშალა. პოეტის თქმით, კაცობის ეს „ბრწყინვალე ყრობა“, „დაბადების აზრი“ მას და მის ტოლებს ბელადმა მისცა.

სოციალიზმის თაობათა ბედნიერების თემას ი. აბაშიძე თავის შემოქმედებაში მრავალგზით ანვითარებს, რომ ამით უფრო ნათელჰყოს სხვადასხვაობა რევოლუციამდელი და საბჭოთა დროის ახალგაზრდა ადამიანთა ცხოვრებისა. ამ სხვადასხვაობას გამოხატავს მისი შინაარსიანი ლექსი „გადარჩენის ბალადა“. ეს ლექსი თავისი ხასიათით გამორჩევა ი. აბაშიძის შემოქმედებაში. კონკრეტული მასალა, ყოფითი ფონი, კოლორიტულობა ლექსში დასმულ საკითხს თავისებურ სიმძაფრეს აძლევენ.

რევოლუციის წინადროის ახალგაზრდა ადამიანის ბედს წარმოადგენდა უგზობა, ომი და განადგურება. საბჭოთა ეპოქამ კი ახალთაობას განუსაზღვრელი სამოქმედო ასპარეზი გადაუშალა. „გადარჩენის ბალადის“ პერსონაჟი პოეტის ძმია, რომელიც ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანის საბჭოთა ექსპედიციაში იმყოფება. ძმის ეს ახალი ბედი პოეტში მოგონებებსა და ფიქრებს იწვევს. იმ კაცს, რომელსაც ძველი ცხოვრების პირობებში, ვინ იცის, რა უბედურება არ მოელოდა, ახალმა ცხოვრებამ გვირული ბედი არგუნა. და, აი, წარსულისა და აწმყოს სხვაობის საჩვენებლად პოეტი იძლევა ერთი გლეხური ოჯახის ამბავს, რომელმაც იმპერიალისტური ომის ქარცეცხლში შეილი დაჰკარგა. პოეტის მშობლებიც შიშს განიცდიან თავიანთი შვილების მოშავლის გამო. დაიზრდებიან, მოხდება ომი და, ვაჰ, თუ უკვლოდ დაგვეკარგნენო. მაგრამ დიდმა საბჭოთა ეპოქამ, რომელმაც ახლებურად გააშუქა ადამიანთა ცხოვრება, ახალგაზრდა ადამიანების ბედიც ახლებურად ვადასწყვიტა.

ი. აბაშიძის პოეზიაში საბჭოთა ახალგაზრდობის ბედნიერების საკითხი განსაკუთრებული ინტერესითაა გამახვილებული, რადგან თვითონ ეს ახალგაზრდობა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც სოციალიზმში დაიხსნა სოციალური ჩაგვრისა და უთანასწორობისაგან და შემოსა იგი ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა ხალხის უდიდესი სიყვარულით და მზრუნველობით.

ეს პირველი თაობაა კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც გაიზარდა და დაეფუძვლა სოციალისტური ცხოვრების ბედნიერ პირობებში. სოციალიზმის ამ სახელოვანი თაობის კეთილდღეობას გამოხატავს სწორედ ი. აბაშიძე თავის ისეთ ლექსებში, როგორიცაა: „გადარჩენის ბალადა“, „ახალგაზრდობა“, „მე ხმაც და ენაც“, „მიძღვნა ამხანაგ ლავრენტი ბერიას“. ახალგაზრდობის ბედნიერების საკითხი პოეტს დაკავშირებული აქვს სოციალიზმის გამარჯვებასთან, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების სიხარულთან, სამშობლოს სიყვარულთან. პოეტი შადლობის ვრძნობას გამოსთქვამს დიდ ლენინისადმი, რომელმაც

ახალგაზრდობას სოციალიზმის გამარჯვების ხანისთვის უწინასწარმეტყველა ბედნიერი ცხოვრება:

ერაყნული
ზინზლირთისა

„ლენინს დიდება!
ოცი წლის წინად
როგორ შენატრა თუბამეტ წლიანებს;
ლენინს დიდება! ისევ ციმციმებს
მისი ნათელი, თავს დაგეტრიალებს“.

პოეტი მადლობას უძღვნის მშობლებს, რომელთა ბრძოლამაც ახალგაზრდობას ნათელი ცხოვრება არგუნა. ერთ თავის ლექსში, სადაც პოეტი ესპანეთის ბავშვების ბედს აღწერს, იგი ამბობს: „ჩვენს ბაღლობაში ჩვენც გვიტრიაა, ჩვენს ძღვევამოსილ მშობლებს დიდება!“

საბჭოთა ქვეყანა ახალგაზრდობის ქვეყანაა. საბჭოთა ახალგაზრდა ადამიანს გადაშლილი აქვს მოღვაწეობის განუსაზღვრელი გზა. მისი წარსული საღია, დღევანდელია გმირული, ხვალისდელი დღე წარმტაცი. ამაზე დიდი ბედნიერება განა შეიძლება არსებობდეს? ეს ნამდვილი ადამიანური ყოფნის უდიდესი სინამდვილეა. სამშობლოს საკითხი ჩვენს ქვეყანაში ბედნიერი ცხოვრების საკითხია, შრომის საკითხი—ბედნიერი ცხოვრების საკითხი. ამიტომ ამბობს პოეტი („სიმღერა ახალგაზრდობაზე“):

„ჩვენ მოგვეცა საუკუნოდ
მზე და მზარგაშლილობა,
რა კარგია, ჭალ-ვაეებო,
ჩვენი ქვეყნის შეილობა“.

სოციალიზმის ქვეყნის შეილობის სიამაყის გრძნობა ერთ-ერთი ძირითადი მოტივია ი. აბაშიძის იმ ლექსებისა, რომლებშიაც იგი საბჭოთა დროის ახალგაზრდა ადამიანების ბედს ეხება. ახალი თაობის ბედნიერებისა და ნათელი ცხოვრების ფონზე რა საშინელ ტანჯვად მოსჩანს წარსული საუკუნის ლიტერატურის მიერ დახატული ახალგაზრდა ადამიანების ბედი. საკმარისია გავიხსენოთ ო. ბალზაკის რომანები „მამა გორიო“ ან „დაღუპული ოცნებები“, რომ ნათელი ვახდეს, თუ რა უბსკრულია მაშინდელ სოციალურ და მორალურ პირობებსა და საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრების პირობებს შორის, რომლებშიაც ამ სხვადასხვა საუკუნის ახალგაზრდა ადამიანებს უხდებოდათ ყოფნა.

ბალზაკი უდიდესი ოსტატობით გვიხატავს ფუქსავატური საზოგადოების იმ ყოფას, რომლის წიაღშიც იღუპებოდნენ ახალგაზრდა ადამიანები. „მამა გორიოში“ იგი პირდაპირ სწერდა: „ამ საზოგადოებაში წარჩინების წყურვილი ხრწნის ათასობით ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებიც ჩამოდიან პარიზში იმისათვის, რომ ისწავლონ და იმუშაონ“. ეს ბედი ეწვია სწორედ ახალგაზრდა როსტინიას, ნიკიერ ლუსიენს.

ასეთივე საზოგადოების მსხვერპლია სტენდალის ეულიენ სორელი. ეს ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში გაუბედურებული ახალგაზრდა ადამიანის კლასიკური ტიპია. სულ სხვაა ის პირობები, რომლებშიაც იხადებიან და იზრდებიან სოციალიზმის ახალგაზრდა ადამიანები. ი. აბაშიძის „გადარჩენის ბალადას“ სოციალიზმის მიერ კაპიტალისტური ტანჯვისაგან ახალგაზრდობის გადარჩენის მოტივი უდევს. პოეტი ოსტატურად უპირდაპირებს ერთმანეთს ძველისა და ახლის სურათს. ძველის სურათად იგი სახავს იმპერი-

ალისტურ ომში ახალგაზრდა ადამიანის დაკარგვას, რომლის გამოტოვების ფონზე პოეტს გადმოცემული აქვს საკუთარი მშობლების უმეცრე მტკიცე იმ თაობა, რომელიც სიყრმიდანვე მოესწრო დიდ სოციალისტურ რევოლუციას, ვადაურჩა დროის უგზოობას და მას ბრწყინვალე მომავალი გადაეშალა.

თუ ძველი ცხოვრება უგზო-უკვლოდ ჰკარგავდა ადამიანებს, ახალი ცხოვრება გმირულ საქმეზე ჰგზავნის თავის გაბედულ შვილებს. პოეტი იგონებს მშობლების შიშს და ძმას მიმართავს:

„გახსოვს?

ვაფების დაკარგვის შიში

მამამ უხმოდ რომ დედას გადასცა,

თვითონ ირჩია საბანი ქვიშის,

ლაგეტოვა ჩვენც და ეს ჭვეყანაცა.

ჩვენ კი შიშშილით,

დღე და ღამ შრომით

მივევთ მომავალს, მივევთ, გველირსა,

დავიზარდენით, არ არის ომი,

არ შევიქნით მიქვს ბედისა“.

„გადარჩენის ბალადა“ საინტერესო პოეტური ნაწარმოებია როგორც თავისი იდეითა და მოფიქრებით, ისე კოლორიტით. ლექსში არის ცხოვრების ცოდნა და სოციალიზმის სიდიადის განცდა. „გადარჩენის ბალადა“ ნამდვილი პოეტური მიღწევაა ი. აბაშიძის პოეზიაში.

ბედნიერების ნამდვილ პიმნს უძღვნის პოეტი სტალინურ ეპოქას თავისი მეორე ლექსით, რომელსაც ეწოდება „მიძღვნა ამხანაგ ლავრენტი ბერიას“.

ეს ლექსი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. მასში ი. აბაშიძის პოეტური ნიჭის თვისებებია გამოყენებული. ეს თვისებებია ახლის თქმის ძალა, მახვილი სახეებითა და ფერებით აზრის გამოკვეთა. იგი გამოხატავს გულწრფელ სიყვარულს ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ლ. ბერიასადმი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო საქართველოს აყვავების საქმეს და შარავანდედით შემოსა ახალი თაობის საველეი გზა. პოეტი შიშს გამოსთქვამს, ვაი თუ შესაფერისად ვერ გამოხატოს ის სიყვარული, რომელიც დათესა ქართველი ხალხის გულში ამ დიდებულმა სტალინელმა, მაგრამ თუ რაოდენ ბევრი აქვს მაინც პოეტს სათქმელი, თუ რაოდენ დიდია მისი ხოტბისა და დიდების საგანი, ამას მეტყველებს ლექსის ყოველი სტრიქონი. ლ. ბერიაზე ბევრი საინტერესო ლექსი და სიმღერა ითქვა ქართულ პოეზიაში, ერთ-ერთი უძლიერესი ლექსია უსათუოდ ი. აბაშიძის „მიძღვნა ამხანაგ ლავრენტი ბერიას“:

„იქნებ ეს ლექსი ვერ ჰეჭდეს ისე,

როგორც ჭუბს ხალხში შენზე თქმულება;

შურს, დარჩეს მაინც და იყოს ღირსი,

ვით შენი ხოტბა და ერთგულება.

წლებს ემატება დღეს კიდევ ერთი,

დაგას ძლიერების ოცი კედელი,

იხავ დღევრძელი შენ-ჩვენი მკერდი,

ბედნიერ დღეთა გამოკვეთილი!

.....

.....

იყავ დღევრძელო, და როცა ქვეყნად
 მოვა ოქტომბრის წელი სამოცი,
 გვემღეროს შენთვის ცვლივ ასე ერთხმად
 შიირი, ხობტა და მისალოცი!"



ამ ლექსში სტალინური იდეოლოგიის საფუძველზე აღზრდილი მებრძოლი პოეტის კონცეპციაა. მასში ღრმა ადამიანური სიყვარულია, გულწრფელი აზრი და ფიქრი. პოეტი საესეებით მართალია, როდესაც ამბობს: ცხრაას ჩვიდმეტმა წელმა ახალგაზრდა ადამიანების ცხოვრებას აზრი მისცაო.

დიად, პოეტი მართალია, რადგან ძნელია კაცობრიობის ისტორიაში სტალინურ ხანას შეეძაროს, რომელიმე ეპოქა თავისი ბრწყინვალეებით. ამ ბრწყინვალეებას არ დაჰკარგავს იგი მანამდე, სანამ იარსებებს კაცობრიობა, რადგან ამ ეპოქასთანაა დაკავშირებული დიდი ისტორიული პიროვნების — ზრძენი სტალინის მოღვაწეობა. აქედან წარმოსდგება პოეტის ოპტიმიზმის კონცეპციაც. ეს ის შუქია, რომელიც პოეტის აზროვნებას აჩირაღდნებს, აიარაღებს კომუნისტური რწმენითა და განწყობილებით.

პოეტი, რომლის აზროვნებაც ჯანსაღად განიცდის სოციალიზმის სინამდვილეს, სალად ერკვევა კომუნისმისათვის ბრძოლის საზოგადოებრივ მოვლენებში, — ეს პოეტი არ შეიძლება არ გამოხატავდეს ჩვენი საბჭოთა ხანის ბედნიერებისა და სიხარულის გრძნობას. ეს გრძნობა პოეტის შემოქმედებაში წუთიერი ემოცია როდია; მის წინა პირობას ჰქმნის სოციალიზმის გამარჯვება, ხალხთა ბედნიერი ცხოვრების დიდი სინამდვილე, — ესაა რომ აძლევს შთაგონებას ი. აბაშიძის პოეზიას, ესაა მისი პოეზიის ძალა.

სადაც ცხოვრებაა, პოეზიაც იქაა და, მასასადამე, პოეზიის შინაარსიც, — ამბობდა ბელინსკი — მხოლოდ შინაარსია ჰეშმარიტი საზომი პოეტის შემოქმედებისაო. ამ დებულებას საესებით ამართლებს ი. აბაშიძის პოეზია. ი. აბაშიძე შინაარსით მდიდარი ეპოქის შეილია და პოეტიც ამ მდიდარი ცხოვრების შინაარსით აესებს თავის პოეზიას. ის ფხიზელი აზრისა და ემოციის პოეტია. აზრის სიფხიზელე პოეტის პოლიტიკური სიფხიზლის ნაყოფია.

ი. აბაშიძე ძიების პოეტია. ის ყოველთვის ცდილობს სთქვას ისეთი რამ, რაც ახალია, რაც ახლის გრძნობას გამოხატავს. მას არ უყვარს უსავნო ემოციურობა, ყოველ სტრიქონში ცდილობს იგი რაიმე აზრი გამოსთქვას, მოვლენებს ლირიკული ახსნა მისცეს. ხშირად პათეტიურობასაც მიმართავს, მოვლენას ამაღლევებელ ელფერს აძლევს, რომ სოციალიზმის გმირული სინამდვილე გამოხატოს. ეს სოციალისტური პოეტის დამახასიათებელი თვისებაა. საბჭოთა პოეტს ცხოვრებამ მისცა უფლება, გამოიყენოს ყოველი ისეთი პოეტური ხერხი, რომლის საშუალებითაც იგი ჩვენი ცხოვრების სიმართლესა და ჰეშმარიტებას გამოსახავს.

თუ ბურჟუაზიული ესთეტიკოსი ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის არსებულ განხეთქილების შეგავლენით ამბობდა: „არიან ეპოქები, როდესაც ცოდნა ნიშნავს ტანჯვას, როცა სიბრძნეს ჩაგრავს, როგორც მძიმე ტვირთი“ (ო. უალდი), სამაგიეროდ საბჭოთა პოეტისათვის ცოდნა და სიმართლე მისი შემოქმედების მთავარი წყაროა. ცოდნას მიჰყავს იგი სოციალიზმის ქვეყნის მოვლენების სწორ გაგებისკენ, ჩვენი ქვეყნის პოეტს სოციალიზმმა მიანიჭა ბედნიერება ნამდვილი ადამიანური სიხარულისა და ხალხთა თავისუფალი ცხოვრების გამოხატვისა.

ეს საბჭოთა პოეტის მოვალეობაა და ი. აბაშიძეც, ამიტომ ამბობს, რომ ის ქვეყნებს გასძახებს სოციალიზმის სამშობლოს სიხარულს, რომელიც უმეტესწილად მის მოყვინვე პოეტია, „გახარებული ქვეყნის მგოსანი“. მანამდე მისთვის, რომ იყო ნამდვილი პოეტი, თვითონ ხალხმა უნდა იწამოს შენი ლექსები. ყოველივე ეს საბჭოთა პოეტის მშვენიერი ოცნებაა. ამ ოცნებას უძღვნის ი. აბაშიძე ერთ თავის ლექსს: „ახლა შენ ჩემგან რამ დაგაცილოს“.

ხალხის მიერ პოეტის მიღებას ი. აბაშიძე ნამდვილ ღირსებას უწოდებს. იგი ასეთი დაფასების ლამაზ პოეტურ სურათს გვიშლის:

„გამოიციონენ და გამარჯვებას
ჩემს სადღეგრძელოდ იტყვის ორ-სამი:
— ღირსეულიო, დულს და დარჩება
გახარებული ქვეყნის მგოსანი!

და კოლმეორენ ეზოს კარამდე
იხმობს შეზობელს ბრძენს, ნალარიბალს:
— მო, წამიკითხე ეს მოქარაგმე,
ვინც გაკვირინებს ჩვენს გახარებას.

და ახირდება, რომ უკეთესი
მათი კაცი ვარ, ხან ვარ ფანდური...
ქერში ჰალები და ხის კედლებზე
ნობი იქნება სამარყანდელი.“

პოეტს მთარმევენ ყვავილებს, გაუშლიან სუფრას, ადღეგრძელებენ. ისიც ადღეგრძელებს მათ:

„სეამს, გადილეღას გულს და ჩასტიდებს
ხელს ჩაფიქრებულ ბრძენს ნალარიბალს:
— მაშ, წამიკითხე ეს აბაშიძე,
ვინც გაკვირინებს ჩვენს გახარებას!“

ამ ლექსში პოეტის ფანტაზია საბჭოთა პოეტის პოპულიარობის ამოცანას აყენებს და, რაც მთავარია, აღნიშნავს იმას, თუ როგორი უნდა იყოს გახარებული ხალხის პოეტი. მაგრამ აბაშიძისათვის ეს მარტო საოცნებო საკითხი როდია,—იგი ანხორციელებს საბჭოთა პოეტის ძირითად ამოცანას, საბჭოთა ცხოვრების სასიხარულო მოტივების პოეტად ვაქცავდება.

ბედნიერი ცხოვრებისა და სიხარულის გამომხატველი პოეტის ორიგინალობისა და თავისებურობის მაჩვენებელია მისი ისეთი ლექსები, როგორიცაა „დიდი გაზაფხული“, „ყვავილები ქალაქში“, „ნარიყალა და მაიდანის“, „ზღვა“, „ქანდაკება მთაწმინდაზე“, „კოლხიდის სავანტური“, „ოდიშის პლანტაციები“ და სხვა.

ამ ლექსებში ნათლად მოსჩანს ი. აბაშიძის პოეტური ნიჭი, თემების მიგნების უნარი, პოეტური გააზრების თავისებურება. ადრინდელ ლექსებიდან ასეთია სწორედ მისი „გამგზავრება ლამისყანაში“, „ღამე რაიკომში“, „თე-პერვალის“.

ი. აბაშიძის პოეტური აზროვნების ნიმუშია მისი „დიდი გაზაფხული“. ამ ლექსში კეშმარიტად პოეტური გრძობითაა გააზრებული ჩვენი სამშობლოს ბედნიერების სინამდვილე, მისი აყვავების ეპოპეა. პოეტი ამ განახლებას ქართველი ხალხის ცხოვრების დიდ გაზაფხულს უწოდებს. ვინ იცის, რამდენი გაზაფხული გასთენებია საქართველოს, მაგრამ ბედნიერების ნამდვილი

გაზაფხული საბჭოთა ცხოვრებაა. ეს გაზაფხული სამშობლოს საუკუნებრივი ტანჯვიდან გამოსვლისა და გახარების სინონიმი. ეს იყო ქართველი ხალხისა და მისი საუკეთესო შვილების საუკუნებრივი ოცნება, რომელსაც მწიკრბო- და დიდი ეროვნული ენერჯია. მრავალი ხალხური აჯანყება და გმირული ბრძოლა ზრდიდა და ანვითარებდა ქართველი ხალხის შეგნებაში ამ ბედნიერების გაზაფხულს, მაგრამ ნამდვილი გაზაფხული მხოლოდ დიდი ლენინისა და სტალინის იდეებით გამარჯვებამ მოუტანა მრავალტანჯულ ქართველ ხალხს.

სამშობლოს განთავისუფლების თემა უდიდესი შთაგონებით აგუზგუზებდა ყოველი ჭეშმარიტი ქართველი პოეტის გულს. დიდებული ქართველი პოეტები ამ საკითხს სწირავდნენ თავიანთ პოეტურ მადლსა და ძალას. ამიტომ რა გასაკვირველია, თუ ის პოეტური თაობა, რომელიც საქართველოს ბედის ასეთ ბედნიერ გადაწყვეტას მოესწრო არ ზოგავდეს მის დასახასიათებლად თავის პოეტურ მეტყველებას, საღებავებს.

ი. აბაშიძეც ახალი საქართველოს ამ გაზაფხულით არის შთაგონებული. იგი მუდამ მზადაა ეამბოროს სამშობლოს წინსვლითა და გამარჯვებით აღ-
ქურვილ საბჭოთა ყოველ გაზაფხულს:

როცა რტობზე კვირტებს დასახავს
და ჭეენად ისევ დგება აპრილი. —
ღიღს საქართველოს ყოველ გაზაფხულს
ვეამბოროები მე თავდახრილი!"

ამბობს პოეტი და შლის პოეტურ სურათს, თუ რა ბრძოლებისა და ოცნებების ნაყოფია იგი ჩვენი სამშობლოსათვის, თუ რატომია იგი საყვარელი და სატრფიალო:

„რა ხნის ოცნება არი ქართველის
ეს გაზაფხული, რა ხნის ზღაპარი,
რა სანატრელი და საღარდელი
ჩვენი წარსულის და წინაპარის!
ყველა დროების და საუკუნის
იყო კანდელი კაცთა გონების,
ამ გაზაფხულის ნატერის გუგუნით
იხოცებოდნენ ქართლში მონები“.

მრავალტანჯულ საქართველოს ბედისტრიალია გამოთქმული ამ სტრიქონებში. ამ გაზაფხულის ნატერით ხალხის მომავლისათვის იხოცებოდნენ ყოველ დროში სამშობლოს საუკეთესო შვილები:

„მებრძოლს თავს ადგა მისი აზრდილი
ყველა ომში და ყველა ომამდე,
მასზე კენესოდა ყველა დაჭრილი
და გაყოლილი თათრის ზომილდებს.“

მხოლოდ ეს ერთი იყო დამსწნელი,
ეს გაზაფხული, ეს სხვა აპრილი,
იგი ეიმპირში წითელრაზმელებს
თან მიყვებოდა ბორკილგაყერილი.“

ამ პოეტურ სტრიქონებში დიდი სიმართლეა გამოთქმული. იგი დიდების სხივით მოსავს თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას. თავისუფლების სული

ამოძრავებდა, ამხნეებდა, აკაჟებდა ხალხს, ტანჯვის გადატანის უადვილებდა. ასე გამოთქვამს პოეტი ამას:

„ის ხალხში იყო, ცეცხლი მარადი,
იყო გლეხი და იყო მჭედელი,
მრავალ დროების ნახა ჯაღათი, —
ყველა დროების ციხის კედელი.“

ათას გმირის და ხალხთა მსახურის
ქვეყნად რამდენი რისხვა გაისმა,
რომ კაცს დაეხსნა ეს გაზაფხული,
მაისს ეხარა ნამდვილ მაისად!“

ეს პოეტურად გამოთქმული აზრია. თავისუფლების სული, როგორც ცეცხლი, ისე ტრიალებდა ხალხში. მას ბევრი ჰყავდა მსახური. რამდენი იბრძოდა იმისათვის, რომ დაეხსნა ხალხი ტანჯვისაგან და გაენთავისუფლებინა სამშობლო, რომ, როგორც პოეტი ამბობს „მაისს ეხარა ნამდვილ მაისად“. და აი დადგა დრო ხალხთა ცხოვრებაში, როდესაც ამ თავისუფლებისათვის მებრძოლთა ყველაზე დიდი ადამიანების — ლენინისა და სტალინის იდეებით ხალხმა გაიმარჯვა და დაიხსნა ნამდვილი გაზაფხული. ახლა ეს გაზაფხული ჩვენი სამშობლოს კუთვნილებს, იგი მოუტანს სამშობლოს დიდმა ბელადმა, რომლის ბრძოლებმა, პოეტის სიტყვებით, ქვეყანას მისცეს ნამდვილი თავისუფლება და გაზაფხული, რომლის ბრწყინვალეობით:

„მზეს მზე დაერქვა, ვარდებს-ვარდებო,
კაცს დაუბრუნდა კაცის სახელი,
მან ამოაშრო ცეცხლად ნადები
საუკუნეთა გულში ნალველი!“

გაზაფხულია!
რად არ მიყვარდეს
მისი გაჩენა, დღე და აპრილი,
მის მობრძანებას, მზეს და მის ვარდებს
ვეამბორები მე თავდახრილი!“

თუ დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი ღრმა პოეტური გზნებით აღნიშნავდა „დღეს მერცხალი შემოფრინდა, ჭიკჭიკითა გადმომძახა: „გაზაფხული! გაზაფხული!“ გულს იმედი დამესახა“ და ამ სიხარულს სამშობლოს გამოღვიძების იმედად სთვლიდა, რა ვასაკვირველია, რომ საბჭოთა პოეტისათვის ეს განხორციელებული იმედი პოეტური სიხარულის წყარო იყოს. ეს ასეა და ამიტომ ეამბორება პოეტი დიდი გაზაფხულის სინამდვილეს, სამშობლოს ამაღლების სიცხადეს. ესაა სწორედ სათავე ახალი საბჭოური პატრიოტიზმისა, რომლის გამოსახატავად იგი უხვად იყენებს ლამაზ პოეტურ საჭეებს და თქმებს. ესაა სათავე საბჭოური სიხარულისა, რომლის ესთეტიურ შეგრძნობაში მჭიდრო ადგილი უჭირავს სინამდვილის წარმოსახვის სასიხარულო გრძნობას.

ახალმა ცხოვრებამ ამოაშრო ადამიანთა გულში საუკუნებრივი ნალველი და მის მაგიერ დაამკვიდრა იქ სოციალიზმის სინამდვილით აღმოცენებულ სიხარულის ახალი ესთეტიური გრძნობა.

ერთ თავის ლექსში პოეტი კიდევ აცხადებს: „მე უნდა დაერჩე მგოსანი ქვეყნად, ახალ სიცოცხლის და ყვავილების“. ყვავილი პოეტის შეგნებაში

სიხარულის სინონიმია. ახალი სიხარულის გრძნობა საბჭოთა ცხოვრების ეკვივალენტია. საბჭოთა პოეტის შემოქმედებაში ეს გრძნობა უმისწრაფესტაა, ხშირად გატაცება როდია,—იგი იმ ცვლილებების ნაყოფია, რომელიც ადამიანთა საზოგადოებრივ ყოფაში სოციალიზმმა გამოიწვია. ეს უდიდესი მონაპოვარია გამარჯვებული სოციალიზმისა. ამ მონაპოვრის ადამიანთა შეგნებაში მტკიცედ ჩანერგვასა და ვანმტკიცებას ემსახურება სწორედ საბჭოთა პოეზია, რომელიც იბრძვის ახლის გრძნობის გამოსახატავად.

ი. აბაშიძე ამ ახლის გრძნობის გამომხატველი პოეტია. იგი ჩვენი ცხოვრების განახლების ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას აქცევდა ყურადღებას. მის პოეტურ ხედვას შეუქმნეველი არა რჩება ყოფის ისეთი დეტალებიც, რომლებიც ადამიანთა ახალი შეხედულებებისა და გემოვნების დამახასიათებელი თვისებებია. ახალმა ცხოვრებამ ყოფაში შემოიტანა მრავალი თვისება და მოვლენა. სოციალიზმმა ახლებურად მოაწყო ქალაქის ცხოვრება. შეიცვალა ქალაქების სახეები, შეიქმნა ახალი პეიზაჟი, ადამიანი დაუახლოვდა ბუნებას და მისი სილამაზე მშრომელი ხალხის კუთვნილება ვახდა. მოისპო ის სოციალური უთანასწორობა, რომელიც კაპიტალისტური ქალაქის სინამდვილეში არსებობს. მან ყოფაში შემოიტანა ყვავილები, ბუნების სილალის გამოსახულება. ყვავილებს სთესენ და ამრავლებენ კოლმეურნეობები, ქალაქის მეურნეობები, როგორც ხალხისათვის აუცილებელ საჭიროებას.

ყვავილებითა და სიმწვანით ამკობენ საბჭოთა ქალაქებს, ადამიანთა ბინებს, ქარხნებს. ეს ყველაფერი საბჭოთა ახალი ყოფის თვისებაა. მან პოეტის შემეცნებაშიც გამოიწვია გამოძახილი. ი. აბაშიძის ლექსი „ყვავილები ქალაქში“ ამ ყვავილებული სინამდვილის პოეტური ტრიუმფია, ასე აზროვნება მხოლოდ საბჭოთა პოეტს შეუძლიან. ამიტომ ამბობს პოეტი:

„მე ვაძლევ დასტურს,
რომ ჩემს ლექსებში
ხმა აღიდგინონ ხრიზანტემებმა,
რომ ჩემს სტრიქონში,
ლექსის შრიალში
ფეთქავდნენ ვარდნი და მიმოზანი:
ოღონდ ხალხს სურდეს;
როგორც ტყვიაში,
უნდა ვარდებში მოკედეს მგოსანი.“

პოეტს ამით იმის თქმა უნდა, რომ ახალი ყოფის დამახასიათებელი თვისება საბჭოთა მგოსანსაც უკარნახებს—ხმა „აღუმაღლოს“ ყვავილებს, რადგან „მგოსანს უბრძანეს ცოტა სინაზე და გატყდა ლექსის უხერხულობა“. რასაკვირველია, ყვავილებზე წერა ამგვარად შეუძლებელი იყო მაშინ, როცა სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ყვავილებმა ეს უფლება მხოლოდ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების პირობებში მოიპოვეს, და პოეტიც შესანიშნავ ახსნას აძლევს ამას, როცა სწერს: „მგოსანმა ნახა ვარდებში ქვეყნის აღორძინება“, „დიდი მყოზადის შემობიჯება“. წარსულის ესთეტიური პოეზიის თემას ახალმა ცხოვრებამ ახლებური განათება მისცა და პოეტმა ახალი ქალაქის სახე გამოხატა.

ეს ქალაქი სოციალიზმის ქალაქია, იგი არა ჰგავს იმ ბურჟუაზიულ ქალაქს, რომლის სინამდვილესაც ხან წყევლას უგზავნიდნენ, ხან აღიდებდნენ პოეტების თაობები. ბევრჯერ გამოუთქვამთ პოეტებს: ძირს ურბანიზმი, მივა-

ტოვით პარიზი, გაუმარჯოს ბუნებასო. ქალაქების სუნთქვამ მოჰკლა ცის სიფირუზეო, ამბობდა სიული პრიუდომი. პარიზში ბედნიერებას შეუძლებელიაო, ამბობდა მერსე თავის „პარიზის სურათებში“, რადგან მას სარბს სოციალური უთანასწორობის უბსკრულიო. სოციალიზმმა გააცოცხლა ქალაქში ბუნება და სოციალური ცხოვრებაც ბედნიერების საფუძვლებზე აავო-ამიტომ ინატრა პოეტმა:

„მე უნდა დავრჩე მგოსანი ქვეყნად
ახალ სიცოცხლის და ყვავილების.“

ეს ნამდვილი საბჭოური ნატერაა.

ამ ახალ სიცოცხლეს, ყვავილებს და გაზაფხულს უმღერს პოეტი თავის „თბილისში“. ჩვენი სამშობლოს საყვარელ დედა-ქალაქისადმი პოეტი განსაკუთრებულ სიყვარულს იჩენს. იგი ამ სიყვარულს სამასი არაგველის სიყვარულს ადარებს და მზადაა სიხარულისაგან შუა ქალაქში აყიყინდეს. ეს ლექსი საინტერესოდ არის მოფიქრებული, თუმცა ვერ არის პოეტურად ყოველმხრივ გამართული.

ქალაქურ თემანზე დაწერილი „ნარიყალა და მაიდანი“. ამ ორი უბნის გარდაქმნის საჩვენებლად პოეტი ორიგინალურ ხერხს მიმართავს. იგი ძველ ნარიყალას წარმოგვისახავს მოზუციის სახით, რომელიც დადის, რათა იპოვოს თავისი ძველი მეგობარი მაიდანი, „რომ ძველებურად ძველ ამხანაგის ნახოს ბაზრობა, მზე და ქონება, მერე ჩამოსხდნენ სირაჯხანაში და სოქვან წარსული და მოგონება“, მაგრამ ნარიყალა ვერ პოულობს „ძველ მეგობარს“. უცდის დილამდე მის გამოჩენას, „მაგრამ არა სჩანს ძველი ალაგი, აქ სულ უცნობი სდგას მაიდანი“. მაიდანის მაგიერ იქ ახმაურდა ახალი ქალაქი, როგორც ვეფხვი ტიტანი. ასეთია ამ ლექსის შინაარსი. ი. აბაშიძე მოვლენებს ახალ ლირიკულ ახსნას აძლევს. იგი გვერდს უვლის გაცვეთილ მსჯელობას. ეს საინტერესო პოეტური მხარეა ი. აბაშიძის შემოქმედებისა.

ქვეყნის გარდაქმნის, ახალი ადამიანური სიხარულის, ახალი მოვლენის ათვისებაში ი. აბაშიძე სოციალიზმის სამშობლოს სიახლიდან გამოდის. სამშობლოს ბედნიერების საკითხი მთავარი წყაროა მისი სასიხარულო მოტივებისა. მისი პოეტური შთაგონებაა კომუნისმის გამარჯვების რწმენა, დიდი ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება. მრავალ წრფელ და სიმართლით აღსავსე სტრიქონს უძღვნის იგი ბელადის წარსულ ბრძოლებს და დღევანდელ სიბრძნეს. ტყუილა არ ამბობს პოეტი ერთ თავის ლექსში, გაიფლის ათასი წელი და ჩემზე იტყვიან, რა დიდებულ დროს სცხოვრობდაო. ჩვენი გმირული ცხოვრების ყოველ მოვლენაში პოეტი დიდი ბელადის სიბრძნეს ხედავს. ეხება რა თავის სამშობლოს ბედნიერებას, იგი დიდებას უძღვნის დიდ ბელადს:

„იმ კაცს დიდება,
ვინც სამშობლოს გულში ფართული
რა ხნის იმედი აამღერა,
ააღაღადა,
იმ კაცს დიდება,
ვინაც შრომა უსიხარულო
ბედნიერების და გმირობის
საქმედ გახადა!“



• •
 იბენდიერე, ჩემო მხარეე,
 შენს შთებს,
 ხშირ ველებს
 გმირთა ნაბიჯზე
 კიდევ გმირი გაეკიდება,
 ბელადს დიდება,
 შენი მიწის გმირს უპირველესს
 ბელადს დიდება!²

შესანიშნავია ი. აბაშიძის ლექსი „ქანდაკება მთაწმინდაზე“ არ არის ისეთი საბჭოთა პოეტი, რომელიც ბელადს არ აღივებდეს. ეს ჩვენი პოეზიის მარადი თემაა, მისი უდიდესი შთაგონება, კაცობრიობის ბედნიერების, ჩვენი ხალხის სიცოცხლის თემაა. ი. აბაშიძის ფანტაზია შესანიშნავ სახეებს ჰქმნის, როცა მთაწმინდაზე ბელადის ქანდაკის მაზარის კალთების მშვიდ შრიალს ჩვენი სამშობლოს სიმშვიდეს ადარებს:

„ის, როგორც ვეღვან, სიმაგრე მყარი,
 დამდგარა მთაზეც თბილისის კართან,
 და შესის, როგორ ეხება ქარი,
 შრიალს მშვიდად მაზარის კალთა.

იმ გრივალეზში ჩაემული, ქართან
 შემგვდარი მტერს და წარსულის კიდილს,
 შრიალს მშვიდად მაზარის კალთა,
 როგორც სამშობლოს სიმშვიდე დიდი.

რომ შრიალს მისას ისმენდეს მარად,
 არ ამორებდეს ყურს თბილისელი,
 რომ ჰქონდეს ქართველს ბელადის გვარად
 ფხიზელი დღეც და ძილიც ფხიზელი.“

ამ ლექსში პოეტის მეტყველება იმდენად ნათელია და მიმზიდველი, რომ ის ნამდვილი ქების ღირსია, მაგრამ, ბელინსკის თქმისა არ იყოს, უფრო ძნელია კარგი ნაწარმოების ქება, ვიდრე გინება. ნაწარმოები მაშინ აღწევს თავის მიზანს, როცა იღვას შეთანხმებულია ფორმასთან, როცა პოეტურ განცდას ამეტყველებს იღვას.

ი. აბაშიძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია სწორედ ინტელექტისა და ემოციის ერთმანეთთან შეთანხმება. მაგრამ აქედან როდი შეიძლება იმის დასკვნა, თითქოს ის ყოველთვის გამარჯვებულია. ი. აბაშიძეს აქვს ისეთი ლექსები, სადაც მტლავნდება ერთგვარი ლოზუნგური სიმშრალე, გონიერული ხედვა. რამდენადაც პოეტს ეხერხება მოვლენების საინტერესო კუთხით დანახვა, იმდენად ზოგჯერ მშრალი მსჯელობით მთელი რიგი სტრიქონების გაუმბრალოებაც ახასიათებს.

ერთი კარგი მხარე ი. აბაშიძის პოეზიისა იმაშია, რომ მას უყვარს დღიური ჰიერარამის თემები. ბრძოლის ყიჟინა. მართალია, იგი ხშირად, ერთი შეხედვით, უბრალო და პატარა თემას ჰკიდებს ხელს, მაგრამ ამ თემას სიდიადის ხასიათს აძლევს. ეს ი. აბაშიძის ერთგვარი პოეტური ხერხია.

სამშობლოს ბედნიერების საკითხი მთავარი წყაროა პოეტის სასინარულო განწყობილებებისა. მაგრამ პოეტი როდი განსაზღვრავს თავის როლს ამ გრძობების პასიური ამსახველობით,—მან იცის, რომ ხალხს ბედნიერების მოპო-

ება იაფად არ დასჯდომია, რომ საჭიროა ბრძოლა ამ მონაპოვართა დასაცავად, რომ ხალხის ბედნიერება შენდება დაუდგრომელი ბრძოლვით. შრომით, რომ სოციალიზმი განუშორებელია ხალხის შრომისაგან. შრომაშია სახე შეუცვალა ჩვენს სამშობლოს, შესცვალა ადამიანები, პეიზაჟები, სოფლები, ქალაქები. ამიტომ ი. აბაშიძის ლექსებში შრომისა და განახლების თემები ფართო გამოხატულებას პოულობენ.

ერთი საუკეთესო ლექსი, რომელიც ჩვენი სამშობლოს ახალი გმირების სურათს იძლევა, არის მისი „გმირები“. ამ ლექსში ი. აბაშიძე გმირობისა და შრომის ნამდვილ სოციალისტურ გაგებას იძლევა. ის მკვეთრად ახასიათებს წარსულისა და დღევანდლობის გმირობას. საბჭოთა ცხოვრება გმირობის უდიდესი ასპარეზია. გმირებს ზრდის ქარხანა, მიწის წიაღი, მინდორ-ველი, ცის სივრცე. საბჭოთა გმირობა ხალხის სიმდიდრის, მშვეილობიანობის გმირობაა, დაბრკოლებათა გადალახვის, გამარჯვების გმირობაა. პოეტის თქმით, საქართველოს წარსულმა მრავალი გმირის სახელი იცის.

„მაგრამ არას დროს
დარაზმული გმირი ამდენი
გამარჯვებისთვის
საქართველოს ჯერ არ ყოლია“.

ეს სრული სიმართლეა. გმირებით ამჟამად დამშვენებულია ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე:

„და გმირი დადის
მიწის გულში,
მინდვრებს დაჰხარის,
დიდ გამარჯვების
გამყიდარი, მალწყებელი,
ვინმე უბრალო: —
მალაროში ეფუხი მაგარი,
ვინმე უბრალო: —
ვაჟაკატურად ჩაის მკრეფელი.“

გმირობის საკითხს ი. აბაშიძე განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობა, გმირთა ქვეყანამ გმირების ნამდვილი დაფასება იცისო, — ამბობს პოეტი. ამ გმირებმა ააყვავეს საქართველოს მიწა. პოეტის სიტყვით გმირი ის არის, ვისაც არ ეშინიან დამარცხების, დაბრკოლებების, გმირი ის არის, ვინც ტემპებს ჰქმნის, ვადაზე ასრულებს დავალებას. „გმირი ის არის, ვინც სწერს მინდვრებზე ჩაის სტრიქონებს“ და სხვ. სოციალისტურმა გმირულმა შრომამ ააყვავა საბჭოთა მიწა. გმირობა საბჭოთა ეპოქის მოწოდებაა, სოციალიზმის ბრძანებაა. ასეთია ლეიტმოტივი ი. აბაშიძის ლექსებისა შრომისა და გმირობაზე.

ახლის გრძნობა საბჭოთა პოეტის ძვირფასი თვისებაა. იგი საბჭოთა ცისა და მიწის განუსაზღვრელი სიყვარულისა და პატრიოტიზმის სათავეა, სოციალისტური შეგნების მაჩვენებელია. ამ შეგნებითაა შთაგონებული ი. აბაშიძის ერთი საინტერესო ლექსი „კოლხიდის საგანძური“. განახლებული კოლხიდის ახალი ცხოვრების დასახატავად პოეტი მიმართავს თავის ნაცად ხერხს, — იგი უბირისპირებს ერთმანეთს კოლხიდის წარსულის ნივთებს, რომელსაც კოლმეურნეები პოულობენ, და ახალი ცხოვრების იმ ნაყოფს, რომელსაც ჰქმნიან ამ მდიდარი მიწის დღევანდელი შეგნებით. პოეტი პატივს სცემს წარსულის განძებს: „იცნობს წარსული ჩემს მისამართსაც, მეც მისი ქება არ

დამზარდება“,—ამბობს პოეტი, მაგრამ ძველ განძებზე უფრო მეტად იგი მოხიბლულია ახალი კოლხიდის განძებით. ამ განძებს ჰქმნის სტრუქტურული შრომის გმირობა:

„მაგრამ ძველ განძზე მეტად მხარებს
მინც კოლხეთი ახალ განძების,
მისი ბაღჩები, ხე ტანშალი,
მისი ყვინა ახალგაზრდების.“

ეს განძები, რომლებსაც, პოეტის სიტყვით, არ ახატიათ მეფის თავი და არც ძველი ფაქსიმილე აზით, წარმოშვა კოლმეურნის შრომამ. ჩემს გონებასა და ლექსს ეს უფრო ხიბლავსო, ამბობს პოეტი და გვეუბნება:

„ძველ სიგანძურებს ჰქონდეთ შვიდობა,
ახალ განძებით ვარ მოხიბლული,
ჩემს გონებას და ლექსს ეჭიდება
ცად ავირდნილი ხე კოლხიდური!“

საქართველოს შორეულ წარსულს, მის კულტურულ მემკვიდრეობას რომ პოეტი პატივისცემით ეპყრობა, ამას ადასტურებს მისი ლექსი „დმანისი“, მაგრამ იგი დიდ სიყვარულს იჩენს ქართველი ხალხის რევოლუციურ წარსულისადმი. ასეთია მისი პოემა „წულუკიდის სიკვდილი“. მართალია, ამ პოემას არა აქვს სიუჟეტი, იგი უფრო ლირიკული პოემაა, რომელსაც საფუძვლად უდევს არა ინდივიდუალური კოლიზია, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა. კომპოზიციურად პოემა არ შენდება რთულ კომფლიქტზე, იგი უფრო პოლიტიკური პოემაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ისტორიული ამბავი — ა. წულუკიდის დასაფლავება. ეს დასაფლავება შესანიშნავი რევოლუციური ეპიზოდია ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულისა.

„ა. წულუკიდის დასაფლავება გადაიქცა გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ“ (ლ. ბერია). ეს მოხდა 1905 წლის ივნისში. ამ დემონსტრაციას ხელმძღვანელობდა მაშინ ახალგაზრდა სტალინი, რომელმაც მკვნიებარე სიტყვა წარმოსთქვა ა. წულუკიდის ცხედართან და მძლავრი იერიში მიიტანა თვითმპყრობელობისა და მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ.

მსკოვანი რევოლუციონერი მიხა ცხაკაია ასე იგონებს ახალგაზრდა სტალინის ამ გამოსვლას: „საშას ცხედარს მიაცილებდა არა ნაკლებ ათიათასი კაცისა. ყოველი მხრიდან ჩამოვიდნენ დელეგატები წითელი დროშებით. წარმოითქვა მრავალი მკვნიებარე სიტყვა, რომელიც თავდებოდა მოწოდებით: „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს სოციალიზმს!“ დასაფლავებაზე ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა ამხანაგმა სტალინმა. საშა წულუკიდის ხაზით, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — პარტიამ და პროლეტარიატმა დაპყარვა ნიჟიერი ორგანიზატორი, გამოცდილი რევოლუციონერი მარქსისტი, მუშათა კლასის, სოციალიზმის საქმისათვის თავდადებული აღამიანი. ამხანაგმა სტალინმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა მენშევიკები, რომლებიც ცდილობდნენ დემონსტრაციას მიტმასნოდნენ და დემონსტრანტებს შორის მომხრენი ეპოვნათ. ამხანაგმა სტალინმა მენშევიკები შეადარა მუმლს, რომელიც მკაფიო შეჭურას ირგვლივ ტრიალებს, და მრისხანედ წარმოსთქვა,

რომ ეს მემლი არ არის ღირსი იმისა, რომ მიუახლოვდეს მკაფიო „შეჭურას—საშა წულუკიძეს“ („კომუნისტი“; № 141, 1940).

„წულუკიძის სიკვდილი“ პათეთიური პოემაა. იგი დაწერილია დრამატული ინტონაციით, იწყება დინჯი და ნალვლიანი ტონით, რათა გადმოსცეს პროცესიის განწყობილება, მაგრამ შემდეგ და შემდეგ მისი ლექსის მდინარება მღელვარე და რიტმიული ხდება. წულუკიძის გასვენება პოეტს რომანტიკული ელფერით აქვს გაშუქებული. იმისათვის, რომ პოეტმა გლოვისა და რევოლუციური მრისხანების დიდმნიშვნელოვანება გადმოსცეს, იგი მიმართავს ანალოგიებს ბუნების მოვლენებიდან. ასეთია სწორედ ის მომენტი, როცა სტალინი სიტყვას ამბობს,—მაშინ დაიწყება წვიმა და სტალინის სიტყვის მრისხანებას აძლიერებს ბუნების მრისხანება—ელვა და ჭექა:

„შეწყდა გუგუნნი
და დუმილში მხოლოდ გაისმა,
როგორ დაეცა ზეს პირველი
წვიმის წვეთები.
მერე წვიმაში
ჩაიმაღა ლურჯი ველები,
თითქოს ჩამოდნა თვით ღრუბელი,
ქუშად გაშლილი.
დაწრიალებენ იმერეთის
ცაში ელვები
და გამძაფრებით ბუნებაში
ჰჭებს ჯუღაშვილი,
თითქოს ბნელი და
უსამართლო ქვეყნის წინაშე
კაცს და ბუნებას
მრისხანება ერთად ეთმინა“.

სტალინი ფიცს სდებს წულუკიძის კუბოსთან, არ დაივიწყოს მისი სახელი და იბრძოლოს მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმისათვის.

პოემაში არის მთელი რიგი ადგილები, კარგად შესრულებული პოეტური გამოთქმის თვალსაზრისით. იმერეთის გზაზე ხალხი მარსელიეზას მღერის:

„სად, სად გასჭედეს ეს სიმღერა,
რომელ კერაში,
რომელ გრივალებს
გამოგლიჯეს ზღვის ხმოვანება?
ვინ დაიტრეს,
ვინ ადიდეს ამ სიმღერაში,
ვისი რისხვაა,
ვისი წვა და აღფრთოვანება?“

და შემდეგ პოეტი კითხულობს, ვინ მოგიტანა, იმერეთო, ამგვარი ჰანგიო. მთელი პოემა ხალხის რევოლუციური გამოღვიძებისა და მომავლის რწმენის განწყობილებითაა გააქვნილი:

„მიფარვატებენ იმერეთზე
ღროშის კალთები,
დიდის მომავლის დასტური და
აზრი ნათელი.“

„წულუკიძის სიკვდილი“ ი. აბაშიძის პოეტური ოსტატობის მაჩვენებელი ნაწარმოებია, იგი პოეტური ფურცელია რევოლუციური მოძრაობის იმ გარეგანებისა, რომელსაც ახალგაზრდა სტალინის გენია ჰქმნიდა.

რევოლუციური წარსულის განწყობილებაა გადმოცემული პოეტის ერთ ადრინდელ, მაგრამ საინტერესო ლექსში — „თებერვალი“. ამ ლექსში აღბეჭდილია პოეტის სიყრმის რომანტიკული განცდა საქართველოში სინკრეტულ ქელისუფლების დამყარების გამო. პოეტი მაშინ იმერეთის ერთი პატარა ქალაქის მცხოვრები იყო და მას გონებაში აღბეჭდა ძვირფასი მოგონება იმ დღეებზე, როცა იხურებოდა ძველი ცხოვრების მწარე ფურცელი და იშლებოდა ახალი ცხოვრების ბედნიერი ფურცელი.

პოეტის სიტყვით იმ ღამეს „დარეკა ეამმა“ და გათავდა საქართველოს ტანჯვის უკანასკნელი მენშევიკური ეპოქა. სიყრმის შთაბეჭდილება განცდაა, მაგრამ რა შეედრება იმ ისტორიული დღეების განცდას, რომელსაც პოეტი ასე იგონებს:

„თებერვლის დღენი,
თოვლიანი თებერვლის დღენი
უმაწვილ გონებას
მოგონებით არ მისვენებენ“.

ეს დღეები, ამბობს პოეტი:

„თებერვლის დღენი,
გონებაში ცეცხლის თარიღად
ჩამრჩეს, სანამდე
სულიერთა რგოლში ვიქნები“.

ქართულ პოეზიაში ცოტაა თებერვალზე რომანტიკული განცდით დაწერილი ისეთი ლექსი, როგორიც ი. აბაშიძის „თებერვალი“, მსგავსი განწყობილებითა და ხასიათით მას გ. კაკაბიძის შესანიშნავად დაწერილი „ლურჯას სიკვდილი“ თუ შეედრება. გ. კაკაბიძის ლექსიც სიყრმის რომანტიკული მოგონებების შედეგია. აქაც მადლობის გრძნობაა წითელ არმიასზე, მის ძმურ დახმარებაზე.

იმ ღამეს, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, იმერეთში თოვლი მოვიდა. წინა დღით დამარცხების კარზე მისული მენშევიკები, როგორც პოეტი ამბობს, მტაცებელთა ზროვად გადაიქცნენ:

„დამარჩა თვალწინ
მტაცებლების სახე ნამდვილი,
ჩემი ცხოვრების
მთელ მანძილზე მოსაგონებლად
საკურთხეველიდან გატანილი
განძი მარტვილის
და უსირცხვილოდ გაჭრადული
ხალხის ქონება“.

პირველი საბჭოთა დღის გათენების მოლოდინი და სიხარული პოეტს შესანიშნავად აქვს გადმოცემული:

„დილით თოვლი ძვეს,
თებერვალის სუსხმა მოსწურა,
მოლოდინი და მუუდროება
სდგას საკვირველი.
დილით თოვლი სძევს
რა კრიალა თოვლი მოსულა.
თოვლი მოსულა
საბჭოების თოვლი პირველი“.

ი. აბაშიძის ლირიკული განცდის დამახასიათებელია ის ლექსები, რომლებიც სატრფიალო თემებზეა დაწერილი. პოეტს მრავალი სათქმელი აქვს გამოხატული. ასეთია თუნდაც „პირველი თოვლის სიმღერა“ („მე და ქარი“, სატრფიალო მომენტებია დმანისზე დაწერილ ლექსებში, მაგრამ მათში ბევრი ცივი სტრიქონებიც არის გაბნეული.

ი. აბაშიძეს ახასიათებს რეალისტური ზედვის პოლიტიკური სიმძაფრე. ეს მისი პოეზიის შინაგანი ძალაა. მაგრამ მას აქვს პოლიტიკური ხასიათის ლირიკული ლექსებიც, სადაც პოეტის ხმაში ბრძოლის ყიფინა და სიმძაფრე ისმის, ასეთია მისი „ზღვა“ და „ბარათი ესპანეთის მებრძოლთ“. ორივე ლექსში საბჭოთა მიწისა და ცხოვრების სიყვარულის შთაგონებაა. მათში ინტერნაციონალური მოტივი ისმის. ზღვის ლელვაშიაც კი პოეტს საბჭოეთისკენ, როგორც ბედნიერების ქვეყნისკენ, თავის შესაფარებლად გამოქცეული ზღვის ტალღების ღრუბლები ეხატება. სად არ იყვნენ ეს ტალღები! მოდიან ისინი, ეკვრიან საბჭოთა ნაპირებს, „რა მხარეს გაივსენ ცრემლების ღელეთი, რომელი ქვეყანა დამგეს და გაეჭენენ“, ამბობს პოეტი და კაპიტალისტური სინამდვილის სურათს ასახავს. მეორე ლექსშიაც („ბარათი ესპანეთის მებრძოლთ“) პოეტი დაპირდაპირების ასეთსავე მხატვრულ ხერხს მიმართავს, იგი აღწერს ჩვენი სამშობლოს ძლევაგამოსილებას, იმას, რომ თბილისი „ბედნიერი და ხუნდებაყრილი სდგას“ და ვაჟყურებს ესპანელი ხალხის გმირულ ბრძოლას, მაგრამ არა მშვიდად და უდარდელად, არამედ შურისძიებით ხალხის მტრების მიმართ. სოციალიზმის ქვეყნის სოლიდარობა პოეტს ასე აქვს გამოხატული:

„აღმოსავლეთში ხარობს თბილისი,
დღეს სხვა ცხოვრება დაუშრობელი,
თქვენს ვეჯაკობის წესს არ ივიწყებს,
თქვენს გამარჯვებას—ხალხი მშრომელი.“

როგორც ოდესღაც ქართულ ლიტერატურაში დიდი გამოძახილი ჰპოვა პარიზის კომუნის გმირულმა ამბავმა, ისე ჩვენი დროის პოეზიის ანალებში სასახელო ფურცლებად დარჩება ესპანეთის ხალხის გმირული ბრძოლისადმი სოლიდარობის გრძობით გამოწვეული გამოძახილი. საბჭოთა პოეზია ისე ეხმაურებოდა ამ სახელოვან ბრძოლებს, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი. ი. აბაშიძეს მართლაც შესანიშნავად აქვს გამოთქმული ის ყურადღება, რომელსაც იჩენდა ესპანეთისადმი ჩვენი ქვეყანა:

„ჩვენი ცისკარი ბნელს რომ გადაკრფს,
სანამ დამის კარს მიხტრავდეს,
გამოაღვიძებს ჯერ ჩვენს ქალაქებს
და თქვენს ქვეყანას მიაყურადებს.“

მხარე ახალი, ხუნდებ-აყრილი
და მოქარგული მზით და მწვანეთი,
ცის დასავალში ფრონტებს ვაჟყურებს,
როგორ ეკვეთა მტერს ესპანეთი.“

ამ ლექსის მთელი პათოსი საბჭოთა პოეტის ინტერნაციონალური სოლიდარობის ბრწყინვალე გამოხატულებაა, მართლაც რომ კარგადაა ნათქვამი: გამოაღვიძებს ჯერ ჩვენს ქალაქებს და თქვენს ქვეყანას მიაყურადებსო. საბჭოთა კავშირი მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა იმედია.

მრავალმხრივია, მრავალფეროვანია ის თემები და იდეები, რომლებიც პოეტურ განსახიერებას პოულობენ ი. აბაშიძის პოეზიაში. მთელიანად აღებული ყველა ეს თემა და განწყობილება საბჭოთა ცხოვრების მთელი ფარგლებისა და მჩქეფარების ანარეკლია, სასიხარულო პოეტური სიმღერაა, ყივინაა, ჩვენი სამშობლოს ბედნიერების ჰანგების ჟღერაა. ეს ჟღერა და პათოსი პოეტის ზასიათშია ჩაქსოვილი და მისი გრძნობის თვისებებიდან გამომდინარეობენ. სწორედ ეს თვისებები ასაზრდოებენ სტალინური ეპოქის სინამდვილეში აღზრდილი პოეტის აზროვნებას და მის პოეტურ ნიჰს ანთებენ და ავაჟაკებენ პათეტიურობით, ახლის გრძნობის სასიხარულო მოტივებით, პოეტური სახეებით.

ასეთია ი. აბაშიძის პოეტური შემოქმედების გზა, როგორც მებრძოლი განწყობილებისა და ახალი ცხოვრების ბედნიერების გამომხატველი პოეტისა.

გმსო ჟღანბი

რომანი გზნაბაკი რავოლუსიონარზი

საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ გაკეთებულ ისტორიულ მოხსენებაში საბჭოების მერვე საგანგებო ყრილობაზე ხალხთა დიდი ზელადი ამხანაგი სტალინი ამბობდა: „სასიამოვნოა და სასიხარულო ვიცოდეთ, თუ რისთვის იბრძოდა ჩვენი ხალხი და როგორ მიაღწია მან მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებას. სასიამოვნოა და სასიხარულო ვიცოდეთ, რომ ჩვენი ხალხის მიერ უზვად დაღვრილ სისხლს ამაოდ არ ჩაუვლია, რომ მან მოგვცა თავისი შედეგი“.

განუზომელი გატაცებით და ყურადღებით სწავლობს საბჭოთა ხალხი ჩვენი ქვეყნის გმირული პროლეტარიატის და მისი სახელოვანი ავანგარდის — ბოლშევიკური პარტიის დიადი ბრძოლების ისტორიას, რადგან ამ ისტორიის შესწავლა, როგორც ამის შესახებ ნათქვამია „საკ.კ.პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესავალში, გვამდიდრებს სოციალიზმისათვის ჩვენი ქვეყნის მუშებისა და გლეხების ბრძოლის გამოცდილებით, გვეხმარება დავეუფლოთ ბოლშევიზმს, ამაღლებს ჩვენს პოლიტიკურ სიფიზულეს, გვაიარალებს საზოგადოებრივი მოძრაობისა და პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნით, რევოლუციის მამოძრავებელი ძალების ცოდნით, განამტკიცებს რწმენას ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმის გამარჯვებისა, კომუნისმის გამარჯვებისა მთელს მსოფლიოში.

საესებით ბუნებრივია და კანონზომიერი საბჭოთა ხალხის მისწრაფება — ზედმიწევნით გაიცნოს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის თავდადებულ მებრძოლ საუკეთესო ადამიანთა ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა. ამ მისწრაფებაში გაერთიანებულია ჩვენი მაღლიერების გრძობაც ხალხის ამ სახელოვანი შეილებისადმი და იმის შესახებაც, რომ მათი შესანიშნავი ცხოვრებისა და ბრძოლის ისტორია საუკეთესო სკოლაა ჩვენი ახალგაზრდობის, მთელი საბჭოთა ხალხის აღზრდისათვის ბოლშევიზმის სულისკვეთებით.

„ბოლშევიკური პარტია პარტიისცემით იხსენიებს თავის ერთგულ შეილებს და მათი ცხოვრებისა და რევოლუციური ბრძოლის მაგალითზე ზრდის ბოლშევიკთა ახალ თაობას“ სწერს ამხანაგი ლ. პ. ბერია რევოლუციის კეთილშობილი რაინდის — ლადო კეცხოველისადმი მიძღვნილ თავის შესანიშნავ წერილში.

საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, კერძოდ, ქართული საბჭოთა მწერლობა ფართოდ ეხმარება ჩვენი ხალხის ამ მისწრაფებას. ყოველდღიურად იზრდება ისტორიულ-რევოლუციური თემატიკის ხვედრითი წონა თანამედ-

როვე ქართულ პოეზიაში, ბელეტრისტიკაში, დრამატურგიაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამხანაგ ლ. პ. ბერიას შესანიშნავმა შრომამ „აბიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხები“ მთლიან სისრულით და სიღრმით გადაგვიშალა თვალწინ დიდი სტალინის და მისი სახელოვანი თანამებრძოლების მეთაურობით ჩვენს ქვეყანაში მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე გაშლილი დიადი რევოლუციური ბრძოლების წარმტაცი და ამადელეგებელი სურათი.

ცნობილია, რომ საბჭოთა საზოგადოებრივობა ცხოველის ყურადღებით ეპყრობა ჩვენი ლიტერატურის ყოველ ახალ შემოქმედებითს ნაბიჯს, მიმართულს ამ უაღრესად მიმზიდველი და საპასუხისმგებლო თემების მხატვრული განსახიერებისაკენ. ეს გარემოება გვაბადებულებს — ფხიზელი და სამართლიანი კრიტიკის თვალთ შევადფასოთ იაკინთე ლისაშვილის ახალი რომანი „კეცხოველი“, რომელიც მოგვითხრობს დიდი სტალინის უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის, პროლეტარული რევოლუციის შეუდრეკელი რაინდის, ლადო კეცხოველის გმირული ცხოვრებისა და თავდადებული ბრძოლების შესახებ.

ქართულ ლიტერატურაში და საერთოდ მთელს საბჭოთა მწერლობაში ანალოგიურ თემებზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის იაკინთე ლისაშვილის რომანი „კეცხოველი“ თხრობის მაშტაბის სიფართოვით გამოირჩევა. ავტორი არ დაკმაყოფილდა თავისი გმირის ცხოვრების ერთი რომელიმე ეპიზოდის, ან პერიოდის ასახვით, — მან თავისი რომანის ფარგლებში მოაქცია დიდი რევოლუციონერის მთელი ცხოვრება: მისი ბავშვობისა და ყრმობის წლებიდან მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. ამ მხრივ ეს ნაწარმოები პირველს ცდას წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს ერთ მხატვრულ ნაწარმოებში წარმოგვიდგინოს გმირის მთლიანი სახე — გვიჩვენოს იგი ოჯახშიაც, ყოფაცხოვრებითს ურთიერთობაშიაც, მძაფრ საზოგადოებრივ ბრძოლებშიაც; ვადაგვიშალოს მისი პრაქტიკული რევოლუციური მოღვაწეობის, ინტელექტუალური ცხოვრების, პირად-ინტიმურ განცდათა და გრძნობათა ერთიანი, უწყვეტი სურათი. ამაში მდგომარეობს ი. ლისაშვილის რომანის უპირატესობაც და ის განსაკუთრებული სიართულეც, რომელიც ბუნებრივად თან სდევს ამგვარი შემოქმედებითი განზრახვის განხორციელების საქმეს.

ლადო კეცხოველის მთელი შეგნებული ცხოვრება ღრმად და განუყოფელად იყო დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის გმირული პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ისტორიასთან გასული საუკუნის მიწურულში და ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე. ის იყო ბოლშევიზმის ერთი ფუძემდებელთაგანი საქართველოში და აბიერკავკასიაში. არალეგალური ბოლშევიკური პრესის პირველი ორგანიზატორი ჩვენში, ბოლშევიკური კონსპირაციის იშვიათი ოსტატი, დიდი გაქანების მოაზროვნე, ღრმა ერუდიტი; გამოცდილი და მამაცი პრაქტიკოსი, რევოლუციონერი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით, იგი უშუალოდ იყო დაკავშირებული დიდ სტალინთან, ალექსანდრე წულუკიძესთან, ამ ეპოქის პროლეტარული რევოლუციური მოძრაობის სხვა საუკეთესო ხელმძღვანელებთან და მებრძოლებთან. ფართო იყო მისი კავშირურთიერთობის სფერო, უსაზღვროდ მდიდარი იყო მისი ცხოვრებისა და მო-

ღვაწეობის სოციალური ფონი და ამასთანავე ვრცელი იყო მისი მოქმედების გეოგრაფიული სარბიელიც: მშობლიური სოფელი ტყვიავი, ქალაქი გორი, თბილისი, კიევი, ბაქო, კავკასი (ახლანდელი ორჯონიკიძე), შაჰუმო და სხვ.

ამგვარი მასშტაბის ბიოგრაფიის მოთავსება ერთი მხატვრული ნაწარმოების ჩარჩოებში მრავალ სერიოზულ სიძნელესთან არის დაკავშირებული: პერსონაჟის სიმრავლე, მოქმედების ლოკალის ხშირი ცვლა, ნაწარმოებში ასახულ სოციალურ მოვლენათა ღრმა ისტორიული შინაარსი, მათი არაჩვეულებრივი სიმძაფრე, სირთულე, ყოველივე ეს დიდ სიძნელეს უჭმნის მწერალს იმისთვის რომ შესძლოს რომანის ყოველი გმირის ხასიათის სისრულით გახსნა, ყოველი სიტუაციისა და ეპიზოდის პლასტიურად წარმოსახვა, ეპოქის სოციალური მოვლენის გამოხატვა განზოგადოებითი ძალის მაღალ-მხატვრულ სახეებში.

ეს გარემოება აუცილებლად მხედველობაში უნდა ვიჭონიოთ ამ რომანის შეფასებისას და ზოგჯერ ამ სიძნელეებითაც უნდა აეხსნათ რომანის არათანაბარი განვითარება, ზოგიერთი სახის სქემატურობა, ზოგიერთი სურათის სიღარიბე მხატვრული თვალსაზრისით, ზოგიერთი დიდი ისტორიული მოვლენის გადმოსაცემად აუცილებელ ადეკვატურ მხატვრულ საშუალებათა მიუღწევლობა.

ი. ლისაშვილის „კეცხოველი“ ბიოგრაფიული ჟანრის რომანია. იგი უმოთხრესად კეცხოველის ცხოვრების ისტორიის რეალურ ფაქტებს ემყარება და ამ ფაქტების მხატვრულ განსახიერებას, მათს ერთიან მხატვრულ სისტემაში მოყვანას ისახავს მიზნად. მაგრამ ავტორი მთლიანად როდი განსაზღვრულა ფაქტიური მასალის ჩარჩოებით. მწერლის მხატვრული ფანტაზია, ერთის მხრივ, მიმართულია იქითგან, რომ ზორცი შეასხას, სახეობრივ ფორმაში გვიჩვენოს და განგვაკლდეინოს, ზოგად ტიპურ მოვლენათა ხარისხში აიყვანოს ესა თუ ის რეალური ბიოგრაფიული ფაქტი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მწერალი გამოდის კიდევ ვიწროდ გაგებულ ბიოგრაფიულ ჩარჩოებიდან და ჰქმნის საკუთარი ფანტაზიის-მიერი დამატებითს პერსონაჟებს, სიტუაციებს, სიუჟეტურ მოტივებს. ამ მხრივ ეს რომანი საინტერესო მასალას გვაძლევს ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებში ფაქტიური მასალისა და მწერლის შემოქმედებითი ფანტაზიის ურთიერთობის პრობლემის გარკვევისათვის.

რომანის პერსონაჟთა შორის მწერლის მიერ შეთხზულ, „გამოგონილ“ სახეებს წარმოადგენენ: ასოთამწყობი მუშა გიგოლა, რომელიც ლადო კეცხოველმა წამოიყვანა სოფლიდან, დაიახლოვა და ჩააბა რევოლუციური ბრძოლის ქარცეცხლში. ასევე მწერლის ფანტაზიის პირშომნი არიან უკრაინელი სტუდენტი ვალია და კოროლენკოვების მთელი ოჯახი, სადაც ცხოვრობდა ლადო კეცხოველი კიევის სემინარიაში ყოფნის დროს. მწერლის მიერ შეთხზულ სიუჟეტურ მოტივთა შორის ყურადღებას იპყრობს ლადო კეცხოველის რომანული გატაცების ეპიზოდები ტყვიაველ გოგონასთან — ლიზიკოსთან და შემდეგ უკრაინელ ქალიშვილთან — განასასთან. არც ერთი ეს შემთხვევა ისტორიულად ცნობილი არ არის. როგორც ვხედავთ, მწერალი მთელ რიგ შემთხვევებში გაბედულად არღვევს მის მიერ არჩეული ჟანრის ჩარჩოებს და თავისუფლად ავსებს ფაქტიური მასალის საწყაროს საკუთარი ფანტაზიის მიერი ელემენტებით.

მაგრამ არც ერთ შემთხვევაში მწერლის ფანტაზიის ნაყოფი არ ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს, არ არღვევს გმირის ხასიათის მთლიანობას. პირიქით, ეს ე. წ. „გამოგონილი“ პერსონაჟები გვეხმარებიან ეპოქისათ-

ვის დამახასიათებელი ამა თუ იმ სოციალური პროცესის უფრო ნათლად გარკვევაში, ხოლო მწერლის მიერ შეთხზულ სიტუაციებს მეტუ მჭრეველ-ფეროვნება შეაქვთ გმირის ფსიქოლოგიურ სურათში, სიბოძის და წყნარების მომენტებს მათგან მთელ რომანს.

მართლაც, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ასეთი მგრძნობიარე გულის, მგზნებარე ტემპერამენტის ახალგაზრდა კაცს, ჯანღონით საესეს და სიცოცხლის მოყვარე ჭაბუკს არასოდეს არ განეცადოს ძალი იმ შალალი ადამიანური გრძნობისა, რომელსაც სიყვარულის, ტრფილების გრძნობა ეწოდება. ამიტომაც არა თუ არ არღვევს კეცხოველის სახის მთლიანობას, არამედ, ჩვენის ფიქრით, მეტს სიმართლეს და დამაჯერებლობასაც აძლევს მას ის ორი, ზომიერებით და ტაქტიტ შესრულებული რომანული მოტივი, რომელიც მწერალს ამ რომანში შემოუტანია. განნას გამოჩენა კეცხოველის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, მისი უკანასკნელი წერილი ლადოსადმი და ამასთან დაკავშირებული განცდები კეცხოველისა უშეველად ამდიდრებს ამ ნაწარმოებს, ემოციურ ძალას მატებენ მას.

მით უფრო ბუნებრივად და კანონზომიერად მოსჩანს ამ რომანში ღარიბი, ბრმა მოხუცი გლეხის ზურაბის ოჯახის დარბევის სცენა, გიგოლას თავგადასავალი და მთელი რიგი „გამოგონილი“ პერსონაჟები და სიტუაციები.

ფაქტური მასალა დომინანტის მდგომარეობას ინარჩუნებს რომანის მთელს მანძილზე. მისდამი მკაცრად არის დაქვემდებარებული მწერლის ინდივიდუალური ფანტაზიის მოძრაობა.

მოსაწონი გულმოდგინებით შეუსწაველია მწერალს თავისი გმირის ცხოვრება, მისი მოღვაწეობის ეპოქა, ყოფაცხოვრებითი ფონი, სოციალური გარემოცვა, კულტურული ატმოსფერა, რომელშიაც ყალიბდებოდა ეს შესანიშნავი მებრძოლი და იშვიათი ადამიანი.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ავტორი ცხადად ხედავს ლადო კეცხოველის ყოველ ნაბიჯს. ერთგვარის პედანტური ერთგულებით იცავს მწერალი თავის ნაწარმოებში გმირის ბიოგრაფიის ფაქტოლოგიურ მხარეს, რომელიც არა მარტო შეუსწაველია მას, არამედ გაუზიარებია კიდევ მისი ყოველი დეტალი, იდეური, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით.

თვით ენარი ნაწარმოებისა გამოიციხავს მასში ჩვეულებრივი რომანისათვის დამახასიათებელი ფაბულის შესაძლებლობას. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ი. ლისაშვილის „კეცხოველი“ საერთოდ მოკლებული იყოს სიუჟეტურ კომპოზიციას. მწერალი არა მექანიკურად, არა ემპირიულად იყენებს ფაქტებს და გადმოგვცემს მათ მარტივი ქრონოლოგიური, პრაგმატული თანმიმდევრობით, არამედ გარკვეული პრინციპის, გარკვეული თვალსაზრისის საფუძველზე შეარჩევს და განალაგებს თავის განკარგულებაში არსებულ უხვსა და მდიდარ მასალას. ეს თვალსაზრისია გმირის რევოლუციური განწყობილების ზრდისა და გაღრმავების, მის როგორც ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლის, საუკეთესო დამახასიათებელ თვისებათა უფრო და უფრო მკაფიოდ გამოვლინების თვალსაზრისი. ამ კრიტერიუმით, ამ ასპექტით აშუქებს მწერალი გმირის ცხოვრების ფაქტოლოგიას და ეს გარემოება შესაძლებლობას იძლევა სიუჟეტური დამახებლობის თანდათანობითი ზრდისა და აღმავლობისათვის რომანში.

ლადო კეცხოველის შესანიშნავი ცხოვრების გაცნობისა და მისი მოღვაწეობის მეტად რთული ეპოქის შესწავლის თვალსაზრისით ამ ნაწარმოებს უმკველად აქვს გარკვეული შემეცნებითი ღირებულება.

რომანში მკაფიოდ მოსჩანს ლადოს თავდადებული ერთგულება თავისი საბრძოლო იდეებისადმი, მშრომელი ხალხისადმი, თავისი ქვეყნის ბედნიერებისა და კეთილდღეობის დიადი საქმისადმი, ლადოს მგზნებარე, დაუცხრომელი ტემპერამენტი, მისი ქედუხრელი, მოუდრეკელი ბუნება, პირდაპირი, უკომპრომისო ხასიათი, მგრძნობიარე, ჰუმანიური და ადამიანისადმი სიყვარულით მზლავრად აძგერებული გული.

მწერალი ბოლომდე გულწრფელია თავისი გმირთან ურთიერთობაში და რომანის ყოველი სტრიქონი შთაგონებულია ავტორის ღრმა სიყვარულით გმირისადმი. ეს მკაფიოდ იგრძნობა მთელს ნაწარმოებში. ეს გარემოება აძლევს ამ რომანს იმ უშუალობას, რომელიც მთელ რიგ შემთხვევაში გამოისყიდის ნაწარმოების ამა თუ იმ ნაკლს, ამყარებს სულიერ კონტაქტს მკითხველსა და რომანის გმირს შორის, ნაწარმოებს აძლევს ემოციურ ზემოქმედების ძალას.

• •

რომანი იხსნება ლადო კეცხოველის ბავშვობის ამსახველი ეპიზოდებით. მოქმედება სწარმოებს ლადოს მშობლიურ სოფელ ტყვიავში. ნაჩვენებია მღვდლის ზაქარია კეცხოველის ოჯახი, ლადოს მამის ზაქარიას სახე მკაფიოდ არის გამოკვეთილი რომანში და მთელი ნაწარმოების მანძილზე ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის მდგომარეობას ინარჩუნებს. ლადოს შემდეგ იგი ყველაზე სრულად წარმოდგენილი სახეა ამ რომანში. საკმაოდ რელიგიურად მოსჩანს აგრეთვე ლადოს უფროსი ძმა, ხალხოსანი ნიკო კეცხოველი. წიგნის პირველი თავები თვალწინ გადაგვიშლიან მეფის მოხელეების მიერ დარბეული და აწიოკებული ღარიბი გლეხკაცობის დუბჭირი და ბნელი ცხოვრების სურათებს. უსინათლო მოხუცი ზურაბის თავგადასავალი აქ გააზრებულია, როგორც ტიპური გამოხატულება ამ პერიოდის ქართველი გლეხის ვითარებისა. ამგვარ შთაბეჭდილებათა გარემოცვაში ილვიძებდა ლადო კეცხოველის ბავშვური სულისკვეთება, ასე ილვიძებდა მის შეგნებაში ღრმა სიყვარული და თანაგრძნობა ხალხისადმი, უზომო ზიზღი და გულისწყრომა ხალხის მზავრელი და მძარცველი ძალების მიმართ.

ლადოს ბავშვობის პერიოდის ამსახველ ეპიზოდებიდან დამახასიათებელია ის სურათები, რომლებიც გვიჩვენებენ ლადოს პირველ შეჯახებებს მამასთან — მღვდელთან. პატარა ლადო ჯიუტად ეწინააღმდეგება მამას, როგორც რელიგიური კულტის მსახურს, მის პარაზიტულ მისწრაფებებს და თავგამოდებით ეჭმამება ღარიბ გლეხობას.

შემდეგ ჩვენ ვხედავთ ლადოს, გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეს. აქ მწერალი აღგვიწერს სასწავლებელში გამეფებული რეაქციული რეჟიმის ატმოსფერას და იმ მტრულ ურთიერთობას, რომელიც არსებობდა სასწავლებლის ადმინისტრაციასა და მოსწავლეებს შორის. ამ გარემოცვის გადმოცემაში რომანი თითქმის არაფერს გვეუბნება ახალს იმასთან შედარებით, რაც ჩვენ უკვე გავიცვია და გვიგრძნვია ქართულს მწერლობაში ანალოგიურ თემებზე დაწერილ სხვა ნაწარმოებებიდან.

რომანის ამ ნაწილში ყურადღებას იპყრობს ლადოს დედის გარდაცვალების ეპიზოდი. მწერალმა გვაგრძნობინა იმ პირველი წყლულის სიმწვავე, რომელ-

საც დედის დაქარგვით განიციდდა ლადოს ნორჩი გული. მგაფიონდ არის აგრეთვე ასახული ლადოს მეთაურობით მოწაფეთა ხელნაწერი არალეგალური ჟურნალის „განთიადის“ გამოცემის ამბავი და ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ ფაქტმა მოახდინა სასულიერო სასწავლებელში, ლადოს მესველთა მასწავლებელ სოფრომ მგალობლიშვილთან, ლადოს გაცნობა და დაახლოება სოსო ჯუღლაშვილთან, მათ შორის ღრმა სულიერი ნათესაობისა და წრფელი მეგობრობის დამყარება.

თანდათან ღრმავდება ლადო კეცხოველის მემამოხე ბუნება და მისი რევოლუციური აქტივობა. თბილისის სასულიერო სემინარიაში იგი თავის გარშეცხო იკრებს მოწინავე ახალგაზრდობას, აყალიბებს წრეს, აგრძელებს „განთიადის“ გამოცემას, შედის ე. ნინოშვილის ხელმძღვანელობით არსებულ წრეში, აწყობს სემინარიელთა გაფიცვას, რის გამოც მას „მგლის ბილეთით“ გარიცხავენ სემინარიიდან და აუკრძალავენ თბილისში ცხოვრებას.

ისევ მშობლიური ტყვიავი და შემდეგ კიევი. ლადო კეცხოველის უკრაინაში ცხოვრების ამსახველი თავები ამ რომანის საუკეთესო ფურცლების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს.

კაროლენკოვების რევოლუციურად განწყობილი ოჯახის ლადოსადმი გულთბილი და გულისხმიერი დამოკიდებულების ჩვენებით მწერალმა განასახიერა ის წრფელი და შეგნებული მეგობრობა, რომელიც ყოველთვის არსებობდა მოძმე ხალხების საუკეთესო, მოწინავე შვილებს შორის. ლადო კიევიშიაც აგრძელებს თავის დაუდგრომელ რევოლუციურ მოღვაწეობას. მას აბატიმრებენ და იძულებით გადმოსახლებენ საქართველოში. ერთხანს იგი კვლავ ტყვიავს უბრუნდება, შემდეგ მცირეხნით ჯავაში (სამზრეთ-ოსეთი) ცხოვრობს, მაგრამ ეს სარბიელი შეტად ვიწროა ლადოს გაქანებისა და მებრძოლი ტემპერამენტისათვის. იგი გამოექცევა პოლიციის მეთვალყურეობას და საბოლოოდ გამოდის პროფესიული რევოლუციონერის ცხოვრების ფართო და სასახლო გზაზე.

აქედან იშლება მოუსვენარი, მღელვარე და ამასთანავე მრავალმზრივად მდიდარი და კეთილშობილური ცხოვრების ნამდვილი ეპოპეა. ლადო შედის „მესამე დასში“ და მალე ამ ორგანიზაციაში ამხანაგი სტალინის შესვლისთანავე ლადო ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე ხდება „მესამე დასის“ რევოლუციური მარქსისტული უმცირესობისა... ლადო კეცხოველი იწყებს მუშაობას არალეგალური ბეჭდვითი სიტყვის შესაქმნელად, ბეჭდავს პირველ არალეგალურ ქართულ წიგნს და ხდება ამხანაგ სტალინის უახლოეს თანამებრძოლად (ალ. წულუკიძესთან ერთად), მე-19 საუკუნის უკანასკნელ წლებში გაშლილ მასობრივ-რევოლუციურ ბრძოლებში. იგი ხელმძღვანელობს ცხენის ტრამვაის („კონკის“) მუშათა გაფიცვებს და სხვ. შემდეგ იგი ბაქოში იგზავნება პარტიული მუშაობისათვის. ბაქოში ლადო აწყობს არალეგალურ სტამბას, სადაც გამოიცა პირველი ქართული არალეგალური გაზეთი „ბრძოლა“ და სადაც მრავლდებოდა ლენინის „ისკრა“. ამ მუშაობაში ლადო იჩენს ბოლშევიკური კონსპირაციის უდიდეს ოსტატობას, დაუცხრომელა შრომის უნარიანობას, ურყევ ნებისყოფას და შეუღრკეკლ პრინციპიალობას.

ფეხზე დგება ეანდარმერია. გააფთრებული დაედებენ მგზნებარე რევოლუციონერს. არა ერთხელ გაუჭრა მათ ლადო ხელიდან, მაგრამ ბოლოს მაინც შესძლეს მისი დაპატიმრება. ლადო ციხეშიც უშიშარ რევოლუციონერად რჩება. იგი ხდება ყველაზე საშიშარ პატიმრად ციხის ადმინისტრაციისათვის.

მეფის ჯალათები, საბოლოოდ დარწმუნებულნი იმაში, რომ ლადოს დამორჩილება შეუძლებელია, გადასწყვეტენ ვერაგულად გაუსწორდნენ მას. თავიდან მოიშორონ იგი. ისახება ლადოს მოკვლის მუხანათურ ცემად. რუსული ცილის გულმოდგინებით მოჰყავთ სისრულეში.

რომანი მთავრდება რევოლუციის კეთილშობილ რაინდის ვერაგული მკვლელობის ეპიზოდით. ნაწარმოების ფინალურ სურათში ჩვენ ვხედავთ ქუთაისის საპრობილეში გამოშფედეულ ამხანაგ სტალინს, როგორც რევოლუციის საქმის უძლეველობის დიად სიმბოლოს.

ეს ფინალური სურათი ოპტიმისტურ განათებას აძლევს ამ რომანში დატრიალებულ ტრაგედიას და ძირშივე სპობს უიმედობისა და სასოწარკვეთილების განწყობილებათა ყოველგვარ შესაძლებლობას.

ასეთია ი. ლისაშვილის რომანში ასახულ მოვლენათა სქემა.

როგორც ვხედავთ, წიგნში გამოხატულებას პოულობს ყველა ძირითადი დამახასიათებელი მომენტი ლადო კეცხოველის შესანიშნავი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიისა. მთელ რიგ შემთხვევაში მწერალი აღწევს მკითხველზე ემოციურ ზემოქმედებას და გვხდის რომანში ასახული სიტუაციების თანაზიარად. ასეთია, მაგალითად, ლადოს ტყვიავში უკანასკნელად ჩასვლის ეპიზოდი, რომელიც წრფელი ლირიზმით არის გამსჭვალული, ასეთია ბაქოს არალეგალურ სტამბაში ვატარებული უძილო დამეგების სურათები, ლადოს, როგორც იშვიათი კონსპირატორის, გაბედულებისა და მოზერხებულობის მჩვენებელი სცენები (განსაკუთრებით სევერიან ჯუღელის ბინაზე, სადაც ლადო კეცხოველი შეუდარებელი გამბედაობით, ნებისყოფით და ოსტატობით გაუსტლტა ხელიდან თავზე წამდგარ, გააფთრებულ ჟანდარმებს). უკრაინაში ცხოვრების ეპიზოდები და, ბოლოს, ლადო კეცხოველის მკვლელობის წუთები — ეს ტრაგიკული აკორდი დიდი ადამიანის მგზნებარე და მღელვარე ცხოვრებისა.

რომანის დასახელებული ეპიზოდები ღრმა ინტერესით იკითხება.

ეს რომანი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს განსაკუთრებული სიუხადით, თუ როგორ გამანაყოფიერებელ ზეგავლენას ახდენს ჩვენს ლიტერატურაზე ჩვენი ხალხის გმირული რევოლუციური ბრძოლების თემატიკა, როგორ ზრდის და ამაღლებს მწერალს ამ უაღრესად წარმატაც და შთამგონებელ თემაზე მუშაობა.

ი. ლისაშვილმა რომანი „კეცხოველი“ ნაბიჯი გადასდგა წინ შემოქმედებითი განვითარების გზაზე.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ამ ნაწარმოებში მწერალმა საესეებით ამოსწურა დიდი სტალინის ამ უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის ცხოვრების თემა, თითქოს ეს წიგნი უპასუხებდეს ყველა იმ მოთხოვნას, რომელსაც მკითხველი უყენებს ასეთი აქტუალური მასალის საფუძველზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებს.

რომანის ძირითად ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მასში მეტად მკრთალად არის ასახული ის დიდი იდეური ბრძოლა, რომელიც გაუმართა „მესამე დასის“ რევოლუციურ-მარქსისტულმა უმცირესობამ სოციალიზმის მტრებსა და მოღალატეებს, მუშათა კლასის რევოლუციური მოძღვრების გამყალბებლებს საქართველოში. ეს ბრძოლა დაწყებული ამხანაგი სტალინის მეთაურობით, მოასწავებდა უდიდეს გარდატეხას ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ამ გარდატეხის რეზონანსი და ისტორიული მნიშ-

ენელობა შორს სცილდებოდა ქართული სინამდვილის ფარგლებს, იქედნობოდა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ყოვლის დამძღვრებელს საჭურველი.

ეს დიდი იდეური კიდილი რომანში გამარტივებულად და „პროზაულად“ არის ასახული. მკითხველი ვერა გრძნობს და ვერ განიცდის ამ დიდი მოვლენის გადამწყვეტ ისტორიულ მნიშვნელობას. ამ გარემოებასთან არის დაკავშირებული ის ხარვეზიც, რომელიც გააჩნია ამ რომანში ლაღო კეცხოველის საერთოდ სწორად გახსნილსა და დახატულ სახეს: არა სჩანს ან მკრთალად სჩანს ლაღოს სააზროვნო, ინტელექტუალური სამყარო, ის გონებრივი ძალა, ერუდიცია, აზრის გაქანება, რომლითაც იგი ამბობდა თავისი მრავალი თანამედროვის დონეს ზევით.

უფრო მკაფიოდ უნდა ყოფილიყო რომანში ხაზგასმული და უფრო მეტის მხატვრული სიცხოველით ნაჩვენები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელი და შთამოგონებელი როლი მთელს იმ ბრძოლაში, რომლის ერთ-ერთი მთავარი გმირიც იყო ლაღო კეცხოველი. რომანში სათანადო მხატვრული ძალით ვერ არის განსახიერებული და დასაბუთებული ის ქეშმარიტება, რომ „რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლენინური დროშა კავკასიაში აღმართა ამხანაგმა სტალინმა“ (ლ. ბერია).

მართალია, რომანში ლაპარაკობენ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელი როლის შესახებ, მაგრამ საჭირო იყო ამ როლის გამოხატვისათვის უფრო მკვეთრი მხატვრული საშუალებების გამოიხატვა. მწერალს, ალბათ, ამ შემთხვევაში აფერხებდა იმისი შიში, რომ არ დარღვეულიყო ბიოგრაფიული ეპიზოდის რომანის კომპოზიცია და ნაწარმოების მთავარი გმირი მეორე პლანზე არ გადაწყვეტილიყო. მაგრამ ამ სიძნელის გადალახვა და ისტორიული ქეშმარიტების ღრმად ასახვა უთუოდ უნდა მოეთხოვოს ასეთ თემაზე დაწერილ რომანის ავტორს.

თუ რომანის მთავარი გმირების ხასიათის გადმოცემაში მწერალი ხშირად წარმატებით ანხორციელებს თავის შემოქმედებითს განზრახვას, იგი სისუსტეს იჩენს გმირის ვარეგანი პორტრეტის დახატვისას. ზოგიერთი პერსონაჟის შესრულებისას ი. ლისაშვილი ვერ თავისუფლდება სქემატიზმის ელემენტებისაგან. მაგალითად, რომანში ციხის უფროსს უთუოდ „ზვინივით ღიპი“ აქვს, სემინარიის დირექტორს „ბულდოგით გამრგვალებული“ თავი აქვს, სემინარიის აღმინისტრაციის მეორე წარმომადგენელი „ზოობალის მაიმუნით“ დარბის; ეანდარში „ტომარასავით“ აყუდებულა კედელთან, „ყაზახები დაბნეული ქუჩებით“ დაეხეტებიან, ეანდარში „ტიკებით“ გადაცვივდებიან და სხვ.

უკომენტარიოდაც ცხადია, რომ უარყოფითი პერსონაჟის, მტრული სამყაროს წარმომადგენელთა სახეების ასეთი პლაკატური ხატვის მანერა არ შეესაბამება ნამდვილ რეალისტური ხელოვნების ბუნებას. ი. ლისაშვილისათვის საერთოდ დამახასიათებელია მისწრაფება ე. წ. პოეტური პროზის სტილისაკენ. იგი დიდ ყურადღებას აქცევს შედარებას, მხატვრულ სახეებს, აღწერილობათა სიცხოველეს და ორიგინალობას. რომანში „კეცხოველი“ ამ მხრივ იგი ხშირად მართლაც აღწევს მოქმედების ფონისა და მდგომარეობის ცხოვლად წარმოსახვის ძალას. აი, მაგალითად ავილოთ რომანის დასაწყისშიც დახატული სურათი:

„ახლად დამდგარი შემოდგომის სურნელი ავსებდა ეზოს. ჰაერი სიმწიფის მსუყე სუნით იყო გაყენებული.“



საქრებულო

საქრებულო

ქართლის მიწას უხვად აეცხო მადლიანი კალთა.

რთველი კარს იყო მომდგარი.

სოფელში მიძახილ-გამოძახილი, სიმღერა და ყიყინა ისმოდნენ ქირანახულით დატვირთული ურმები...

აქა-იქ გაერკვილი მინდვრები მოსჩანდა. ზოგან სიმწვანე ცალკე ტბასავით იყო ჩამდგარი, სადაც ბალახი ჯერ კიდევ სიცოცხლესა და სინორჩეს ინარჩუნებდა.

ნისლი მთისკენ მიიწეოდა. უფრო შორს მოსჩანდა კავკასიონის მარადი ქალარა. თეთრი ღრუბლები თავისუფლად დასეირნობდნენ ლილისფერი ცის უსასრულო წიალში“.

ასე მოხდენილად შესრულებული სურათები იშვიათად როდი გვხვდება ამ რომანში. მაგრამ სტილის ხატოვანებით მეტის-მეტი გატაცება ხშირად ბუნებრივობას და სისადავეს უკარგავს რომანის მეტყველებას. ზოგჯერ ბუნდოვანი და ყოველშრივ გაუმართლებელი სახეებიც გვხვდება. აი, მაგალითად: „მთვარესა და ცადაწვდენილ გორისციხეს შორის თითქოს ჩუმი საუბარი დაწყებულიყო. გორისციხე უამბობდა მთვარეს, რაც მას გადახდა, როგორ შეიძინა ეს სიდიადე... უწონებდა ციხეს დიდ ვეჟაკობას და უფრო და უფრო იწეოდა მისგან: დედამიწა დიდა და ყველამ მის სიდიადეს უნდა დახედოს, სალაში მისცეს“. განსაკუთრებული მხატვრობის პრეტენზიით დაწერილი ეს სურათი ბუნდოვანია და მოკლებული რაიმე გარკვეულ აზრსა და მხატვრულ სიმართლეს. რომანში გვხვდება ამგვარი ნაძალადევი, ბუნებრივობას მოკლებული აღწერილობანი: „აქ ლადო შეჩერდა უცბად და მოიღრუბლა სახეზე, „ახ, საზიზღრები!“ დაიძახა, თვალებიდან წამოსული ცეცხლი ამხანაგებს გადაასხურა“.

დილოგიც ხშირად მოკლებულია რეალობის გრძნობას და მელოდრამატულ პათეტიკაში გადადის. მწერალი ბევრ შემთხვევაში დაუდევრობას იჩენს ფრაზის გამართვისა და ელემენტარული ენობრივი ნორმების დაცვის საქმეში. როგორ ეპატიება, მაგალითად, ასეთი რომანის ავტორს ამგვარი ფრაზა: „ლადო ბევრ საკითხებში ნოესაც არტყამდა მოხერხებულად“. ან კიდევ: „ლადოს გულზე რენჩხა უეცრად“. ან კიდევ: „რადგან თხოვნით მამაჩემზე არაფერი არ გამოვიდა“.

რომანში არა მარტო მომქმედთა დიალოგში, არამედ თვით ავტორის ტექსტშიც გვხვდება დამახინჯებული, არასწორად გამოთქმული სიტყვები: „შესქდა“, „საითგანლაც“ და სხვ.

საერთოდ წიგნს ესაჭიროება გულმოდგინე ენობრივი რედაქცია. მწერალმა მეტი უნდა იმუშაოს ლიტერატურული მეტყველების სფეროში.

ჩვენ მიერ აღნიშნულ ნაკლოვანებათა ნაწილი იმგვარი ხასიათისაა, რომ მათი დაძლევა და თავიდან აცილება შესაძლებელია რომანის მეორე გამოცემაშიაც.

ამ ნაკლთა მიუხედავად, ი. ლისაშვილის „კეცხოველი“ სასარგებლო და საჭირო წიგნია. იგი გვეხმარება მუშათა კლასის, ბოლშევიკების გმირული პარტიის რევოლუციურ ბრძოლათა ისტორიის შესწავლაში, სოციალიზმის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის — ლადო კეცხოველის შესანიშნავი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლაში.

კ. ლორთქიფანიძე — „მოგზაური“

საბლიტბაში, 1941 წ.

შესანიშნავად სწერდა მაქსიმ გორკი:—პატარა მოთხრობის დაწერა დიდ გამოცდილებასა და ოსტატობას თხოულობს. უცანასწერელ დროს პატარა მოთხრობის წერაში ოსტატობას ხჩენს კ. ლორთქიფანიძე, ამის დამამტკიცებელია მისი ბელორუსული მოთხრობები და მოთხრობა „მოგზაური“.

კ. ლორთქიფანიძის „მოგზაური“, უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა მიმზიდველი თე-
მათ, ამ თემის მხატვრული განსხეულებით. მოთხრობის თემა ისტორიული ეპიზოდია—ორი
გლეხის ჩამოხრჩობა გორში 1892 წელს.

ამ ჩამოხრჩობის დაესწრო ყრმა სტალინი, რომელიც მაშინ გორის სასულიერო სასწავლე-
ბელში სწავლობდა და კ. გორში შემთხვევით ჩამოსული ახალგაზრდა გორკი, რომელიც
მაშინ ჩვენში მოგზაურობდა.

ამ ისტორიულ ამბავს მწერალი იყენებს იმისთვის, რომ აჩვენოს ერთის მხრივ ზედის
შთაფრთხილის უსამართლობა, მეორე მხრივ ამ ჩამოხრჩობის ზემოქმედება ყრმა სტალინზე
და ახალგაზრდა გორკიზე. ჩამოხრჩობის სურათი შემამჩნუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს
ორივე ყმაწვილზე, მაგრამ მათ განსაკუთრებით აოცებს სიკვდილის წინ ჩამოსახრობად
განწირულითა შეუდრკელობა, ვეეაკობა. მწერალს ეს მომენტია სჭირდება მოთხრობის და-
სასრულის გასასწავლად.

კ. ლორთქიფანიძე მაშინდელ გორს აღწერს ახალგაზრდა მოგზაურის თვალთ, რომე-
ლიც დახეტიალობდა ცხოვრების და აღმზიანების გასაცნობად, ან როგორც მწერალი ამ-
ბობს: „უცალაპოტო მდინარესავით, რომ მოსდებოდა ქვეყანას“. გორკის აცვივებს ეს ქა-
ლაქი თავისი ხალხით, ციხით, ჯველაფერ ამაში ქართველი ხალხის ზეიადი და გოლათათრი
ხასიათი, კულტურული წარსული მისჩინს, მოგზაურმა თვალთ შეაფერი გორის ციხის კოშ-
კებს და „მოაგონდა საქართველოს სამხედრო გზაზე ცად აზიდული ციხე-ქალაქები, ცი-
ცაბო მთაზე ადრენილი მონასტრები და სალაკაეები“. სად არ ყოფილა, რა არ უნახავს
ამ უცნაურ მგზავრს, მაგრამ მას მაინც აოცებდენ ეს ძეგლები, რომელიც საქართველოს
დიდებულს წარსულზე მოუთხრობდენ მნახველს. მოგზაურს აოცებდა ბუნება და ხალხის
ხმნენ, რომლის უმძაფრესი მავალით მან ნახა გლეხების ჩამოხრჩობისას. ამ ჩამოხრჩობამ
უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მგზავრზე, ისე, როგორც იმ პატარა მოწაფემ, რომელიც
მან თავიდანვე შეამჩნია და „უჩაღლებს“ ჩამოხრჩობის მომენტში კოშკიდან ჩამოსვდა.

მწერალს ამით იმის თქმა უნდოდა, რომ ისე, როგორც საქართველოს ბუნებამ, ამ ეპი-
ზოდამც მომავალი მწერლის გონებაში რაღაც ნათელი იდგა ჩასახა. დამით მეტიცემ მოგ-
ზაურს უამბო თუ, რისთვის აქამეს ერთერთი ჩამოხრჩობილი ხუბულური. ხუბულურის ვაე-
კაცობამ გააოცა მგზავრი. მეტიცესთან საუბრის შემდეგ დილით რვეული გაშალა და წერა
დაიწყო. „მტკიცის პირას, ძეწნის კარავში შეუდრულ მოგზაურს მუხლებზე რვეული გა-
ეშალა... სწერდა“. აედიდებდა იმ უცვდავ გრძნობას, რომელიც სიკვდილზე ძლიერი იყო“. მწერალი არ ასახელებს იმ ნაწარმოებს, რომელიც იმ დროს დაიწერა ახალგაზრდა გორკის
მიერ, მაგრამ მასში იგულისხმება მისი ადრინდელი პოემა „ქალიშვილი და სიკვდილი“.
პოემა, რომლის გამოქვეყნება მ. გორკიმ მხოლოდ 1917 წელს შესძლო.

როგორც ცნო? ლია ამ ნაწარმოებს დიდი შეფასება ერგო ამხანაგ სტალინისაგან.
მან ამ ნაწარმოების ერთერთ ეგზემპლარს წააწერა: „ეს ნაწარმოები უფრო ძლიერია,
ვიდრე გვიერეს „ფაუსტი“. სიკვდილი ამარცხებს სიყვარული“.

აი სწორად ამ პოემის ჩასახვის თემაზეა იგებული კ. ლორთქიფანიძის „მოგზაური“.
გარდა იმისა, რომ ეს თემა და მოთხრობაში აღწერილი ამბავი საინტერესოა, იგი დაწერი-
ლია კლარიტულად, ცხოვრების ცოდნით და ზედის სიმხვეილით. ძალიან ძნელია აღ-

წერა ადამიანების ჩამოხრჩობის ტრაგედიისა, დაცვა ზომიერებისა, რომელიც მხატვრულ დამჯერებლობას მისცემს ნაწარმოებს. კ. ლორთქიფანიძე სიფრთხილით ეყრდნობა ამ მომენტს.

სიყვარულითაა აღწერილი შწერლის მიერ ახალგაზრდა გორკი. ვგანზობთ რომ ეს არაა უბრალო მოხეტიალე, არამედ ცხოვრებაში ჩახედული, დიდი გრძნობის მქონე ახალგაზრდაა. კ. ლორთქიფანიძის მიერ ამ მოთხრობაში ლამაზადაა გადმოცემული გორის გაზაფხულის სურათი: „კარგი დღე იყო. მტკვრის ტალღებს სველი მიწისა და ნესტიანი ტყეების სუნის ისდიოდა, იმდენად უხვი და ძლიერი, რომ ყვაილთა სურნელებაც დაეხმო. დროდადრო ბაღებში პატარა ტოტები შეკრებოდნენ ანაზღად, თითქოს ნივთა შეადევძო, მაგრამ ნივთი არ იყო. შეზურვებული კვირტები სკდებოდნენ და ტოტებს მათი გასკდომის ძალა არ ხევდა“. ასეთი ადგილები ბევრია ამ მოთხრობაში.

„მოგზაური“ უსათუოდ ნიჭიერად დაწერილი ნაწარმოებია. იგი დაიბეჭდა რუსულად, უკრაინულად და კარგი შეფასება მიიღო. კ. ლორთქიფანიძის ეს მოთხრობა ქართულად გამოცემა სიბლიტგამში. წიგნს დართული აქვს ს. კეცხოველის მიერ შესრულებული ორი სურათი.

ა. სულავა

ლ. ბალიაშვილი — „შშარისხაბა“

„შეღერაგია“, 1941 წ.

ლ. ბალიაშვილი თანამედროვე ქართულ პროზაში საყურადღებო ახალგაზრდა ძალის წარმოადგენს. თავისი უტყუარი მხატვრული ნიჭით ბალიაშვილმა სწრაფად მიიჭია ყურადღება. სარეცენზოო წიგნი ხეცსურეთის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ავტორს მიზნად დაუსახავს ერეგენებინა ხეცსურეთი მისი განახლების პროცესში. ეს ფრთხილ საპატიო ამოცანა თანამედროვე შწერლისათვის. საბჭოთა ხელისუფლებამ ცხოვრების ახალი სხივი შეიტანა ხეცსურეთშიც.

„ხეცსურეთი ხეცსურეთად მიიდა... რჯულ-სამართალი, რჯულ-სამართლად. მამა-პაპათ ძვალს ვერ გადმოვითხროთ საიქიოთ! — ჩემი გული ხარივით ყვირის. — ლავაზმა უნდა გასწავლოთ სიკეთე? დიო გუდანის ჯვარო, სად არის დიდება შენი! რად არ ანგელოზები შენად აქცევენ ცის მფარველობას! ვამთ ისარნი დაუღიანებ ქვეყანას. ურწმუნოთ მოვლის ბოლო!“ ეს სიტყვები აპარეცა არაბულს ეკლეთინის. მაგრამ აპარეცა აქ მთელი ძველი ხეცსურეთის პირით ლაპარაკობს.

ძველი ხეცსურეთი უნდა ჩაბარდეს ისტორიას. მან უნდა გაიძროს დახვეწებულობის და სიბნელის ქურჭი. მაგრამ ეს ზოგიერთ უმეცარს და ჩამორჩენილს საკუთარი თავის შეგინებად მიიჩნია. ამის საფუძველზე იმართება ბრძოლა, მწვევე დამატული კონფლიქტები ძველსა და ახალს შორის, ახალი ძალა, ერთი შეხედვით, ვერ კიდევ სუსტია. მაგრამ საზოლოო გამარჯვება მისია. რადგან ის ვითარდება, იზრდება და სისხლბორცს ისხამს, მაშინ, როდესაც ძველი, უკანასკნელ ღონეს იკრებს რომ გაუმკლავდეს ახალ ნაყადს.

ძველი ძალების სახით მთელი ჩამორჩენილი ხეცსურეთია წარმოადგენილი. ჩამორჩენილ ხალხში შეშპარავად დამკრება კლასობრივი მტერი, სარგებლობს მის გულუბრყვილობით და მასში უფრო აღვივებს ახლისადმი ზიზღს, სოქს პანიკას და ფანატიზმს. ამხედრებს ხალხს ახალი ძალების წინააღმდეგ. ახალ ძალებს მეთაურობს ხეცსური კომკავშირელი, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე — ლავაზი, ძველს კი — საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, კულაკი, ენა ლაქარდიანი და უქნარა აპარეცა არაბული. აპარეცას გვერდს უმშვეინებს ყოფილი მენშევიკი, შენობილი მტერი, კაცის მკვლელი ჯამრული (ვიარგი). ავტორის მიერ ოსტატურადაა მოხატული ამ გარეწარის საზიზღარი სახე. მკითხველს უსაზღვროდ სძულს ეს ადამიანი. „ჯამრული ყოფილი ყაჩაღი და კლასობრივად საშიში ელემენტი. მან მიკრულულ ხეცსურეთს შემოაფარა თავი და აქედან უმიზნებს ტყვიას საბჭოთა ხელისუფლებას.“



—... მაგრამ გზას ჭირი მოჰყვება, სიღარიბე მოჰყვება გზას, სიმუდროვე ძირღვევა—
მეშრათვის ხალხს ჯამბრული. სიმუდროობა მისთვის ხელსაყრელია, სიმუდროობა მის
ხელს უწყობს განახორციელოს თავისი ბნელი ზრახვები. ამ ყრუ მუდროვედ ვერ
აიღებს მასზე ეჭვს, ხელს ევრაეინ შვეშლის. მართლაც და ის რომანის ბოლომდე ნიღბ
აუხდელი რჩება. ოსტატურად აყენებს ხალხს და სოფელს ზარალს, ახდენს ტერორისტულ
აქტებს სოფლის სულის და გულის ლაგაზის წინააღმდეგ, გადასწევს სოფლის საბჭოს
შენობას და სხვა. მას გაბმული აქვს სიადუმლო კავშირი თავის აგენტებთან, აგროეებს
იარაღს და მთიდან ემუქრება საბჭოთა ხელისუფლებას.

ლაგაზა მალე გაითქვამს ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლის სახელს. მას სოფლის
საბჭოს თავმჯდომარედ ირჩევენ. მის ირგვლივ შემოიკრიბებიან ერთგული კომკავშირ-
ლები ევგენია, შავბათია და სხვები.

ბრმა შემთხვევამ დაიღუპა ლაგაზას სატრო—ხათოთა, ხათოთას მამა სემბატმა დაარღვია
ფარეგაობის წესი და მოკლა ბერდიხა. ბერდიხას მომზრეინ შურს იძიებენ. ხათოთა და სემ-
ბატი სწრაფად უნდა წავიდნენ ხევისრეთიდან. გაქცევაში მათ ლაგაზაც შეეღოს. მდინა-
რზე ხიდი ჯამბრულის მიერ აღმოჩნდა გადამწვარი. წყალში ცურვის დროს მძიმედ დაშავდა
ხათოთა. გარდაიცვალა. სიკვდილის წინ შურისძიება სთხოვა ლაგაზას. ლაგაზამ შეპოცა.
ლაგაზას სახით ავტორმა შესწლო მოცემა დაუღალავი საბჭოთა ადამიანისა. ლაგაზამ იცის,
რომ მისი სატროს დაღუპვის მიზეზი ძველი ხევისრეთია. უცლტრო და ნახევრად ეე-
ლტრო. ამიტომ მან სწორედ მასზე გადასწყვიტა შურისძიება. ის სისხლის უკანასკნელ წვე-
თამდე ებრძვის უმეცრებას, უცლტროობას და ეელტრო ადათ-ჩვევებს. აღმოფხვრის მათ.
მაგრამ გმირს ბევრი ჭირვარამის გამოვლა დასჭირდა ვიდრე მიაღწევდა თავის მიზნებს.
რომანიც ამიტომ გამოვიდა საინტერესო. მასში გმირი დახატულია არა უსიკოცლო, სქე-
მატიური ჩანჩხის სახით, არამედ მის ჭირვარაში. მკითხველი თანატურმობს ლაგაზას. მას-
თან არის რომანის ბოლომდე. მასთან ერთად იზიარებს გამარჯვების სიხარულს თუ და-
შარცხების სუბსს. აპარეკამ საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნის დროს ბევრი ბეჭედდასმული
ქალღლი მოიპარა. იმისთვის, რომ გაუტეხოს პატროსან ლაგაზას სახელი—ყალბ მოწო-
ბებს აერცვლებს. ლაგაზას ამის გამო დიდი განსაცდელი დაატყდა თავს. მაგრამ იმდეს არ
კარგავს მანც. და კვლავ იტერს თავის ადგილს. ქურდი ბეწიკას გზა დამაჯერებლად გა-
შალა ავტორმა, მოხდა ადამიანში გარდატეხა. იგი პატიოსან მშრომელად იქცა—ლაგაზას
ინიციატივით. რომანში არის მზატრულად ღირსშესანიშნავი ადგილები. ძლიერია რომანის
პირველი თავები დანარჩენ თავებთან შედარებით.

მკითხველის მუხსიერებაში რჩება წყლის სტიქიასთან ბრძოლის სცენები, სადაც ხათოთა
იღუპება. მკითხველს აშფოთებს ჯამბრულის მიერ მეწისჭვილის, მისი ყოფილი, მფარვე-
ლის სცენა და სხვ.

მკითხველს აიღვლებს სურათი, სადაც ბერიას ჩამოსვლაა ილწერილი ჯერ დუშეთის
პარტრაკომში, შემდეგ კი გზის გახსნისას—თვით ხევისრეთში.

რომანს ახასიათებს ნაკლიც. მწერალი მეტის მეტად აჭიანჭრებს თხრობას. ზოგჯერ დიდი
ადგილები აქვს დამომბილი სქემატიურ-პუბლიცისტური ხასიათის აღწერებს.

აქა-იქ უხერხული გამოთქმები და შედარებები გვხვდება, როგორცაა მაგალითად:

„ღამე ნაცეში ძალივით წყავწყავებდა“.

„არაგვმა დაიწყულა“.

„სოფელი ირქვიდებოდა შრომის ონქივარში“.

„ტბორის უკუნი ანქლაფუნდა“.

„აპარეკა იყო დინჯი, საუბარდახევაილი კაცი“.

მთლიანად რომანი კარგად იკითხება. მწერალს ენერჯება ამბავის ოსტატურად გაშლა.
ბალიურს ამ რომანში დიდი წინსვლა ეტყობა. მისი სახით საყურადღებო მზატვარი
ეზრდება ქართულ პროზას.

„შიო მღვიმელის ცხოვრება და შემოქმედება“


 ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ბ. კახახიძის კრიტიკული ნარკვევი).

საბავშვო ლიტერატურის სფეროში დიდი ენერგიითა და სიყვარულით მოღვაწეობდა შიო მღვიმელი. ჩვენდა სამწუხაროდ დღემდე მისი შემოქმედება და ცხოვრება შეუსწავლელია. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს გიორგი კაქახიძის წიგნი: „შიო მღვიმელის ცხოვრება“ და „შიო მღვიმელის შემოქმედება“. პირველი გამოსცა საბლიტგამმა, მეორე კი პედაგოგიკის სამეცნიერო-საყველეო ინსტიტუტმა. რადგან ორივე წიგნი ერთი და იმავე ავტორის მიერ არის დაწერილი ერთისა და იმავე პოეტზე, ჩვენ საჭიროდ ვცანით ერთს წერიალი მოგვეცა მათი შეფასება და განხილვა. ავტორს სერიოზული მუშაობა ჩაუტარებია იმისათვის, რათა სისრულით წარმოედგინა მკითხველებსთვის შიო მღვიმელის ცხოვრება და შემოქმედება. ორივე წიგნი დაწერილია შიო მღვიმელის პოეზიის სიყვარულით და ცოდნით.

„შიო მღვიმელის ცხოვრებაში“ ავტორი მოგვითხრობს იმ დღეებზე, როდესაც შიომ გაატარა ბავშვობა, ახალგაზრდობა, სიუბუცე და პოეტური სიმწიფე.

გ. კაქახიძეს თვით შეუტყობია შიოს ცხოვრებიდან საინტერესო მასალა, როგორც მაშინდელ ეურნალ-გაზეთებში გაბნეული, ისე პირადი მიწერ-მოწერები და ის წერილები, რომელსაც შიოს უგზავნიდნენ პოეტები, საზოგადო მოღვაწენი და მისი ლექსების ნორჩ მკითხველები,—ამ მასალის საფუძველზე ავტორმა შესანიშნავად დაწერილი შიო მღვიმელის ბიოგრაფია მოგვცა.

ავტორი არცევეს პოეტის გენეალოგიას, შიოს მშობლების ცხოვრებას. აღწერს იმ ადგილებს სადაც პოეტს უხდებოდა ცხოვრება. „პატარა შიო მეტად მოუსვენარი და ცელქ ბავშვი იყო. უყვარდა ხეებზე შეკრება და ჩიტების ბუდეების ძებნა, რაგინდ მაღალი ხე უოფილიყო, დაბლიდან ერთს ახედავდა და უყუყუროდ ხედ კენწეროზე მოექცეოდა. მიმინოსა და ქორის ისე არ ეშინოდათ ჩიტებს, როგორც შიოსი. კაქკაქს, ოფოფსა და ყვავს მოსვენებას არ აძლევდა, დაინახავდა თუ არა შიო მათ, აედევნებოდა და დღეს უმწარბედა“ მაგრამ შიო მხოლოდ პატარაობისას იყო ასეთი. როცა იგი დიდი შეიქნა, ისე ეფერებოდა და ელოლიაებოდა ფრინველებს, როგორც ჩვილ ბავშვებს, რომელთა დიდი სიყვარულით არის გამოხარი მისი შესანიშნავი ლექსები.

„მოხატულებაში მყოფ პოეტს ადრინდელად ახარებდა ზამთარში თოვლის მოსვლა და გაზაფხულზე ყვავილების გაშლა... იცოდა გაზაფხულზე მერცხლები როდის უნდა მოფრენილიყვნენ... თუ კი მერცხლები მოფრენას დაავგვიანებდნენ, მაშინ თითქოს კიდევ მიიწვენდა შიო... ბელურებიც უყვარდა შიოს. ღამით პურის ნამცეცებს უშაბდებდა მათ და აივანზე უყრიდა; დილით მოვლენ და აყენკაყენო. ბელურებიც ისე შეგვიყვენენ შიოს კარ-მიდამოს. რომ ყოველთვის დილით დიდი ვივალ-ხივილი ჰქონდათ შიოს აივანზე.“ ისე უყვარდა შიოს გაზაფხული და ფრინველები.

მამის სიყვდილის შემდეგ შიოს პატრონობდნენ იმ დროს გორში მომუშავე ხალხოსნები: შიო დავითაშვილი, მიშო ყიფიანი, თედო გოლიევი, ლადო აღნიაშვილი და ძმები ხმალაძეები. გორის სემინარიის წმენდასთან დაკავშირებით,—შიო, როგორც ხალხოსნების მფარველობის ქვეშ მყოფი ახალგაზრდა, ხშირად ავრცელებდა ხალხოსნურ ლიტერატურას. რისთვისაც ის გარიცხული იქნა გორის სემინარიიდან. „ის იყო გამოვიდა ავაკის ქართული მარსელის „ხანჯალი“, პატარა შიოს ვერცელებინებდით იმ ლექსს მოწაფეებში“—ო. ამბობს ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი.

ავტორს შიოს იმ პერიოდის ცხოვრება მეტად დამაინტერესებლად აქვს დაწერილი. იგი მოგვითხრობს იმაზედაც, თუ როგორ გაიქცა პატარა შიომ ვეა-ფშაველა და მამა ძმები: თედო რაზიკაშვილი და ბაჩანა.

შიო მღვიმელს ძალიან უყვარდა ვეა-ფშაველა. ეს უკანასკნელიც დიდათ აფასებდა შიოს მუშაობას საბავშვო ლიტერატურის დარგში: „შიოს ყველაფერი პატარა კაცად თელავა, ჩვენს შიო, ჩვენს შიო, და არავინ ფიქრობს, რომ ეს პატარა კაცი იმავე დროს დიდი კაცია... ნურავის ჰგონია ადელით იყოს საბავშვო ლექსების და მოთხრობების დაწერა. ყველაზე ძნელი სწორად ესაა. და თუ არა სულთ მდიდარს... არ შეუძლია გახდეს საბავშვო მწერალი“—ო. ამბობს ვეა-ფშაველა ნორჩ მკითხველებსადმი მიმართულ წერილში.

ჩვენ კი, რომელთაც თვალწინ ცოცხლად გვიდგას შიოს სახე, მისი პატარა სხეული, მისი ტკბილი ენა, მის ხსოვნას შევინახეთ ისეთივე სიყვარულით, რაყაყაყმ შემსვენებარდა პატარებზე.

ჩვენი ურნალი ეშვიდობება ძია შიოს, თავის ძვირფასს და ერთგულ მეგობარს. ეშვიდობება და სწუხს, რომ თავის პატარა მკითხველებს ველარ წაუღებს ძია შიოს ლექსებს და მით ველარ გაახარებს“.

ასე ეშვიდობებოდა ნორჩი თაობის სახელით ურნალი „ოქტომბრელი“-ს რედაქცია ავღლასათვის საყვარელ პოეტს შიო მღვიმელს საფლავის კართან, 1934 წლის 2 იანვარს.



თუ გ. კაკაბიძემ ზემოდ დასახელებულ წიგნში მოგვიხაზა შიო მღვიმელის ცხოვრება და მოღვაწეობა,—მეორე წიგნში, რომელიც შიოს შემოქმედებას ეხება—უფრო მეტი სიმღვირით და სიყვარულით გადმოგვიწავლა მან მისი პოეტური ქმნილებანი.

გ. კაკაბიძე მართებულად მოიქცა, როდესაც მოკლეთ გააცნო მკითხველებს იმ ეპოქის სოციალ-პოლიტიკური ვითარება, როდესაც შიო მღვიმელი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ავტორი მარქსისტულ-ლენინური თვალთახედვით აშუქებს ამ ეპოქას. ეს პერიოდით ქართული ხალხის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი პერიოდია, ამ დროს იწყება რევოლუციონური მოძრაობის ჩასახვა და განვითარება, რაიც ავტორს დახასიათებული აქვს აშხ. ლ. ბერიას წიგნის „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების იტორიის საკითხისათვის“, მიხედვით, აქვე ლაპარაკია საბავშვო ურნალების: „ნობათი“-ს და „ჯეჯელი“-ს შესახებ, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში.

წიგნის უმთავრესი ნაწილი შიო მღვიმელის შემოქმედების თანმიმდევრულ განხილვას და ანალიზს ეხება. შიო პირველად დიდებისათვის წერდა ლექსებს. დიდებისათვის დაწერილ ლექსებში შიო „მებრძოლი პოეტია, ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ ამბედრებელი“, ხოლო საბავშვო პოეზიაში „ბრძოლის გზის გვერდის ამქცევი, უწყინარი ჰუმანისტი“-ო, ამბობს ავტორი, თავის ამ დებულებებს გ. კაკაბიძე ასახულებს შიო მღვიმელის მხატვრული პროდუქციის მიხედვით. პოეტის დიდებისთვის დაწერილ თავის ლექსებში სასტიკად ებრძოდა არსებულ წესწყობილებას, მაგრამ საბავშვო ლექსებში არ სცინებდა სიჭიკად ნორჩი თაობის გაუფორჩქენელი გულუბნისათვის მიეწოდებინა ის სისაძაგლე, გაუტანლობა, ექსპლუატაცია და შორტება, რომლითაც ხასიათდებოდა რევოლუციამდელი ეპოქა. შიო ცდილობს ბავშვების გულში ჩანერგოს სიკეთე, სიღამაზე, სათნოება და ბუნებისადმი განუსაზღვრელი სიყვარული.

წიგნის ავტორი პოეტის ამგვარ განწყობილებას იმით ხსნის, რომ „იმდროინდელი საბავშვო ლიტერატურა უმთავრესად პეიზაჟის, სიმშვიდის და საყოველთაო საკეთისა და გულკეთილობის ლიტერატურა იყო“-ო და ამას გარდა „იმ დროს ოფიციალურ პედაგოგის ბოროტებად მიიჩნდა ბავშვებისათვის საზოგადოების სოციალური მანკის ჩვენება და მათ გულში რაიმე კლასობრივი ვიწრობის გაღვივება“-ო. რასაკვირველია პოეტის დღეიღამის ამგვარ ახსნაში სიმართლის ერთგვარი ელემენტი არის, მაგრამ ეს საეხსნით მართალი მაინც არ უნდა იყოს. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს შიო მღვიმელის, როგორც შემოქმედის და პედაგოგის მცდარ შეხედულებებთან, მის არასწორ პოლიტიკურ ორიენტაციასთან ბავშვთა აღზრდის საქმეში, რომლის პოლიტიკური მიზეზი ავტორს ჩვენთვის უფრო შეაფიქრებლად უნდა ეჩვენებინა.

ავტორი ცალკე გამოყოფს და საფუძვლიან ანალიზს უკეთებს იმ ლექსებს, რომლებშიც შიო მღვიმელი ჩვენი სამშობლოს დიდებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ მომღერლად გვევლინება.

„შხამად შემერგოს დედის რძე,
შხამად მომედოს პირზედა,
ქვეყანამ გამათახსიროს
ცა-დედამიწის ძირზედა“.

„თუ შტერს დავეთმო ალამი,
დროშა მოძმეთა ჳერისა
გვირგვინი პატროსნების,
დიდება მთელი ერისა“.



გ. კაქაბიძე დიდს ყურადღებას აქცევს იმ ლექსებს და პოემებს, რომლებიც პოეტმა შექმნა საბჭოთა ხელისუფლების დროს სოციალისტური ეპოქის ჯანსაღი განწყობილებებით: ფრთა შესხმული პოეტი შესანიშნავ ლექსებს უძღვნის საბჭოთა ბავშვებს. ამ პერიოდის მისი ყოველი ლექსი ოპტიმისტურია. ოქტომბრელი, პიონერი, — აი, ახალი მხატვრული სახე და თემა შიო მღვიმელის პოეზიისა. ავტორი შიო მღვიმელის დიდაქტიური ხასიათის ლექსებში ვერ ხედავს იმ უშუალობას და მხატვრულს სიმღიერეს, რომელიც შიოს პოეზიას ახასიათებს საერთოდ.

გ. კაქაბიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შიო მღვიმელის შემოქმედებაში მთავარ ობიექტს წარმოადგენს ბავშვთა სამყარო და მასთან ერთად ბუნება თავისი მრავალფეროვნებით.

წიგნში გარდა წეროლი ლირიკული ლექსებისა გარჩეულია დეტალურად ისეთი საბავშვო პოემები, როგორცაა: „ძუნწი“, „მერცხალი“, „ოქროს თავთავი“, „ბელურას ამბავი“, „ტყის სურათები“, „ნატერა“ და სხვა. დიდი ყურადღება აქვს წიგნში დათმობილი შიოს ენას, მისი წერის მანერას, ლექსიკონს, ეპიტეტებს, შედარებებს და მხატვრულ სახეებს, რომელთა სისადავემ, უბრალოებამ და მრავალფეროვნებამ დიდად შეუწყო ხელი შიო მღვიმელის პოპულარიზაციას.

ავტორის ამოუკრებელი ისეთი საეპიტეტო სიტყვები, რომლებიც გასაგები და დამახასიათებელია ბავშვებისათვის, ასეთებია მაგალითად: ცუკრუმელა, ანცი, ქაჩორა, კაკანებო, ფუფუნა, ყველიპარია, პაწაწუნა, ცხენჯოხა, ცხენობანა, კიკები, კუდრაპა, ბუტყუტუნა, ტიტინა, ტოტონინა, ბაია, ფუფალა და სხვ. ამასთან ერთად აშხ. კაქაბიძეს მოყავს ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ბავშვისათვის ძნელად გასაგებნი არიან, მაგრამ შიო მათ მაინც ხმარობს, რასაც ავტორი უწუნებს პოეტს.

გ. კაქაბიძე წიგნის დასკვნით ნაწილში ხაზგასმით ლაპარაკობს: „შიომ ბავშვებს მთელი სიცოცხლე და ღვაწლი მიუძღვნა. მან პირველმა გაიხიდა სამოღვაწეო ასპარეზად საბავშვო პოეზია და მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში შეუწელებელი სიყვარულით ემსახურებოდა მას... შიომ ბავშვის ხასიათი და ბუნება, ბავშვის მოქმედება და მისწრაფება ისე ღრმა განცდით, ნათელი, სადა სურათებით და სრულყოფილად მოგვცა, რომ იგი დღესაც ჩვენს საბავშვო პოეზიაში სანიშნოდ და მისალწვე მწვერვალად ჩრება, რაიც გვაძლევს დღღლებას, შიო მღვიმელი ქართული საბავშვო პოეზიის კლასიკოსად ვაღიაროთ“ — ამბობს ავტორი საესებით სამართლიანად.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კაქაბიძის ორივე წიგნი დიდი სიყვარულით და უშუალოებით არის დაწერილი.

ს. წიგნაძე.

იაკობ ბალახაშვილი — „ლიბერატორული და რევოლუციონური წრები გორში“

საბლიტბაში, 1940 წ.

ჩვენი ქვეყნის სოციალური და იდეოლოგიური მოძრაობის ისტორიაში მე-19 საუკუნე უმნიშვნელოვანესი ეტაპია. ეს პერიოდი მეცნიერულად ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და უკანასკნელ დრომდე, შეიძლება გადაუტარებლად ითქვას, მის შესახებ უმთავრესად პუბლიცისტური ლიტერატურული შემკვიდრებით ეკმაყოფილებით; ახლო წარსულის ეს ღირსშესანიშნავი პერიოდი სათავეს აძლევს და ასაზრდოვებს დიად სოციალურ იდეებს და მოძრაობას, რომელიც მე-20 საუკუნის გარიგრაზე ჩვენში სოციალისტური რევოლუციისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის სინამდვილედ იქცა.

საბლიტგამის მიერ გამოცემული, მკვლევარის იაკობ ბალახაშვილის დოკუმენტური ნარკვევის მიზანია—სადა, პოპულარული ენით გადმოგვეცეს ცნობები იმ ლიტერატურული და რევოლუციური მოძრაობის შესახებ, რომელიც ხალხთა დიდი უმეტესობისთვის სტალინის, მშობლიური ქალაქის გორის შესახებ გვაქვს ავტორის პირდაპირი ცნობების გარეშე. გორის საერთო ვითარება 70-80-90 წლებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის საერთო გამოღვივების ფონზე ამ ისტორიულ ქალაქში საფუძველი ეყრება და სწრაფად იწყებს განვითარებას საზოგადოებრივი, კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრება, ენთუზია ის პირველი ნაპერწკალი, რომელიც შემდეგში დიადი მოძრაობის კოცონად უნდა იქცეს აქვე ვეცნობით ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის და მისი თანამებრძოლის, ლაღო კეცხოველის მეთაურობით ლიტერატურული და შემდეგ პოლიტიკური წრეების პირველად ჩამოყალიბების ჩვენში, ჯერ კიდევ მათი საშუალო სკოლაში მოსწავლეობის დროს.

„წინამდებარე ნარკვევის მიზანია,—შენიშნავს ავტორი,—აღდგენილი იქნას ის კულტურული ფონი, რომლის გაკემოცვაშიც დაიბადა და აღიზარდა საკავშირო კომუნისტური პარტიის და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი გენიალური სტალინი“. (გვ. 7).

ნარკვევი შეიცავს სულ 21 თავს, რომელთაც წინ, შესავალის სახით უძღვის „რამდენიმე სიტყვა წინასწარ“, ხოლო ბოლოში დართული აქვს „წარაგების მაჩვენებელი“.

ავტორი 70-ანი წლებიდან მოკიდებული იცვლევს იმ კულტურულ-ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობის პირველ ცდებს, რომელიც ჯერ კერძო, „ოჯახური საღონების“ კედლებში ეწყობოდა და შეუძარებთ რიცხვ-მცირე წრეს მიიცივდა, ხოლო შემდეგ თანდათან ვრცელდებოდა, ფართო მასაში გადადიოდა და ფართო საზოგადოებრივ მოძრაობად იქცეოდა.

ნარკვევის შესავალში ავტორი მოგვითხრობს ქალ. გორის იმ ისტორიულ მნიშვნელობაზე, რომელიც მას წარსულში ჰქონდა, როგორც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ, ისე კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში.

„საუკუნეთა განმავლობაში,—გადმოგვეცემს ავტორი,—გორი იყო დიდი საქარაგო გზის ერთ-ერთი საყურადღებო სტრატეგიკული პუნქტთაგანი. არა ერთგზის გამოუცენებიათ გორი ქართველ მეფეებსა და დასარბევად მოსულ დამპყრობლებს, როგორც სამაგო და მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი“ (გვ. 3). შემდეგ ავტორი ჩამოსთვლის ღირსსხოვარ მოღვაწეებსა და მწერლებს, რომელთა სახელებიც ქალ. გორს უკავშირდებიან. ასეთები არიან, მაგალითად: გ. სააკაძე, ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე, პოეტი ფეშანგი ფაშვი-ბერტყაძე, დრამატურგები გიორგი ერისთავი და ზურაბ ანტონოვი, თუმანიშვილები გივი, დავით, დიმიტრი, ევგენი, მიხეილ, ავთანდილ და სხვ. აგრეთვე რადიკალ ერისთავი, იაკობ ფრგებაშვილი, სოფ. მგალობლიშვილი, მარიამ დემურია, ია ეკალაძე, ვაჟა-ფშაველა, დავით კარიჭაშვილი, იოსებ ლალიაშვილი, პროფ. ალ. ხახანაშვილი და სხვანი.

ავტორი ჩამოსთვლის ლიტერატურული და კულტურული მოძრაობის არა მარტო ამ უშუალო აქტიურ, ენტუზიატსტ მონაწილეებს, არამედ იმათაც, რომელნიც ფულადი თუ სხვაგვარი დახმარებით ხელს უწყობდნენ კულტურულ წამოწყებებს. ნარკვევში მეთხველს მოღვაწეთა ისეთი სახელებიც ხედება (მაგ. ივანე ერისთავი, ვასო დეკანოზიშვილი, მთავ კერცელიძე, პავლე ბურჯანაძე, ვანო ხიმშიაშვილი, ჭიბჭიროს ფურცელაძე, ევგენი იოსელიანი, მიხეილ ყუდიანი, ვასო სამაღიაშვილი, ნ. დიასამიძე, გიგო ავალიშვილი, ი. შაკავერიანი, საშინო და სხვ. კანდელაკები, ს. ციმატურიძე, კოტე გვარამაძე, ა. გარსევანიშვილი, ა. შამაკაშვილი, აფხაზი, კოსტავა და სხვანი), რომელთა შესახებაც ფართო საზოგადოებას ან სულ არაფერი, ან მეტად მცირე რამე სმენია, ისიც უტრმოკერივ.

წიგნში შევხვდებით ქვეყნის კულტურულ-ლიტერატურული ფრონტის ისეთ შედარებით უკვე ცნობილ და სახელოვან მოღვაწეთ, როგორნიც იყვნენ ნ. ხიზანიშვილი, შ. დავითაშვილი, დავ. კარიჭაშვილი, სოფ. მგალობლიშვილი, ანტ. ფურცელაძე, ნ. ლომოური, ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, რაფ. ერისთავი, აკაკი და სხვანი. მოხსენებული არიან რუსეთიდან ვად-მოხვეწილნი პოლიტემიგრანტები, რომელნიც სანდო ბინას პოულობდნენ ჩვენს ქვეყანაში, ქართველ მწერალ-მოღვაწეთა შორის.

პირველ ხანებში მათ საქმიანობას უმთავრესად საერთო კულტურულ-ლიტერატურული ხასიათი აქვს, ეწყობა წარმოდგენები, იმართება ლიტერატურული შეხვედრა-საღამოები საქველმოქმედო მიზნით, ღარიბ სტუდენტთა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასარგებლოდ.

მომდევნო პერიოდში საწრეთ მუშაობა უფრო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ხასიათს იღებს, რომელსაც პირველ ხანებში ხელმძღვანელობენ ხალხოსნები და მათთან დაკავშირებული პირები, ხოლო შემდეგში მთელი ამ მუშაობის ხელმძღვანელობის საღვებები მაშინდელი სასულიერო სემინარიის საამაყო მოწაფეების იოსებ ბეჟუღაშვილისა და ლადო კეცხოველის ხელში გადადის.

ჯერ კიდევ სემინარიის კედლებში ხელმძღვანელობს ამხანაგი სტალინი მარქსისტულ-რევოლუციურ ჯგუფს, უმჭიდროეს კავშირს აბამს მაშინდელ მოწინავე მუშათა წრეებთან, ამასთან საწრეთ მუშაობა უკვე აშკარა პოლიტიკურ ხასიათს იღებს, რაც ასე გარკვევითაა ხაზგასმული ამხანაგ ლაერენტი პავლეს-ძე ბერიას ისტორიულ შრომაში: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს გვერდში უდგას სემინარიის კედლებიდანვე უგულითადესი ამხანაგი — ლადო კეცხოველი, რომელიც იმ თავითვე საწრეთ მუშაობის ენტუზიასტი იყო, რომელიც აარსებს სკოლაში ლიტწერეს, იკრებს გარშემო ამხანაგებს, თავადაც სწერს პატარ-პატარა მოთხრობებს, ლექსებს და სხვებშიც აღვიძებს ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობის განწყობილებას, ეს მომენტი კარგადაა ნაჩვენები სარეცენზიო ნარკვევში (გვ. 144—153). ავტორი იყენებს საკმაოდ მდიდარ მასალას, როგორც ნაბეჭდს, ისე ხელნაწერს, სარგებლობს უმთავრესად მარქს-ენგელს-ლენინის ინატიტუტის თბილისის ფილიალის მდიდარი მასალით.

ნარკვევი დაწერილია სადა, პოპულარული ენით და თავიდან ბოლომდე ინტერესით იკითხება. წიგნი წმინდა კორექტურულ შეცდომებთან ერთად საკმაოდ ბევრია ლექსიკონ-სინტაქსური ხასიათის ცოდვებიც.

ავტორი ხმარობს სიტყვას აანაწევნა (გვ. 135), ე. ი. დააღონა. ღირსაბსოვარი ერთი სიტყვაა, სწერია კი ცალკე (გვ. 97). ხშირია აგრეთვე უხერხული თქმები. მაგ. სამუდამო დასი (გვ. 42), უნდა იყოს მუდმივი დასი; დაილია საკმაოდ დიდი ოდენობა ღვინისა (გვ. 135), ეს თქმა უფარგისია. იქვე სტამბა იყო (გვ. 26), ე. ი. სტამბაც იქვე იყო და სხვა.

ავტორი ნარკვევში უმთავრესად მემუარული ლიტერატურით საზრდოობს, რაც ხშირად ნაკლებად სანდოა. საჭიროა ასეთი წყაროებიდან ამოკრებილი მასალის შემოწმება, უფრო დადგენილი, მყარი წყაროებით სარგებლობა, მით უფრო ასეთი საპასუხისმგებლო ხაგნი-სათვის.

ქ. დონაძე

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

33-

აღ. აბაშელი — აპრილი	3
კონსტანტინე გამსახურდია — დაეით აღმაშენებელი	5
გიორგი კაჭახიძე — ვაშლის ხეები	39
უიარაღო — მაძიებელი (გაგრძელება) !	46
ლაღო ასათიანი — ლექსები	41
მ. ლერმონტოვი — * * (თარგმ. რუსულიდან ა. სიკინაევას მიერ)	70
ი. ფრანკო — მოსე (თარგმ. კ. ლორთქიფანიძის და რ. გვეტაძის მიერ)	71

ქართული და ლიტერატურის ისტორია

მ. დელბა — შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“	79
გიორგი ჯიბლაძე — გიორგი წერეთლის შემოქმედება	93
ელ. ლოლობერიძე — ვაშა-ფშაველის ლირიკა	109
აღ. სულავა — ირაკლი აბაშიძე	124
ბესო ჟდენტი — რომანი მგზნებარე რევოლუციონერზე	142

ბიბლიოგრაფია

აღ. სულავა — კ. ლორთქიფანიძე — „მოგზაური“	151
მის. ფოფხაძე — ლ. ბალიაური — „შურისგება“	152
ბ. წვერავა — „შოთა მღვიმელის ცხოვრება და შემოქმედება“ (გ. კაჭახიძის კრიტიკული ნარკვევი)	154
კ. დონაძე — იაკობ ბალაბაშვილი — „ლიტერატურული და რევოლუციური წრეები გორში“	157